

წმიდა გრიგოლ დიოლოგოსი


ღიალოღონი

საუბრები

იქალიელი ძამების ცნოვრებისა

და


სულის უკვდავების შესახებ



თბილისი

2006

ღაიბეჭდა
ბათუმისა და სხალთის
მთავარეპისკოპოს ღიმიტრის (შიოლაშვილი)
ლოცვა-კურთხევით



თარგმნა თამარ ერისთავმა
რედაქტორი: ნინო კვანტალიანი
მხატვრები: მარიამ ჩხაიძე, ნინო მკერვალიძე

თარგმანი შესრულებულია წიგნიდან:
Святого отца нашего Григория Двоеслова епископа Римского
"Собеседования о жизни италийских отцов
и о бессмертии души". М. 1996
გამოყენებულია აგრეთვე წმ. ეფთვიმე ათონელისეული
თარგმანი

გამომცემელი: ასოციაცია „კვირიაკე“

შინაარსი

წმიდა გრიგოლ დიდი, დიოლოღოსი.....9

წიგნი პირველი.....11

- თ ა ვ ი პირველი. ჰონორატი, ფუნდის მონასტრის ილუმენი..... 15
- თ ა ვ ი მეორე. ლიბერტინი, იმავე მონასტრის ეკონომოსი..... 17
- თ ა ვ ი მესამე. მონაზონი, რომელიც იმავე მონასტერში მეზალე იყო..... 22
- თ ა ვ ი მეოთხე. ეკვიცი, რომელიც მონასტრის წინამძღვარი იყო
ვალერიის ოლქში..... 24
- თ ა ვ ი მეხუთე. კონსტანტინე, წმიდა სტეფანეს ტაძრის მნათე..... 33
- თ ა ვ ი მეექვსე. ანკონის ეპისკოპოსი მარცელინი..... 36
- თ ა ვ ი მეშვიდე. ნონოზი, სარაქტის მთის მონასტრის ეკონომოსი 37
- თ ა ვ ი მერვე. ანასტასი – სუპენტონის მონასტრის წინამძღვარი 39
- თ ა ვ ი მეცხრე. ბონიფაცი, თერენტის ეპისკოპოსი 42
- თ ა ვ ი მეათე. ტულერტის ეპისკოპოსი ფორტუნატე 50
- თ ა ვ ი მეთერთმეტე. ვალერიის ოლქის მკვიდრი მონაზონი მარტირი 58
- თ ა ვ ი მეთორმეტე. იმავე ოლქის პრესვიტერი სევეროსი 58

წიგნი მმორე.....62

- თ ა ვ ი პირველი. სასწაული, რომელიც წმიდა ბენედიქტემ
გატეხილ საცერზე აღასრულა 63
- თ ა ვ ი მეორე. ძლეული ხორციელი აღძვრის შესახებ 66
- თ ა ვ ი მესამე. მინის ჭურჭელი, რომელიც ჯვრის გამოსახვით
დაიმსხვრა 68
- თ ა ვ ი მეოთხე. გონებაგაფანტული მონაზონი, რომელიც
ცხონების გზას დაუბრუნდა 73
- თ ა ვ ი მეხუთე. წმიდა ბენედიქტეს ლოცვით მთის მწვერვალზე,
კლდეში აღმოცენებული წყარო..... 74
- თ ა ვ ი მეექვსე. ცელი, რომელიც წყლის სიღრმიდან ტარს დაუბრუნდა..... 75
- თ ა ვ ი მეშვიდე. წმიდა ბენედიქტეს მოწაფე მავრი,
რომელმაც წყალდაწყალ ისე იარა, რომ თვითონ არ იცოდა 75
- თ ა ვ ი მერვე. როგორ წაიღო ყვავმა შხამიანი პური 76
- თ ა ვ ი მეცხრე. წმინდანის ლოცვით აზიდული ქვა 81
- თ ა ვ ი მეათე. წარმოსახვითი ხანძარი 81
- თ ა ვ ი მეთერთმეტე. მონაზონი, რომელიც ჩამოქცეულმა კედელმა
მოიყოლა და წმიდა ბენედიქტეს ლოცვით დაუბრუნდა სიცოცხლე..... 82
- თ ა ვ ი მეთორმეტე. მონაზვნები, რომელთაც სენაკის გარეთ
მიიღეს საზრდელი 83
- თ ა ვ ი მეცამეტე. წმიდა მოსაგრემ შეიცნო, რომ მონაზონ
ვალენტინიანეს ძმამ გზაში საჭმელი მიიღო 84
- თ ა ვ ი მეოთხმეტე. მეფე ტოტილას თვალთმაქცობა, რომელიც
წმინდანმა ამხილა 85

თ ა ვ ი მეთხუთმეტე. წინასწარმეტყველება, რომელიც იგივე მეფე ტოტილას და ქალაქ კანუზიუმის ეპისკოპოსის მიმართ გამოითქვა	86
თ ა ვ ი მეთექვსმეტე. დემონისაგან დროებით განკურნებული კლერიკოსი	87
თ ა ვ ი მეჩვიდმეტე. წინასწარმეტყველება მონასტრის დანგრევის შესახებ, რომელიც წმიდა მამამ გამოთქვა	91
თ ა ვ ი მეთვრამეტე. გადამალული ჭურჭელი, რომლის შესახებ წმიდა მამამ სულით შეიცნო	92
თ ა ვ ი მეცხრამეტე. დამალული ხელსახოცები, რომელთა შესახებ წმიდა ბენედიქტემ შეიტყო	92
თ ა ვ ი მეოცე. მონაზონის ამპარტავნული გულისთქმა, რომელიც წმიდა მამამ შეიცნო	93
თ ა ვ ი ოცდამეერთე. ორასი საწყაო ფქვილი, რომელიც შიმშილობის დროს წმიდა მოსაგრის სენაკთან აღმოაჩინეს	94
თ ა ვ ი ოცდამეორე. ტერაციანის მონასტრის აშენება, როგორც ამის შესახებ ხილვაში ემცნო წმიდა ბენედიქტეს.....	95
თ ა ვ ი ოცდამესამე. ორი მონაზონი, რომლებიც წმიდა ბენედიქტეს მიერ ევქარისტიაზე აღვლენილი ღოცვით სიკვდილის შემდგომ ეკლესიის წიაღში იქნენ დაბრუნებულნი	97
თ ა ვ ი ოცდამეოთხე. ყრმა მონაზონი, რომელსაც დაკრძალვის შემდეგ მიწა განაგდებდა.....	100
თ ა ვ ი ოცდამეხუთე. მონაზონი, რომელსაც მონასტრიდან გასვლის შემდეგ ურჩხული შეხვდა	100
თ ა ვ ი ოცდამეექვსე. კეთრისგან განკურნებული ყრმა.....	101
თ ა ვ ი ოცდამეშვიდე. ოქროს მონეტები, რომლებიც მოვალემ სასწაულებრივად აღმოაჩინა	101
თ ა ვ ი ოცდამერვე. მინის ჭურჭელი, რომელიც ქვაზე დაენარცხა და არ დაიმსხვრა	102
თ ა ვ ი ოცდამეცხრე. ზეთით ავსებული ცარიელი კასრი	103
თ ა ვ ი ოცდამეათე. დემონისგან დახსნილი მონაზონი	104
თ ა ვ ი ოცდამეთერთმეტე. გლეხი, რომელიც წმინდანის შეხედვით ღვედებისაგან გათავისუფლდა.....	106
თ ა ვ ი ოცდამეთორმეტე. მიცვალებულის მკვდრეთით აღდგენა	108
თ ა ვ ი ოცდამეტამეტე. სასწაული, რომელიც წმიდა ბენედიქტეს დამ, სქოლასტიკამ, აღასრულა	109
თ ა ვ ი ოცდამეთოთხმეტე. დის სული, რომელიც წმიდა ბენედიქტემ სნეულიდან განსვლის ჟამს იხილა	111
თ ა ვ ი ოცდამეთხუთმეტე. მთელი ქვეყნიერება, რომელიც წმინდანს თვალწინ წარმოუდგა; ქალაქ კაპუის ეპისკოპოს გერმანეს სულის შესახებ	112
თ ა ვ ი ოცდამეთექვსმეტე. წმიდა ბენედიქტეს მიერ მონაზონთათვის დაწერილი განწესება.....	114

თ ა ვ ი ოცდამეჩვიდმეტე. წმიდა ბენედიქტეს აღსასრული, რომელიც ძმების წინაშე თვითონ იწინასწარმეტყველა.....	115
თ ა ვ ი ოცდამეთვრამეტე. გონდაკარგული დედაკაცი, რომელიც მღვიმეში განიკურნა	116

წიგნი მესამე

თ ა ვ ი პირველი. პოლანის ეპისკოპოსი პავლინი	118
თ ა ვ ი მეორე. წმიდა პაპი იოანე	122
თ ა ვ ი მესამე. წმიდა პაპი ადაპიტე	123
თ ა ვ ი მეოთხე. მედიოლანის ეპისკოპოსი დაცი	124
თ ა ვ ი მეხუთე. კანუზის ეპისკოპოსი საბინი	125
თ ა ვ ი მეექვსე. ნარნის ეპისკოპოსი კასი	127
თ ა ვ ი მეშვიდე. ფუნდის ეპისკოპოსი ანდრია	128
თ ა ვ ი მერვე. აკვინიუმის ეპისკოპოსი კონსტანცი	131
თ ა ვ ი მეცხრე. ლუკის ეპისკოპოსი ფრიგდიანე	132
თ ა ვ ი მეათე. ქალაქ პიჩენცას ეპისკოპოსი საბინი	132
თ ა ვ ი მეთერთმეტე. პოპულენის ეპისკოპოსი ქერბონი	133
თ ა ვ ი მეთორმეტე. უტრიკულას ეპისკოპოსი ფულგენცი	136
თ ა ვ ი მეცამეტე. პერუზის ეპისკოპოსი ჰერკულანი	137
თ ა ვ ი მეთოთხმეტე. ღმრთის მონა ისააკი	138
თ ა ვ ი მეთხუთმეტე. ღმრთის მონანი — ეგვიპტი და ფლორენცი	144
თ ა ვ ი მეუთქვსმეტე. მარსის მთის მონაზონი მარტინი	150
თ ა ვ ი მეჩვიდმეტე. არგენტარის მთის მონაზონი, რომელმაც მიცვალებული მკვდრეთით აღადგინა	153
თ ა ვ ი მეთურამეტე. მონაზონი ბენედიქტე	157
თ ა ვ ი მეცხრამეტე. ვერონელ მღვდელმოწამე ზენონის ტაძარი	158
თ ა ვ ი მეოცე. სტეფანე, ვალერიის ოლქის პრესვიტერი	159
თ ა ვ ი ოცდამეერთე. ენკრატისი, რომელმაც ერთი სიტყვით იხსნა ადამიანი ბოროტი სულისგან	160
თ ა ვ ი ოცდამეორე. ვალერიის ოლქის პრესვიტერი, რომელმაც ქურდი შეაჩერა თავის სამარესთან	162
თ ა ვ ი ოცდამესამე. პრენესტის მთის წინამძღვარი და მისი პრესვიტერი	163
თ ა ვ ი ოცდამეოთხე. მნათე თეოდორე, რომელიც რომში, წმიდა მოციქულ პეტრეს ტაძარში მსახურობდა	165
თ ა ვ ი ოცდამეხუთე. აკონცი, წმიდა მოციქულ პეტრეს იმავე ტაძრის პარამონარი	166
თ ა ვ ი ოცდამეექვსე. განდებელი მინა	167
თ ა ვ ი ოცდამეშვიდე. ორმოცი გლეხი, რომლებიც ლონგობარდებმა იმის გამო დახოცეს, რომ ნაკერპავის ჭამაზე თქვეს უარი	170
თ ა ვ ი ოცდამერვე. მრავალი ტყვე, რომლებმაც თხის თავს არ სცეს თავი და ამოხოცეს	170
თ ა ვ ი ოცდამეცხრე. დაბრმავებული არიოზელი ეპისკოპოსი	172

თ ა ვ ი ოცდამეათე. არიოზელთა ტაძარი, რომელიც მართლმადიდებელთათვის იკურთხა.....	173
თ ა ვ ი ოცდამეთერთმეტე. ვესტგუთების მეფე ლიუვიპილდის ძე, მეფე ჰერმინიპილდი, რომელიც მამამ კათოლიკე (საყოველთაო, ანუ მართლმადიდებლური) სარწმუნოების გამო მოკლა	175
თ ა ვ ი ოცდამეთორმეტე. აფრიკელი ეპისკოპოსები, რომლებიც თავისუფლად ლაპარაკობდნენ მიუხედავად იმისა, რომ ბარბაროსმა არიოზელებმა ენები ამოკვეთეს მათ კათოლიკე სარწმუნოების დაცვისათვის	178
თ ა ვ ი ოცდამეცამეტე. ღმრთის მონა ელეფთერი	179
თ ა ვ ი ოცდამეთოთხმეტე. რამდენი სახის გულშემუსვრილება არსებობს?	182
თ ა ვ ი ოცდამეთხუთმეტე. ამანცი, ტუსციის ოლქის პრესვიტერი	184
თ ა ვ ი ოცდამეთექვსმეტე. სირაკუზის ეპისკოპოსი მაქსიმიანე	185
თ ა ვ ი ოცდამეჩვიდმეტე. სანკტულა, ნურსიის ოლქის პრესვიტერი.....	187
თ ა ვ ი ოცდამეთვრამეტე. ფერენტის ეპისკოპოს რედემპტის ხილვა.....	194

წიგნი მეოთხე

თ ა ვ ი პირველი. ხორციელ ადამიანებს მარადიული და სულიერი არ სწამთ, იმბტომ, რომ გამოცდილებით არ იციან სულიერის შესახებ.....	196
თ ა ვ ი მეორე. რწმენა ურწმუნოსაც აქვს.....	198
თ ა ვ ი მესამე. სიცოცხლის სამგვარი სულის შექმნის შესახებ	199
თ ა ვ ი მეოთხე. სოლომონის სიტყვები: კაცის და პირუტყვის ხვედრი (აღსასრული) ერთია	200
თ ა ვ ი მესუთე. არსებობს თუ არა სული, თუკი სხეულიდან გასვლის ჟამს მისი ხილვა შეუძლებელია	204
თ ა ვ ი მეექვსე. როგორც სხეულში მყოფი სულის სიცოცხლე შეიცნობა ასოთა მოძრაობით, ასევე წმინდანის სხეულის სიკვდილის შემდეგ სულის სიცოცხლე სასწაულთა აღსრულებით შეიცნობა	205
თ ა ვ ი მეშვიდე. სულის სხეულიდან გასვლის შესახებ	208
თ ა ვ ი მერვე. მონაზონ სპეციოზის სულის გასვლა	209
თ ა ვ ი მეცხრე. ერთი ტუსადის სულის შესახებ.....	209
თ ა ვ ი მათე. წინამძღვარ სპესის სულის განტეგების შესახებ	210
თ ა ვ ი მეთერთმეტე. ნურსიელი პრესვიტერის სულის განტეგების შესახებ.....	212
თ ა ვ ი მეთორმეტე. ქალაქ რეათის ეპისკოპოს პრობის სულის შესახებ	213
თ ა ვ ი მეცამეტე. ღმრთისმსახურ გალას აღსასრული.....	214
თ ა ვ ი მეთოთხმეტე. დამბლადაცემულ სერგულას აღსასრული	216
თ ა ვ ი მეთხუთმეტე. ღმრთისმსახურ რომულას აღსასრული.....	217
თ ა ვ ი მეთექვსმეტე. მონაზონ თარსილას აღსასრული	220
თ ა ვ ი მეჩვიდმეტე. ყრმა მუზას აღსასრული.....	221
თ ა ვ ი მეთვრამეტე. ზოგიერთ ყრმას მშობლები ცუდი აღზრდით უკეტავენ ცათა სასუფეველის კარს; ღმრთისმგობი ყრმის შესახებ.....	222

თ ა ვ ი მეცხრამეტე. ღმრთისმოსავი მოსაგრის, სტეფანეს, აღსასრული	223
თ ა ვ ი მეოცე. სულის დამსახურება ზოგჯერ ცხადად გამოჩნდება	
არა აღსასრულის ჟამს, არამედ — სიკვდილის შემდეგ.....	225
თ ა ვ ი ოცდამეერთე. წინამძღვარ ვალენტის ორი მონაზონი	225
თ ა ვ ი ოცდამეორე. იღუმენ სურანის აღსასრული	226
თ ა ვ ი ოცდამესამე. მარსიის ეკლესიის დიაკვნის აღსასრული	226
თ ა ვ ი ოცდამეთხე. ბეთილში გაგზავნილი წმიდა მოსაგრის აღსასრული	227
თ ა ვ ი ოცდამეხუთე. მიიღებიან თუ არა ზეცაში მართალთა სულები სხეულთა მკვდრეთით აღდგომამდე?	228
თ ა ვ ი ოცდამეექვსე. როგორ წინასწარმეტყველებენ მომაკვდავი ადამიანები? მონაზვნები — გერონტი და მელეტი და ყრმა არმენტარი	229
თ ა ვ ი ოცდამეშვიდე. მმართველ ფელიქსის აღსასრული	233
თ ა ვ ი ოცდამეერვე. გემართებს ვირწმუნოთ, რომ როგორც სრულყოფილთა სულები მკვიდრობენ ზეცაში, ასევე ცოდვილთა სულები სხეულთან გაყრის შემდეგ ჯოჯოხეთში მკვიდრებიან	235
თ ა ვ ი ოცდამეცხრე. როგორ წარმოვიდგინოთ, რომ უსხეულო სულები შემწყვდეულნი არიან ნივთიერ ცეცხლში?.....	236
თ ა ვ ი ოცდამეთე. არიოზელი მეფე თეოდორიკეს აღსასრული	238
თ ა ვ ი ოცდამეთერთმეტე. რეპარატის აღსასრული	239
თ ა ვ ი ოცდამეთორმეტე. კურიალის აღსასრული, რომლის საფლავიც დაიწვა	240
თ ა ვ ი ოცდამეცამეტე. შეიცნობენ თუ არა კეთილი ადამიანები ერთმანეთს ცათა სასუფეველში და ბოროტები — ბოროტებს ჯოჯოხეთში?	242
თ ა ვ ი ოცდამეთოთხმეტე. ღმრთისმოსავი მოსაგრე, რომელმაც სიკვდილის ჟამს წინასწარმეტყველები იხილა	244
თ ა ვ ი ოცდამეთხუთმეტე. ერთმანეთისთვის უცნობ ადამიანთა სულები, რომელთაც ერთნაირი სასჯელი მიიღეს ცოდვებისთვის ან ერთნაირი ჯილდო — სათნოებებისთვის, ცნობენ ერთმანეთს სიკვდილის ჟამს; იოანესა და ურსის, ეგპორფისა და სტეფანეს აღსასრული.....	245
თ ა ვ ი ოცდამეთექვსმეტე. სულების შესახებ, რომლებიც, თითქოს მხოლოდ მოჩვენებითად გადიან სხეულიდან; მონაზონ პეტრეს გარდაცვალება და გაცოცხლება; სტეფანეს სიკვდილი და მკვდრეთით აღდგომა; ერთი მეომრის ხილვა	249
თ ა ვ ი ოცდამეჩვიდმეტე. რას ნიშნავს სახლის აგება მშვენიერ ადგილზე? დეუსდეიტი, რომლის სახლი, ხილვის თანახმად, მხოლოდ შაბათობით შენდებოდა. სოდომელთა სასჯელის შესახებ	253
თ ა ვ ი ოცდამეთვრამეტე. ჯერ კიდევ სხეულში მყოფი სულები ნაწილობრივ ხედავენ მომავალ სასჯელს; ყრმა თეოდორეს შესახებ; ქრისთორისა და იკონიელი მონაზვნის აღსასრული	255
თ ა ვ ი ოცდამეცხრამეტე	259
თ ა ვ ი მეორმოცე. დიაკვან პასხაზის სულის შესახებ	260

თ ა ვ ი ორმოცდამეერთე. რატომ გვეცხადება ბოლო დროს სულების შესახებ ბევრი რამ, რაც აქამდე არ იყო ცნობილი?	261
თ ა ვ ი ორმოცდამეორე. სად უნდა ვიგულისხმოთ ჯოჯოხეთი?.....	263
თ ა ვ ი ორმოცდამესამე. ჯოჯოხეთის ცეცხლი ერთია თუ — სხვადასხვაგვარი?.....	264
თ ა ვ ი ორმოცდამეოთხე. მარადიულად დაიწვებიან ცეცხლოვან გენიაში ჩაგდებული ცოდვილები?.....	265
თ ა ვ ი ორმოცდამეხუთე. რატომ ეწოდება სულს უკვდავი, როდესაც ცნობილია, რომ მას სიკვდილი აქვს მისჯილი?	268
თ ა ვ ი ორმოცდამეექვსე. წმიდა მოსაგრე, რომელიც ძრწოდა სიკვდილის ჟამს	269
თ ა ვ ი ორმოცდამეშვიდე. ზოგიერთს სიკვდილის შიშის დასაძლევად გამოცხადებანი განამტკიცებს; მონაზონთა — ანტონის, მერულასა და იოანეს შესახებ.....	269
თ ა ვ ი ორმოცდამერვე. თვალყური უნდა ვადევნოთ თუ არა სიზმრეულ ჩვენებებს და რამდენგვარია სიზმრეული ჩვენება?.....	271
თ ა ვ ი ორმოცდამეცხრე. ადამიანი, რომელსაც ძილში ხანგრძლივი სიცოცხლე აღუთქვეს, მაგრამ მოკლე ხანში აღესრულა.....	273
თ ა ვ ი ორმოცდამეთე. სასარგებლოა თუ არა სულისთვის სხეულის ტაძარში დაკრძალვა?.....	273
თ ა ვ ი ორმოცდამეთერთმეტე. წმიდა ლავრენტის ტაძარში დაკრძალული ენკრატისი, რომელიც ტაძრის მცველს გამოცხადებაში ნახევრად დამწვარი სხეულით ეჩვენა	274
თ ა ვ ი ორმოცდამეთორმეტე. პატრიც ვალერიანეს დაკრძალვა	275
თ ა ვ ი ორმოცდამეცამეტე. ვალენტინის სხეულის შესახებ, რომელიც დაკრძალვის შემდეგ გამოტანილ იქნა ტაძრიდან	275
თ ა ვ ი ორმოცდამეთოთხმეტე. ტაძარში დაკრძალული მღებავის სხეული იქ ვერ ნახეს	276
თ ა ვ ი ორმოცდამეთხუთმეტე. რამ შეიძლება მოუტანოს სარგებლობა მიცვალებულთა სულებს? ცენტუმცეკლევი პრესვიტერისა და მონაზონ იუსტის სულის შესახებ.....	277
თ ა ვ ი ორმოცდამეთექვსმეტე. ნარნის ეპისკოპოს კასის ცხოვრება და აღსასრული	281
თ ა ვ ი ორმოცდამეჩვიდმეტე. მტრების მიერ დატყვევებული კაცი, რომელსაც მისთვის აღსრულებული მსხვერპლშეწირვის შემდეგ ბორკილები დასცვივდა	282
თ ა ვ ი ორმოცდამეთვრამეტე. მაცხოვრებელი მსხვერპლის ძალა და საიდუმლო	284
თ ა ვ ი ორმოცდამეცხრამეტე. გულის შემუსვრილებისათვის წმიდა საიდუმლოს შეწირვის ჟამს და გონების სიფხიზლისათვის ზიარების შემდგომ.....	285
თ ა ვ ი მესამოცე. სხვათა ცოდვების მიტევებისთვის, რათა ჩვენც შეგვენდოს ჩვენი ცოდვები	285


წმიდა ბრიგოლ დიდი, დიოლოლოსი


წმიდა გრიგოლი, რომის ეპისკოპოსი, დიოლოლოსად წოდებული, VI ს-ის II ნახევარში ცხოვრობდა. ის წარჩინებულ რომაელთა ჩამომავალი იყო, შინაგანად ასკეტურ ცხოვრებას ესწრაფოდა, უკვე ადრეულ ასაკში დატოვა ქონება და ამქვეყნიური პატივი, მონაზვნად შედგა და მალე დაიმკვიდრა მკაცრი მოღვაწის სახელი. მონაზვნური ცხოვრების თითქმის ოცი წლის მანძილზე წმიდა გრიგოლი სხვადასხვა მონასტერს წინამძღვრობდა და რომის სამღვდელო დასში სხვა დიდი საეკლესიო თანამდებობებიც ეკავა. ბოლოს, 590 წელს, მრევლისა და სამღვდელო კრებულის დაჟინებული და ერთსულოვანი თხოვნით, აღყვანილ იქნა რომის საეპისკოპოსო კათედრაზე. წმიდა გრიგოლი 14 წლის მანძილზე ემსახურებოდა ამ მაღალ წოდებას. ის მუდამ დაუღალავად იღვწოდა არა მარტო თავისი, არამედ კათოლიკე (საყოველთაო) ეკლესიის კეთილდღეობისათვის. ამის დასტურად გამოდგება: ბრძნული მოქმედება, რომლითაც დასავლეთში V მსოფლიო საეკლესიო კრების გადაწყვეტილებებთან დაკავშირებული დავა ჩააცხრო; დონატისტების მწვალებლობის აღმოსაფხვრელად მიღებული მკაცრი და გონივრული ზომები; დაუღალავი ზრუნვა საეკლესიო მსახურების კეთილგანწყობისათვის; ქრისტიანული რწმენის განვრცობისათვის გაწეული ღვაწლი ინგლისში, რამაც წმიდა გრიგოლს ამ ქვეყანაში მოციქულისა და განმანათლებლის სახელი დაუმკვიდრა. ქრისტიანული ეკლესიის წინაშე ამ მღვდელმთავრის დამსახურება იმდენად მნიშვნელოვანი და მრავალფეროვანია, რომ კათოლიკე ეკლესიამ იგი წმინდანად შერაცხა, ხოლო მიუკერძოებელმა ისტორიამ სახელად – დიდი დაუმკვიდრა.

წმიდა გრიგოლის დამსახურება კათოლიკე ეკლესიის წინაშე არის აგრეთვე მისი მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი ნაწერები, რომლებშიც განმარტებულია წმიდა წერილი, მოცემულია სწავლებები ქრისტიანული ჭეშმარიტებების შესახებ, აღწერილია მამათა ცხოვრებანი და სასწაულები, განხილულია ეკლესიაში იმ დროს მიმდინარე მოვლენები.

წინამდებარე წიგნში გთავაზობთ წმიდა გრიგოლ დიოლოლოსის საუბარს პეტრე დიაკვანთან, იტალიელ მამათა ცხოვრებასა და სასწაულებზე. ეს წიგნი მუდამ სარგებლობდა ეკლესიის ყურადღებითა და პატივისცემით, რაც აისახა თავად წმიდა გრიგოლის ზედწოდებაზე. მას ამ წიგნის გამო ეწოდა დიოლოლოსი. საუბრებში სისადავითა და ბუნებრიობით არის გადმოცემული იტალიელ წმინდანთა ცხოვრებანი. იგი თითოეული ქრისტიანისთვის ძვირფასი შენაძენია. გარდა ამისა, წიგნი რომის იმპერიის დაშლის პერიოდში ეკლესიის ისტორიის საინტერესო მასალებს შეიცავს. როგორც თავად წმინდანი აღნიშნავს, ის ამ ცნობებს ღირსეულ და სანდო ადამიანთაგან, ხშირ შემთხვევაში მოვლენათა თვითმხილველთაგან კრებდა.

წიგნი საუბრის სახით არის წარმოდგენილი, რათა მისი კითხვა ადვილი და სასიამოვნო იყოს. დიაკვანი პეტრე, რომელსაც ავტორი ესაუბრება, არ არის გამოგონილი პირი, მას, როგორც წიგნიდან ჩანს, მღვდელმთავარი წმინდანთა ცხოვრებებზე მართლაც ხშირად ესაუბრებოდა.





წიგნი პირველი

ერთხელ, ერთ მყუდრო, შვების მომგვრელ ადგილას განვმარტოვდი ამქვეყნიური საქმეებით დამძიმებული, რომლებიც არცთუ იშვიათად გვაიძულებენ მივატოვოთ სულიერი საქმე, რაც ყოვლად დაუშვებელია. იქ, თავისუფლებაში, შემეძლო უკეთ გავრკვეულიყავი დამამძიმებელ, უსიამოვნო შთაბეჭდილებებში და ზედმიწევნით განმეხილა ყოველივე, რაც ნაღველს მგვრიდა. როდესაც დანაღვლიანებულმა მართლობაში საკმაო ხანი გავატარე, უსაყვარლესმა შვილმა, დიაკვანმა პეტრემ მომინახულა. ჩვენ ადრეული სიყრმიდან მტკიცე მეგობრობა გვაკავშირებდა, ერთად ვუღრმავდებოდით ღმრთის სიტყვას. როდესაც პეტრემ ესოდენ გულდამძიმებული მიხილა, მკითხა: რაიმე ახალი ხომ არ შეგემთხვა, რად დამწუხრებულხარ ჩვეულებრივზე მეტად? — არა, საყ-

ვარელო პეტრე, – ვუპასუხე, – მწუხარება, რომელსაც ყოველდღიურად ვითმენ, ჩემთვის მუდამ ძველია, იმიტომ, რომ ჩვეულია, და მუდამ ახალია, იმიტომ, რომ მზარდია. ამჟამად სული წუხს იმის გამო, რომ ჩემზე დაკისრებული უსიამოვნო საქმეები მასში ჩემი ძველი სამონასტრო ცხოვრების მოგონებებს აღძრავს. იმ დროს ჩემს სულს შეეძლო ყოველ შემთხვევითობას გამკლავებოდა, მსწრაფლწარმავალზე ამაღლებულიყო, რადგან მისი ყოველი ზრახვა ზეცისაკენ იყო მიმართული. მაშინ თვით ხორცის საკრველები არ აბრკოლებდა მას დამტკბარიყო მჭვრეტელობითი ცხოვრებით, რადგან თვით სიკვდილი, რომელიც თითქმის ყოველ ადამიანს აშინებს და ძრწოლას გვრის, მისთვის სანუკვარი იყო, როგორც გარდასვლა ცხოვრებაში, როგორც მისაგებელი ღვაწლისათვის. ახლა კი, სამწყემსო მსახურების გამო, ვალდებული ვარ საერო საქმეებს მივდიო. დავტოვე ძველი, მშვენიერი და უშფოთველი ცხოვრება და სული მიწიერი საზრუნავებით უნდა შევიბილწო, რადგან, როგორც კი სულის ყურადღება სხვების მიმართ შემწყნარებლობით გარეშე საგნებზე გაიფანტება, მაშინ, უეჭველია, სულიერი საგნებისადმი ძლიერი ლტოლვაც მოუძღვრდება. ამიტომ განვსჯი, რა შევიძინე და რა დავკარგე და დანაკარგის მიხედვით ვხედავ, რომ დავკარგე იმაზე მეტი, რაც მაქვს. ამჟამად ზღვის ტალღები მაშფოთებენ და ჩემი გონების ხომალდს ძლიერი ქარიშხალი არყევს; ხოლო როდესაც ჩემს ძველ ცხოვრებას ვიგონებ და მზერას ვაკყრობ, თითქოს ნაპირს ვხედავ და სულთვითქვამ. ძლიერი ღელვის გამო ძლივსლა ვხედავ ჩემ მიერ დატოვებულ ნავსაყუდელს, რადგან ჩვენს სულს ამგვარი რამ სჩვევია: როდესაც კარგავს იმ სიკეთეს, რომელიც ჰქონდა, პირველად ახსოვს დანაკარგი, მაგრამ დროთა განმავლობაში ავიწყდება და

ამგვარად, ხსოვნაც კი არ რჩება იმისი, რაც უწინ ჰქონდა. ამიტომ, როგორც ვთქვი, განვაგრძობთ ცურვას და მხედველობის არიდან სრულებით გვეკარგება უმფოთველი ნავსაყუდელი. ზოგჯერ, ჩემდა სამწუხაროდ, მაგონდებიან ადამიანები, რომლებიც სულით სრულიად განეშორნენ ამ სოფელს. მათი ანგელოზთა მსგავსი ცხოვრების მხოლოდ გახსენებაც მიჩვენებს, როგორ დაკვნიდნი. ამ წმიდა მოსაგრეთა უძრავლესობა ამ სოფლისაგან ფარულად ემსახურებოდა თავის შემოქმედს. ყოვლისშემძლე ღმერთს არ სურდა, რომ მათი განახლებული სული ადამიანურ საქმეებს მოეუძღურებინა და მათ ყოველგვარ მიწიერ საზრუნავს აცილებდა.

უკეთ რომ გადმოვცე ის, რაც ერთმანეთში ვისაუბრეთ, მას კითხვა-პასუხის სახეს მივცემ და ჩვენი სახელებით აღვნიშნავ.



პეტრე: თითქმის არაფერი ვიცი იმ მამათა ღვაწლის შესახებ, რომლებმაც წმიდა ცხოვრებით გაითქვეს სახელი იტალიაში. ამიტომ ვერ ვხვდები, ვის შესახებ საუბრობ ასეთი აღმაფრენით და ვის ცხოვრებას ადარებ შენს ცხოვრებას. რა თქმა უნდა, არ მეეჭვება, რომ იტალიაში მართლაც იყვნენ წმიდა მოღვაწეები, მაგრამ მათი სათნოებანი და სასწაულები ან სრულიად უცნობია ჩემთვის, ან მათ შესახებ იმდენად ცოტაა ნათქვამი, რომ ამ დუმილმა შესაძლოა ეჭვი აღძრას.

გრიგოლი: საყვარელო პეტრე, მათ შესახებ მხოლოდ ის ცნობები რომ გადმოვცე, რომლებიც მე, უბადრუკმა, სანდო მოწმეებისგან შევიტყვე, ვფიქრობ, ამისთვის დრო არ მეყოფა.

პეტრე: გევედრები, უწმიდესო მამაო, თუნდაც ნაწილი გამანდე. ვფიქრობ, არ დაბრკოლდები იმის გამო, რომ მათი ცხოვრების გახსენებით საკმაოდ ვრცელი მონათხრობი გამოვა. წმინდანთა ცხოვრების განხილვით ჩვენც ვისწავლით, როგორ მოვიპოვოთ და დავიცვათ სათნოებანი, მათი სასწაულები გვიჩვენებს, თუ როგორ იდიდება მოპოვებული და დაცული სათნოება. არსებობენ ადამიანები, რომელთა სულში ზეციური სამშობლოსადმი სიყვარულის ცეცხლს აღანთებს არა იმდენად დარიგებები, რამდენადაც — მაგალითები. ვინც წმინდანთა ცხოვრებას გაიაზრებს, ამით ორგვარ სარგებელს მოიპოვებს: პირველი, იმათი ცხოვრების მაგალითები, რომლებმაც ჩვენზე ადრე განვლეს ცხოვრებისკენ მიმავალი გზა, ჩვენში მომავალი ცხოვრების სიყვარულს აღძრავს; მეორე, თუკი ვინმე საკუთარ თავში სათნოებებს ხედავდა, თავს დაიმდაბლებს, როდესაც შეიტყობს, რომ წმინდანების ღვაწლი აღმატებული იყო.

გრიგოლი: მზად ვარ ახლავე გადმოვცე ყოველივე, რაც ამ მოღვაწეთა შესახებ ღმრთისმოსავ კაცთაგან მსმენია. მივბაძავ მარკოზისა და ლუკას წმიდა და ამაღლებულ, მზესავით მანათობელ მაგალითს, რომელთაც თავიანთი სახარებები დაწერეს არა ნანახის, არამედ მოსმენილის საფუძველზე. იმისთვის, რომ მომავალში ჩვენი მკითხველი არ დაეჭვდეს, ყოველი მოვლენის აღწერისას მივუთითებ წყაროს, რითიც ვისარგებლე. მხოლოდ წინასწარ გეტყვი, რომ ზოგიერთ შემთხვევაში მე მხოლოდ წყაროს აზრს გადმოვცემ, სხვა შემთხვევებში კი აზრთან ერთად თხრობის სიზუსტესაც დავიცავ. ყველაფერი ზუსტად რომ გადმოვცე იმათი სიტყვებით, ვინც ეს ამბები მაუწყა, ჩემი მონათხრობი არაერთგვაროვანი გამოვა იმის გამო, რომ ზოგიერთი მთხრობელი ძალიან უბრალო,

მარტივი ენით გადმომცემდა ამბებს. უნდა აღვნიშნო, რომ ის, რის მოყოლასაც შენთვის ვაპირებ, ყველაზე სანდო კაცთაგან მეუწყა.

თავი პირველი

ჰონორატი, ფუნდის მონასტრის ილუმენი

ერთ პატრიცს, სახელად ბენანცის, სამნიის ოლქში მამული ჰქონდა. იქვე ერთი გლეხი ცხოვრობდა. მას ვაჟი ჰყავდა, სახელად ჰონორატი. მან სიყრმიდან შეიყვარა თავშეკავებული ცხოვრება, რამაც ზეციური მამულისადმი სიყვარული აღუძრა. ის ამგვარად დიდხანს იღწვოდა, ყოველი უქმი სიტყვის წარმოთქმას ერიდებოდა და სხეულს თავშეკავებით წვრთნიდა. ერთხელ მისმა მშობლებმა ლხინი გამართეს და მეზობლები მოიწვიეს. სუფრისთვის სხვა სანოვაგესთან ერთად ხორციც მოამზადეს. ჰონორატს, მარხვის სიყვარულით, სურვილიც არ ჰქონდა ხორცს გაკარებოდა. მშობლებმა დაცინვა დაუწყეს და უთხრეს: „ჭამე, ხომ არ გგონია, შენთვის თევზს დავიჭერთ?“ – იმ მხარეში თევზის შესახებ მხოლოდ გადმოცემით იცოდნენ. როდესაც ჰონორატს ამგვარად დაცინოდნენ, წყალი შემოაკლდათ: წყალზე მყისვე მსახური გაგზავნეს ხის ჭურჭლით. ჭურჭელს წყლით ავსებისას თევზი ამოჰყვა. სახლში დაბრუნებულმა მსახურმა წყალი ყველას თვალწინ გადმოღვარა და უჩვენა თევზი, რომელიც საკმაოდ მოზრდილი იყო და ჰონორატს საჭმელად მთელი დღე ეყოფოდა. ყველანი გაოცდნენ. ჰონორატის მშობლები იძულებულნი გახდნენ შეეწყვიტათ დაცინვა. ამგვარად, ყრმის თავშეკავება, რომელსაც აქამდე დასცინოდნენ, პატივისცემის საგანი შეიქნა და მთაში დაჭერილმა თევზმა ღმრთის კაცი

ღვარძლიანი დაცინვისგან იხსნა. როდესაც ჰონორატის სათნო ცხოვრების შესახებ ხმა გავრცელდა, ბატონმა გაათავისუფლა და მან ფუნდში მონასტერი დააარსა, სადაც თითქმის ორას განდევილს ხელმძღვანელობდა. ის ყველასთვის სამაგალითო, ამაღლებული ცხოვრებით ცხოვრობდა.

ერთხელ მთას, რომლის ძირში მონასტერი მდებარეობდა, უზარმაზარი ლოდი მოსწყდა, მთის ფრიალო კალთაზე დაქანდა და მონასტერსა და ძმებს დანთქმით ემუქრებოდა. წმიდა მამამ ეს როგორც კი შენიშნა, მყისვე მაცხოვრის სახელს მოუწოდა, მოწყვეტილ ლოდს, რომელიც ის იყო მონასტერს უნდა დასცემოდა, ჯვარი გადასახა და ის მაშინვე შეჩერდა. ამის შესახებ ერთი ღმრთისმოსავი კაცი, სახელად ლავრენტი მომითხრობდა. მთის ბექობი, სადაც ლოდი შეჩერდა, ციკაბო იყო. ამბობენ, ახლაც რომ შეხედო, მოგეჩვენება, თითქოს ლოდი მოწყვეტას აპირებსო.

პეტრე: წმიდა მამაო, როგორ განდებოდა ეს საკვირველი კაცი სხვათა ხელმძღვანელი, უწინ თავად რომ არ ჰყოლოდა დამრიგებელი?

გრიგოლი: არ მსმენია, რომ ის ვინმეს დამოწაფებოდა. სულიწმიდის ნიჭები ზოგჯერ ადამიანებს უჩვეულო გზით მიენიჭება. ჩვეულებრივ, ხელმძღვანელი ვერ იქნება ის, ვისაც მორჩილება არ უსწავლია და ხელქვეითებს მორჩილებას ვერ აღუძრავს ის, ვინც თვითონ არ იცის ზემდგომთა მორჩილება. მაგრამ, არსებობენ ადამიანები, რომლებიც ნათლდებიან სულიწმიდის მიერ; მართალია ისინი გარეგან ადამიანურ ხელმძღვანელობას მოკლებულნი არიან, მაგრამ, სამაგიეროდ, მათ სულთან მუდამ არის შინაგანი დამრიგებელი — სულიწმიდა. თუმცა სათნოებებში უმტკიცარმა ადამიანებმა წმიდა მამათა ცხოვრებებში გამოვლენილი ამგვარი ზებუნებრივი

შემთხვევები მაგალითად არ უნდა დაისახონ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ვიღაცამ შეიძლება წარმოიდგინოს, რომ თვითონაც აღსავსეა სულიწმიდით, უგულებელყოს ადამიანური დარიგება და ცდომილებაში ჩავარდეს. სულიწმიდით აღვსილ სულს სრულიად ცხადი ნიშნები აქვს, რაც ააშკარავებს მის ამგვარ მდგომარეობას: ეს არის სიმდაბლესთან შეერთებული უდიდესი სათნოება. თუკი სული ამ თვისებებს სრულყოფილად ფლობს, ეს ცხადზე ცხადი ნიშანია მასში სულიწმიდის დავანებისა. მაგალითად, წმიდა წერილში არსად არის მოხსენებული, რომ წმიდა იოანე ნათლისმცემელს მოძღვარი ჰყოლოდა; თვით ქრისტეს – თავად ჭეშმარიტებას, რომელიც მიწაზე ხილული ყოფნის ჟამს მოციქულებს ასწავლიდა, მოწაფეთა შორის ხილული სახით არ შეურაცხავს იოანე. ვისაც შინაგანად განსწავლიდა, მას თითქოს ტოვებდა, რომ თავისი ნებით ეცხოვრა. ასევე, მოსესაც უდაბნოში ანგელოზი წინამძღვრობდა (გამ. 23, 20 და შემდეგი), და არა – ადამიანი. სათნოებებში განუმტკიცებელი ადამიანებისთვის ეს ყოველივე უნდა იყოს არა მიბაძვის, არამედ – პატივისცემის საგანი.

პეტრე: გთხოვ, მითხარი: ამ წმიდა მამას, ჰონორატს, მოწაფეთა შორის მიმღევარი არ დარჩენია?

თავი მეორე

ლიბერტინი, იმავე მონასტრის ეკონომოსი

გრიგოლი: გუთების მეფის, ტოტილას მეფობის დროს იმავე მონასტერში ეკონომოსად იყო ღმრთისმოსავი კაცი, სახელად ლიბერტინი. ის ცხოვრობდა და იზრდებოდა მამა ჰონორატის ხელმძღვანელობით. ხალხი მრავალ სარწმუნო ამბავს ჰყვებოდა მისი სათნოებების შესახებ. მასზე განსაკუთრებით

ბევრს მიაჩნდა უკვე ხსენებული ღმრთისმოსავი ლავრენტი, რომელიც ამჟამად ცოცხალია და დაახლოებული იყო მამა ლიბერტინთან. შევეცდები მოკლედ გადმოგცე მისი ნაამბობი.

ერთხელ ღმრთისმოსავი ლიბერტინი სამონასტრო საჭიროებათა გამო სადღაც გაემგზავრა, გზად უკვე ხსენებული სამნიის ოლქი უნდა გაეკლო. იმ დროს, იმავე გზაზე, გუთების ერთ-ერთი მხედართმთავარი დარდანიც მიდიოდა ჯართან ერთად. მისი მხედრები ღმრთის კაცს თავს დაესხნენ, მიწაზე გადმოაგდეს და ცხენი წაართვეს. წმინდანმა დანაკარგი დღესულადად დაითმინა, ავაზაკებს მათრახიც მიაწოდა და უთხრა: „ესეც წაიღეთ, რომ ჩემი ცხენი გადენოთ“. ამის შემდეგ წმინდანი ლოცვად დადგა. დარდანის ჯარმა გზა განაგრძო და მალე მდინარე ბულტურნას მიუახლოვდა. მეორე ნაპირზე გადასასვლელად მხედრები ცხენებს ოროლებს სცემდნენ და წყალთან აგდებდნენ; პირუტყვს ბევრი ურტყევს და ტანჯვს, მაგრამ ფეხი ვერ მოაცვლევინეს. მათ ისე ეშინოდათ წყალში შესვლის, თითქოს ფრიალო კლდიდან გადაშვებას აიძულებდნენ. როდესაც პირუტყვის ცემით მხედრებიც დაილაღნენ, ერთ-ერთმა თქვა: „იმისთვის ვიტანჯებით, რომ გზაში ღმრთის კაცი შეურაცხვეყავით“. რამდენიმე მათგანი მცისვე დაბრუნდა და ლიბერტინი იმავე ადგილზე, ისევე ლოცვად მდგომი იხილეს. „ადექი, – უთხრეს მას, – და დაიბრუნე ცხენი“. „ღმერთმა დაგლოცოთ, – მიუგო წმინდანმა, – ცხენი არ მჭირდება“. მაშინ მხედრები ცხენებიდან ჩამოქვეითდნენ, ლიბერტინი თავის ცხენზე ძალით შესვეს და დაუყოვნებლივ გაბრუნდნენ. ამის შემდეგ ცხენებმა მდინარე სწრაფად გადაცურეს, თითქოს იქ წყალი არც ყოფილიყოს. ამგვა-

რად, ღმრთის განგებით, როგორც კი წმინდანს ცხენი დაუბრუნეს, იმათაც დაემორჩილნენ თავიანთი ცხენები.

იმავე ხანებში კამპანიის ოლქში ფრანკების ჯარი მიდიოდა, რომელსაც ბუცელინი მთავრობდა. ხმა დადიოდა, რომ ჰონორატის მონასტერი დიდ განძეულს ფლობდა. ფრანკები ტაძარში შეიჭრნენ და ეკონომოს ლიბერტინს დაუწყეს ძებნა. ის იმ დროს მიწაზე გართხმული ლოცულობდა და ჰოი, საოცრებავ, რამდენი ეძებეს ფრანკებმა ლიბერტინი, მაგრამ ვერ დაინახეს, თუმცა მის სხეულს ხშირად ფეხითაც ეხებოდნენ. ამგვარად, თავისივე სიბრძავით მოტყუებულნი, მონასტრიდან ხელცარიელნი გაბრუნდნენ.

სხვა დროს ლიბერტინმა წინამძღვრისგან (რომელიც ლიბერტინის მოძღვრის — ჰონორატის მემკვიდრე იყო) ბრძანება მიიღო, რავენაში სამონასტრო საქმეზე გამგზავრებულიყო. წმიდა ჰონორატისადმი სიყვარულის გამო ლიბერტინს ჩვევად ჰქონდა, სადაც მიემგზავრებოდა, თან მისი ფეხსაცმელი მიჰქონდა. გზად მიმავალს ერთი დედაკაცი შემოხვდა, რომელიც ხელით გარდაცვლილ შვილს მოასვენებდა. ღმრთის კაცი რომ დაინახა, ლიბერტინის ცხენის ლაგამი მოზიდა და წმინდანი დააფიცა: „აქედან ვერ წახვალ, ვიდრე შვილს არ გამიცოცხლებ“. ლიბერტინი მიხვდა, რა უჩვეულო სასწაულის აღსრულებას ითხოვდნენ მისგან. ის ფიცთან შეერთებული თხოვნის მოსმენამ შეაძრწუნა და შეეცადა განშორებოდა დედაკაცს, მაგრამ ვერ შეძლო. იგი ორჭოფობდა. წარმოიდგინე, ამ დროს მის სულში რა ძლიერი ბრძოლა აღიძრა. მისი სიმდაბლე უბედური დედაკაცის მიმართ თანაგრძნობას ებრძოდა, შიში უჩვეულო სასწაულის აღსრულებისა ებრძოდა სამწუხარო გრძნობას, — უარი ეთქვა შეწევნაზე შვილმკვდარი დედისთვის. უკანასკნელ, სადიდებელად

ღმრთისა, მის ურყევ სიმდაბლეს თანალმობამ სძლია, ურყევს სწორედ იმიტომ, რომ თანალმობით იძლია, რადგან ურყევს ვერ უწოდებ სათნოებას, რომელიც სხვათა განსაცდელის ხილვისას ქედუხრელი რჩება. ამგვარად, წმინდანი ცხენიდან ჩამოხდა, მუხლი მოიდრიკა და ზეცისკენ ხელაღპყრობით ლოცვის შემდეგ მიცვალებულ ყრმას მკერდზე წმიდა ჰონორატის ფეხსაცმელი დაადო. წმინდანის ლოცვით მიცვალებულის სული სხეულში დაბრუნდა. ლიბერტინმა გაცოცხლებული ყრმა მგლოვიარე დედას გადასცა, თვითონ კი გზა განაგრძო.

პეტრე: მითხარი, მამაო: წმიდა ჰონორატის სათნოების ძალამ აღასრულა ეს სასწაული, თუ წმიდა ლიბერტინის ლოცვამ?

გრიგოლი: ასეთი უჩვეულო სასწაულის აღსასრულებლად შეერთდა: დედაკაცის რწმენა და ორივე წმინდანის სათნოების ძალა; ვფიქრობ, ლიბერტინმა ამ სასწაულის აღსრულება იმიტომ შეძლო, რომ უფრო მეტად მოძღვრის სათნოებათა ძალას მიენდო, ვიდრე – საკუთარს. მას სწამდა, რომ იმისი სული, ვისი ფეხსაცმელიც მიცვალებულს მკერდზე დაადო, მის ლოცვას შეისმენდა. მსგავსად იმისა, როგორც ელისემ ვერ შეძლო თავისი მოძღვრის ხალენის მდინარეში ერთხელ ჩაგდებით ორად გაეპო წყალი იორდანეში, მაგრამ როგორც კი წარმოთქვა: „სადა არს უფალი ღმერთი ელიასი აფფო?“ (4 მეფ. 2, 14) და ჩააგდო ილიას ხალენი მდინარეში, წყალი გაიპო და გზა მისცა მას. ხედავ, საყვარელო პეტრე, სასწაულის აღსრულებისას სიმდაბლეს როგორი ძალა აქვს? მაშინ შეძლო მოძღვრის ძალის თანასწორი ძალა გამოეჩინა, როდესაც მის სახელს მოუხმო, და მისი მსგავსი საქმეც აღასრულა, რადგან მის სიმდაბლეს ბაძავდა.

პეტრე: სასიამოვნოა შენი საუბრის მოსმენა, ყოვლადპატიოსანო მამაო! მითხარი, ჩვენს დასამოდღვრად ამ მოსაგრის შესახებ მსგავსი რამ კიდევ ხომ არ იცი?

გრიგოლი: ვიცი, მაგრამ მხოლოდ იმისთვის, ვისაც მისი მიბაძვა სურს, რადგან მიმაჩნია, რომ სიმდაბლე ყოველგვარ ნიშნა და სასწაულს აღემატება. მოხდა ამგვარი რამ: ერთხელ წინამძღვარი (რომელმაც ჰონორატის აღსრულების შემდეგ ის წინამძღვრის თანამდებობაზე შეცვალა) იმდენად განურისხდა სათნო ლიბერტინს, რომ მზად იყო მისთვის დაერტყა. ჯობს რომ ვერსად მოიხელთა, ხელი სკამს სტაცა და ლიბერტინს ისე ურტყა, რომ მას თავი და სახე მთლიანად დაუსივდა და დაულურჯდა. ლიბერტინმა დაითმინა ეს სასტიკი ცემა და მშვიდად წავიდა თავის სენაკში. მალე სამონასტრო საქმის გამო იძულებული გახდა სადღაც წასულიყო. დილის კანონი აღასრულა და წინამძღვრის სენაკისკენ გაემართა, რათა მისგან ლოცვა-კურთხევა გამოეთხოვა. წინამძღვარმა იცოდა, რომ ლიბერტინს უსამართლოდ მიყენებული წყენის შემდეგ ყველა პატივისცემით და სიყვარულით ეპყრობოდა. მას ეგონა ლიბერტინს მონასტრის დატოვება სურდა და დაეკითხა: „საით გაგიწევია?“ – „მონასტრის გადაუღებელ საქმეთა გამო, – უპასუხა ლიბერტინმა, – ჯერ კიდევ გუშინ დავპირდი ამა და ამ ადგილას წასვლას და მსურს წავიდე“. მაშინ წინამძღვარმა სულის სიღრმეში აღიარა, რომ, ერთი მხრივ, სასტიკად და მკაცრად მოეპყრო ლიბერტინს, მეორე მხრივ, შეურაცხყოფილი მშვიდი და თავმდაბალი იყო. ის გამოვიდა სენაკიდან, ლიბერტინის ფერხთით დავარდა და აღიარა, რომ მძიმედ შესცოდა, დამნაშავეა მის წინაშე, რომ გაკადნიერდა სასტიკი შეურაცხყოფა მიეყენებინა ასეთი სათნო კაცისათვის. ლიბერტინიც დავარდა მიწაზე წინამძღვრის

ფერხით და არწმუნებდა, რომ მის მიერ მიყენებული შეურაცხყოფის მიზეზი არა წინამძღვრის გახელება იყო, არამედ თვითონ იყო ამაში დამნაშავე. ამ შემთხვევის შემდეგ წინამძღვარი ყველას ღიდი კრძალვით ექცეოდა. ამგვარად, მოწაფის სიმდაბლემ გულისხმიერებაში ჩააგდო თვით მასწავლებელი. როდესაც ლიბერტინი მონასტრის საქმეზე წავიდა, რამდენიმე წარჩინებული დიდებული შეხვდა, რომლებიც მას უდიდეს პატივს სცემდნენ. მათ ღიდი გაოცებითა და თანაღმობით გამოჰკითხეს, რა დაემართა, რატომ ჰქონდა სახე დასიებული და დაღურჯებული? „გუშინ, გვიან საღამოს, — უპასუხა ლიბერტინმა, — ჩემი ცოდვების გამო სკამს შევეჯახე და ძლიერ დავშავდი“. ამგვარად, ამ წმიდა კაცმა პასუხში ჭეშმარიტება განაცხადა, არც წინამძღვრის საქციელი გათქვა და არც ტყუილი უთქვამს.

პეტრე: მსურს შევიტყო, ყოვლადპატიოსანო მამაო, ისეთმა ღმრთისმოშიშმა ადამიანმა, როგორც ლიბერტინი იყო, რომლის შესახებ ასეთ სასწაულებს მიაბობ, ნუთუ არ დატოვა მონასტერში თავისი სათნოებების მიმდევარი?

თავი მისამე

მონაზონი, რომელიც იმავე მონასტერში მებაღე იყო

გრიგოლი: შენთვის ცნობილი ფელიქსი, რომელიც არცთუ დიდი ხნის წინ იმავე მონასტრის ეკონომოსი იყო, მრავალსაკვირველ ამბავს მიაბობდა მონასტრის ძმების შესახებ. მის მონათხრობს სრულად არ გადმოგცემ, რადგან სულ სხვა რამეზე მსურს შენთან საუბარი, მაგრამ არ შემიძლია დავდუმდე ერთი შემთხვევის შესახებ, რომელიც მისგან გავიგე.

ფუნდის მონასტერში ერთი მონაზონი იყო, მებაღედ მსახურობდა და ამაღლებულ ცხოვრებას ეწეოდა. მის ბოსტანს ქურდი შეეჩვია. ის ღობეზე ფარულად გადადიოდა და ბოსტნეულს იპარავდა. მებაღემ შენიშნა, რომ რაც დათესა, იმაზე ბევრად ნაკლები მოიწია, რაც დარჩა – ისიც გათელილი და დაგლეჯილი იყო. მან ბოსტანი შემოიარა და იმ ადგილს მიაგნო, საიდანაც ქურდი იპარებოდა. როდესაც ბოსტანში ბრუნდებოდა, გველი დაინახა და უბრძანა: „გამომყევი“. იმ ადგილზე, საიდანაც ქურდი შედიოდა, ისევ უბრძანა გველს: „იესო ქრისტეს სახელით გიბრძანებ დაიცვა ეს შემოსასვლელი და ქურდს ბოსტანში შემოსვლის ნება არ მისცე“. გველი მაშინვე გზის გარდიგარდმო გაწვა, მონაზონი კი სენაკში დაბრუნდა. შუა ღღეს, როდესაც მონასტრის ძმები ისვენებდნენ, ქურდი გამოჩნდა და ღობეზე გადასვლა სცადა. უეცრად მას გველმა გზა გადაუღობა. ქურდი ძლიერ შეშინდა და უკან გადავარდა, მაგრამ ფეხი ღობის წნულში გაეხლართა და მებაღის მოსვლამდე თავდაღმა დაკიდებული დარჩა. როდესაც მებაღე მოვიდა, დაინახა ქურდი ღობეზე ეკიდა; ის გველს მოუბრუნდა და უთხრა: „მადლობა ღმერთს, შენ აღასრულე ნაბრძანები, ახლა წადი“. გველი მიიმალა. მებაღემ ქურდს მიმართა: „ძმაო, ღმერთმა ჩემს ხელში ჩაგაგდო. როგორ გაკადნიერდი, მონაზვნის შრომის ნაყოფი მიგეთვისებინა?“ ამის შემდეგ მებაღემ ქურდს ფეხი გაუთავისუფლა, ღობიდან ჩამოიყვანა, თავის სენაკში მიიწვია და სინარულით მისცა ბოსტნეული, რომელსაც ის ჩვეულებრივ იპარავდა, შემდეგ ბოსტნის კარებამდე მიაცილა და უთხრა: „წადი და ამიერიდან აღარ იქურდო; როდესაც დაგჭირდება, ჩემთან მოდი, სინარულით მოგცემ იმას, რასაც აქამდე ცოდვის გზით იძენდი“.

პეტრე: ვხვდები, აქამდე ამაოდ ვფიქრობდი, თითქოს იტალიაში არ იყვნენ სასწაულებით სახელგანთქმული წმინდანები.

თავი მეთხუთსი

ეკვიცი, რომელიც მონასტრის წინამძღვარი იყო ვალერიის ოლქში

გრიგოლი: ახლა იმას გიამბობ, რაც ფრიად ღირსეულმა ფორტუნატემ მიაბო, რომელიც მონასტერს წინამძღვრობდა პუტეოლში. ვალერიის პროვინციაში ერთი კაცი, სახელად ეკვიცი, ცხოვრობდა, რომელიც უჩვეულოდ წმიდა ცხოვრებას იმარხავდა. მას წინამძღვარი ფორტუნატეც კარგად იცნობდა და მისი სულიერი ღვაწლის მიმართ სხვებიც კრძალვით იყვნენ გამსჭვალულნი. ეკვიცი, როგორც ღიდი სიწმინდით მცხოვრები კაცი, იმ ოლქში მრავალ მონასტერს წინამძღვრობდა. სიყრმეში მას ხორციელ გულისთქმებთან ბრძოლა ტანჯავდა, მაგრამ ბრძოლის სიმძიმემ უფრო გულმოდგინე ლოცვისთვის აღძრა. ამგვარად, ეკვიცი დაუცხრომელი ლოცვით ყოვლისშემძლე ღმერთისგან შეწევნას გამოითხოვდა და ბოლოს იგრძნო, რომ ხორციელი გულისთქმები განეშორნენ და თითქოს უსხეულო შეიქნა. როდესაც ღმერთის შეწევნით სათნოებებში განმტკიცდა, ეკვიცი დედათა მონასტრების წინამძღვარიც გახდა, რადგან იქამდე მხოლოდ მამათა მონასტრებს წინამძღვრობდა. თუმცა თავის მოწაფეებს მუდამ ჩააგონებდა, რომ მის მაგალითს განუსჯევლად არ აპყოლოდნენ და არ მოესურვებინათ იმის აღსრულება, რისი ნიჭიც არ ჰქონდათ.

იმ დროს რომში გრძნეულები შეიპყრეს. ვინმე ბასილი, რომელიც ყველაზე დახელოვნებული ჯადოქარი იყო, სამო-

ნაზვნო კაბაში გადაცმული ვალერიის ოლქში გაიქცა. ის ამითერნის ეპისკოპოსს, ღირს კასტორს ეახლა და შეევედრა ეკვიციის მონასტერში განეწესებინა, თან ჰპირდებოდა, მონასტერს სამკურნალო ხელოვნებით შევეწვიო. ეპისკოპოსი ცრუ მონაზონ ბასილთან ერთად მაშინვე მონასტრისკენ გაემართა და ღმრთის სათნო ეკვიციის სთხოვა იგი ძმებს შორის მიეღო. წმინდანმა შეხედა ბასილს და ეპისკოპოსს უთხრა: „შენ მიბრძანებ მივიღო არა მონაზონი, არამედ — ეშმაკი“. — „შენ მხოლოდ მიზეზს ეძებ, რომ ჩემი თხოვნა არ შეასრულო“, — უპასუხა ეპისკოპოსმა წინამძღვარს. „ვამბობ იმას, რასაც მასში ვჭვრეტ, — უთხრა ღმრთის მონამ, — მაგრამ შენ რომ არ იფიქრო, თავს ვარიდებ მორჩილებას, აღვასრულებ შენს ნებას“. ბასილი მონასტერში მიიღეს. რამდენიმე დღის შემდეგ ღმრთის მონა ეკვიცი ხანგრძლივი დროით მონასტრიდან წავიდა, რათა სულიერი ნუგეშის მაძიებელნი ჭეშმარიტებაში განესწავლა. წმიდა ეკვიციის წასვლის შემდეგ დედათა მონასტერში, რომელსაც აგრეთვე ის წინამძღვრობდა, ერთი მონაზონი, რომელსაც სილამაზე ჯერ კიდევ ჰქონდა შერჩენილი, დასნეულდა, საშინლად იტანჯებოდა და ყვირილითა და სულთქმით იმეორებდა: „მოგკვდები, თუ მონაზონი ბასილი არ მოვა და თავისი ხელოვნებით ჯანმრთელობას არ დამიბრუნებს“. წინამძღვრის არყოფნის დროს ვერც ერთი მონაზონი დედათა მონასტერში შესვლას ვერ ბედავდა, მით უმეტეს ბასილი, რომელიც ძმობაში ახალი მიღებული იყო და არავინ იცნობდა. ეკვიცისთან მაცნე გაგზავნეს და შეატყობინეს, ესა და ეს მონაზონი ითხოვს, რომ ბასილმა მოინახულოს. ამის გაგონებაზე წმიდა მამამ მწარე ღიმილით თქვა: „არ ვამბობდი, რომ ეს ადამიანი კი არა, დე-

მონია? დაბრუნდით და ის მონასტრიდან გააძევეთ, ხოლო სნეული დის გამო ნუ იღვლეებთ; მისი ავადმყოფობა გაივლის და ის ბასილს აღარ მოუხმობს“. გაგზავნილები დაბრუნდნენ და შეიტყვეს, რომ სნეული სწორედ იმ დროს გამოკეთდა, როდესაც ისინი ღმრთის სათნო ეკვიცის მონასტრისგან მოშორებით ესაუბრებოდნენ. ამგვარად, მართალმა სასწაული თავისი მოძღვრისა და უფლის – იესო ქრისტეს მსგავსად აღასრულა; როდესაც უფალი მეფის მოხელემ ძის განსაკურნებლად მოიხმო (იოან. 4, 46), მან ერთი სიტყვით მიანიჭა მას კურნება და სახლში დაბრუნებულმა მამამ შეიტყო, რომ მისი ძე სწორედ იმ დროს განიკურნა, როდესაც ამის შესახებ თავად ჭეშმარიტების ბაგეთაგან გაიგო. მონაზვნებმა წინამძღვრის ბრძანება აღასრულეს და ცრუ მონაზონი ბასილი მონასტრიდან გააძევეს. ამის შემდეგ მან აღიარა, რომ თავისი გრძნეულებით წმიდა ეკვიცის სენაკი ჰაერში აჰქონდა, მაგრამ ვერაფერი ავნო. მალე ეს გრძნეული ხალხის მოშურნეობით რომში კოცონზე დაწვეს.

ერთხელ ერთი მხევალი ღმრთისა იმავე დედათა სავანიდან მონასტრის ბოსტანში შევიდა. ბოსტნეული რომ დაინახა, ხარბად დაიწყო ჭამა, პირჯვრის გამოსახვა კი დაავიწყდა. მას უეცრად არაწმიდა სული ეკვეთა და მიწაზე დასცა. როდესაც ის ამ მღვდმარეობაში იხილეს, მამა ეკვიცის სთხოვეს, ლოცვით განეკურნა სნეული. როგორც კი ეკვიცი ბოსტანში შევიდა, არაწმიდა სული დაცემული მხევლის პირით აყვირდა, თითქოს შეწყალებას ითხოვდა: „განა რა ჩავიდინე, განა რა ჩავიდინე? ბოსტნეულში ვიყავ, ამან კი მათთან ერთად თავის წიაღში მიმიღო“. ღმრთის კაცმა არაწმიდა სულს რისხვით უბრძანა, დაეტოვებინა მონაზონი და ყოვლისშემძლე

ღმერთის მხევალთან აღარასოდეს დაბრუნებულიყო. ბოროტი სული მყისვე განშორდა მას და ამის შემდეგ მასთან მიახლოებას ვეღარ ბედავდა.

ნურსიის ოლქის წარჩინებულმა დიდებულმა ფელიქსმა, კასტორის მამამ, რომელიც ამჟამად რომში ცხოვრობს, შეიტყო, რომ ღმერთისმოშიშ ეკვიცის სამღვდელი ხარისხი არ ჰქონდა, ამავე დროს მოშურნედ ასწავლიდა სხვებს სიტყვით და ერთხელ მეგობრულად დაეკითხა: „მამაო, როგორ კადნიერდები, რომ ქადაგებ, როდესაც არც სამღვდელი ხარისხი გაქვს და არც რომის მღვდელმთავრის ნებართვა, რომლის დაქვემდებარებაშიც ხარ?“ წმიდა მოსაგრემ უპასუხა: „ამის შესახებ მეც მიფიქრია, მაგრამ ერთხელ ძილში მშვენიერი ჭაბუკი წარმომიდგა, ენაზე ის იარაღი შემანო, რომელსაც ექიმები სისხლის გამოსაშვებად იყენებენ, თან მითხრა: „აჰა, ჩემს სიტყვას დავლებ შენს ბაგეზე, წადი და იქადაგე“. მას შემდეგ, რომც მოვისურვო, ვერ დავდუმდები, რადგან ღმერთის ძალა აღმძრავს“.

პეტრე: მამაო, მსურს ვიცოდე, როგორ მოღვაწეობდა ეს წმიდა კაცი, რომელსაც, როგორც ცნობილია, ღმერთისგან ასეთი ნიჭები მიემადლა.

გრიგოლი: ღვაწლი, საყვარელო პეტრე, მადლისმიერ ნიჭზეა დამოკიდებული და არა — მადლი ღვაწლზე; წინააღმდეგ შემთხვევაში, მადლი არ იქნება მადლი. ყოველ ღვაწლს წინ უძღვის მადლისმიერი ნიჭი, თუმცა შემდგომ მადლისმიერი ნიჭები იმდენად მრავლდება, რამდენადაც იზრდება ღვაწლი. თუ გსურს უტყუარი ცნობები შეიტყო ამ ღმერთის სათნო კაცის შესახებ, მიმართე რეათინის ეკლესიის ეპისკოპოსს, ალბინს — ის კარგად იცნობდა წმიდა ეკვიცის. მაგრამ, რად ეძიებ მის უმეტეს ღვაწლს, როდესაც იცი, რომ ეს კაცი უბიწო

ცხოვრებას იცავდა და იმავდროულად მოშურნედ ასწავლიდა სხვებს. იგი უდიდესი მოშურნეობით ანთებული იღვწოდა, რამდენიმე მონასტერს ხელმძღვანელობდა და ამავე დროს მიმოდიოდა ყველგან: ტაძრებში, ქალაქებში, სოფლებში, ქრისტიანთა სახლებშიც კი და მსმენელთა გულებში ზეციური მამულისადმი სიყვარულს აღვივებდა. წმიდა მამას სრულიად უბადრუკი სამოსი ეცვა და გარეგნობაც იმდენად თავმდაბლური ჰქონდა, უცნობი ადამიანი რომ შეხვედროდა და იმისთვის თაყვანი ეცა, ის ღირსად არ ჩათვლიდა, სალმითვე ეპასუხა. ზოგან ცხენით მიემგზავრებოდა, რისთვისაც მონასტრის ცხენებს შორის ყველაზე უარესს ირჩევდა და ლაგამის ნაცვლად ყოველთვის ავშარას¹ იყენებდა, უნაგირის ნაცვლად კი – ცხვრის ტყავს. ტყავის აბგით თან ყოველთვის წმიდა წერილის წიგნები მიჰქონდა, რათა განალებდა რა ღმრთის სიტყვის წყაროს, სულიერ სამკაღზე ეწვიებინა. ხმა მისი ქადაგებების შესახებ რომს მისწვდა. ზოგიერთი მლიქვნელი მოხელე რომის საეპისკოპოსოს სამღვდელო დასიდან (რომლებიც, როგორც წესი, ჯერ ერთ მონადირებენ, შემდეგ კი წარწყმედენ მსმენელის სულს) მყისვე ეახლა მღვდელმთავარს საჩივრით: „წმიდა მამაო, რომელიღაც უსწავლელმა კაცმა ქადაგების უფლება მიითვისა, უმეცარმა მიიტაცა მოვალეობა, რომელიც შენს უწმიდესობას ეკუთვნის. ხომ არ ინებებ მის მოყვანას, რათა შეაგონო საეკლესიო განწესება?“ ჩვეულებრივ, ვინც მოშურნედ აღასრულებს თავის მოვალეობას, ის ადვილად ემონება მლიქვნელობას, თუკი მას გულის კარიდან თავიდანვე არ განიშორებს. რომის ეპისკოპოსი სამღვდელო კრებულის შეგონებას დაჰყვა და დათანხმდა, ჩამოეყვანათ

¹ ავშარა – ცხენის ულაგამო აღვირი. – მთარგმნ. შენ.

რომში წმიდა ეკვიცი, რათა მისთვის თავისი მოვალეობანი აეხსნათ. თუმცა პაპს არ სურდა, რომ ამ ბრძანებას ღმრთის სათნო მოღვაწე რაიმეთი გაენაწეებინა და თავის მოციქულს, დეფენსორ¹ იულიანეს (შემდგომში საბინის ეკლესიის ეპისკოპოსი) დაავალა, წმიდა ეკვიცი რომში სრული ღირსების დაცვით ჩამოეყვანა. სამღვდლო დასის მიერ წაქეზებული იულიანე, ბრძანება სწრაფად რომ აღესრულებინა, წმიდა ეკვიცის მონასტერში აჩქარებით წავიდა. იქ რამდენიმე მონაზონი დახვდა, რომლებიც წიგნების გადაწერით იყვნენ დაკავებულნი და მათ დაეკითხა: „სად არის თქვენი წინამძღვარი?“ „აქვეა, მონასტრის მინდორში ბალახს თიბავს“, – უპასუხეს მონაზვნებმა. იულიანეს თან მსახური ახლდა, რომელიც იმდენად ამპარტავანი და თავხედი იყო, რომ მისი მომწვემსვა თვითონაც უჭირდა. იულიანემ ის გაგზავნა, რომ სწრაფად მოეხმო წინამძღვარი. მსახური ცქვიტად გაემართა, სწრაფად მიუახლოვდა მინდორს და მთიბავებს უტიფრად გასძახა: „სად არის ეკვიცი?“ მას მიუთითეს. როდესაც ჯერ კიდევ შორს მყოფ წინამძღვარს მოჰკრა თვალი, მსახური უჩვეულო შიშმა შეიპყრო: ათრთოლებულმა და აკანკალებულმა გზა ძლივს განაგრძო, ღმრთის კაცს ძრწოლით მიეახლა, დავარდა მის წინაშე, მუხლზე მდაბლად ემთხვია და თავისი ბატონის მოსვლა ამცნო. მისალმების შემდეგ ღმრთის სათნო კაცმა უთხრა: „აჰა, აიღე თივა და თქვენს ცხენებს წაუღე; მე საქმეს დავასრულებ და მალე გეახლებით“. ამასობაში პაპის

¹ დეფენსორი (დამცველი) – რომის ეკლესიაში დეფენსორის ძირითადი მოვალეობა იყო გაჭირვებულებზე ზრუნვა და ეკლესიის უფლებების დაცვა. ზოგჯერ რომის ეპისკოპოსი დეფენსორებს დავალებებით სხვადასხვა მხარეში აგზავნიდა. (ეს შენიშვნები დართული აქვს ამ წიგნის რუსულ გამოცემას).

ელჩს, ღეფენსორ იულიანეს, ძალიან უკვირდა, მისი მსახური რომ იგვიანებდა. როდესაც დაინახა, რომ ის მინდვრიდან თივის ზვინით ბრუნდებოდა, განრისხებულმა დაუყვირა: „ეს რას ნიშნავს? მე შენ წინამძღვრის მოსაყვანად გაგვზავნე და არა თივის მოსატანად“. – „ის ახლავე მოვა“, – უპასუხა მსახურმა. ამ დროს ღმრთის კაცი, შემოსილი და მხრებზე თივის კონით, მონასტერში დაბრუნდა. როდესაც ჯერ კიდევ შორს იყო, მსახურმა მიუთითა ბატონს, რომ სწორედ ის იყო, ვის წასაყვანადაც აქ მოვიდნენ. იულიანემ დაინახა თუ არა ეკვიცი, მისი მდაბალი გარეგნობის მხილველმა, მასთან მკაცრად და მბრძანებლურად დააპირა საუბარი, მაგრამ როდესაც ღმრთის სათნო კაცი მიუახლოვდა, იულიანეს გულს უჩვეულო შიში დაეუფლა, სხეული აუკანკალდა და ძლივს გადასცა წმინდანს თავისი ჩამოსვლის მიზეზი, მდაბლად დავარდა მის ფერხთით, მისგან ლოცვა გამოითხოვა და ამცნო, რომ უწმიდეს პაპს მისი ნახვა სურს. წმიდა ეკვიციმ ყოვლისშემძლე ღმერთს მთელი გულით შესწირა მადლობა იმისთვის, რომ უმაღლეს იერარქს მისი მოწოდება ჩააგონა. მან რამდენიმე ძმას უბრძანა, ცხენები სამგზავროდ გაემზადებინათ და დაჟინებით მოითხოვა, დაუყოვნებლივ გამგზავრებულიყვნენ. „ეს შეუძლებელია, წმიდა მამაო, – უთხრა იულიანემ, – შორეული მგზავრობით დავიქანცეთ და დღესვე გამგზავრება არ შეგვიძლია“. „ვწუხვარ, შვილო ჩემო, – უპასუხა წმიდა ეკვიციმ, – თუკი დღესვე არ გავემგზავრებით, ხვალ მით უმეტეს ვერ წავალთ“. ამგვარად, ელჩის დაღლილობის გამო ღმრთის სათნო მოსაგრე იმ ღამით მონასტერში დარჩა. მეორე დღეს, გათენებისთანავე, იულიანესთან სხვა, ახალგაზრდა მოციქული მოვიდა, რომლის ცხენი სიჩქარისგან სულს დაფავდა. მან იულიანეს პაპის წერილი გადასცა, რომელშიც ის

უბრძანებდა, ღმრთის სათნო მოსაგრე მონასტრიდან გამგზავრებით არ შეეწუხებინა. როდესაც იულიანე დაინტერესდა, რამ აიძულა პაპი შეეცვალა ბრძანება, შიკრიკმა მიუგო: სწორედ იმ ღამით, როდესაც იულიანე მონასტერში გამოემგზავრა, პაპს საზარელ ჩვენებაში საყვედურით უთხრეს — როგორ გაკადნიერდა, მონასტრიდან მოეხმო ღმრთის სათნო კაცი. იულიანე მაშინვე წმიდა ეკვიცისთან წავიდა, თავი მის ლოცვას შეჰვედრა და აცნობა, რომ პაპმა ბრძანა არ შეეწუხებინათ ის მონასტრიდან გამგზავრებით. ამის გაგონებაზე ეკვიცი დამწუხრდა და თქვა: „გუშინ ხომ გითხარი, თუ ახლავე არ გავემგზავრებით, შემდეგ საერთოდ ვეღარ წავალთ-მეთქი“. შემდეგ მოისურვა ახალგაზრდა შიკრიკის მიმართ სიყვარული გამოეხატა, თავის სენაკში წაიყვანა და გაწეული შრომისთვის გვარიანად დააჯილდოვა, თუმცა ყრმა უარზე იყო და ფულის აღება არ სურდა. გულისხმაყავ, საყვარელო პეტრე, უფალი როგორ იფარავს იმათ, ვინც ამ ცხოვრებაში თავს იმდაბლებენ, და ზეცის მოქალაქეთა შორის როგორ აღირაცხებიან ისინი, ვინც ადამიანთაგან უგულებელყოფას არ თაკილობენ; პირიქით, ღმერთის თვალში უგულებელყოფილნი არიან ისინი, ვინც ამაო ღიღებას ეძიებენ მოყვასისა და საკუთარი თავის წინაშე. ამიტომ ბრძანებს თავად ჭეშმარიტება: „თქვენ ხართ, რომელნი განიმართლებთ თავთა თვისთა წინაშე კაცთა, ხოლო ღმერთმან იცნის გულნი თქუენნი, რამეთუ კაცთა შორის მაღალი საძაგელ არს წინაშე ღმრთისა“ (ლუკ. 16, 15).

პეტრე: გაკვირვებული ვარ, ასეთ დიდ ადამიანს პაპის წინაშე როგორ დასწამეს ცილი?

გრიგოლი: რა არის საკვირველი, პეტრე? ჩვენ, ყველანი, როგორც ადამიანები, განა ცოდვებს არ ვემონებით? ნუთუ არ

იცვი, რომ დავითმა, წინასწარმეტყველების სულით აღვსილმა კაცმა, იონათანის ძე მონის ცილისწამების შედეგად დასაჯა? (2 მეფ. 16, 3-4). ჩვენ გვწამს, რომ მეფე დავითის განკარგულება, ჩვენთვის მიუწვდომელი საღმრთო განგებულებით, სამართლიანი იყო, მაგრამ ამავე დროს არ ვიცით, ადამიანური გაგებით როგორ შევუთავსოთ ეს ქმედება სამართლიანობას. განა საკვირველია ამის შემდეგ, რომ ჩვენ, ვინც წინასწარმეტყველნი არა ვართ, ზოგჯერ უფლებას ვაძლევთ ცილისმწამებელთა ენას, ცოდვაში ჩაგვაგდოს? მით უმეტეს არ არის საკვირველი, თუკი ამგვარი ბრძოლა რომელიმე უმაღლეს იერარქს შეემთხვევა, რომელსაც უამრავი საზრუნავი აქვს. როდესაც ყურადღება მრავალ საგანზე იფანტება, ის ერთ-ერთ მათგანზე ნაკლებად ჩერდება და რაც უფრო მრავალ საგანს სწვდება ჩვენი გონება, ერთ-ერთი მათგანით მით უფრო ადვილად ტყუვდება.

პეტრე: მამაო, სრულიად მართებულია შენი სიტყვები.

გრიგოლი: არ შემიძლია არ გადმოგცე, თუ რა შევიტყვე ამ წინამძღვრის შესახებ ღირსი ვალენტინისგან. მისი თქმით, წმიდა ეკვიცის სხეული დაკრძალეს წმიდა მოწამე ლავრენტის ტაძარში. ერთხელ მის საფლავზე ერთმა გლენმა ჭურჭლით პური დადო. მან არ იცოდა, ვინ განისვენებდა იქ, არც გამოუკითხავს და მისთვის არც თაყვანი უცია. უეცრად ძლიერი ქარი ამოვარდა, ტაძარში ყველაფერი უცვლელად იყო თავის ადგილზე, მხოლოდ საფლავზე მოთავსებული ჭურჭელი გადატყორცნა შორს. ამდენად, ყველასთვის ცხადი გახდა, რა დიდი წმინდანი განისვენებდა იმ ადგილზე.

აგრეთვე მოგახსენებ იმას, რაც გადმომცა ადრე ხსენებულმა ფორტუნატემ, რომელსაც დიდ პატივს ვცემ როგორც ასაკის, ასევე — სულიერი ღვაწლისა და უბრალოების გამო.

ვალერიის ოლქს თავს დაესხნენ ლონგობარდები (ერთ-ერთი გოთური ტომი); მაშინ წმიდა ეკვიციის მონასტრის მონაზვნებმა ხსენებულ მონასტერს შეაფარეს თავი. როდესაც გამაგებელი ლონგობარდები ტაძარში შეიჭრნენ და მონაზვნები გარეთ გარეკეს, რათა ეწამებინათ და ამოეხოცათ, ერთ-ერთმა ძმამ სულთქმითა და მწუხარებით შესძახა: „ჰოი, წმიდაო ეკვიცი! ნუთუ ინებებ და მტარვალთა ხელში დაგვტოვებ?“ ამ ლოცვის შემდეგ გაცოფებულ ლონგობარდებს არაწმიდა სული ეკვეთა, მიწაზე დასცა და იქამდე აწამებდა, ვიდრე ამის შესახებ ტაძრის გარეთ მყოფი ლონგობარდები შეიტყობდნენ. ამის შემდეგ არც ერთი მათგანი აღარ გაკადნიერებულა ასეთი სიშმაგით დასხმოდა თავს წმიდა ადგილს. ამგვარად დაიცვა წმიდა ეკვიციმ თავისი მოწაფეები და ამის შემდეგაც მრავალთ შეეწოდა, ვინც მის საფლავს ლოცვა-ვედრებით მიეახლებოდა.

თავი მესამე

კონსტანტინე, წმიდა სტეფანეს ტაძრის მნათე

გრიგოლი: ახლა იმას გიამბობ, რაც ერთ ნაცნობ ეპისკოპოსთან საუბრისას შევიტყვე. ის მრავალი წლის მანძილზე მონაზონი იყო ქალაქ ანკონში და ღმრთისმომადგენლობით ცხოვრობდა. მის ნაამბობს იმავე ქალაქის სხვა, ხნიერი მოქალაქეებიც ადასტურებენ. ქალაქ ანკონის სიახლოვეს წმიდა მოწამე სტეფანეს ტაძარი მდებარეობდა, სადაც მნათის მოვალეობას პატივსაცემი კაცი, კონსტანტინე ასრულებდა. მისი უბიწო ცხოვრების შესახებ ხმა შორს გავრცელდა, რადგან ამ ადამიანმა ყოველივე ამქვეყნიური სრულიად მოიძულა და სულით მხოლოდ ზეციურს ესწრაფოდა. ერთხელ ტაძარში ზე-

თი შემოაკლდათ და ღმრთის მონა კონსტანტინეს აღარაფერი ჰქონდა, რომ კანდელები აენთო. მან სრულიად უშფოთველად, კანდელებში წყალი ჩაასხა და პატრუქიც ჩაუშვა. როდესაც პატრუქს ცეცხლი მოუკიდა, წყალი ისე იწვოდა, თითქოს კანდელებში ზეთი ესხა. დაფიქრდი, საყვარელო პეტრე, თუ რა დიდი მოსაგრე იყო კონსტანტინე, რომელსაც გაჭირვებისას სტიქიათა თვისებების შეცვლა შეეძლო.

პეტრე: ჭეშმარიტად, საკვირველია შენი მონათხრობი, მამაო, მაგრამ მსურს ვიცოდე, ეს ადამიანი, ასეთ უჩვეულო გარეგან საქმეებს რომ აღასრულებდა, შინაგანი თავმდაბლობის რომელ საფეხურზე იდგა?


გრიგოლი: კარგია, რომ სასწაულმოქმედებაში ადამიანის სულიერი მდგომარეობის გამოძიებას ცდილობ, რადგან გარეგანი სასწაულმოქმედება სულს ძლიერ განსაცდელში აგდებს. მაგრამ როგორი სიმდაბლით იყო მოსილი წმიდა კონსტანტინე, მაშინვე მიხვდები, როგორც კი მისი ერთ-ერთი საქმის შესახებ გაიმბობ.

პეტრე: ასეთი დიდი სასწაულის შემდეგ ისღა დაგრჩენია, მისი სულიერი სიმდაბლის შესახებ მიაგბო.

გრიგოლი: როდესაც კონსტანტინეს სიწმიდის ამბავი შორს გავრცელდა, უამრავმა ხალხმა იწყო მოსვლა დაუოკებელი სურვილით, რომ ენახათ იგი. ერთხელ შორეული ქვეყნიდან მის სანახავად ერთი გლეხი ჩამოვიდა. იმ დროს წმიდა კონსტანტინე ხის სკამზე იდგა და კანდელებს ასწორებდა. ის ტანდაბალი, გამხდარი და შეუხედავი იყო. მის სანახავად ჩამოსული კაცი ყველას ეკითხებოდა, სად შეიძლებოდა წმინდანის ნახვა და სთხოვდა ერგებინათ იგი. ვინც წმინდანს იცნობდა, მისი წადილი აღასრულებს. უმეცარი ადამიანები ხშირად სულიერ სათნოებებზე გარეგნული სახით მსჯელობენ.

ამ კაცმაც, როდესაც ტანდაბალი და შეუხედავი ადამიანი დაინახა, გაიფიქრა, რომ ეს წმინდანი არ იქნებოდა. მას მოეჩვენა, რომ რაც გაეგო წმინდანის შესახებ, თვალთ ნანახს არ შეესაბამებოდა. შეუძლებელია, ფიქრობდა ის, ასე სახელგანთქმული ადამიანი ასეთი შეუხედავი იყოს. როდესაც მრავალმა დაუდასტურა, რომ ის სწორედ სახელგანთქმული წმინდანი იყო, მან უპატივცემულოდ და დაცინვით თქვა: „ვფიქრობდი ღირსეულ კაცს ვნახავდი, ეს კი ადამიანსაც არ ჰგავს“. გაიგო თუ არა ეს სიტყვები კონსტანტინემ, მაშინვე მიატოვა საქმე, გლახს გახარებული მიეჭრა, გულში ჩაიკრა, უჩვეულო სიყვარულით ეამბორა და მთელი გულით მადლობდა, რომ ამგვარად მოიხსენია იგი: „შენ ერთადერთმა თქვი ჩემ შესახებ სიმართლე“, – ამბობდა წმინდანი. აქედან შეიძლება დავასკვნათ, რა დიდი იყო წმინდანის სიმდაბლე, მის შესახებ უხეირო ნათქვამის მიუხედავად, გლახის მიმართ ასეთი სიყვარული რომ გამოხატა. ადამიანის სულიერი ხარისხი ყველაზე უკეთ იმით შეიცნობა, თუ როგორ ითმენს სხვებისგან შეურაცხყოფას. რამდენადაც ამპარტავანთ სხვებისგან პატივის მიგება უყვართ, იმდენად თავმდაბლნი მათი დამდაბლებით ხარობენ. ისინი სიმშვილეს მაშინაც ინარჩუნებენ, როდესაც სხვები შეურაცხყოფენ, რადგან ხედავენ, რომ საკუთარ თავზე მათი შეხედულება სხვათა მიერ დასტურდება.

პეტრე: ვხედავ, რომ ეს წმინდანი დიდი იყო სასწაულმოქმედებით, მაგრამ უფრო დიდი იყო სიმდაბლით.




თავი მემქსე

ანკონის ეპისკოპოსი მარცელინი

იმავე ქალაქ ანკონში ეპისკოპოსად იყო ვინმე მარცელინი, რომელიც მკაცრად მოღვაწეობდა. მას ფეხები დაუავადდა და სიარული აღარ შეეძლო. ამიტომ, როდესაც სადმე გამგზავრება უხდებოდა, მსახურებს საკაცით მიჰყავდათ. ერთხელ, ვილაციის დაუდევრობით, ანკონში ხანძარი გაჩნდა. ცეცხლმა სწრაფად იმძლავრა. ყველა ხანძრის ჩაქრობას ცდილობდა, მაგრამ მიუხედავად მათი გულმოდგინე მცდელობისა, ცეცხლი სულ უფრო ძლიერდებოდა და მთელ ქალაქს გადაწვით ემუქრებოდა. როდესაც ცეცხლმა ახლოს მდებარე შენობები მოიცვა, ქალაქის მნიშვნელოვანი ნაწილი დაიწვა და მის გავრცელებას ვერაფრით ეწინააღმდეგებოდნენ, ამ დროს ეპისკოპოსი გამოიყვანეს. საერთო უბედურებით შეძრულმა მარცელინმა, საკაცის მტვირთველებს უბრძანა საკაცე ცეცხლის წინ დაეღათ. როდესაც მათ ბრძანება შეასრულეს და საკაცე იქ დადგეს, სადაც ცეცხლი განსაკუთრებით მძვინვარებდა, ხანძარმა, ყველას გასაოცრად, იკლო და თითქოს თავადვე ამცნო იქ მყოფთ, რომ ვერ გადალახავს იმ ადგილს, სადაც ეპისკოპოსია. ამგვარად, შეჩერებული ხანძარი თავისით ჩაქრა და სხვა შენობები გადარჩა. გულისხმაყავ, საყვარელო პეტრე, რა სიწმინდით იყო მოსილი ეს უძლური ადამიანი, როდესაც შეძლო ლოცვით ჩაექრო საშინელი ცეცხლი.

პეტრე: ვხვდები და განცვიფრებული ვარ.



თავი მეშვიდე

ნონოზი, სარაქტის მთის მონასტრის ეკონომოსი

გრიგოლი: ახლა გიამბობ რა შევიტყვე ანკონის მეზობლად მდებარე ადგილის შესახებ, შენთვის ცნობილ პირებთან — ღირსეულ ეპისკოპოს მაქსიმინთან და მღვდელ-მონაზონ ლავრიონთან საუბრისას. ისინი ამჟამადაც ცოცხლები არიან. მონხუც ლავრიონს ქალაქ ნემეზის მახლობელ სუპენტონის მონასტერში მზრუნველობას უწევდა ვინმე ანასტასი, რომელიც წმიდა ცხოვრებას ეწეოდა. სუპენტონის მონასტერთან ახლოს, სარაქტის მთაზე, მდებარეობდა სხვა მონასტერი. იქ ერთმა ღირსმა მოსაგრემ, ეკონომოსმა ნონოზმა, ამაღლებული და მკაცრი ცხოვრებით გაითქვა სახელი. ამ მიზეზით და აგრეთვე მონასტერთან სიახლოვის გამო, ანასტასი ნონოზის სანახავად ხშირად მიდიოდა. ნონოზის მონასტრის წინამძღვარს ძალიან ფიცხი ხასიათი ჰქონდა, მაგრამ ნონოზი მის მრისხანებას მუდამ საკვირველი სიმშვიდით ითმენდა. ის სიმშვიდით მთელ სამოსს აღემატებოდა და ხშირად თავისი სიმდაბლით წინამძღვარს ამშვიდებდა. რადგან მონასტერი მთის მწვერვალზე მდებარეობდა, ძმები ბოსტნის გასაშენებლად პატარა ადგილსაც ვერ პოულობდნენ. მთის ფერდზე ერთი ადგილი კი იყო, მაგრამ მას მთიდან გადმოშვერილი კლდე ფარავდა. ერთხელ წმიდა ნონოზმა გაიფიქრა, რომ ბოსტნისთვის ამ ადგილის გამოყენება შეიძლებოდა, მაგრამ კლდე იმდენად დიდი იყო, რომ ორმოცდაათი წყვილი ხარიც ვერ შეძლებდა მის გადაადგილებას, ადამიანური ძალა ამ საქმისთვის ხომ სრულიად უსუსური იყო. წმინდანმა ღმერთს მოუხმო შეწევნისთვის და ღამის სიწყნარეში ლოცვას მიეცა. დილით იქ მისულმა ძმებმა იხილეს, რომ უზარმაზარი ლოდი იმ ადგი-

ლიდან შორს გადავარდნილიყო და მათ ბოსტნისთვის ფართო სივრცე დარჩენოდათ.

ეს წმინდანი სხვა დროს ტაძრის სტოაში მინის კანდელებს ასუფთავებდა. ერთი კანდელი ხელიდან გაუვარდა და დაიმსხვრა. წინამძღვრის შიშით, ნონოზმა ნამსხვრევეები მოაგროვა, საკურთხევლის წინ მოათავსა და სულთქმით ილოცა: ლოცვის შემდეგ წამომდგარმა ნახა, რომ კანდელი, რომლის ნამსხვრევეებს შიშით აგროვებდა, გამთელებულიყო. ამგვარად, ამ ორი სასწაულის აღსრულებით, ის ორ წმინდანს მიემსგავსა: კლდის მოწყვეტით – წმიდა გრიგოლს, რომელმაც სიტყვით მთა გადაადგილა, ხოლო კანდელის გამთელებით – წმიდა დონატეს, რომელმაც დამსხვრეული ჭურჭელი ადადგინა.

პეტრე: ვხედავ, რომ წინათ აღსრულებული სასწაულები ამჟამადაც მეორდება.

გრიგოლი: თუ გსურს, იმასაც გიამბობ, რა აღასრულა წმიდა ნონოზმა წინასწარმეტყველ ელისეს მიბაძვით.

პეტრე: მოუთმენლად მსურს მოვისმინო.

გრიგოლი: ერთხელ მონასტერში ზეთი შემოაკლდათ. ამ დროს, თუმცა ზეთისხილის მოკრეფის დრო იყო, მონასტრის ბაღში ხეებს არაფერი ესხა. მონასტრის წინამძღვარმა ძმები ახლო მდებარე სოფლებში გაგზავნა, რომ სოფლელებს ზეთისხილის მოკრეფაში დახმარებოდნენ და შრომის საფასურით მონასტრისთვის ცოტაოდენი ზეთი შეეძინათ. ღმრთის კაცი ნონოზი უდიდესი სიმშვიდით წინ აღუდგა ამას, რადგან ეშინოდა, ძმათაგან ვინმეს, მონასტრიდან ზეთის მოსაპოვებლად გასვლის შემდეგ სულიერი ზიანი არ განეცადა. მონასტრის ბაღში ზეთისხილის ხეებს აქა-იქ ესხა ნაყოფი. წმიდა ნონოზმა ბრძანა მოეკრიფათ, გამოეწურათ მათგან ზეთი და

მისთვის მიეტანათ. მისი ბრძანება შეასრულეს და ძმებმა გამოწურული ზეთი პატარა ჭურჭლით მიუტანეს წმინდანს. როდესაც ყველანი წავიდ-წამოვიდნენ, წმიდა ნონოზმა ზეთიანი ჭურჭელი საკურთხევლის წინ დადგა და ღმრთის მიმართ ილოცა. როდესაც ძმები დაბრუნდნენ, უბრძანა მონასტრის ყველა ჭურჭელში ცოტ-ცოტა ზეთი ჩაესხათ და ჭურჭლები დაეხურათ. როდესაც გახსნეს, აღმოჩნდა, რომ ისინი ზეთით ავსებულიყო.

პეტრე: ახლა ცხადია, როგორ მოუკლებელად აღესრულება უფლის სიტყვები: „მამა ჩემი მოაქამდე იქმს და მეცა ვიქმ“ (იოან. 5, 17).

თავი მერვე

ანასტასი – სუპენტონის მონასტრის წინამძღვარი

გრიგოლი: იმავე ხანებში ღირსი ანასტასი, რომელიც უკვე ვახსენეთ, ნოტარიუსად მსახურობდა რომის ეკლესიაში¹, რომელსაც ამჟამად, ღმრთის წყალობით, მე ვემსახურები. მან მოისურვა, ცხოვრება ღმერთისთვის მიემდგნა, წერილობითი საქმეები მიატოვა და საცხოვრებლად სწორედ ის სუპენტონის მონასტერი აირჩია, რომელიც უკვე ვახსენეთ. ანასტასი, როგორც მზრუნველი მწყემსი, მართავდა მონასტერს და ღვაწლში მრავალი წელი გაატარა. მთის წვერზე უზარმაზარი კლდე იყო გადმოშვებული, მის ქვემოთ კი ფრიალო კალთა ეშვებოდა. როდესაც ყოვლისშემძლე ღმერთის ნებით უკვე მოახლოვდა დრო, მიწიერ ცხოვრებაში აღსრულებული ღვაწლისათვის ანასტასის მისაგებელი მიეღო, ერთ

¹ ნოტარიუსი (რომის ეკლესიაში) ეკლესიის წერილობითი საქმეებით იყო დაკავებული.

ღამეს ამ მაღალი კლდიდან ხმა გაისმა, რომელსაც დიდი ხმაური ახლდა: „ანასტასი, მოდი!“ ამის შემდეგ სხვა შვიდი ძმაც სახელდებით იქნა მოხმობილი. შემდეგ ხმა ცოტა ხნით მიჩუმდა, მაგრამ მალე კიდევ ერთ ძმას მოუხმო. ეს მთელ საძმოს ესმოდა და არავის ეეჭვებოდა, რომ იმათ აღსასრულს მოასწავებდა, ვისაც ხმამ მიმართა. მართლაც, რამდენიმე დღეში ჯერ ანასტასი აღესრულა, ხოლო შემდეგ დანარჩენებიც იმ თანამიმდევრობით, როგორც ხმამ მოუწოდა. იმ ძმამ, რომელიც ხმამ მცირეოდენი ხნის შემდეგ მიიხმო, დანარჩენ ძმებზე მეტ ხანს იცოცხლა და შემდეგ აღესრულა. აქედან ცხადია, რომ ხმის დუმილი რამდენიმე დღის სიცოცხლეს ნიშნავდა. ამ დროს ამგვარი სასწაული მოხდა: როდესაც წმიდა ანასტასის აღსასრული უახლოვდებოდა, მასთან ერთი ძმა მივიდა, რომელსაც არ სურდა წინამძღვრის გარდაცვალების შემდეგ დიდხანს ეცოცხლა, წმინდანის ფერხთით დავარდა და ცრემლით შეევედრა: „ღმერთის სახელს გაფიცებ, რომელთანაც მიიცივლები, არ დაუშვა, რომ შენი გარდაცვალების შემდეგ შვიდ დღეზე მეტ ხანს ვიცოცხლო“. მართლაც, არ გასულა შვიდი დღე ანასტასის გარდაცვალების შემდეგ, რომ ეს ძმაც აღესრულა, თუმცა იგი სხვებთან ერთად იმ ღამით ხმას არ მოუხმია. ცხადია, რომ მხოლოდ წმიდა ანასტასის ლოცვას შეეძლო მიენიჭებინა მისთვის აღსასრული.

პეტრე: მამაო, თუკი ძმა ამქვეყნიდან მხოლოდ წმიდა ანასტასის ლოცვით გავიდა და მას ხმამ არ მოუწოდა, ხომ არ შეიძლება აქედან გამოვიტანოთ დასკვნა, რომ დიდ წმინდანებს თავიანთი ლოცვით ზოგჯერ შეუძლიათ მიიღონ ის, რაც არ იყო ღმერთის მიერ წინასწარ განსაზღვრული?

გრიგოლი: არა, რაც ღმერთის მიერ წინასწარ განსაზღვრული არ არის, იმას ისინი ვერ მიიღებენ; რასაც თავიან-

თი ლოცვის პასუხად იღებენ, ის განსაზღვრულია, ანუ ის ლოცვის მეოხებით ისე უნდა აღესრულოს კიდევ. ყოვლისშემძლე ღმერთის მიერ თვით ცათა სასუფეველის დამკვიდრება იმგვარად არის წინასწარ განსაზღვრული, რომ რჩეულნი მას ღვაწლისათვის იღებენ; ისინი ლოცვით მოიპოვებენ ნიჭებს, რომლებიც ყოვლისშემძლე ღმერთის მიერ მათთვის იყო წინასწარგანსაზღვრული უწინარეს ყოველთა საუკუნეთა.

პეტრე: გთხოვ, მამაო, სრულად განმიმარტე: ლოცვა როგორ აღასრულებს წინასწარგანსაზღვრულობას?

გრიგოლი: საყვარელო პეტრე, ჩემ მიერ გამოთქმული მოკლედ ამგვარად შემიძლია განგიმარტო. შენ, უეჭველია, იცი, რა უთხრა ოდესღაც ღმერთმა აბრაამს: „ისაკისაგან გეწოდოს შენ ნათესავად“ (დაბ. 21, 12) და აგრეთვე სხვა ადგილას: „მამად მრავალთა თესლთა დაგდე შენ“ (დაბ. 17, 5). მას კიდევ ამგვარი აღთქმა მიეცა: „კურთხევით გაკურთხო შენ და განმრავლებით განვაძრავლო ნათესავი შენი, ვითარცა ვარსკულავნი ცისანი და ვითარცა ქვშაჲ ზღვსკიდისაჲ“ (დაბ. 22, 17). ეს აღთქმანი ცხადად გვიჩვენებს — ყოვლისშემძლე ღმერთმა წინასწარ განსაზღვრა, რომ აბრაამის თესლი ისაკს გაემრავლებინა. ამავე დროს, აი რას ვკითხულობთ სხვა ადგილას: „და ევედრებოდა ისაკ ღმერთსა ცოლისა თვისისა რებეკასთვის, რამეთუ ბერწ იყო. და შეისმინა მისი ღმერთმან და მუცლად-ილო ცოლმან მისმან, რებეკა“ (დაბ. 25, 21). თუკი წინასწარგანსაზღვრულობით აბრაამის შთამომავლობა ისაკისგან უნდა გამრავლებულიყო, მაშინ მისი ცოლი ბერწი რატომ იყო? სწორედ აქედან ჩანს, რომ წინასწარგანსაზღვრულობა ლოცვით აღესრულება, რადგან იმას, ვისაც აბ-

რაამის შთამომავლობა უნდა გაემრავლებინა, შვილები მხოლოდ ლოცვით მიეცა.

პეტრე: მამაო, შენი სიტყვებით საიდუმლო გამეხსნა და უკვე არავითარი ეჭვი აღარ მაშფოთებს.

გრიგოლი: თუ გსურს, იმ წმიდა მამათა შესახებ გიამბობ, რომლებიც ტუსციაში ცხოვრობდნენ, რათა იცოდე როგორი მოღვაწეები იყვნენ იქ და თავიანთი შემეცნებით როგორ უახლოვდებოდნენ ღმერთს.

პეტრე: გულითადად გთხოვ, მიაბო მათ შესახებ.

თავი მმცხრე

ბონიფაცი, თერენტის ეპისკოპოსი

ქალაქ თერენტში ეპისკოპოსად იყო ვინმე ბონიფაცი, კეთილმოღვაწე კაცი, რომელიც თავისი ცხოვრებით საეპისკოპოსო კათედრას ამშვენებდა. მის შესახებ პრესვიტერი გავდენცი მიაბობდა, რომელიც ამჟამადაც ცოცხალია. ის ბონიფაციის ხელმძღვანელობით იზრდებოდა და მის მიერ აღსრულებულ საქმეთა მოწმე იყო, ამიტომაც შეეძლო მასზე უტყუარი ცნობების მოწოდება. თერენტის ეკლესია იმ ხანად უკიდურეს შეჭირვებას განიცდიდა (სიღარიბე კეთილი ადამიანებისთვის, როგორც წესი, სიმდაბლის მცველია): მისი საარსებო სახსარი ერთადერთი ვენახი იყო. ერთხელ ისეთი ძლიერი სეტყვა მოვიდა, რომ მტევნები მთელ ვენახში აქა-იქ შემორჩა. როდესაც ამის შემდეგ ხსენებული ღმრთის მონა, ეპისკოპოსი ბონიფაცი, ვენახში შევიდა, ყოვლადძლიერ ღმერთს მადლობა შესწირა იმისთვის, რომ უკიდურესი გაჭირვების ჟამს მწუხარება მოუვლინა. როდესაც ყურძნის დამწიფების დრო დადგა, ეპისკოპოსმა წესისამებრ ბრძანა მცველი დამ-

დგარიყო ვენახში და დაავალა, რაც შეიძლება ფზიზლად ედარაჯა. შემდეგ თავის შვილიშვილს, პრესვიტერ კონსტანტინეს უბრძანა ყველაფერი მოემზადებინა, რაც ღვინისთვის იყო საჭირო, უპირველეს ყოვლისა კი, საეპისკოპოსოში მოემზადებინათ ჭურჭელი და კასრები, რომლებიც წინასწარ გაფისეს. ამგვარმა ბრძანებამ პრესვიტერი შვილიშვილი გააოცა, მას უცნაურად ეჩვენა: რისთვის ბრძანა ეპისკოპოსმა ღვინის ჭურჭლის მომზადება, როდესაც ღვინო (ყურძნის სიმცირის გამო) თითქმის არ უნდა დაწურულიყო? მაგრამ არ გამოუკითხავს, რის გამო გაიცა ამგვარი ბრძანება და ყველაფერი შეასრულა. ამის შემდეგ ღმრთის სათნო ბონიფაცი ვენახში წავიდა, დარჩენილი ყურძნის მტევნები დაკრიფა, საწნახელში ჩააწყო და ყველას უბრძანა წასულიყვნენ, მხოლოდ მცირეწლოვან ყრმასთან ერთად დარჩა და უბრძანა მას ჩასულიყო საწნახელში და მტევნები დაეჭყლიტა. ყურძენი საკმაოდ ცოტა იყო. როდესაც მცირეოღენი წვენი გამოიწურა, ღმრთის კაცმა საკუთარი ხელით პატარა ჭურჭელში ჩაასხა და ლოცვა-კურთხევით ყველა მომზადებულ კასრსა და ჭურჭელში გაანაწილა, ისე, რომ ზოგიერთ მათგანში თითქმის არაფერი ესხა. ამის შემდეგ ეპისკოპოსმა პრესვიტერს უბრძანა გლახაკები მოეხმო. როგორც კი ეს ბრძანება აღსრულდა, საწნახელში იმდენი ღვინო აღმოჩნდა, რომ უპოვართა ყველა ჭურჭელი გაივსო. როდესაც მათი მოთხოვნილება დაკმაყოფილდა, წმინდანმა ყრმას უბრძანა საწნახელიდან ამოსულიყო; ამის შემდეგ მარანი დაკეტა, თავისი ბეჭდით დაბეჭდა და სახლში დაბრუნდა. მესამე დღეს პრესვიტერ კონსტანტინეს უხმო, ლოცვა აღავლინა და მარანი გახსნა. აღმოჩნდა, რომ ყველა ჭურჭელი, რომელშიც ეპისკოპოსმა რამდენიმე წვეთი ყურძნის წვენი ჩაასხა, ღვინით პირამდე ავსებულიყო

და ცოტაც რომ დაეგვიანა, მარნის იატაკი ღვინით დაიფარებოდა. მაშინ მან პრესვიტერი მკაცრად გააფრთხილა, ბონიფაციის სიცოცხლეში ამ სასწაულის შესახებ არავისთვის ეთქვა. წმინდანს ეშინოდა, აღსრულებული სასწაულის გამო ადამიანთა მიერ არ განდიდებულიყო, რაც სულისთვის ზიანის მომტანი იქნებოდა. ამგვარად, იგი მოძღვარს ბაძავდა, რომელიც საკუთარი მაგალითით სიმდაბლეს გვასწავლიდა, როდესაც მოწაფეებს ამცნო მისი სასწაულების შესახებ არავისთვის ეთქვათ, ვიდრე „ძე კაცისაჲ მკუდრეთით აღდგეს“ (მათ. 17, 9).

პეტრე: რამდენადაც შესაფერისი შემთხვევა მომეცა, მსურს დაგეკითხო, მამაო, რატომ აუკრძალა ჩვენმა მხსნელმა ორ ბრძანს, რომელთაც თვალი აუხილა, გაენდოთ ვინმესთვის ეს სასწაული, მათ კი მთელ ქვეყანას ამცნეს (მათ. 9, 27-31)? ნუთუ მხოლოდ შობილმა ძემ, მამისა და სული წმიდის თანასამარადისომ, ის განიზრახა, რაც არ აღსრულდებოდა, ანუ არ ესაუბრათ სასწაულის შესახებ, რომლის დაფარვაც შეუძლებელი იყო?

გრიგოლი: ყოველივეს, რასაც ჩვენი მხსნელი მოკვდავ სხეულში მყოფი აღასრულებდა, იმისთვის აღასრულებდა, რომ ჩვენთვის მისაბაძი მაგალითი მოეცა, რათა ჩვენ, ძალიანაებრ გავყოლოდით მის ნაკვალევს და წაბოროდიკების გარეშე გაგვევლო ამქვეყნიური ცხოვრების გზა. მან სასწაული აღასრულა და მისი განხმაურება აუკრძალა, თუმცა ეს შეუძლებელი იყო. ამით სურდა ეჩვენებინა, რომ თუკი ღმრთის რჩეულთ სურთ მიბაძონ მის მაგალითს და სწავლებას, როდესაც დიდ სასწაულს აღასრულებენ, გულის სიღრმეში უნდა ისურვონ, რომ ეს საქმე დაფარული დარჩეს, თუნდაც, მათი ნების საწინააღმდეგოდ, ეს საქმე სხვათა სასარგებლოდ გაცხად-

დეს. რადგან, როგორც სურვილი, რომ უდიდესი საქმეები დარჩეს დაფარულად, ნიშანია უდიდესი სიმდაბლისა, ასევე მათი გახმაურებით სარგებელს ჰპოვებენ სხვები. ამიტომ ღმერთს ენება არა ის, რომ შეუძლებელი რამ აღსრულებულიყო, არამედ მხოლოდ ჩვენი სწავლებისთვის სურდა საკუთარი მაგალითით ეჩვენებინა, რა უნდა სურდეთ მისი (საიდუმლო) სხეულის ასოებს და რა შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს მათ სურვილს.

პეტრე: სრულიად გულსავსე ვარ, მამაო, შენი განმარტებით.

გრიგოლი: რამდენადაც წმიდა ბონიფაციის შესახებ დავიწყეთ საუბარი, მის მიერ აღსრულებული კიდევ რამდენიმე სასწაული მსურს გადმოგცე. ერთხელ მოწამე პროკულეს ხსენების დღე ახლოვდებოდა. მაშინ თერენტში ერთი სახელგანთქმული კაცი, სახელად ფორტუნატე, ცხოვრობდა. ის მომეტებულად ევედრებოდა ღირს ბონიფაციის, რომ სადღესასწაულო ღმრთისმსახურების დასრულების შემდეგ, ნეტარი მოწამის პატივად, სახლში სწვეოდა და დაელოცა. ღმრთის სათნო მამამ ფორტუნატეს გულითად თხოვნაზე უარი ვერ უთხრა. ამიტომ სადღესასწაულო ღმრთისმსახურების დასრულების შემდგომ ეწვია კიდევ სახლში ტრაპეზის დროს. მაგრამ ვიდრე ტრაპეზის წინ ლოცვას დაასრულებდა, სახლის კართან ერთი კაცი გამოჩნდა მუსიკალური ინსტრუმენტებით და წინწილა აახმიანა (ზოგიერთებს აქვთ ამგვარი ჩვეულება, საჭმელი მუსიკის თანხლებით მიიღონ). წმინდანი უკმაყოფილოდ უსმენდა მუსიკის ჰანგებს და თქვა: „ჰოი, კვდება, კვდება ეს უბედური! მოვედი ამ სასიამოვნო ტრაპეზზე და უფლის დიდება ვერ მოვასწარი, რომ მან უკვე დაუკრა თავისი სიმღერა“. შემდეგ დაუმატა: „წადით, სიყვარულით შეს-

თავაზეთ საჭმელ-სასმელი, მაგრამ იცოდეთ, რომ ის მკვდარია“. მართლაც, როდესაც ამ საცოდავ კაცს გაუტანეს პური და ღვინო და ის უკან გაბრუნდა, სახლის სახურავიდან უზარმაზარი ქვა გადმოვარდა და თავზე დაეცა. ის ცოცხალ-მკვდარი აიყვანეს და მეორე დღეს, წმინდანის წინასწარმეტყველების თანახმად, გამოეთხოვა სიცოცხლეს. დაფიქრდი, საყვარელო პეტრე, როგორი კეთილკრძალული შიში გვმართებს წმინდანთა მიმართ, რომელთა სულებშიც ცხადად მკვიდრობს ღმერთი! და როდესაც რისხვით აღივსება წმინდანი, ვისია ეს რისხვა, თუ არა იმისი, ვინც უხილავად მკვიდრობს წმინდანის სულში? ამიტომ მით უფრო უნდა გვეშინოდეს, რომ მართალი კაცი არ განვარისხოთ, რამდენადაც უეჭველია, რომ მის გულში მარად მკვიდრობს ის, რომელსაც თვისი ნებისაებრ ყოველთვის ძალუძს შურისგება.

ერთხელ ხსენებულმა პრესვიტერმა კონსტანტინემ, წმიდა ბონიფაციის შვილიშვილმა, თავისი ცხენი თორმეტ დრაჰკანად გაყიდა, ფული ზანდუკში ჩაღო და საქმის გამო სადღაც გაემგზავრა. სწორედ ამ დროს ეპისკოპოსს სახლში გლახაკებმა მოაკითხეს და ევედრებოდნენ მათ უპოვარებას შეწეოდა, მაგრამ ღმერთის კაცს არაფერი ჰქონდა მათთვის რომ მიეცა და შეწუხდა, უპოვრებს ხელცარიელს რომ უშვებდა. უცებ გაახსენდა, რომ მისმა შვილიშვილმა ცხენი გაყიდა და ფული ზანდუკში ჩაღო. მიუხედავად იმისა, რომ ის სახლში არ იყო, მოძებნა ზანდუკი, წმიდა განზრახვის აღსრულების მიზნით გატეხა საკეტი, ამოიღო თორმეტი დრაჰკანი და თავისი შეხედულებისამებრ გაუყო უპოვართ. როდესაც კონსტანტინე დაბრუნდა, ნახა, რომ ზანდუკი გატეხილი იყო და შიგ ფული აღარ იდო. ძლიერ განრისხებულმა ხმამაღლა იყვირა: „აქ ყველა თავის ნებაზე ცხოვრობს, მარტო მე არა მაქვს ჩემს ნე-

ბაზე ცხოვრების უფლება!“ ამის გაგონებაზე ეპისკოპოსი და საეპისკოპოსოს მცხოვრებნი გამოვიდნენ. წმინდანმა პრესვიტერის დამშვიდება სცადა, ის კი ყვირილს განაგრძობდა: „ყველა მშვიდად ცხოვრობს შენს მონასტერში, მარტო მე არ მაძლევ მოსვენებას! დამიბრუნე ფული!“ დამწუხრებული ეპისკოპოსი ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის ტაძარში შევიდა, შეიმოსა სამღვდლო შესამოსელი, ხელები ზეცად ალაპყრო და ყოვლადწმიდას მიმართ ლოცვა დაიწყო, რომ ის შეწეოდა პრესვიტერის უგუნური მრისხანების დაცხრომაში. ლოცვის დასრულების შემდეგ ეპისკოპოსმა შესამოსლის უბეში თორმეტი დრაჰკანი აღმოაჩინა, რომლებიც ისე ბრწყინავდნენ, თითქოს ახალი მოჭრილი იყო. ის მაშინვე განრისხებულ პრესვიტერთან დაბრუნდა და დაუბრუნა ფული სიტყვებით: „აჰა, შენი ფული, მაგრამ იცოდე, სიძუნწის გამო ჩემი სიკვდილის შემდეგ ეპისკოპოსი ვერ გახდება!“ წმინდანის სიტყვებიდან ჩანს, რომ პრესვიტერი ამ ფულს ეპისკოპოსობის სურვილის გამო აგროვებდა. წმინდანის წინასწარმეტყველება ახდა: კონსტანტინე პრესვიტერის ხარისხში აღესრულა.

ერთხელ წმიდა ბონიფაციის მონასტერში ორი გუთი შემოვიდა, ისინი რავენაში მიიჩქაროდნენ. წმინდანმა მათ პატარა ჭურჭელში ღვინო ჩაუსხა, რათა გზაში ენუგეშათ. ამ პატარა ჭურჭელში გუთებს ღვინო თვით რავენამდე არ გამოლევიათ. მათ რამდენიმე დღე დაჰყვეს იქ, ღვინოს ყოველდღე სვამდნენ და ის არ იკლებდა. ბოლოს იმავე გზით დაბრუნდნენ თერენტში წმინდანთან, ღვინოს ყოველდღიურად სვამდნენ, მაგრამ ჭურჭელს სასმელი არ აკლდებოდა: ღვინო კი არ იმატებდა, არამედ არ აკლდებოდა.

ახლახან იმ მხარიდან ერთი მოხუცი კლერიკოსი (სამღვდელო დასის წევრი) მეწვია. არ შემიძლია არ გადმოგცე მისი მონათხრობი წმიდა ბონიფაციის შესახებ. ერთხელ წმინდანმა მონასტრის ბაღში ნახა, რომ მცენარეებს ჭია შესეოდა, განსაკუთრებით ბოსტნეული იყო განადგურებული. მაშინ მან მიმართა ჭიალუას: „სახელითა იესო ქრისტესითა, გიბრძანებ, დატოვო ბოსტნეული და აღარ გაანადგურო“. ჭიალუა მყისვე სადღაც უკვალოდ გაქრა. ეს სასწაულები წმიდა ბონიფაციმ ეპისკოპოსის ხარისხში მყოფმა აღასრულა, როდესაც ხარისხის მაღლთან ერთად ზნეობრივადაც წარემატებოდა ღმერთის წინაშე, რაც არ არის იმდენად გასაკვირი, რამდენადაც ის სასწაულები, რომელთაც, როგორც ის მოხუცი კლერიკოსი მოგვითხრობდა, სიყრმეში აღასრულებდა. იმ დროს, როდესაც ის დედასთან ერთად ცხოვრობდა, ხშირად სახლში დაბრუნებულს სამოსი არ ეცვა, რადგან სხვადასხვა სახლში სტუმრობისას, თუკი შიშველ გლახას ნახავდა, იხდიდა და აძლევდა იმ იმედით, რომ თვით ღმერთი, რომლის თვალთა წინაშე აღასრულებდა სიკეთეს, მიაგებდა მას. დედა ხშირად ტუქსავდა და საყვედურობდა, რატომ აძლევდა სხვებს ტანსაცმელს, როდესაც თვითონაც ღარიბი იყო. ერთხელ ის ბელელში შევიდა, სადაც მთელი წლის სამყოფი ხორბალი ეგულებოდა და ბელელი ცარიელი დახვდა. მის ვაჟს ხორბალი გლახაკებისთვის მიეცა. დედა სასოწარკვეთილებამ მოიცვა და უნუგემოდ ატირდა, რომ სარჩო მთელი წელი აღარ ექნებოდა. ბონიფაციმ დედის დამშვიდება სცადა, მაგრამ მისი სიტყვები არაფერს შველოდა. მაშინ მან სთხოვა დედას გასულიყო ბელლიდან და ღმერთის წინაშე ლოცვას მიეცა. რამდენიმე ხნის შემდეგ დედას მოუხმო. ბელელში იმაზე მეტი ხორბალი აღმოჩნდა, ვიდრე მას ზამთრისთვის ჰქონდა

გადანახული. დედა გაოცდა ამ სასწაულის ხილვისას და ყრმის ლოცვის ძალა რომ შეიცნო, იმ დღიდან ხორბლის გაცემას თვითონ აიძულებდა. დედას ყოველთვის ჰყავდა სახლში რამდენიმე შინაური ფრინველი. მათ მელა შეეჩვია. ერთხელ, როდესაც ყრმა ბონიფაცი შემოღობილში იყო, სადაც ქათმები ჰყავდათ, მელამ მის თვალწინ მოიტაცა ერთი მათგანი. ყრმა მყისვე ეკლესიაში წავიდა და ღმერთს მიმართა: „ღმერთო, ნუთუ შენ გსურს, რომ დედის მიერ მომზადებული საჭმელი ვერც კი გაგსინჯო? ის ზრდის ქათმებს, მელა კი გვიჭამს!“ ლოცვის დასრულების შემდეგ ტაძრიდან გამოსული ხედავს: მელა დაბრუნდა და პირით მოტაცებული ქათამი მოიყვანა; ქათამს პირი გაუშვა და ბონიფაციის თვალწინ უსუსლოდ დაეცა.

პეტრე: საკვირველია, როგორ აღასრულებს ღმერთი მსასოებელთა მისთა ვედრებას, თვით ამგვარ უმნიშვნელო საგნებთან დაკავშირებითაც კი.

გრიგოლი: ეს ყოველივე, საყვარელო პეტრე, ჩვენი ყოვლადბრძენი შემოქმედის განზრახვით აღესრულება, რათა როდესაც მივიღებთ მცირედს, აღვზარდოთ ჩვენში სასოება, რომ მივიღებთ უმეტესსაც. უბრალო და ღმრთისმოსავმა ყრმამ იხილა თავისი გულწრფელი სურვილის აღსრულება და ამით უნდა მიმხვდარიყო, როგორი კადნიერება შეიძლება ჰქონოდა ღმერთის წინაშე, როცა უმეტესს გამოითხოვდა.

პეტრე: მართალს ბრძანებ, მამაო.



თავი მათე

ტუდერტის ეპისკოპოსი ფორტუნატე

გრიგოლი: იმავე ქვეყანაში, ქალაქ ტუდერტში, ეპისკოპოსად იყო ვინმე ფორტუნატე, რომელიც ღმრთის სათნოდ ცხოვრობდა. მან ღმერთისგან უჩვეულო ნიჭი მიიღო — არაწმიდა სულებს განაგებდა, ზოგჯერ მისი ლოცვის ძალით ეშმაკთა მთელი ლეგიონები ტოვებდნენ მათ მიერ შეპყრობილ ადამიანებს. ასეთივე უმტკიცესი ლოცვის მეოხებით განაგებდა ის მასზე თავდამსხმელ ეშმაკთა მხედრობას. წმიდა ფორტუნატესთან დაახლოებული იყო ჩვენი ეკლესიის დეფენსორი იულიანე, რომელიც ახლახან რომში აღესრულა. სწორედ მისი მონათხრობი მსურს გადმოგცე. იულიანე, ფორტუნატესთან სიახლოვის გამო, ხშირად მის მიერ აღსრულებულ საქმეთა მოწმე ხდებოდა და ისეთი საამო იყო წმინდანის შესახებ მისი მოგონებების მოსმენა, თითქოს მის ბაგეთაგან თაფლი მოწვეთავდა.

ერთ დიდგვაროვან ქალბატონს ტუსციის მახლობლად ჰყავდა რძალი, რომელიც არცთუ დიდი ხნის წინ გაჰყვა ცოლად მის ვაჟს. ერთხელ დედამთილმა ის ქმართან ერთად მიიწვია, რათა ერთად დასწრებოდნენ წმიდა სებასტიანეს ტაძრის კურთხევას. ღამით რძალმა თავი ვერ შეიკავა ქმართან თანაცხოვრებისაგან. დილით ამ თავშეუკავებლობის გამო სინდისის ძლიერი ქენჯნა იგრძნო, მაგრამ შერცხვა უარი ეთქვა მიწვევაზე. ამგვარად, უფრო ადამიანთა მიმართ პირობით, ვიდრე ღმრთისმოშიშებით, დედამთილთან ერთად ტაძრის კურთხევაზე გაემგზავრა. როდესაც ტაძარში წმიდა მოწამე სებასტიანეს წმიდა ნაწილები შეაბრძანეს, რძალს ბოროტი სული ეკვეთა და ყველას თვალწინ ტანჯავდა. ტაძრის ერთ-ერთმა პრესვიტერმა საკურთხევილიდან

სინდონი¹ გამოიტანა და შეპყრობილს დაადო, მაგრამ არაწმიდა სული მასაც ეკვთა. ამას მოწმობდა პრესვიტერის დაუცხრომელი შეტევები. დედაკაცი ტაძრიდან სახლში გადაიყვანეს. ძველისძველი კაცის მკვლეელი (ემშაკი) მუდმივად ტანჯავდა მას. შეპყრობილის მშობლებმა მისადმი სიყვარულით (თუმცა არა სულიერი, არამედ ხორციელი სიყვარულით), ყოველგვარ საშუალებას მიმართეს, რათა განეკურნათ, ბოლოს ვიღაც ექიმბაშებს მიჰგვარეს: თითქოსდა სურდათ, რომ ჯადოქრული საშუალებებით ხორციელად გაეჯანსაღებინათ, მაგრამ საბოლოოდ წარეწყმინათ მისი სული. ექიმბაშებმა ის მდინარესთან მიიყვანეს, წყალში ჩაიყვანეს და ხანგრძლივი შელოცვა დაიწყეს, რომ მისგან არაწმიდა სული განედევნათ. მაგრამ აღსრულდა ყოვლისშემძლე ღმერთის გამოუკვლეველი განგებულება: ისინი ჯადოსნური ხელოვნებით მისგან ერთი დემონის განდევნას ცდილობდნენ, მაგრამ ქალს ეშმაკთა მთელი ლეგიონი დაეუფლა. ამის შემდეგ სნეული ძლიერ ივკვებოდა და ისე გაშმაგებით ყვიროდა, როგორც ეშმაკთა ლეგიონისგან იყო მოსალოდნელი. რაკი იხილეს თავიანთი ცრურწმენის ნაყოფი, სნეულის მშობლებმა ურთიერთშეთანხმებით ის ეპისკოპოს ფორტუნატესთან მიიყვანეს და მას მიანდეს. მას უარი არ უთქვამს სნეულის მიღებაზე და დიდხანს, დღედაღამ ლოცულობდა, გააძლიერა ლოცვები იმის გამო, რომ ცხადი იყო, ერთი ადამიანისგან მთელი ლეგიონი უნდა განედევნა. რამდენიმე დღის შემდეგ ფორტუნატემ ის სრულიად განკურნებული გადასცა მშობლებს, თითქოს მანამდე არაფერი აწუხებდა.

¹ სინდონი – სუდარა, არდაგი.

სხვა დროს ამ ღმრთის სათნო მოღვაწემ ასევე განაგლო არაწმიდა სული ერთი ადამიანისგან. დაბინდებისას, როდესაც ქალაქში სრული სიმშვიდე სუფევდა, ეპისკოპოსის მიერ განგლებულმა არაწმიდა სულმა მწირის სახე მიიღო, ქალაქის ქუჩებში მიმოდოდა და ყვიროდა: „აი, რა მიყო წმიდა ეპისკოპოსმა ფორტუნატემ! თავისი სახლიდან გააგლო მწირი! და აჰა, თავშესაფარს ვეძებ ქალაქში და ვერ მიპოვია!“ ეს ხმა მოესმა ერთ კაცს, რომელიც სახლში იყო და ცოლთან და მცირეწლოვან ვაჟთან ერთად ბუხართან იჯდა. მან გამოჰკითხა მწირს, რა ჩაიდინა ეპისკოპოსმა, თავის სახლში მიიწვია და გვერდით მოისვა. მათ ერთმანეთისთვის რამდენიმე სიტყვის თქმა მოასწრეს და არაწმიდა სული მასპინძლის მცირეწლოვან ვაჟს ეკვთა, ცეცხლში ჩააგლო და დაახრჩო. უბედური მამა მაშინვე მიხვდა, ვინ გააგლო ეპისკოპოსმა და თავად სახლში ვინ შეიფარა.

პეტრე: როგორ, მამაო, კაცთმოძულეს შეეძლო მკვლევლობა ჩაედინა იმის სახლში, ვინც იგი მწირად მიიღო?

გრიგოლი: მრავალი რამ, პეტრე, ჩვენ კარგად გვეჩვენება, მაგრამ სინამდვილეში ეს ასე არ არის იმიტომ, რომ კეთილი მიზნით არ აღესრულება. ამიტომ ბრძანებს უფალი სახარებაში: „უკუეთუ თუალი შენი ბოროტ იყოს, ყოველი გუამი შენი ბნელ იყოს“ (მათ. 6, 23). თუკი მოქმედებას არაწმიდა მიზანი უძღვის წინ, მაშინ იგი უკეთური იქნება, კარგადაც რომ გვეჩვენებოდეს. ასე იყო ამ შემთხვევაშიც: შემდგომმა სასჯელმა ცხადყო, რომ საქმე არაწმიდა მიზნით აღესრულა. ვფიქრობ, ეს ადამიანი, რომელმაც სტუმართმოყვარეობის გამო ვაჟი დაკარგა, დაისაჯა იმიტომ, რომ კეთილი საქმე არა ღმრთისმოშიშებით, არამედ ეპისკოპოსის დაკნინების მიზნით გააკეთა. არსებობენ ადამიანები, რომლებიც ცდილობენ კეთი-

ლი საქმე მხოლოდ იმიტომ გააკეთონ, რომ სხვების სიკეთე დაკნინდეს: მათ ახარებთ არა სიკეთის კეთება, არამედ თავიანთი სათნოებით სხვისი დამცირება. ამიტომ, ვფიქრობ, რომ ადამიანი, რომელმაც არაწმიდა სულს გაუწია მასპინძლობა, უფრო მეტად ამპარტავნებით იყო აღძრული, ვიდრე – სიკეთის ქმნის სურვილით; მას სურდა ყველას გაეგო, რომ ის სათნოებით ეპისკოპოსს აღემატა, რომ მან შეიწყნარა ის, ვინც ღმრთის სათნო ფორტუნატემ გააძევა.

პეტრე: სწორად მსჯელობ. შედეგი ცხადყოფს, რომ საფუძვლად ამ საქმეს არაწმინდა გულისსიტყვა ედო.

გრიგოლი: ერთხელ ამგვარი რამ მოხდა: ერთმა ადამიანმა თვალისჩინის დაკარგვის გამო წმინდანს მიმართა და მიიღო კიდევ შეწევნა. როგორც კი ღმრთის კაცმა ლოცვა აღავლინა და თვალზე ჯვარი გამოსახა, წყვლიად მის თვალთაგან მასწინვე გაიფანტა და მხედველობა აღუდგა. ერთი მეომრის ცხენი გაშმაგდა ისე, რომ რამდენიმე ადამიანი ძლივს აკავებდა და ვინც მიუახლოვდებოდა, სასტიკად კბენდა. ბოლოს შეკრეს იგი და წმიდა ფორტუნატეს მიჰგვარეს. როგორც კი მას წმინდანმა ჯვარი გადასახა, მისი სიშმაგე სადღაც გაქრა და ცხენი იმაზე უფრო თვინიერი გახდა, ვიდრე გაშმაგებამდე იყო. მეომარმა ცხენის სასწაულებრივი განკურნება რომ იხილა, გადაწყვიტა ის წმინდანისთვის ერუქებინა. წმინდანმა უარი თქვა საჩუქრის მიღებაზე, მაგრამ რადგან მეომარი დაჟინებით სთხოვდა არ უგულვებელყო მისი საჩუქარი, წმინდანმა ორ უკიდურესობას შორის შუალედური ამოირჩია. მან შეიწყნარა მეომრის თხოვნა, მაგრამ იქამდე არ დათანხმდა ცხენის მიღებაზე, ვიდრე მისი საფასური არ გადაიხდა. წმინდანს არ უნდოდა შემომწირველის უარით შეურაცხყოფა

და სიყვარულით აღძრულმა იყიდა მისგან ის, რაც სრულე-
ბით არ სჭირდებოდა.

არ შემიძლია არ გიამბო ის, რაც ამ წმინდანის შესახებ
შევიტყვე თორმეტიოდე დღის წინ. ჩემთან ერთი ღარიბი მო-
ხუცი მოვიდა. რადგან განსაკუთრებით მიყვარს საუბარი მო-
ხუცებთან, სადაურობა ვკითხე და შევიტყვე, რომ ქალაქ ტუ-
დერტიდან იყო. „მითხარი, ხომ არ იცნობდი ეპისკოპოს
ფორტუნატეს?“ – დავეკითხე. „ვიცნობდი და თან ძალიან
კარგად“, – მიპასუხა მოხუცმა. „მითხარი, გეთაყვა, – გან-
ვაგრძობდი მე, – ხომ არ იცი მის მიერ აღსრულებული რაი-
მე სასწაული და აღმიწერე ეს წმიდა კაცი“. „ის არ იყო ჩვე-
ულებრივი ადამიანი, – მითხრა მოხუცმა, – რასაც სთხოვდა
ყოვლისშემძლე ღმერთს, ყოველთვის უსრულდებოდა. მხო-
ლოდ ერთ სასწაულს გიამბობ, რაც ამწუთას მომაგონდა. ერ-
თხელ რავენაში მიმავალმა გუთებმა ქალაქ ტუდერტში გაია-
რეს და ქალაქის ახლოს მდებარე სოფლიდან ორი ბიჭუნა გა-
იტაცეს. როგორც კი ამის შესახებ წმიდა ფორტუნატეს ამ-
ცნეს, მან დაუყოვნებლივ უხმო გუთებს. წმინდანმა მშვიდად
დაიწყო მათთან საუბარი და ცდილობდა მათი სიფიცხე ალერ-
სით დაეცხრო. შემდეგ დაეკითხა: „რას ისურვებთ გამოსას-
ყიდად იმ ორი ბიჭუნას სანაცვლოდ? მე გამოსასყიდს მოგ-
ცემთ, ხოლო თქვენ, ჩემდამი კეთილგანწყობის ნიშნად, და-
მიბრუნეთ ყრმები“. ამაზე გუთმა, რომელიც პირველობდა
დანარჩენებს შორის, უპასუხა: „გვთხოვე რაც გინდა, მზად
ვართ შეგისრულოთ თხოვნა, მაგრამ ამ ბიჭებს არანაირი გა-
მოსასყიდის ფასად არ დაგებრუნებთ“. წმინდანი მშვიდად და-
ემუქრა: „ამაოდ აურვებ მამას, შვილო ჩემო, ნუ დამამწუხ-
რებ, რათა უსიამოვნო არაფერი შეგემთხვეს“. მაგრამ გუთმა,
გულქვაობის გამო, უარი უთხრა წმინდანს და წავიდა. მეორე


დღეს, გამგზავრების წინ, იგივე გუთი კვლავ მივიდა წმინდან-
თან და მან კვლავ გაუმეორა თხოვნა, დაებრუნებინა ყრმები.
გუთმა ისევ იუარა. „იცოდე, გზაში უბედურება შეგემთხვევა,
რადგან ღამამწუხრე“, – უთხრა უკმაყოფილოდ წმინდანმა.
გუთმა ეს სიტყვებიც უყურადღებოდ დატოვა, დაბრუნდა სახ-
ლში, სადაც გაჩერებული იყო, ბიჭუნები ცხენზე შესვა და ამ-
ხანაგებთან ერთად გაამგზავრა, თვითონ კი ცხენით უკან გაპ-
ყვა. როდესაც წმიდა პავლეს ტაძრის სიახლოვეს ჩაიარა,
მისმა ცხენმა წაიბორძიკა, მხედარი ჩამოვარდა და ფეხი მოი-
ტეხა. ის აიყვანეს და უკან დააბრუნეს. მან მაშინვე გაგზავნა
კაცი ყრმების დასაბრუნებლად და წმიდა ფორტუნატეს
სთხოვა თავისი მსახური გამოეგზავნა. როდესაც მსახური
მოვიდა, სწეულმა, რომელიც ადრე უარს აცხადებდა ყრმების
დაბრუნებაზე, მყისვე გადასცა ისინი მსახურს სიტყვებით:
„წადი და უთხარი ჩემს ბატონ ეპისკოპოსს: შენ არ აკურთხე
იგი და აპა, დაშავდა; დაიბრუნე ყრმები, რომელთაც ითხოვდი
და შეეწიე მას“. მსახურმა დაუყოვნებლივ მიჰგვარა ეპისკო-
პოსს ყრმები. ნეტარმა ფორტუნატემ მას ნაკურთხი წყალი
მისცა, რათა სწეულისთვის ესხურებინა. მსახური დაბრუნდა
გუთთან და ნაკურთხი წყალი აპკურა სხეულზე. საკვირველი
და მიუწვდომელი საქმე აღესრულა! როგორც კი წყალი
მტკივან ადგილზე ესხურა, სწეულება გაქრა და ძვალი ძვე-
ლებურად გამოთელდა, ისე, რომ გუთი მყისვე წამოდგა სარე-
ცელიდან და გზა განაგრძო, თითქოს არაფერი მოსვლოდა.
ამგვარად, გუთი, რომელმაც არ ისურვა წმინდანს დამორჩი-
ლებოდა და ყრმები ფულის სანაცვლოდ დაებრუნებინა, საღ-
მრთო სასჯელმა აიძულა დაებრუნებინა ისინი გამოსასყიდის
გარეშე“. გარდა ამ შემთხვევისა, მოხუცმა წმიდა ფორტუნა-
ტეს სხვა სასწაულებიც მიაძბო, მაგრამ რადგან სულიერი

რჩევის მისაღებად მელოდნენ და ძალიან გვიან იყო, მას დიდ-
ხანს ვერ მოვუსმენდი, თუმცა, როცა შესაძლებლობა მაქვს,
მუდამ მზად ვარ სიამოვნებით ვუსმინო მონათხრობს ამ წმინ-
დანის შესახებ.

სხვა სტუმრობის დროს, მოხუცმა წმიდა ფორტუნატეს მი-
ერ აღსრულებული კიდევ უფრო საოცარი სასწაული მიაძბო.
„ქალაქ ტუდერტში, – მითხრა მან, – ორ ხორციელ დასთან
ერთად ვინმე მარკელე ცხოვრობდა, ის პატიოსანი კაცი იყო.
მარკელე ავად იყო და აღდგომის წინ, შაბათს საღამოს აღეს-
რულა. რადგან სასაფლაო შორს იყო, ის იმ დღესვე ვერ დაა-
საფლავეს, მაგრამ როდესაც დაკრძალვის დრო დადგა, მარ-
კელეს დები, დანაკარგით დამწუხრებულნი, წმიდა ფორტუ-
ნატესთან მივიდნენ და ცრემლითა და სულთქმით შეევედ-
რნენ: „ვიციტ, რომ მოციქულთა მსგავს სასწაულებს ახდენ:
კეთროვანთ კურნავ, ბრძებს თვალისჩინს უბრუნებ, – მოდი
და აღადგინე მკვდრეთით ჩვენი ძმა“. წმინდანმა მათი ძმის
აღსრულების შესახებ რომ გაიგო, ატირდა და დებს უთხრა:
„წადით, და ნუ ითხოვთ ამას; ყოველივე ყოვლისშემძლე
ღმერთის ნებით ხდება, მისი წინააღდგომა არავის ძალუძს“.
ისინი წავიდნენ, მაგრამ ეპისკოპოსი მათი ძმის სიკვდილის
გამო კვლავ დამწუხრებული იყო. მომდევნო დღეს, კვირას,
გათენებამდე, იგი ორი მსახურის თანხლებით მიცვალებულის
სახლისკენ გაემართა. როდესაც მიუახლოვდა სარეცელს, სა-
დაც უსულო გვამი ესვენა, ღმრთის მიმართ ლოცვა დაიწყო.
ლოცვის დასრულების შემდეგ მიცვალებულთან ჩამოჯდა და
ხმადაბლა მიმართა: „ძმაო, მარკელე!“ მიუხედავად იმისა,
რომ ძალიან ხმადაბლა წარმოთქვა მან ეს სიტყვები, მიცვა-
ლებულმა, თითქოს ძილში ჩაესმაო, თვალები გაახილა, ეპის-
კოპოსს შეხედა და თქვა: „ჰოი, რა დამემართა, რა დამემარ-

თა!“ — „რა დაგემართა?“ — დაეკითხა ეპისკოპოსი. „გუშინ ჩემთან ორნი მოვიდნენ და სხეულთან განმაშორეს, ერთ მშვენიერ ადგილზე წამიყვანეს, დღეს კი ერთ-ერთი მათგანი ისევ მოვიდა ჩემთან და თქვა: „დააბრუნეთ ისევ იქ, იმიტომ, რომ ეპისკოპოსი ფორტუნატე ეახლა მას სახლში“. ეს თქვა და მაშინვე წამოდგა და ამის შემდეგ კიდევ დიდხანს იცოცხლა. არ უნდა ვიფიქროთ, რომ მან დაკარგა ის ნეტარება, რომელიც პირველი სიკვდილის შემდეგ მიიღო, რადგან, თუკი ის პირველ სიკვდილამდე სათნოეყოფოდა ყოვლისშემძლე ღმერთს, უეჭველია, წმინდანის ლოცვებით გაძლიერებული, კიდევ უფრო მეტი სათნოებით იცხოვრებდა მკვდრეთით აღდგომის შემდეგ. მაგრამ რად გვინდა ბევრი ლაპარაკი წმიდა ფორტუნატეს ღმრთის სათნო ცხოვრების შესახებ, როდესაც თვალწინ მისი უხრწნელი ნაწილები გვაქვს? როგორც სიცოცხლეში განდევნიდა ის ეშმაკებს, ყოველგვარი სნეულებისგან კურნავდა იმათ, ვინც რწმენით მიმართავდა, იმავეს ალასრულებს სიკვდილის შემდგომ უხრწნელი სხეულით.

— თუმცა, საყვარელო პეტრე, უნდა დავასრულო იმ წმინდანთა სასწაულების შესახებ თხრობა, რომლებიც ვალერიის ოლქში ცხოვრობდნენ, რომელთა შესახებაც მომითხრობდა ზემოთ ნახსენები ღირსი ფორტუნატე. ის ამჟამადაც ხშირად სტუმრობს ჩემთან, მიაბობს წმიდა მოღვაწეთა ცხოვრებებს და მუდამ სიხარულს მანიჭებს.



თავი მეთერთმეტი

ვალერიის ოლქის მკვიდრი მონაზონი მარტირი

ვალერიის პროვინციაში ცხოვრობდა ვინმე მარტირი, ღმრთის სათნო კაცი, და აი, რა აღასრულა მან თავისი სიწმინდის ნიშნად. ერთხელ მასთან მცხოვრებმა ძმებმა ღუმელში პური შეაცხვეს და მასზე ჯვრის გამოსახვა დაავიწყდათ. იმ მხარეში ცომზე ჯვარს გამოსახავენ და ამის გამო პური თითქოს ოთხად არის გაყოფილი. წმინდანი იქვე იყო და შენიშნა, რომ პურზე ჯვარი არ გამოუსახავთ. როდესაც პური ღუმელში მოათავსეს და ნახშირით და ფერფლით დაფარეს, წმინდანმა იკითხა: „რატომ არ გამოსახეთ ჯვარი?“ და მყისვე გადასახა ჯვარი ცომის მიმართულებით. ამის გამო პურმა ისე დაიტკაცუნა, თითქოს ცეცხლმა თიხის ჭურჭელი გახეთქა. როდესაც ღუმელიდან პური გამოიღეს, მასზე ჯვარი იყო გამოსახული, რომელიც გამოისახა არა შეხებით, არამედ — რწმენით.

თავი მეთორმეტი

იმავე ოლქის პრესვიტერი სევეროსი

იმავე ოლქში არის ინტერორინის ხეობა, რომელსაც მდამბიონი ინტეროკრინს უწოდებენ. მასზე აღმართულია ყოვლადწმიდა და მარადქალწულ მარიამის ტაძარი. ამ ტაძარში პრესვიტერად იყო ვინმე სევეროსი, რომელიც საკვირველ ცხოვრებას ეწეოდა. ერთხელ პრესვიტერს სთხოვეს სასწრაფოდ მოენახულებინა ერთი სახლი, სადაც მომაკვდავი ოჯახის უფროსი იწვა. ის სთხოვდა მღვდელს მისულიყო, რათა სინდისი განეწმინდა მისთვის სინანულის საიდუმლოთი, შევედრებოდა ღმერთს მისი ცოდვების გამო და მშვიდი აღსას-

რული გამოეთხოვა. როდესაც წარგზავნილნი მივიდნენ, პრესვიტერი ბაღში ხეებს სხლავდა და მთხოვნელთ დაჰპირდა, რომ დაუყოვნებლივ წავიდოდა, მაგრამ, რადგან ცოტათი დაწვენილი კიდევე ჰქონდა დარჩენილი, ოდნავ შეყოვნდა, რათა დაწვენილი საქმე დაესრულებინა და შემდეგ წავიდა სწულთან. გზაში მასთან მისული ადამიანები შემოხვდნენ და უთხრეს: „მამაო, რატომ დაიგვიანე? ნუღარ დაშვრები, ავადმყოფი გარდაიცვალა“. ამის გაგონებაზე პრესვიტერს ძლიერ შეეშინდა და საკუთარ თავს ხმამაღლა უწოდებდა ავადმყოფის მკვლელს. აცრემლებული მივიდა მიცვალებულის სარეცელთან და სულთქმით მიწაზე დაემხო. როდესაც ის უნუგეშოდ ტიროდა, თავს მიწას ახლიდა და თავს იდანაშაულებდა ავადმყოფის სიკვდილში, უეცრად მიცვალებულის სული სხეულში დაბრუნდა. იქ მყოფებმა (ისინი მრავლად იყვნენ) ამის დანახვაზე გაკვირვებისგან შეჰყვირეს და სინარულით უფრო მეტი იტირეს, ვიდრე მანამდე დამწუხრებულნი ტიროდნენ. მკვდრეთით აღმდგარს დაეკითხნენ: სად იმყოფებოდა და როგორ დაუბრუნდა სული? „ვიდაც სამმა, – თქვა მან, – გამოიყვანა ჩემი სული და წამიყვანეს; მათი ნესტოებიდან და ბაგეებიდან აუტანელი ცეცხლი იფრქვეოდა. მათ ბნელი ადგილები მომატარეს; ამ დროს მშვენიერი გარეგნობის ჭაბუკი შემოგვხვდა, რომელმაც ჩემს მხლებლებს მიმართა: „დააბრუნეთ იგი, იმიტომ, რომ მას ცრემლით იგლოვს პრესვიტერი სევეროსი და ღმერთმა ეს სული მას მიმადლა ამ ცრემლებისთვის“. სევეროსმა ეს რომ მოისმინა, წამოდგა, გაცოცხლებულს სინანულის საიდუმლო განუმარტა და ღმერთს მისთვის ევედრებოდა. გაცოცხლებული კაცი შვიდი დღის განმავლობაში სინანულით წარხოცდა ჩადენილ ცოდვებს, ხოლო მერვე დღეს სინარულით მიაბარა სული უფალს. დაფიქრდი, საყვა-

რელო პეტრე, როგორი სიყვარულით შეისმინა უფალმა პრესვიტერ სევეროსის ლოცვა, როდესაც მისი მწუხარედ დატოვება არ ისურვა.

პეტრე: ჭეშმარიტად საკვირველი საქმეა! აქამდე მსგავსი არაფერი მსმენია. ამბობენ, რომ ამჟამად უკვე აღარ არიან ასეთი დიდი წმინდანები!

გრიგოლი: ვფიქრობ, საყვარელო პეტრე, ისინი ამჟამადაც მრავლად არიან. რაკი ეს მოღვაწეები ამგვარ სასწაულებს არ აღასრულებენ, არ უნდა ვიფიქროთ, რომ ისინი წმინდანები არ არიან. ცხოვრების შესახებ უნდა ვიმსჯელოთ არა გარეგნული ნიშნებით, არამედ — ღვაწლის ხარისხის მიხედვით. მრავალნი თუმცა სასწაულებს არ აღასრულებენ, მაგრამ სასწაულთმოქმედ მამებს არაფრით ჩამოუვარდებიან.

პეტრე: მითხარი, გეთაყვა, როგორ დავრწმუნდე, რომ ისინი, ვინც სასწაულებს არ აღასრულებენ, არაფრით ჩამოუვარდებიან მათ აღმასრულებელთ.


გრიგოლი: მაგალითად, ნუთუ არ იცი, რომ მოციქულები პეტრე და პავლე მოციქულთა თავნი არიან?


პეტრე: ვიცი და სრულიად დარწმუნებული ვარ, რომ, თუმცა პავლე მოციქულთა შორის უმცირესს უწოდებდა თავს, მაგრამ მან სხვებზე უმეტესი იღვაწა.

გრიგოლი: მოიგონე: პეტრე წყალზე დადიოდა (მათ. 14, 29), ხოლო პავლეს ხომალდი დაემსხვრა ზღვაში (2 კორ. 11, 25); ერთსა და იმავე სტიქიასთან მიმართებაში — პავლემ ხომალდითაც კი ვერ შეძლო ცურვა, ხოლო პეტრე წყალზე ისე დადიოდა, როგორც ხმელეთზე. განა ცხადი არ არის: თუმცა სასწაულთა აღსრულებაში ერთნაირი ძალა არ გამოუვლენიათ, მათი დამსახურება ღმერთის წინაშე ერთნაირია.

პეტრე: სრულიად საკმარისია შენი განმარტება. ახლა ცხადად ვხედავ, რომ ცხოვრებას უნდა შეხედო, და არა – სასწაულებს, მაგრამ, რადგან სასწაულები წმიდა ცხოვრებას მოწმობს, ამიტომ ვთხოვ, კიდევ მიაგებო რაიმე – კეთილი მაგალითებით გამოზარდე ჩემი მშვიერი სული.

გრიგოლი: ჩვენი გამომხსნელის სადიდებლად ვიამბობ წმიდა ბენედიქტეს ზოგიერთი სასწაულის შესახებ. ახლა თავისუფალი დრო არა მაქვს და ამის შესახებ სხვა დროს ვისაუბროთ.





წიგნი მეორე

იყო ერთი კაცი, სახელითა და მადლით ბენედიქტე (რაც ნიშნავს კურთხეულს). იგი ღირსეულად ცხოვრობდა და გულის სიწმინდეს სიყრმიდან იცავდა. ზნეობრივი სიწმინდით თავის წლოვანებას აღემატა და გულს არავითარ ვნებას არ უმონებდა. ეს სოფელი მისსავე საცდურებთან ერთად ჯერ კიდევ ამქვეყნად მყოფმა მოიძულა, როგორც უხორცომ, თუმცა საშუალება ჰქონდა თავისუფლად დამტკბარიყო ამქვეყნიური კეთილდღეობით. წმიდა ბენედიქტე დიდგვაროვან მშობელთა შვილი იყო ნურსიის ოლქიდან, ხოლო რომში ზოგად მეცნიერებათა შესასწავლად იყო მიბარებული. როდესაც მიხვდა, რომ მეცნიერებათა შესწავლით მრავალნი ცდუნდებიან, მაშინვე წამოვიდა სასწავლებლიდან, რათა სწავლის შემდეგ თვითონაც უფსკრულში არ დანთქმულიყო. ამგვარად, მიატოვა მეცნიერებათა შესწავლა, მშობელთა სახლი და მემკვიდრეობაც დატოვა, მხოლოდ ღმერთის სამსახური ისურვა და თავშესაფარს სავანეებში ეძიებდა. თუმცა მას მეცნიერებები არ შეუსწავლია, მაგრამ უსწავლელი ბრძენი იყო. ზემიწევნით არ ვიცი მისი ცხოვრება, ის მცირედი კი, რასაც

გიაბობ, მისი ოთხი მოწაფისგან შევიტყვე. ესენი არიან: კონსტანტინე, ღირსეული მოღვაწე, რომელიც მონასტრის მართვის საქმეში მისი მემკვიდრე გახდა; ვალენტინიანე, ის მრავალი წლის მანძილზე ლატერანის მონასტერს წინამძღვრობდა; სიმპლიციოსი, ბენედიქტეს შემდეგ რიგით მესამე წინამძღვარი მის ზოგადცხოვრებულთა მონასტერში; და ჰონორატი, რომელიც ამჟამადაც წინამძღვარია იმავე მონასტერში, უწინ კი ძმებს შორის იყო.

თავი პირველი

სასწაული, რომელიც წმიდა ბენედიქტემ გატეხილ საცერზე აღასრულა

როდესაც ბენედიქტემ მეცნიერებათა შესწავლა მიატოვა, გადაწყვიტა უდაბნოში განმარტოებულიყო. მას თან გაჰყვა აღმზრდელი, რომელსაც იგი ძლიერ უყვარდა. ის დამკვიდრდა ადგილზე, რომელსაც ჰქვია ენფიდე, და მრავალი ცნობილი მოღვაწე, რომელნიც სულის გადარჩენას გულმოდგინედ ესწრაფოდნენ, მასთან ერთად დასახლდა, ნეტარი მოციქულის, პეტრეს ტაძართან. ერთხელ ხსენებულმა აღმზრდელმა მახლობლად მცხოვრებ დედაკაცებს საცერი სთხოვა და მაგიდაზე დაუდევრად დადო, რის გამოც ის გადმოვარდა და შუაზე გატყდა. სახლში დაბრუნებული აღმზრდელი, საცერი გატეხილი რომ დახვდა, მწარედ ატირდა. ღმრთის მოყვარე და მოშიშ ბენედიქტეს ატირებული აღმზრდელი შეეცოდა, საცერის ნაწილები ერთმანეთს მიადო და ცრემლით ლოცვა დაიწყო. ლოცვის დასრულების შემდეგ საცერი ისე გამოთელდა, რომ ბზარიც არსად ემჩნეოდა. მან აღმზრდელი ალერსიანი სიტყვებით დაამშვიდა და გამოთელე-

ბული საცერი დაუბრუნა. ამ სასწაულის ამბავი მთელ იმ მხარეს მოედო და იქ მცხოვრებნი იმდენად გააკვირვა, რომ საცერი ეკლესიის შესასვლელში დაკიდეს, რათა შემსვლელთ და გამოძვლელთ სცოდნოდათ, რა დიდი მადლი მოიხვეჭა მონასტერში მყოფმა ყრმა ბენედიქტემ. საცერი მრავალი წლის მანძილზე ყველას თვალწინ იყო და თვით ჩვენს დრომდე, ლონგობარდების შემოსევამდე ტაძრის კართან ეკიდა. მაგრამ ბენედიქტემ მოისურვა დაეთმინა ამქვეყნიური ჭირი, ვიდრე ქება ესმინა და ამჯობინა უფლისთვის შრომით მოქანცვა, ვიდრე ადამიანთა კეთილგანწყობით თავის მოწონება. ის ფარულად გაექცა აღმზრდელს და შინაგან უდაბნოში განმართოებულ ადგილზე დაემკვიდრა, რომელსაც ჰქვია სუბიაკო და რომისგან ორმოცი მილით არის დაშორებული. იქ უხვად არის ცივი და ანკარა წყაროები. წყალი ფართო ტბიდან გამოედინება. როდესაც ბენედიქტე გაიქცა, გზაში ერთი მონაზონი, სახელად რომანოზი შეხვდა. მან გამოჰკითხა საით მიდიოდა და მისი სურვილი რომ შეიტყო, არა მარტო მისი საიდუმლო დაფარა, შეეწია კიდევ — სამონაზვნო სამოსელი მისცა და შემდეგ ყოველივე აუცილებელს აწვდიდა. ღმრთის კაცი ყველაზე ვიწრო მღვიმეში დაეყუდა და სამი წლის მანძილზე, რომანოზის გარდა, არავინ იცოდა მისი ადგილსამყოფელი. რომანოზი მღვიმის სიახლოვეს მდებარე მონასტერში ცხოვრობდა, რომელსაც აღეოდატი მართავდა. იგი წინამძღვრისგან ფარულად ბენედიქტეს თავისი კუთვნილი პურის ნაწილს აწვდიდა. მღვიმე მაღალ კლდეზე მდებარეობდა და რადგან მონასტრიდან მისასვლელი გზა არ იყო, რომანოზი პურს კლდიდან გადმოშვებულ გრძელ საბელზე ამაგრებდა. საბელზე პაწაწინა ზარიც იყო დამაგრებული, რომლის ხმა ღმრთის კაცს ამცნობდა, როდესაც რომანოზი პურს მოიტან-

და. ბენედიქტე ზარის ხმაზე მღვიმიდან გამოდიოდა და პურს იღებდა. ერთხელ კაცთა მოღმის უძველესმა მტერმა, ერთის სიყვარულისა და მეორის ნუგეშის მიმართ შურით აღვსილმა, საბელს ქვა ესროლა, როდესაც მასზე პური იყო მიმაგრებული და გაწყვიტა. რომანოზს არც ამის შემდეგ მიუტოვებია ბენედიქტე და ემსახურებოდა მას, როგორც შეეძლო, მაგრამ მალე ყოვლისშემძლე ღმერთმა ინება რომანოზს ამ ღვაწლისგან შეესვენა და ბენედიქტეს ცხოვრებით განესწავლა ადამიანები, რათა კელაპტარს ყველასთვის გაენათებინა, ვინც ღმრთის სახლში იმყოფება. ერთ პრესვიტერს, რომელიც იმ ადგილიდან მოშორებით ცხოვრობდა და სააღდგომოდ საჭმელს იმზადებდა, ჩვენებაში ღმერთი გამოეცხადა და უთხრა: „შენთვის ნუგეშს იმზადებ, ჩემი მონა კი ამა და ამ ადგილზე შიმშილით კვდება“. პრესვიტერი მყისვე ადგა და ქრისტეს აღდგომის ბრწყინვალე დღეს თავისთვის მომზადებული საჭმლით იმ ადგილისკენ გაეშურა: გადაიარა კლდოვანი მთები, მაღალი გორაკები, უფსკრულები და ბოლოს მღვიმეში დაყუდებულ ღმრთის კაცს მიაგნო. ლოცვის დასრულების შემდეგ ისინი ჩამოსხდნენ და აკურთხევდნენ ყოვლისშემძლე ღმერთს. დამატებობელი საუბრის შემდეგ მოსულმა პრესვიტერმა თქვა: „მივიღოთ საზრდელი, რადგან დღეს აღდგომაა“. წმიდა მამამ მიუგო: „ჭეშმარიტად — აღდგომაა, იმიტომ, რომ ღირსი შევიქენი შენი ხილვისა“. ადამიანთაგან მოშორებით მყოფმა ბენედიქტემ არ იცოდა, რომ ამ დღეს აღდგომა იყო; მაგრამ ღირსმა პრესვიტერმა კვლავ დაამოწმა სიტყვებით: „ჭეშმარიტად, დღეს ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომაა; მარხვა არ ეგების, სწორედ იმისთვის ვარ წარმოგზავნილი, რომ ერთად მივიღოთ ყოვლისშემძლე ღმრთის მიერ ბოძებული“. ამგვარად, აკურთხევდნენ ღმერთს და მიიღეს

საზრდელი, ხოლო როდესაც გული იჯერეს საუბრითა და საზრდელით, პრესვიტერი თავის ეკლესიაში დაბრუნდა.

იმავე ხანებში მღვიმეში შეფარული ბენედიქტე მწყემსებმა აღმოაჩინეს. თავიდან, ბუჩქნარში რომ შენიშნეს ტყავით შემოსილი, ცხოველი ეგონათ, მაგრამ როდესაც მასში ღმრთის მსახური შეიცნეს, თავიანთი მხეცური ზრახვები მისადმი თანალმობით შეცვალეს. ამგვარად, მისი სახელი ცნობილი გახდა. იმ დროიდან მრავალნი მიდიოდნენ მის სანახავად, მიჰქონდათ ხორციელი საზრდო და მის ბაგეთაგან სულის მაცხოვრებელ საზრდელს იღებდნენ.

თავი მეორე

ძლეული ხორციელი აღძვრის შესახებ

ერთხელ, როდესაც წმიდა ბენედიქტე განმარტოებით იმყოფებოდა, მაცდური მიუხდა: სახის წინ პატარა შავი ჩიტი უფრენდა, რომელსაც ხალხში შაშვს ეძახიან, და იმდენად ახლოს ტრიალებდა მის წინ, წმიდა მამას რომ მოესურვებინა, ხელით დაჭერასაც შეძლებდა, მაგრამ მან ჯვარი გამოისახა და ჩიტი გაუჩინარდა. მისი გაუჩინარების შემდეგ წმიდა მამას ხორცის იმგვარი ბრძოლა დაატყდა, როგორც არასოდეს უგრძენია. უეცრად ქალი დაინახა, რომელიც ავმა სულმა მისი გონების თვალს წარმოუსახა. მის დანახვაზე ღმრთის მონას გული ისეთი ცეცხლით აენთო, რომ ვნების ალი გულში ვეღარ დაეტია და ვნებით გატაცებულმა თითქმის გადაწყვიტა უდაბნო დაეტოვებინა. მაგრამ, საღმრთო მადლით, სწრაფად მიაპყრო თვალთა ხედვა საკუთარ თავს და მასში აღმოაჩინა ვნების მარცვალი, გაიხადა სამოსი, ფიჭვის წიწვებსა და ჭინჭარზე შიშველი დაწვა და დიდხანს იწვა ასე. მხოლოდ მას

შემდეგ ადგა, როდესაც მთელი სხეული დაესერა. სხეულის დაწყლულებით მან გრძნობისმიერი კვეთებანი განაქარვა, რადგან ავხორცობის ვნება მოაუძღურა: ამგვარი სასჯელით გარეგანი ანთება გამოიწვია და აღმოფხვრა ის, რაც შიგნით იწვოდა. ამგვარად დაძლია ცოდვა, რადგან აღს ადგილი შეუცვალა. იმ დროიდან, როგორც თავად უამბობდა მოწაფეებს, ხორცის აღძვრა მასში იმდენად დაითრგუნა, რომ მსგავსი აღარაფერი უგრძენია. მაშინ მრავალთ დატოვეს ეს სოფელი და მისი ხელმძღვანელობით მოღვაწეობას ესწრაფოდნენ. ბენედიქტე, ბიწიერი აღძვრისაგან თავისუფალი, ღირსეულად გახდა სათნოებებში სხვათა განმსწავლელი. ამიტომ ბრძანა მოსემ (რიცხ. 8, 24-26), რომ ლევიტელნი ოცდახუთი წლის ასაკიდან შედგომოდნენ მსახურებას და მხოლოდ ორმოცდაათი წლისანი გამხდარიყვნენ სამღვდელო ჭურჭლის მცველნი.

პეტრე: გამოთქმული აზრი ნაწილობრივ ცხადია, მაგრამ გთხოვ, უფრო ცხადად განმიმარტო.

გრიგოლი: ცნობილია, რომ სიჭაბუკეში ხორციელი ბრძოლა მძაფრია, ხოლო ორმოცდაათი წლის შემდეგ სხეულის მხურვალეობა ცხრება; წმიდა ჭურჭელი მორწმუნეთა გონებაა. რჩეულნი, როდესაც ჯერ კიდევ ბრძოლაში არიან, აუცილებელია, სხვას ექვემდებარებოდნენ და იშრომონ, მორჩილებითა და ღვაწლით დაიქანცონ; როდესაც ასაკში ბრძოლის სიფიცხე სუსტდება, ისინი ჭურჭლის მცველნი – სულთა განმსწავლელნი ხდებიან.

პეტრე: ვადიარებ, მომწონს შენი მსჯელობა; რადგან მოტანილი აზრი უკვე განმიმარტე, გთხოვ, მართლის ცხოვრების შესახებ დაწყებული საუბარი განაგრძო.

თავი მესამე

მინის ჭურჭელი, რომელიც ჯვრის გამოსახვით დაიმ-
სხვრა

გრიგოლი: საცდურის დამარცხების შემდეგ ღმრთის კაც-
მა, დამუშავებული მიწის მსგავსად, რომელზეც სარეველას
ამოძირკვავენ, უხვად ინაყოფიერა და სათნოებანი მოიმკო.
მისი სახელი განითქვა და უჩვეულო მონაზვნური ღვაწლის
მეოხებით განდიდდა. შორიასლოს მონასტერი იყო, რომლის
წინამძღვარი აღესრულა. იქ დარჩენილი ძმები ღირს ბენე-
დიქტესთან მივიდნენ და გულმოდგინედ ევედრებოდნენ მათი
წინამძღვარი გამხდარიყო. ის დიდხანს არ თანხმდებოდა, უხ-
სნიდა, რომ თავისი წესებით მთელ საძმოს ვერ აამებდა, მაგ-
რამ მათი თხოვნით ძლეული, დათანხმდა. როდესაც მონას-
ტერში მკაცრი განწესება შემოიღო და უფლებას არავის აძ-
ლევდა თვითნებური ქცევით მონაზვნობის გზიდან მარცხნივ
ან მარჯვნივ გადაეხვიდა (რაც ხდებოდა მანამდე), მაშინ უგუ-
ნურებით გაფიცებულმა ძმებმა ჯერ ერთმანეთს დაუწყეს
გაკიცხვა იმისთვის, რომ ასეთი მკაცრი წინამძღვარი მოიხ-
მეს, რადგან მათი თავისუფალი ცხოვრების წესი მის წმიდა
განაწესს არ ეთანხმებოდა; შემდეგ, როდესაც ნახეს, რომ ის
მათ თავისუფლებას არ მიანიჭებდა, ხოლო ჩვეულებების
დათმობა და დამყაყებელი გონების ახალ საგნებზე მიპყრობა
ეძნელებოდათ, რამდენიმე მათგანმა გადაწყვიტა მის სიცოც-
ხლეზე ხელი აღემართათ – მოითათბირეს და ღვინოში შხამი
შეურიეს. აი, რა მძიმეა სათნო ცხოვრება იმ ადამიანების-
თვის, ვისაც ზნე წამხდარი აქვს! სამონასტრო ჩვეულების თა-
ნახმად, ლოცვა-კურთხევისთვის წინამძღვარს მინის ჭურჭე-
ლი მიართვეს, რომელშიც ეს მომაკვდინებელი სასმელი ესხა.
წმიდა ბენედიქტემ ჯვარი გადასახა და ჭურჭელი, რომელ-

საც დიდი ხნის განმავლობაში იყენებდნენ, ისე დაიბზარა, თითქოს წმიდა მამას მასში ქვა ჩაეგდოს. რადგან ჭურჭელმა ცხოვრების ნიშის გამოსახვას ვერ გაუძლო, ღმრთის კაცი მყისვე მიხვდა, რომ მასში მომაკვდინებელი სასმელი იყო. იგი მაშინვე წამოდგა და შეკრებილ ძმებს მხიარული სახით, გულდამშვიდებულმა მიმართა: „ძმებო, ყოვლისშემძლე ღმერთმა შეგიწყალოთ! რისთვის მოისურვეთ ჩემთვის ამის გაკეთება? განა უწინ არ გითხარით, რომ ჩემი ჩვეულებანი თქვენსას არა ჰგავს? წადით და თქვენი ზნის შესაფერი წინამძღვარი მოიძიეთ, რადგან ამის შემდეგ თქვენი წინამძღვარი ვეღარ ვიქნები“. წმინდანი თავის საყვარელ უდაბურ ადგილს დაუბრუნდა და დაიწყო ცხოვრება განმარტობით, საკუთარ თავში, ყოვლისმხილველი ღმერთის თვალთა წინაშე.

პეტრე: კარგად ვერ ვხვდები, რას ნიშნავს „დაიწყო ცხოვრება საკუთარ თავში“.

გრიგოლი: წმიდა მოსაგრეს იმ ადამიანთა მართვა მომავალშიც რომ მოესურვებინა, რომლებმაც ერთსულოვნად შეიძულეს და მისი ცხოვრების წესს სრულიად არ ეთანხმებოდნენ, შესაძლოა მას მხნეობა და სიმშვიდე დაეკარგა და საკუთარი თავის ჭკრეტას მოკლებოდა. შემდეგ იმათი გამოუსწორებლობით დაქანცული, საკუთარ თავზე ნაკლებად იზრუნებდა და ალბათ მასაც დაკარგავდა და ვერც იმათ შეიძენდა. ყოველთვის, გონების ძლიერი დაძაბულობის შემდეგ ჩვენ ჩვენი თავიდან გარეთ გავდივართ, იგივენი ვრჩებით, მაგრამ საკუთარ თავში აღარ ვიმყოფებით. რაკი საკუთარ თავს ვერ ვხედავთ, გონებით გარეშე საგნებს შორის მიმოვალთ. ჩვენ არ ვამბობთ, რომ საკუთარ თავში იყო ის ადამიანი, რომელიც წავიდა შორსა სოფელსა, მთელი ქონება გაფლანგა, შემდეგ მოჯამაგირედ დაუდგა იმ ქვეყნის მოქალაქეს, ღორებს უმ-

წყემსავდა, უყურებდა, როგორ ჭამდნენ ისინი, თვითონ კი შიმშილით კვდებოდა. იმის შემდეგ, როდესაც დაკარგულ სიკეთეზე დაფიქრდა, მასზე წერია: „მოეგო რაჲ თავსა თვსსა, თქუა: რაოდენთა სასყიდლით-დადგინებულთა მამისა ჩემისათა ჰმატს პური“ (ლუკ. 15, 17). თავის თავთან რომ ყოფილიყო, მაშინ როგორ მოეგებოდა „თავსა თვისსა“? აი, რა აზრით ვთქვი ამ ფრიად ღირსეულ მოღვაწეზე (ბენედიქტეზე), რომ დაიწყო ცხოვრება საკუთარ თავში. მოუკლებელად იცავდა თავს და მუდამ უფლის თვალთა წინაშე ვიდოდა, მუდამ გამოსცდიდა თავს, უკვე აღარსად მიაქცევდა გონების თვალს.

პეტრე: რას ნიშნავს ის, რაც წმიდა მოციქულ პეტრეს შესახებ არის დაწერილი, როდესაც ანგელოზმა გამოიყვანა საპყრობილიდან: „პეტრე მოეგო გონებასა თვსსა და თქუა: აწ უწყი ჭეშმარიტად, რამეთუ მოავლინა ღმერთმან ანგელოზი თვისი და განმარინა მე ხელთაგან ჰეროდესთა და ყოვლისაგან მოლოდებისა ერისა მის ჰურიათასა“ (საქმე 12, 11)?

გრიგოლი: საყვარელო პეტრე, ჩვენი თავის გარეთ ორგვარად გავდივართ: ან დაცემული გულისსიტყვით ჩვენს თავზე უფრო დაბლა ვეშვებით, ან ჭვრეტის დროს გარდამოსული მადლით ჩვენს თავზე ზემოთ ვმალდებით. ის ადამიანი, რომელიც ღორებს მწყემსავდა, გონების გარეთ განვარდნითა და უწმინდური ცხოვრებით თავის თავზე ქვევით იყო დაშვებული; ხოლო ანგელოზის მიერ გამოყვანილი და გონებით აღტაცებული, გონებით გარეთ კი იყო გასული, მაგრამ თავის თავზე ზევით იყო ამაღლებული. ისინი ორივენი გონს მოეგნენ, როდესაც ერთში, ცოდვების ჩადენის შემდეგ, სინდისი ამეტყველდა, ხოლო მეორე — ჭვრეტის სიმაღლიდან ჩვეულ მდგომარეობაში დაბრუნდა. ამგვარად, ღირსმა ბენედიქტემ უდაბნოში საკუთარ თავში ცხოვრება დაიწყო, რადგან თავს

ღრმა განსჯით იცავდა, მაგრამ ყოველთვის, როდესაც ჭვრეტის სიყვარულს სიმაღლეზე აჰყავდა, ის უეჭველია, თავისი თავის გარეთ იყო.

პეტრე: ეს ასეა, მაგრამ მითხარი, გეთაყვა, ნუთუ შეიძლება ბოდა ძმების მიტოვება, რომელთა წინამძღვრობა თავის თავზე აიღო?

გრიგოლი: მე მგონია, საყვარელო პეტრე, რომ ბოროტ ადამიანთა ერთობლივი შემოტევა კეთილგონიერულად იქ უნდა აიტანო, სადაც რამდენიმე კეთილი ადამიანი მაინც არის და შეგეწევიან, ხოლო სადაც კეთილ ნაყოფს არ ელი, იქ ზოგჯერ ზედმეტია ბოროტათვის გაწეული ძალისხმევა, განსაკუთრებით, თუ ისეთი გარემოებანი არსებობს, რომლებიც შეგეწევა უძჯობესი ნაყოფი შესწირო ღმერთს. ამგვარად, წმიდა მოსაგრეს ვისზე უნდა ეზრუნა, როდესაც შეიტყო, რომ ყველანი ერთსულოვნად სდევნიდნენ? სრულყოფილი მოღვაწეები ამგვარად ხშირად იქცევიან. როდესაც ხელავენ, რომ მათი შრომა უნაყოფოა, სხვა ადგილზე გადადიან, სადაც იმედოვნებენ ნაყოფიერად იღვაწონ. ამიტომ იმ სახელოვანმა მოსაგრემ (მოციქულმა პავლემ), რომელსაც გული უთქუმიდა განსლვად და ქრისტეს თანა ყოფად, რომლისთვისაც „ცხორება ქრისტე არს, და სიკუდილი — შესაძინელ“ (ფილიპ. 1, 23, 21), რომელიც არა მხოლოდ თავად ეძებდა ტანჯვას, არამედ სხვებსაც აღძრავდა, რომ დაეთმინათ ის, — თვით მან, დამასკოში დევნივანი თავი რომ დაეღწია, კედლით, საბლითა და გოდრით ისარგებლა (საქმე 9, 23-25) და ფარულად წასვლა გადაწყვიტა. ნუთუ მოციქულ პავლეს სიკვდილის ეშინოდა, როდესაც იესოს სიყვარულის გამო, როგორც თვითონ ამოწმებს, სიკვდილი სწყუროდა (2 კორ. 11, 22)? არა! არამედ, როდესაც იხილა, რომ იმ ადგილზე დიდი შრომა უნდა

გაეწია და ნაყოფი მცირე იქნებოდა, სხვა ადგილზე ნაყოფიერი შრომისათვის თავი გადაირჩინა. როგორც ღმერთის მხნე მებრძოლმა, პატიმრობაში დარჩენა არ ისურვა და წავიდა, რომ ბრძოლის ველი მოენახა. ამგვარად, თუკი ყურადღებით ისმენდი, ალბათ მიხვდი, რომ ღირსმა ბენედიქტემ არა იმდენად აქ დატოვა განუსწავლელად ძმები, რამდენადაც სხვა ადგილებში აღადგინა ძმები სულიერი სიკვდილისგან.

პეტრე: მართალს ბრძანებ და შენს სიტყვებს მოყვანილი მაგალითიც ადასტურებს. განაგრძე თხრობა წმიდა მამის შესახებ.

გრიგოლი: იმ დროს, როდესაც წმინდანი მოუკლებელად იზრდებოდა სათნოებებსა და სასწაულთა აღსრულებაში, მის უდაბნოში მრავალნი შეიკრიბნენ ყოვლისშემძლე ღმერთის სამსახურისთვის. ბენედიქტემ, ყოვლისშემძლე უფალ იესო ქრისტეს შეწევნით, თორმეტი მონასტერი ააგო, თითოეულში თორმეტი მონაზონი დაასახლა და წინამძღვრები დაუდგინა. თავისთან კი რამდენიმე მონაზონი დატოვა, რომელთათვის უმჯობესად მიაჩნდა მისი თანდასწრებით აღზრდილიყვნენ. მაშინ მასთან თვით დიდებულებმა და რომაელმა წარჩინებულებმა დაიწყეს მოსვლა და შვილებს უტოვებდნენ, რათა მას ღმერთისმოშიშებით აღეზარდა ისინი. მას თავიანთი შვილები მიაბარეს: ეკვიციმ — მავრი, და პატრიცმა ტერტულიმ — პლაკიდი, რომლებიც ფრიად კეთილსაიმედონი იყვნენ. მათ შორის უმცროსი — მავრი — წინამძღვრის თანაშემწე გახდა, რადგანაც კეთილი ზნით გამოირჩეოდა, ხოლო პლაკიდი — ფიცხელ მოღვაწეობას ჯერ კიდევ სრულიად ყრმა შეუდგა.



თავი მეოთხე

გონებაგაფანტული მონაზონი, რომელიც ცხონების გზას
დაუბრუნდა

წმიდა ბენედიქტეს მიერ აგებული მონასტრებიდან ერთ-ერთში, რომელიც თავისი მონასტრის სიახლოვეს ააგო, იყო ერთი მონაზონი, რომელსაც ლოცვაზე დგომა არ შეეძლო. როგორც კი ძმები ლოცვას შეუდგებოდნენ, ის გარეთ გადიოდა და გონებაგაფანტული რაიმე მიწიერს და ამას აკეთებდა. წინამძღვარი ხშირად არიგებდა და ვერაფერს რომ ვერ გახდა, ღმრთის კაცს მიჰკვარა, რომელმაც ასევე მკაცრად ამხილა ის უგუნურებისათვის, მაგრამ მონასტერში დაბრუნების შემდეგ მონაზონი ღმრთის კაცის სწავლებას მხოლოდ ორი დღე მორჩილებდა, მესამე დღეს კი კვლავ ძველ ჩვეულებას დაუბრუნდა, ლოცვის დროს აქეთ-იქით დაეხეტებოდა. როდესაც მონასტრის წინამძღვარმა წმიდა მამას ამის შესახებ მოახსენა, მან თქვა: „მოვალ და თავად გამოვასწორებ მას“. ბენედიქტე მივიდა მონასტერში. დანიშნულ დროს ძმებმა ფსალმუნი იგალობეს და ლოცვა დაიწყო. წმიდა კაცმა მაშინვე დაინახა, რომ მონაზონს, რომელსაც ლოცვაზე დგომა არ შეეძლო, შავი ყრმა ტანსაცმლის კიდით ეწეოდა. მაშინ მან მონასტრის წინამძღვარს, სახელად პომპეანეს და ღმრთის მსახურ მავრს ჩუმად უთხრა: „ნუთუ ვერ ხედავთ, ვის გაჰყავს ეს მონაზონი გარეთ?“ — „ვერ ვხედავთ“, — მიუგეს მათ. „ვილოცოთ, — თქვა მან, — რომ თქვენც დაინახოთ, ვის მიჰყვება ის“. ორი დღის ლოცვის შემდეგ მონაზონმა მავრმა დაინახა, ხოლო მონასტრის წინამძღვარმა პომპეანემ ვერ შეძლო ხილვა. მომდევნო დღეს, ლოცვის დასრულების შემდეგ, ღმრთის კაცმა მოძებნა მონაზონი, რომელიც კრებულისგან განცალკევებით იდგა და გულის სიბრძავის გამო წკეპლა

უთავაზა. იმ დღიდან მონაზონს შავი ყრმისგან არავითარი ბრძოლა აღარ შეუგრძენია, უძრავად იდგა ლოცვაზე. ამგვარად, უძველესმა მტერმა ვერ შეძლო დაუფლებოდა მის გონებას და თითქოსდა თვითონ დამარცხდა წკეპლით.

თავი მესამე

წმიდა ბენედიქტეს ლოცვით მთის მწვერვალზე, კლდეში აღმოცენებული წყარო

წმიდა ბენედიქტეს მიერ აგებულ მონასტერთაგან სამი მთების მწვერვალზე მდებარეობდა და ძმებს ძალიან უჭირდათ ყოველდღიურად წყლისთვის ტბაზე სიარული. განსაკუთრებით ძნელი და საშიში იყო ციცაბო კლდეზე ჩამოსვლა. ამიტომ სამივე მონასტრის ძმები ერთად მივიდნენ ღმრთის მონა ბენედიქტესთან და უთხრეს: „გვიძნელდება ყოველდღიურად ტბაზე ჩამოსვლა წყლის ასავსებად; მონასტრები ამ ადგილებიდან გადაიტანე“. მან ანუგეშა ისინი, გაუშვა და იმავე ღამით ყრმა პლაკიდისთან ერთად, რომელიც უკვე ვახსენეთ, მთის წვერზე ავიდა და დიდხანს ილოცა. ლოცვის დასრულების შემდეგ ადგილი მონიშნა სამი ქვით და მონასტერში ისევე უჩემრად დაბრუნდა. მეორე დღეს ძმები ისევ მივიდნენ მასთან იმავე თხოვნით, მან კი უთხრა: „წადით და ამოტეხეთ ის კლდე, რომელზეც სამ, ერთმანეთზე დადებულ ქვას ნახავთ: ყოვლისშემძლე ღმერთს ძალუძს, რომ ამ მწვერვალზეც აღმოაცენოს წყალი, რათა გიხსნათ ასეთ რთულ გზაზე სიარულისაგან“. ისინი მითითებულ კლდეზე ავიდნენ – იქ უკვე ამოსულიყო წყალი. როდესაც საგუბარი ამოჭრეს, ის მაშინვე აივსო წყლით, რომელიც უხვად მოედინებოდა და ამჟამადაც მთის მწვერვალიდან დიდ ნაკადად მოედინება.

თავი მემქნე

ცელი, რომელიც წყლის სიღრმიდან ტარს დაუბრუნდა

სხვა დროს ერთი სულით გლახაკი (ანუ სიმდაბლით შემოსილი) გუთი მოვიდა მონასტერში საცხოვრებლად. ბენედიქტემ ის სიყვარულით მიიღო. ერთხელ მას დაავალეს ცელით ეკალ-ბარდებისგან ტბის ნაპირზე აღგილი გაეწმინდა, სადაც ბოსტანი უნდა გაეშენებინათ. გუთმა ცელი ერთ მსხვილ ეკალს მთელი ძალით დასცხო; იგი ტარს მოძვრა და ტბაში ჩავარდა, ის კი ისეთი ღრმა იყო, რომ ცელის ამოღება შეუძლებელი იყო. გუთი აღელვებული მიეჭრა მავრს, მოუთხრო დანაკარგის შესახებ და სინანულით თავს იდანაშაულებდა. მავრმა ყოველივე მაშინვე ღმრთის მონა ბენედიქტეს მოახსენა. ის ტბის ნაპირისკენ გაემართა, გუთს ტარი გამოართვა და ტბაში ჩაუშვა. ცელი ტბის ფსკერიდან ამოტივტივდა და ტარს თავისით ჩამოეცვა. ღმრთის მონამ მიაწოდა ცელი გუთს და უთხრა: „იმუშავე და ნუ დანაღვლიანდები“.

თავი მეშვიდე

წმიდა ბენედიქტეს მოწაფე მავრი, რომელმაც წყალდაწყალ ისე იარა, რომ თვითონ არ იცოდა

ერთ დღეს ღირსი ბენედიქტე სენაკში იმყოფებოდა, ხოლო ზემოთ ხსენებული ყრმა პლაკიდი ტბაზე წყლის მოსატანად წავიდა. მან ჭურჭელი წყალში მოუხერხებლად ჩაუშვა და თვითონაც გადავარდა. ჩავარდნისთანავე ის დინებამ ნაპირიდან ისრის სატყორცნ მანძილზე წაიღო. სენაკში მყოფმა ბენედიქტემ მაშინვე შეიცნო ეს, დაუყოვნებლივ მოუხმო მავრს და უთხრა: „ძმაო მავრ, გაიქეცი – წყალზე წასული ყრმა ტბაში ჩავარდა და დინებამ უკვე შორს წაიღო“. საკვირველი,

მოციქულ პეტრეს დროიდან არნახული რამ მოხდა! მავრმა გამოითხოვა და მიიღო კიდევ ლოცვა-კურთხევა, წინამძღვრის ბრძანებისამებრ გაიქცა და იმ ადგილამდე, სადაც ყრმა იყო, წყალდაწყალ მიირბინა. მას ეგონა, რომ მიწაზე მიდიოდა, ჩასჭიდა მას ხელი და უკან სირბილითვე დაბრუნდა. როდესაც ფეხით მიწას შეეხო, გონს მოეგო, უკან მიიხედა და მიხვდა, რომ წყალზე მირობდა. ადრე ამაზე ოცნებაც არ შეეძლო. იგი მომხდარით შეძრწუნდა. დაბრუნებისას წინამძღვარს ყოველივე მოუთხრო. ღირსმა ბენედიქტემ მომხდარი მიაწერა არა საკუთარ დამსახურებას, არამედ — მის მორჩილებას, ხოლო მავრი, პირიქით, მხოლოდ წინამძღვრის კურთხევას მიაწერდა და ამბობდა, რომ ამგვარი სასწაულის მიზეზი თვითონ არ იყო, რადგან სრულიად გაუცნობიერებლად აღასრულა. ამ ფრიად საამო კამათის დროს, რომელიც ორმხრივი სიმდაბლით იყო განმსჭვალული, ისინი წყლიდან ამოყვანილმა ყრმამ დააზავა. მან თქვა: „როდესაც წყლიდან ამომიყვანეს, ჩემს თავზე წინამძღვრის ხალენი და თვით ის დავინახე. წყლიდან მან ამომიყვანა“.

პეტრე: უდიდესი საქმეების შესახებ მომითხრობ, ეს მრავალთათვის იქნება განმსწავლელი. რაც შემეხება მე, რაც უფრო მეტს ვიგებ წმიდა მამის მიერ აღსრულებულ სასწაულებზე, მით მეტიც შეტყობის სურვილი მაქვს.

თავი მმრკმ

როგორ წაიღო ყვავმა შხამიანი პური

მალე ის ადგილები ხალხით აივსო, რომლებიც ჩვენი უფლის, იესო ქრისტეს მიმართ სიყვარულით იყვნენ ანთებულნი: მრავალნი საერო ცხოვრებას ტოვებდნენ და გულის ქედს

მაცხოვრის მსუბუქ ტვირთს უღრეკდნენ. მანკიერ ადამიანებს არ სურთ სათნოების სიკეთე და ის სხვებშიც სძულთ. ამავე მიზეზით მეზობლად მდებარე ეკლესიის პრესვიტერმა ფლორენციმ, ჩვენი იპოდიაკვნის, ფლორენცის პაპამ, რომელიც უძველესი მტრის ბოროტებით იქნა აღძრული, წმიდა მამის ღვაწლის მიბაძვა დაიწყო, აკნინებდა მის ნამოქმედარს და ამით მისი ნახვის მსურველთა დაბრკოლებას ცდილობდა. როდესაც ფლორენციმ ნახა, რომ ბენედიქტეს წარმატებას წინ ვერ აღუდგებოდა, მისმა მონასტერმა სახელი გაითქვა და მისი ღიღების მეოხებით ბევრმა გამოასწორა ცხოვრება, კიდევ უფრო მეტი სიძულვილით აენთო და გაბოროტდა, რადგან სურდა მას მიეღო ქება, რომელსაც წმიდა მოსაგრეს აღუვლენდნენ, მაგრამ საქებარი ცხოვრება არ სურდა. თავისივე სიძულვილის წყვდიადით დაბრმავებული იქამდე მივიდა, რომ ყოვლისშემძლე ღმრთის მონას, ვითომცდა კურთხევისთვის, შხამნარევი პური გაუგზავნა. ღმრთის კაცმა იგი მაღლობით მიიღო, მაგრამ პურში დაფარული შხამი მისგან არ დაიფარა. სადილობის დროს მასთან მეზობელი ტყიდან ყვავი მოფრინავდა და მისი ხელიდან იღებდა პურს. როდესაც ყვავი ჩვეულებისამებრ მოფრინდა, ღმრთის კაცმა პრესვიტერის გამოგზავნილი პური დაუღო და უბრძანა: „სახელითა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესითა, აიღე ეს პური და ისეთ ადგილას წაიღე, სადაც ადამიანი ვერ ნახავს“. ყვავმა ნისკარტი გააღო, ფრთები გაშალა, მის თავზე ფრენდა აქეთ-იქით, ჩნაოდა და თითქოს ცხადად ამბობდა, რომ სურს დაემორჩილოს, მაგრამ ბრძანების შესრულება არ შეუძლია. ღმრთის კაცი კვლავ და კვლავ უმეორებდა: „აიღე, ნუ გეშინია, წაიღე და იქ გადააგდე, სადაც ვერავინ იპოვის“. დაყოვნების შემდეგ ყვავმა პური აიღო, გაფრინდა და ბრძანებისამებრ გადააგდო.

სამი საათის შემდეგ ის დაბრუნდა და ღმრთის კაცის ხელიდან ჩვეული პურის ნატეხი მიიღო. ღირსმა პრესვიტერის ჩანაფიქრი რომ შეიცნო, ის უფრო მეტად შეეცოდა, ვიდრე საკუთარი თავი. ფლორენციმ მოძღვრის მოკვლა რომ ვერ შეძლო, მისი მოწაფეების სულის წარწყმედა გადაწყვიტა: იმ მონასტრის ბაღში, სადაც ბენედიქტე ცხოვრობდა, შვიდი შიშველი ქალი გაგზავნა, რათა მათ მოწაფეთა თვალწინ ხელჩაკიდებულთ ეცეკვათ და მათში ბოროტი გულისთქმები აღედრათ. ბენედიქტემ ისინი თავისი სენაკიდან დაინახა და ყრმა მოწაფეების დაცემის შეეშინდა. რადგან ამას მხოლოდ მისადმი მტრობად თვლიდა, დაუთმო სიძულვილს, მოაწესრიგა მის მიერ აგებული მონასტრები, ძმებს წინამძღვრები დაუდგინა, ხოლო თვითონ რამდენიმე მონაზონთან ერთად სხვა ადგილზე გადავიდა. როგორც კი ღმრთის კაცი მღაბლად განერიდა პრესვიტერის სიძულვილს, ყოვლისშემძლე ღმერთმა სასტიკად დასაჯა ეს უკანასკნელი. ის სათბურში იდგა, როდესაც შეიტყო ბენედიქტეს წასვლის შესახებ და თავისი გამარჯვებით ძალიან გაიხარა. ამ დროს სათბური ჩაიქცა (სახლი კი უვნებლად იდგა) და ბენედიქტეს მტერი ქვეშ მოიყოლა. ღმრთის კაცის მოწაფე მავრმა ამის შესახებ მაშინვე აცნობა ღირს ბენედიქტეს: „დაბრუნდი, – შენი მდევნელი პრესვიტერი დაიღუპა“. ღმრთის კაცი ბენედიქტე მწარედ ატირდა როგორც მტრის დაღუპვის გამო, ასევე იმისთვის, რომ მტრის სიკვდილმა მისი მოწაფე გაახარა. მას სინანულის კანონი განუწესა.

პეტრე: საკვირველ ამბებს მომითხრობ. კლდიდან წყლის აღმოცენება მაგონებს მოსეს (რიცხ. 20. 7-11); წყლის სიღრმიდან ამოტივტივებული ცელი – ელისეს (4 მეფ. 6, 5-7); წყალზე სვლა – პეტრეს (მათ. 14, 29); ყვავის მორჩილება –

ილიას (3 მეფ. 17, 6); მტრის სიკვდილის დატირება – დავითს (2 მეფ. 1, 11; 18, 33). როგორც ჩანს, ეს მოღვაწე მართალთა სულებით იყო აღვსილი.

გრიგოლი: ბენედიქტე საღმრთო სულებით იყო შემოსილი, რომელიც აღსრულებული გამოხსნის საიდუმლოს მაღლით ყოველი რჩეულის გულს ავსებს. მასზე ამბობს იოანე: „იყო ნათელი ჭეშმარიტი, რომელი განანათლებს ყოველსა კაცსა, მომავალსა სოფლად“ (იოან. 1, 9). მასზევეა დაწერილი: „სავსებისაგან მისისა ჩუენ ყოველთა მოვიდეთ“ (იოან. 1, 16). ღმრთის კაცნი ძალას ღმერთისგან იღებდნენ, მაგრამ მისი სხვისთვის გადაცემა არ შეეძლოთ. მხოლოდ იმან მიანიჭა თავის ერთგულ მოწაფეებს ძალა, ვინც ალუთქვა მათ, რომ თავს მისცემდა მტრებს იონას ნიშნის მიხედვით (მათ. 12, 39), როდესაც ამპარტავნებს თავისი სიკვდილი უჩვენა, ღირსი გახადა ისინი მათ თვალწინ მიეღო იგი. ასევე მდაბალთა თვალწინ აღდგა მკვდრებით, რათა პირველთ ეხილათ ის, რაც სძაგდათ, ხოლო მეორეთ ეხილათ ის, რაც მოწიწებით უყვარდათ. ამდენად, ამპარტავნები ხედავენ მხოლოდ იმას, რაც არის შეურაცხი სიკვდილში, ხოლო მდაბალთ სიკვდილზე ხელმწიფება მიეცათ.

პეტრე: მითხარი, ამის შემდეგ კიდევ სად ცხოვრობდა ეს წმიდა მოღვაწე და რა სასწაულები აღასრულა იქ.

გრიგოლი: წმიდა მოსაგრე ადგილების გამოცვლისას მტრებს არ გაურბოდა. მან ამის შემდეგაც სასტიკი ბრძოლა დაითმინა თვით ბოროტების მომგონისაგან, რომელიც ცხადად აღუდგა წინ. მონასტერი, რომელსაც ჰქვია კასინო, მაღალ მთაზე იყო აგებული, კერძოდ, მის ერთ ფართო ბორცვზე; მთა მის ზევით კიდევ სამ მილზე იყო აღმართული, თითქოს მწვერვალით ვარსკვლავებისკენ ისწრაფოდა.

მწვერვალზე უძველესი ბომონი იდგა, რომელშიც, ძველი წარმართების ჩვეულების მიხედვით, უგუნური ხალხი აპოლონს სცემდა თაყვანს. უშუალოდ დემონთა საკურთხეველთან ტყის კორომი იყო, სადაც უგუნურ ურწმუნოთა ბრბოურიცხვ მსხვერპლს სწირავდა. იქ მისულმა წმინდანმა კერპი შეემუსრა, სამსხვერპლო დააქცია, ტყე გადაწვა და აპოლონის ტაძარი წმიდა მარტინის ტაძრად აქცია, აპოლონის სამსხვერპლოს ადგილზე წმიდა იოანეს ტაძარი ააგო და იქ მისულ ხალხს დაუცხრომელი ქადაგებით ჭეშმარიტი რწმენისაკენ მოუწოდებდა. მაგრამ უძველესმა მტერმა ეს მშვიდად ვერ აიტანა: ის არა ფარულად ან ძილში, არამედ ცხადად წარმოუდგა წმიდა მამას და იმდენად ხმამაღლა დასტიროდა თავის დანაკარგს, რომ მისი ხმა ძმებსაც ესმოდათ, თუმცა თვალთ ვერ ხედავდნენ. როგორც შემდეგ წმინდანი მოწაფეებს მოუთხრობდა, კაცის ეს საზარელი მტერი გაცეცხლებული და პირდაპირილი ეკვეთა, თან ცეცხლოვან თვალებს უბრიალებდა. ყველას ესმოდა ეშმაკის სიტყვები. ჯერ წმიდა მამას მიმართა. როდესაც მან მტერს არ უპასუხა, მყისვე მისი ძაგება დაიწყო. რადგან ძახილზე: „ბენედიქტე, ბენედიქტე!“ ვერ გაიგონა მისგან პასუხი, მყისვე დაიყვირა: „წყეული ხარ, და არა — კურთხეული, რა გაქვს ჩემთან საერთო?“ მაგრამ დროულია სხვა შემთხვევები მოვიგონოთ, როდესაც ღმრთის მონას ეს უძველესი მტერი ებრძოდა. ბოროტი წმინდანს ხალისით უცხადებდა ბრძოლას, მაგრამ უხალისოდ უთმობდა გამარჯვებას.



თავი მეცხრე

წმინდანის ლოცვით აზიღული ქვა

ერთხელ ამ მონასტრის ძმები თავისთვის საცხოვრებლებს აგებდნენ; მონასტრის შუაგულში იღო ქვა, ძმებს შენობაში მისი ჩაყოლება ჰქონდათ გადაწყვეტილი. ორმა და სამმა მისი აწევა ვერ შეძლო. მათ სხვებიც შეურთდნენ, მაგრამ ქვა ისე უძრავად იღო, თითქოს მიწაში ფესვები ჰქონდა გადგმული. ცხადი იყო, რომ მასზე უძველესი მტერი იჯდა და ამიტომ ვერ შეძლო მისი დაძვრა მრავალი ადამიანის ხელმა. ამ წინააღმდეგობის გამო სთხოვეს წმიდა მამას მოსულიყო და ლოცვით გაეგლო ეშმაკი, რათა ქვის დაძვრა შეძლებოდათ. ის მოვიდა, ლოცვა აღავლინა, აკურთხა ძმები და მათ ქვა ისეთი სისწრაფით ასწიეს, თითქოს სიმძიმე არც ჰქონოდა.

თავი მათე

წარმოსახვითი ხანძარი

წმინდანმა ინება, რომ იქ, სადაც ქვა იღო, მიწა გაეთხარათ. ძმებმა საკმაოდ ღრმა ორმო გათხარეს და იქ სპილენძის კერპი აღმოაჩინეს. როგორც კი ის პურის საცხობში შეაგდეს, მყისვე ცეცხლი გამოჩნდა და მონაზონთა თვალში თითქოს მთელ შენობას მოედო. როდესაც ყველანი წყლისთვის გაიქცნენ, რათა წარმოსახვითი ხანძარი ჩაექროთ, ხმაურზე წმიდა მამა გამოვიდა. ის ვერ ხედავდა ხანძარს, რომელიც ძმებს წარმოუდგათ, მყისვე ლოცვა აღავლინა და ცრუ ხანძრით მოტყუებულ ძმებს უბრძანა თვალეზე ჯვარი გამოესახათ, რათა პურის საცხობიც უვნებელი ეხილათ და აღარც ცეცხლის ენები დაენახათ, რომელიც მათ მტერმა მოაჩვენა.

თავი მეთერთმეტი

მონაზონი, რომელიც ჩამოქცეულმა კედელმა მოიყოლა და წმიდა ბენედიქტეს ლოცვით დაუბრუნდა სიცოცხლე


ერთხელ ძმები მონასტრის კედლებს ამაღლებდნენ, ხოლო წმიდა მამა ამ დროს სენაკში ლოცულობდა. მას ბოროტის მზრახველი მტერი გამოეცხადა და ჩააგონა მომუშავე ძმებთან გასულიყო. წმინდანმა მყისვე ძმებს ამცნო მაცნეს პირით: „ძმებო, ფრთხილად იმუშავეთ, იმიტომ, რომ ბოროტი სული მოგიხდებათ“. წარგზავნილს სიტყვა არ ჰქონდა დამთავრებული, რომ ბოროტმა კედლის ის ნაწილი გადააქცია, რომელსაც აგებდნენ და ერთი მონაზონის მორჩილს დაეცა. ყველანი დამწუხრდნენ და თავზარდაცემულნი იყვნენ არა კედლის გადმოქცევით, არამედ — ძმის სიკვდილით და მწარედ ატირებულნი მაშინვე მამა ბენედიქტესთან გაემართნენ, რომ მომნდარი მისთვის ემცნოთ. მან უბრძანა დაშავებული ყრმის სხეული მასთან მოესვენებინათ. ის ზედა სამოსში შეხვეული მიასვენეს, რადგანაც კედლის დაცემის გამო ძვლებიც კი შემუსკრილი ჰქონდა. წმინდანმა ბრძანა სენაკში დაფენილ ჭილოფზე დაესვენებინათ, რომელზეც ლოცვის დროს დგებოდა. ძმებს უბრძანა, გასულიყვნენ, კარი ჩაკეტა და მხურვალედ ილოცა. საკვირველი საქმე აღესრულა! მან მყისვე უვნებელი და ჯანმრთელი გაგზავნა მორჩილი იმავე სამუშაოს შესასრულებლად, ანუ ძმებთან ერთად კედლის მშენებლობის დასასრულებლად. ასე იქნა შერცხვენილი უძველესი მტერი, რომელსაც სურდა ბენედიქტესთვის ყრმის დაღუპვით დაეცინა.



თავი მეთორმეტი

მონაზვნები, რომელთაც საზრდელი სენაკის გარეთ მიი-
ღეს

წმიდა მოსაგრეს სხვა ნიჭებთან ერთად ღმერთისგან წინასწარმეტყველების ნიჭიც ებოძა. ის მომავალზე წინასწარმეტყველებდა და მასთან მყოფებს მოუთხრობდა, თუ რა ხდებოდა მათგან მოშორებით. მონასტრის განწესების თანახმად, მონასტრის გარეთ რაიმე საქმეზე გასული ძმები არც საჭმელს იღებდნენ და არც სასმელს და ამ წესს მკაცრად იცავდნენ. ერთხელ მორჩილების გამო მონასტრიდან გასულ ძმებს ძლიერ შეაგვიანდათ. მათ შეიტყვეს, რომ ერთი ღმერთისმოსიში დედაკაცის სახლთან იმყოფებოდნენ, მასთან შევიდნენ და საჭმელი მიიღეს. მონასტერში გვიან დაბრუნებულებმა მამისგან ლოცვა-კურთხევა ითხოვეს. ის გამოცდის მიზნით დაეკითხა: „სად ჭამეთ?“ მათ მიუგეს: „არსად“. ამაზე მამამ მიუგო: „რად ცრუობთ? განა არ შეხვედით ამა და ამ დედაკაცთან სახლში? განა ესა და ეს არ მიიღეთ? განა ამდენი სასმისი არ შესვით?“ ამგვარად, როდესაც ღირსმა მამამ დედაკაცის სტუმართმოყვარეობაზე, საჭმლის სახეობასა და სასმელის ოდენობაზე მოუთხრო, მათ ყველაფერი დაადასტურეს, მის ფერხთით ძრწოლით დაგვარდნენ და ცოდვა აღიარეს. მან შეცოდება მაშინვე მიუტევა და დაარიგა, რომ მასთან არყოფნის დროსაც ისევე მოქცეულიყვნენ, როგორც მისი თანდასწრებით და სცოდნოდათ, რომ ის სულით მუდამ მათთან არის.



თავი მესამე

წმიდა მამამ შეიცნო, რომ მონაზონ ვალენტინიანეს ძმამ
გზაში საჭმელი მიიღო

მონაზონ ვალენტინიანეს, რომელიც უკვე ვახსენეთ, ჰყავდა ძმა. ის ერისკაცი იყო, ფრიად ღმრთისმოყვარე. მას წესად ჰქონდა ყოველწლიურად გამგზავრებულიყო წმიდა ბენედიქტეს მონასტერში, რათა ღმრთის მონის სიტყვა მოესმინა და ღვიძლი ძმა მოენახულებინა. ის გზაში არასოდეს იღებდა საჭმელს. ერთხელ, როდესაც მონასტერში მიდიოდა, მას სხვა ადამიანიც დაემგზავრა, რომელსაც თან საგზალი მიჰქონდა. უკვე გვიანი იყო, როდესაც ამ უკანასკნელმა თქვა: „ძმაო, საზრდელი მივიღოთ, რათა გზაში არ დაუძღვრდეთ“. მან კი მიუგო: „არა, ძმაო, რადგან ჩვეულებად მაქვს მამა ბენედიქტესთან უზმო მივიდე“. ამის გაგონებაზე თანამგზავრი დროებით დაღუძდა, მაგრამ ცოტაოდენი მანძილის გავლის შემდეგ კვლავ არწმუნებდა მიეღოთ საზრდელი. ის, ვინც გადაწყვიტა გზა მარხვით გაეღია, არ თანხმდებოდა. თანამგზავრი ისევ დაღუძდა და გადაწყვიტა რამდენიმე ხანი თავადაც ემარხულა. შორეულმა მოგზაურობამ ისინი დაქანცა, გზაში მინდორი და წყარო შეხვდათ, სადაც დასვენებას შეძლებდნენ. მაშინ თანამგზავრმა თქვა: „აჰა, წყალიც არის, მინდორიც, საამო ადგილიც, დავისვენოთ, რომ შემდეგ გზის გაგრძელება შევძლოთ“. ეს სიტყვები ყურს ეამა, ადგილმა თვალი მოხიბლა; ვალენტინიანეს ძმა მესამე შეთავაზებაზე დათანხმდა თანამგზავრს და საჭმელი მიიღო. საღამოსნანს მონასტერს მიაღწია, ღირს ბენედიქტეს მიეახლა და დარიგება სთხოვა, მაგრამ წმიდა მამამ მაშინვე იმისთვის ამხილა, რაც გზაში ჩაიღინა: „როგორ მოხდა, ძმაო, რომ ვერაგმა მტერმა, რომელიც თანამგზავრის პირით გესაუბრებოდა, ვერც პირვე-

ლად გაცდუნა და ვერც მეორედ, მაგრამ მესამედ გაცდუნა და თავისი სურვილისამებრ დაგამარცხა?“ როდესაც მწირმა თავისი უნებისყოფობა შეიცნო, წმინდანის ფერხთით ღავარდა და მით უმეტეს იგლოვდა თავის შეცოდებას და რცხვენოდა, რომ მამა ბენედიქტეს თვალწინ შესცოდა, მიუხედავად მისი იქ არყოფნისა.

პეტრე: ვხედავ, რომ წმიდა მოსაგრეში ელისეს შემეცნების სული იყო (4 მეფ. 5, 25-26), რომელმაც ისე შეიცნო, რა ჩაიდინა მისმა მოწაფემ მისი არყოფნის დროს, თითქოს იქ ყოფილიყო.

თავი მეთოთხმეტი

მეფე ტოტილას თვალთმაქცობა, რომელიც წმინდანმა ამხილა

გრიგოლი: დაღუძდი პეტრე, რადგან უმეტესსაც შეიტყობ. გუთების შემოსევის ჟამს მეფე ტოტილამ გაიგო, რომ წმიდა მოსაგრეს წინასწარმეტყველების ნიჭი ჰქონდა. ის მონასტრისკენ გაემართა, მის შორიანხლოს გაჩერდა და მსახური გაგზავნა, რომ წმინდანისთვის მისი მოსვლის შესახებ ეცნობებინა. წმინდანმა შემოუთვალა მისუღიყო, თავად კი მის შესახვედრად გაემზადა. უნდობლობის გამო მეფე გაკადნიერდა გამოეცადა, მართლაც ჰქონდა თუ არა ღმრთის კაცს წინასწარმეტყველების ნიჭი. ერთ-ერთ საჭურველთმტვირთველს, სახელად რიგოს, მეფემ თავისი ფეხსაცმელი ჩააცვა, სამეფო სამოსით შემოსა და უბრძანა წმინდანს როგორც მეფე ისე წარდგომოდა, თან ამაღლის სამი წევრი გააყოლა, კერძოდ, ბულთი, როდერიკი და ბლინდინი. ისინი რიგოს აქეთ-იქით უნდა გაჰყოლოდნენ, რომელიც ღმრთის მონის წინაშე მეფე

ტოტილად უნდა წარმდგარიყო. გარდა ამისა, სხვა მსახურე-
ბი და საჭურველთმტვირთველნიც გააყოლა, რათა როგორც
სამოსლის, ასევე ამაღლის მიხედვითაც ნამდვილ მეფეს დამ-
სგავსებოდა. როდესაც სამოსლითა და ამაღლით დამშვენებული
რიგო მონასტერში შევიდა, წმიდა მოსაგრე მყისვე ჩამოჯდა,
დააცადა მოსულთ ისეთ მანძილზე მიახლოვებოდნენ, რომ მი-
სი ხმა გაეგოთ და შესძახა: „განიშორე, შვილო ჩემო, განი-
შორე, რაც გიტვირთავს, არ არის შენი“. რიგო მაშინვე მი-
წაზე დაემხო, იგი შეძრწუნდა იმის გამო, რომ გაკადნიერდა
მოეტყუებინა ასეთი ადამიანი. ყველა მისი მხლებელიც მიწას
განერთხა. ფეხზე წამოდგომის შემდეგ წმინდანთან მიახლოე-
ბა ვერ გაბედეს, დაბრუნდნენ თავიანთ მეფესთან და შიშით
აკანკალებულებმა უამბეს, ბენედიქტემ მათი სიცრუე როგორ
სწრაფად ამხილა.

თავი მეთხუთმეტი

წინასწარმეტყველება, რომელიც იმავე მეფე ტოტილასა
და ქალაქ კანუზიუმის ეპისკოპოსის მიმართ გამოითქვა

მაშინ ტოტილა წმიდა მამას თავად ეახლა. როცა დაინახა,
ახლოს მისვლა ვერ გაბედა და მიწაზე დაემხო. ღმრთის კაცმა
ორჯერ და სამჯერ უთხრა: „წამოდექი“, მაგრამ ის მის წი-
ნაშე ადგომას ვერ ბედავდა. მაშინ ბენედიქტე, იესო ქრისტეს
მონა, თვითონ მიუახლოვდა მიწაზე გართხმულ მეფეს, წამოა-
ყენა, უჯერო საქმეთა გამო ამხილა და რამდენიმე სიტყვით
მომავალი უწინასწარმეტყველა. „მრავალ ბოროტებას ჩადი-
ნარ, — თქვა მან, — მრავალი ბოროტებაც ჩაგიდენია, თუმცა
მომავალში მოინანიებ უკეთურებას. რომში შესვალ, ზღვას
გადალახავ, ცხრა წელი იმეფებ, მაგრამ მეათე წელს მოკვდე-

ბი“. ამ სიტყვებმა მეფე ძლიერ შეაშინა, მისგან ლოცვა გამოითხოვა და მას შემდეგ უკლო სისასტიკეს. რამდენიმე ხანში ტოტილა თავს დაესხა რომს, შემდეგ სიცილიაში წავიდა, ხოლო მეფობის მეათე წელს, ყოვლისშემძლე ღმერთის ნებით, მეფობა სიცოცხლესთან ერთად დაკარგა.

ამ ღმერთის მონასთან ხშირად მოდიოდა კანუზიუმის ეკლესიის წინამძღოლი, რომელიც მისი ცხოვრების გამო ბენედიქტეს ძლიერ უყვარდა. ბენედიქტესთან საუბარში, მეფე ტოტილას თავდასხმისა და რომის დაქცევის გამო, ეპისკოპოსმა თქვა: „ეს მეფე ქალაქს ისე მოსპობს, რომ იქ ველარავინ იცხოვრებს“. წმინდანმა მიუგო: „რომს წარმართები კი არ დააქცევენ, არამედ საშინელი ქარიშხლების, თავდასხმებისა და მიწისძვრების შედეგად თავისით დაიქცევა“. ამ წინასწარმეტყველების საიდუმლო ჩვენთვის უკვე დღესაც ნათელია: ჩვენი თვალთ ვხედავთ ამ ქალაქში დარღვეულ კედლებს, გადაქცეულ სახლებს, დამხობილ ტაძრებს, ვხედავთ თანდათან როგორ იქცევა ნანგრევებად ძველი შენობები. ეს ამბავი ბენედიქტეს მოწაფე ჰონორატმა მიაგებო, რომელმაც ამის შესახებ შეიტყო არა თვით წმინდანისგან, არამედ — ძმებისგან.

თავი მეთექვსმეტი

დემონისგან დროებით გათავისუფლებული კლერიკოსი

იმხანად ქალაქ აკვინიუმის ეკლესიის კლერიკოსი დემონმა შეიპყრო. ამ ეკლესიის წინამძღოლი, ღირსი კონსტანტი, მას მოწამეთა საფლავებთან გზავნიდა. მაგრამ წმიდა მოწამეებმა მისთვის ჯანმრთელობის მინიჭება არ ინებეს იმის გამო, რომ გამოჩენილიყო, თუ როგორი მაღლი განისვენებდა ბენედიქტეზე. კლერიკოსი ღმერთის მონა ბენედიქტესთან მიიყვანეს,

რომელმაც იესო ქრისტესადმი აღვლენილი ლოცვით მყისვე განდევნა შეპყრობილი ადამიანისგან ბოროტი სული. განკურნებულს მან მცნებად დაუღო: „წადი, ამიერიდან არ ჭამო ხორცი და არასოდეს შეიმოსო სამღვდლო ხარისხი, თორემ იმ დღესვე, როდესაც გაკადნიერდები და სამღვდლო ხარისხს შეიმოსავ, კვლავ ეშმაკის ძალაუფლების ქვეშ აღმოჩნდები“. კლერიკოსი გამოჯანმრთელებული დაბრუნდა და რადგან ახალი სასჯელი, როგორც წესი, აშინებს სულს, ერთ ხანს იცავდა წმიდა მამის მითითებას. წლების შემდეგ, როდესაც მასზე უფროსები ამქვეყნიდან გავიდნენ, მან განიზრახა სამღვდლო ხარისხით უმცროსებზე უპირატესი გამხდარიყო, ღმრთის კაცის სიტყვები დროთა განმავლობაში დაივიწყა და სამღვდლო დასს შეუერთდა. ეშმაკი, რომელმაც აღრე დატოვა იგი, მყისვე დაეუფლა და სიკვდილამდე ტანჯავდა.

პეტრე: წმიდა ბენედიქტე, როგორც ჩანს, თვით საღმრთო საიდუმლოებს სწვდებოდა, რადგან განჭვრიტა, რომ ეს კლერიკოსი ეშმაკის ხელთ აღმოჩნდებოდა, თუკი სამღვდლო დასთან შეერთებით გაკადნიერდებოდა.

გრიგოლი: როგორ არ ეცოდინებოდა საღმრთო საიდუმლონი იმას, ვინც ღმრთის მცნებებს იცავდა, რადგან დაწერილია: „ხოლო რომელი შეეყოს უფალსა, ერთ სულ არს“ (1 კორ. 6, 17).

პეტრე: თუკი ის, ვინც უფალს შეეყოფა, ერთ სულ არს მასთან, მაშინ იგივე დიდებული მქადაგებელი (მოციქული პავლე) რატომ ამბობს სხვაგან: „ვინ ცნა გონებად უფლისაჲ? ანუ ვინ თანა-მზრახვალ ეყო მას?“ (რომ. 11, 34). შეუსაბამოდ მეჩვენება, ერთ სულ იყო ვინმესთან და ვერ იცნა მისი გონება.

გრიგოლი: რამდენადაც წმიდა მამები ღმერთს შეერთვიან, ცნობენ ღმერთის გონებას. რადგან იგივე მოციქული ამბობს: „ვინ-მე უკუე იცის კაცმან კაცისაჲ, გარნა სულმანვე კაცისა-მან, რომელი არს მისთანა? ეგრეცა ღმრთისაჲ არავინ იცის, გარნა სულმანვე ღმრთისამან“ (1კორ. 2, 11), და იმის საჩვენებლად, რომ იცნობს ღმერთს, ამბობს: „ჩუენ სული არა ამის სოფლისაჲ მოგვლებიეს, არამედ სული იგი, რომელ არს ღმრთისაგან“ (1 კორ. 2, 12). და კიდევ: „რომელი თუალმან არა იხილა, და ყურსა არა ესმა, და გულსა კაცისასა არა მოუვდა, რომელი განუმზადა ღმერთმან მოყვარეთა თვისთა. ხოლო ჩუენ ღმერთმან გამოგვცხადა სულისა მიერ თვისისა“ (1 კორ. 2, 9-10).

პეტრე: თუკი ამ მოციქულს ღმერთის სულმა საღმრთო საიდუმლონი გამოუცხადა, მაშ როგორღა ამბობს: „ჟ, სიღრმე სიმდიდრისა და სიბრძნისა და მეცნიერებისა ღმრთისაჲ! ვითარ გამოუძიებელ არიან განკითხვანი მისნი და გამოუკვლეველ არიან გზანი მისნი!“ (რომ. 11, 33). და ამ სიტყვებზე სხვა კითხვა მიჩნდება. წმიდა წინასწარმეტყველი დავითი უფალს ეუბნება: „ბაგითა ჩემითა მიუთხრენ ყოველნი სამართალნი პირისა შენისანი“ (ფს. 118, 13). რატომ ამტკიცებს წმიდა პავლე, რომ გამოუძიებელ არიან განკითხვანი უფლისანი, როდესაც დავითი მოწმობს, რომ არა მარტო იცოდა ყოველნი სამართალნი უფლისანი, არამედ მიუთხრობდა კიდევ თავისი ბაგეებით.

გრიგოლი: ორივე კითხვაზე უკვე გიპასუხე მოკლედ, როდესაც გითხარი: რამდენადაც წმიდა მოღვაწენი ღმერთს შეერთვიან, მათთვის უცნობი არ არის უფლის გონება, რადგან ყოველი, ვინც სათნოებათა გზით უფლის მიმდევარია, მას შეერთვის. მაგრამ, რადგან ხორციით არიან დამძიმებულნი,

უფალთან მოუკლებელად ყოფნა არ ძალუძთ. ამიტომ, რამდენადაც შეერთვიან მას, იმდენად იციან ღმერთის დაფარული განგება; ხოლო რამდენადაც განეშორებიან მას — არ იციან. რადგან მისი საიდუმლოს წვდომა სრულყოფილად არ ძალუძთ, მოწმობენ, რომ გამოუკვლევებლ არიან განკითხვანი მისნი. რადგან გონებით შეერთვიან მას, ამ ერთობის გზით წმიდა წერილის სიტყვით ან საიდუმლო გამოცხადებების საშუალებით გულისხმავოფენ და შეიცნობენ საღმრთო განგებას და აუწყებენ სხვებსაც. ამგვარად, მათ არ იციან განგება, რომელზეც თვით უფალი დაიდუმებს, ხოლო ღმერთისგან ნაუწყები იციან. ამიტომ, როდესაც წმიდა წინასწარმეტყველმა დავითმა თქვა: „ბაგითა ჩემითა მიუთხრენ ყოველნი სამართალნი“, იქვე დაუმატა: „პირისა შენისანი“, თითქოსდა ამით ამბობს: ის განგება შევძელი შემცნო და მეუწყებიანა, რომელთა შესახებ მემცნო შენს ბაგეთაგან, რადგან იმას, რასაც არ ამბობ, უეჭველია ფარავ ჩვენი შემცნებისგან. ამიტომ წინასწარმეტყველისა და მოციქულის აზრები ეთანხმება ურთიერთს — გამოუძიებელ არინ განკითხვანი ღმრთისანი; მაგრამ, რომელთაც ის გამოთქვამს თავისი ბაგეებით, ეხარება ადამიანთა პირით, რადგან ადამიანებს შეუძლიათ შეიცნონ მხოლოდ ის, რასაც ღმერთი გამოუცხადებს, ხოლო დაფარულს ვერ შეიცნობენ.

პეტრე: ამგვარად, ჩემი კითხვა თავადვე შეიცავდა პასუხს. მიაბზე, გეთაყვა, თუ კიდევ იცი რაიმე ამ მოსაგრის სასწაულთაგან.



თავი მეჩვიდმეტი

წინასწარმეტყველება მონასტრის დანგრევის შესახებ,
რომელიც წმიდა მამამ გამოთქვა

სახელოვანი კაცი, სახელად თეოპრობი, რომელიც ბენედიქტეს ხელმძღვანელობით ცხოვრობდა, ღმრთის სათნო ცხოვრების გამო მისი უდიდესი ნდობით სარგებლობდა. ერთხელ ბენედიქტეს სენაკში შესულ თეოპრობს ის მწარედ ატირებული დახვდა. თეოპრობი დიდხანს იდგა და შესცქეროდა წმიდა მამა როგორ ღვრიდა ცრემლს, თანაც არა იმგვარს, როგორც ჩვეულებრივ ლოცვის დროს ღვრიდა, არამედ მტკივნეულად იურვოდა, და დაეკითხა, რა იყო მისი ასეთი ჭმუნვის მიზეზი. ღმრთის კაცმა მყისვე მიუგო: „ეს მონასტერი, რომელიც მე ავაშენე და ყოველივე, რაც ძმებისთვის არის მომზადებული, ყოვლისშემძლე ღმერთის განგებით წარმართების ხელში გადავა. ღმერთისგან ისლა გამოვითხოვე, რომ აქ მცხოვრებ ძმათა სულები მომშალლოს“. ეს წინასწარმეტყველება მხოლოდ თეოპრობმა იცოდა. ჩვენ ვხედავთ, რომ ახდა იგი, რადგან ვიცით, მონასტერი ღონგობარდებმა დააქციეს. ღამით, როდესაც ძმებს ეძინათ, ღონგობარდები მონასტერში შეიჭრნენ; მათ ყველაფერი გაიტაცეს, მაგრამ არც ერთი ადამიანი არ წაუყვანიათ: ყოვლისშემძლე ღმერთმა აღასრულა ის, რაც თავის ერთგულ მონა ბენედიქტეს აღუთქვა, ანუ ქონება წარმართებს გაატანა, ხოლო სულები დაიფარა. ამ შემთხვევაში წმიდა ბენედიქტესთან ისეთივე რამ აღსრულდა, რაც ერთ დროს მოციქულ პავლესთან (საქმე 27, 22-44), რომელსაც ზღვაზე ქარიშხლის შემდეგ ღმერთმა ნუგეშად თანამგზავრთა სიცოცხლე მიმადლა, თუმცა ხომალდი ტვირთთან ერთად დაინთქა.

თავი მეთვრამეტი

გადამალული ჭურჭელი, რომლის შესახებ წმიდა მამამ
სულით შეიტყო

ერთხელ ჩვენი ექსილარატი, რომლის მოქცევის შესახებ თავადაც იცი, წინამძღვარმა ორი თიხის ჭურჭლით (რომლებსაც ხალხი ფლაკონებს უწოდებს) ღვინის მოსატანად გაგზავნა. მან ერთი მოიტანა, მეორე კი გზაში გადაძალა, მაგრამ წმიდა მამამ, რომლისთვისაც მის არყოფნაში ჩადენილი საქციელი დაფარული არ რჩებოდა, მოტანილი ჭურჭელი მაღლობით მიიღო და მიმავალი ყრმა დაარიგა: „გაფრთხილდი, შვილო ჩემო, იმ ჭურჭლიდან, რომელიც გადაძალე, არ დალიო, ფრთხილად დახარე და ნახავ, შიგნით რა არის“. ღმრთის კაცისგან ის აღელვებული გამოვიდა და იმის შესამოწმებლად, რაც გაიგონა, წავიდა და ჭურჭელი დახარა, საიდანაც გველი გამოსრიალდა. მაშინ ყრმა ექსილარატი, მხილებული იმით, რაც ნახა ღვინოში, თავისივე ნამოქმედართ შეპრწუნდა.

თავი მეცხრამეტი

დამალული ხელსახოცები, რომელთა შესახებ წმიდა ბენედიქტემ შეიტყო

მონასტრის სიახლოვეს ერთი სოფელი მდებარეობდა, სადაც წმიდა ბენედიქტემ უამრავი ადამიანი კერპთაყვანისმცემლობიდან ღმერთის რწმენაზე მოაქცია. იქვე რამდენიმე წმიდა დედაკაცი ცხოვრობდა. წმინდანი ცდილობდა სულიერი სარგებლობისთვის ძმები მათთან ხშირად გაეგზავნა. ერთხელ ჩვეულებრივ გაგზავნა, მაგრამ გაგზავნილმა მონაზონმა ქადაგება-სწავლების შემდეგ, მოწესე დედებისგან საჩუქ-

რად ხელსახოცები მიიღო და უბეში დამალა. დაბრუნებისთანავე ღმრთის მონამ იგი გულისწყრომით ამხილა: „როგორ შევიდა უღირსება შენს წიაღში?“ მაგრამ ის თითქოსდა გამოშტერდაო, დაავიწყდა, რაც ჩაიდინა და ვერ მიხვდა, რისთვის საყვედურობდნენ. ბენედიქტემ უთხრა: „ნუთუ არ ვიყავი იქ, როდესაც ღმრთის მხევლებს ხელსახოცები გამოართვი და უბეში ჩაიდე?“ დამნაშავე მყისვე მის ფერხთით დავარდა, ცოლვა შეინანა და უბეში დამალული ხელსახოცები გადააგლო.

თავი მეოცე

მონაზვნის ამპარტავნული გულისთქმა, რომელიც წმიდა მამამ შეიცნო

ერთხელ, საღამოხანს, ღირსი მამა საზრდელს იღებდა, ერთ მონაზონს ხელში კელაპტარი ეპყრა და უნათებდა. წმიდა მამა მიირთმევდა, ხოლო ის მის წინ კელაპტრით ხელში იდგა და ბოროტი სულის წაქეზებით გულში ამგვარად ფიქრობდა: „ვინ არის ის, რომ მის წინაშე ვიდგე, მან ჭამოს, მე კი კელაპტარი მეჭიროს და ვემსახურო?“ ღმრთის კაცმა მას მაშინვე მხილებით მიმართა: „გულზე ჯვარი გამოისახე, ძმაო, რას ფიქრობ? გამოისახე ჯვარი გულზე“. მყისვე ძმებს მოუხმო, უბრძანა მისთვის ლამპარი ჩამოერთმიათ, თვით მას კი უბრძანა დაეტოვებინა მსახურება და თავის სენაკში განმარტოებულყო. ძმების კითხვაზე, თუ რას ფიქრობდა ის გულში, მან თანამიმდევრულად მოუთხრო, როგორი ამპარტავნული გულისთქმა დაეუფლა და წმიდა მამის წინააღმდეგ გონებაში რა სიტყვებს ამბობდა. მაშინ ყველასთვის ცხადი შეიქნა, რომ ღირსი ბენედიქტესგან დაფარული არაფერი რჩებოდა და მას იღუმალი ზრახვებიც ყურში ჩაესმოდა.

თავი ოცდამეერთე

ორასი საწყაო ფქვილი, რომელიც შიმშილობის დროს
წმიდა მოსაგრის სენაკთან აღმოაჩინეს

ერთხელ კამპანიის ოლქის იმ ნაწილში შიმშილობა მძვინვარებდა და ხალხი სანოვაგის დიდ ნაკლებობას განიცდიდა: თვით ბენედიქტეს მონასტერსაც აღარ ჰქონდა ხორბალი, პურიც თითქმის გამოიღია, ტრაპეზის დროს ძმებისთვის ხუთი-ოდე პური ძლივს მოიძიეს. როდესაც ღირსმა მამამ მათი მწუხარება შენიშნა, შეეცადა მშვიდი მხილებით გამოესწორებინა მათი სულმოკლეობა და დაემშვიდებინა დაპირებით: „რად შეგიძრწუნდათ გულები პურის სიმცირით? მართალია, დღეს ცოტაა, ხვალ სამაგიეროდ უხვად გექნებათ“. მეორე დღეს მისი სენაკის წინ ტომრებით ორასი საწყაო ფქვილი ნახეს: დღემდე უცნობია, ყოვლისშემძლე ღმერთმა ეს შემოწირულობა ვისი ხელით გამოუგზავნა. როდესაც ამის შესახებ ძმებმა შეიტყვეს, ღმერთს მადლობა აღუვლინეს და ისწავლეს, სიუხვის მოკლების გამო თვით უქონლობის ჟამსაც არ შეორგულდნენ.

პეტრე: მითხარი, გეთაყვა, ამ ღმრთის მონაში წინასწარ ხედვის სული მოუკლებელად იყო, თუ მხოლოდ დროდადრო აღივსებოდა მისი გონება წინასწარმეტყველების სულით?

გრიგოლი: წინასწარმეტყველების სული, პეტრე, წინასწარმეტყველთა გონებას ყოველთვის არ განანათლებს. როგორც სულიწმინდის შესახებ არის დაწერილი: „სულსა ვიდრეცა უნებნ, ქრინ“ (იოან. 3, 8). უნდა ვიცოდეთ, რომ ის „ქრინ“ – როდესაც და რატომაც ინებებს. მაგალითად, როდესაც დავითმა ჰკითხა ნათანს (2 მეფ. 7, 3-17), შეძლებს თუ არა (დავითი) ტაძრის აგებას, ნათანმა ჯერ დადებითად უპასუხა, ხოლო შემდეგ უარყოფითად. როდესაც ელისემ მტირა-

ლი დედაკაცი დაინახა და მისი ტირილის მიზეზი არ იცოდა, ყრმას, რომელიც მას ტირილს უკრძალავდა, უთხრა: „აცადე და ნუ ეტყვ, რამეთუ ტკივნეულ არს, და უფალმან დამალა ჩემგან და არა მითხრა მე“ (4 მეფ. 4, 27). ამ შემთხვევაში ყოვლისშემძლე ღმერთი მოქმედებს უდიდესი გულმოწყალებით: წინასწარმეტყველების სულს ზოგჯერ ანიჭებს, ზოგჯერ მოუღებს. ამ გზით წინასწარმეტყველის გონებას აღამაღლებს და სიმდაბლეშიაც იცავს, რათა სულის მოსვლისას სედაკდნენ, ღმერთი მათზე რას აღასრულებს, ხოლო მასთან განშორებისას შეიცნონ, საკუთარი ძალების ამარა როგორი უძლურნი არიან.

პეტრე: დარწმუნებული ვარ, მართლაც ისეა, როგორც შენ ამტკიცებ. გთხოვ, მიამბე, თუ გაგონდება კიდევ რაიმე ღირსი ბენედიქტეს შესახებ.

თავი ოცდამეორე

ტერაციანის მონასტრის აგება, როგორც ამის შესახებ
ხილვაში ემცნო წმიდა ბენედიქტეს

გრიგოლი: ერთმა ღმრთისმოშიშმა კაცმა წმიდა ბენედიქტეს სთხოვა თავისი მოწაფეები წარეგზავნა, რათა მის მამულში, ქალაქ ტერაციანის მახლობლად მონასტერი აეგოთ. ბენედიქტე მის თხოვნას დაეთანხმა, რამდენიმე ძმა გაგზავნა და მათ წინამძღვარი და მისი მოადგილეც დაუდგინა. გამგზავრების წინ მათ დაჰპირდა: „წადით, მე ამა და ამ ღლეს მოვალ და გიჩვენებთ, სად უნდა ააგოთ ტაძარი, სად — ძმათა სატრაპეხო, სად — სასტუმრო მომსვლელთა მისაღებად და სხვა აუცილებელი ნაგებობები“. მათ ლოცვა-კურთხევა მიიღეს, იმ ადგილზე გაემგზავრნენ, დანიშნულ ღლეს მოუთმენ-

ლად ელოდნენ და მონასტრის მშენებლობისთვის ყოველივე აუცილებელი მოამზადეს. დანიშნული დღის წინ, იმ ღმრთის მონას, რომელიც წინამძღვრად იქნა დადგენილი და მის მოაღვილეს, წმიდა მამა ძილში გამოეცხადა და ზედმიწევნით მიანიშნა, სად რა უნდა აეგოთ. გაღვიძებულებმა ნანახი ერთმანეთს გაანდეს, მაგრამ ძილში ნანახს მთლად ვერ მიენდვნენ და ღმრთის კაცს დაელოდნენ, რადგან იგი მოსვლას დაჰპირდა. როდესაც დანიშნულ დღეს წმინდანი არ მოვიდა, დამწუხრებულები მივიდნენ მასთან და უთხრეს: „მამაო, გელოდით, გვეგონა, რომ დაპირებისამებრ მოხვიდოდი და გვიჩვენებდი, სად რა უნდა აგვეგო, მაგრამ არ მოხვედი“. მან უპასუხა: „ძმებო, ამას რად ამბობთ? ნუთუ დაპირებისამებრ არ მოვედი?“ კითხვაზე: „როდის მოხვედი?“ — მან მიუგო: „ნუთუ ორივე თქვენგანს ძილში არ გამოეცხადეთ და აღვილები არ მიგიითითეთ? წადით და რაც გესმათ და იხილეთ, მონასტრის შენობა იმგვარად ააგეთ“. მათ ეს სიტყვები დიდი გაკვირვებით მოისმინეს, ხსენებულ მამულში დაბრუნდნენ და მონასტრის ყველა შენობა ისე ააგეს, როგორც ძილში იხილეს.

პეტრე: მსურს ვიცოდე, როგორ შეიძლებოდა მომხდარიყო, რომ ძმებისგან შორს მყოფ წმინდანს მძინარეთათვის მითითება მიეცა, რაც მათ ძილში იხილეს და ესმათ.

გრიგოლი: პეტრე, რად ეჭვობ და გამოეძიებ, თუ რაგვარად აღესრულა ეს საქმე? სრულიად ცხადია, რომ სული ბევრად უფრო ადვილად გადაადგილდება, ვიდრე სხეული. წმიდა წერილის დამოწმებით უეჭველად ვიცით, რომ იუდეიდან აღტაცებული წინასწარმეტყველი (ამბაკუმი), უეცრად დაეშვა ქალდეაში საჭმლით ხელში (დან. 14, 33-39), რომლითაც წინასწარმეტყველი (დანიელი) ასაზრდოვა და შემდეგ ისევე

მეცხეულად იუდეაში აღმოჩნდა. ამრიგად, თუკი ამბაკუმს შეეძლო სხეულით ასე შორს გადაადგილებულიყო და წამისყოფაში საჭმელი მიეტანა წინასწარმეტყველისთვის, რა გასაკვირია, თუკი ბენედიქტე იქ მივიდა, სადაც სულით ისწრაფოდა და მძინარე ძმების სულებს უთხრა ის, რაც საჭირო იყო? როგორც იმან სხეულით მიაღწია სხეულის გამოსაკვებად, ისე ამან – სულიერად, სულიერი ცხოვრების მოსაწყობად.

პეტრე: შენმა სიტყვამ, გამოგოცხადები, ეჭვი გამიფანტა, მაგრამ მინდა ვიცოდე, ეს მოსაგრე ჩვეულებრივ საუბარში როგორი იყო?

თავი ოცდამესამე

ორი ენკრატისი (მონაზონი დედები), რომლებიც სიკვდილის შემდგომ წმიდა ბენედიქტეს მიერ ევქარისტიაზე აღვლენილი ლოცვით ეკლესიის წიაღში იქნენ დაბრუნებულნი

გრიგოლი: წმიდა ბენედიქტეს სრულიად ჩვეულებრივი საუბარიც, პეტრე, სულიერ ძალას მოკლებული არ იყო: ვისი გულიც ღმერთისკენ ისწრაფოდა, იმის ბაგეთაგან გამოსული სიტყვა ამაო არასოდეს ყოფილა. თუკი ოდესმე რაიმეს დაუმტკიცებლად გამოთქვამდა, მხოლოდ მუქარით, მაშინაც კი მისი სიტყვა ისეთი ძალმოსილი იყო, თითქოს გადაჭრით გამოეთქვას, საბოლოო განაჩენის სახით. მაგალითად, მისი მონასტრის სიანბლოვეს ორი წარჩინებული ღმრთისმოსავი ენკრატისი თავისსავე სახლში სულის ცხოვრებისთვის იღვწოდა. მათ ერთი ღმრთისმოსაშიშიში კაცი შეეწეოდა და სიცოცხლისთვის ყოველივე აუცილებელს აწვდიდა. ზოგიერთ ადამიანში წარმომავლობა სულმდაბლობას შობს და თავს მხოლოდ იმის


გამო განიდიდებენ, რომ თავიანთი წარმომავლობა ახსოვთ. ხსენებულმა დედებმაც ენა სრულად ვერ მოთოკეს, თავს სათნოების გარეგანი საფარველით იფარავდნენ და იმ ღმრთის-მოშიშ მონას, რომელიც მათ საარსებო საშუალებებს აწვდიდა, მოურიდებელი სიტყვებით ხშირად შეურაცხყოფდნენ. ის დიდხანს ითმენდა, მაგრამ შემდეგ ღმრთის კაცს ეახლა და უამბო, დედებისგან რა შეურაცხყოფას ითმენდა. წმინდანმა მათ შესახებ ეს რომ გაიგო, მაშინვე შეუთვალა: „ენები მოიზღუდეთ; თუკი არ გამოსწორდებით, ეკლესიისგან განგკვეთთ“. განკვეთის შესახებ მან, ცხადია, წარმოთქვა არა გადაჭრით, არამედ – მხოლოდ მუქარით. ქალწულებს ნაკლი ოდნავადაც არ გამოუსწორებიათ, რამდენიმე დღის შემდეგ კი აღესრულნენ და ტაძარში დაკრძალეს. როდესაც იმ ტაძარში ლიტურგია აღევლინებოდა და დიაკვანი წარმოთქვამდა სიტყვებს: „კათაკმეველნო განვედით“, – იმ მოწესე დედების აღმზრდელი ქალი, რომელსაც წესად ჰქონდა მათ სახელზე უფლის მიმართ შესაწირავი გაელო, ხელავდა, ისინი საფლაკებიდან როგორ დგებოდნენ და ტაძრიდან გადიოდნენ. რამდენიმე ხილვის შემდეგ აღმზრდელს მოაგონდა, თუ რა უთხრა მათ ღმრთის კაცმა, როდესაც ცოცხლები იყვნენ. მათ ეკლესიასთან ერთობა აქვთ ჩამორთმეული, – გადაწყვიტა აღმზრდელმა, – რადგან არ გამოასწორეს ენა და ზნე. მაშინ დამწუხრებულმა ქალმა ამის შესახებ ღმრთის მონას მოუთხრო. წმიდა ბენედიქტემ მყისვე სეფისკვერი მისცა და უთხრა: „წადი, ეს სეფისკვერი უფალს მათთვის შესწირე და განკვეთილები აღარ იქნებიან“. როდესაც ეს მსხვერპლი შეწირულ იქნა და დიაკვანმა კვლავ ჩვეულებისამებრ მოუწოდა, რომ კათაკმევლები ტაძრიდან გასულიყვნენ, მოწესე დედები გარეთ აღარ გასულან. სრულიად ცხადად ჩანს, რომ განკვეთილნი კათაკ-

მეველთა რიცხვში იყვნენ, ვიდრე ღმრთის მონის მეოხებით უფალმა ეკლესიასთან ერთობის ღირსი არ გახადა.

პეტრე: საკვირველია, ჯერ კიდევ ამქვეყნად, ხრწნად ხორცში მყოფმა ღირსმა მამამ, როგორ გახსნა სულები, რომლებიც უკვე სხვა, უხილავ მსჯავრს იყვნენ დაქვემდებარებულინი.

გრიგოლი: საყვარელო პეტრე, ნუთუ ხორცში არ იყო ის, ვისაც ესმა აღთქმა: „რომელი შეჰკრა ქუეყანასა ზედა, კრულ იყოს იგი ცათა შინა; და რომელი განჰჴსნა ქუეყანასა ზედა, ვსნილ იყოს იგი ცათა შინა“ (მათ. 16, 19)? შეკვრასა და გახსნაში მისი მემკვიდრენი ისინი არიან, ვინც რწმენისა და კეთილზნეობრიობის მეოხებით სამღვდელო ხელმწიფებას იღებენ. მიწიერ ადამიანს ამგვარი საქმის აღსრულება რომ შეძლებოდა, ცისა და მიწის შემოქმედი ზეციდან ქვეყნად გარდამოხდა, — ხორცს თვით სულთა განსჯაც რომ შეძლებოდა; ღმერთმა, რომელმაც ხორცნი შეისხნა ადამიანთათვის, იგი ამგვარი მაღლის ღირსი გახადა, — ჩვენი უძღურება მაშინ დაიძლია, როდესაც იგი ღმერთის ძლიერებამ შეიმოსა.

პეტრე: სიტყვის ჭეშმარიტება სასწაულის ძალით მართლდება.



თავი ოცდამეოთხე

ყრმა მონაზონი, რომელსაც დაკრძალვის შემდეგ მიწა
განაგებდა

გრიგოლი: ერთხელ ყრმა მონაზონი, რომელსაც მშობლები ზომაზე მეტად უყვარდა, მათთან გაემგზავრა, მაგრამ მონასტრიდან კურთხევის გარეშე გავიდა და იმ დღესვე, მათთან მისვლისთანავე, გარდაიცვალა. ის დაკრძალეს, მაგრამ მეორე დღეს მისი სხეული მიწიდან ამოგდებული ნახეს. ის კვლავ დაკრძალეს, მაგრამ მომდევნო დღეს ისევ ამოგდებული აღმოაჩინეს. მაშინ დაუყოვნებლივ წმიდა ბენედიქტეს მიმართეს და ცხარე ცრემლით ევედრებოდნენ, რომ მას ყრმისთვის შენდობა მიემადლებინა. წმიდა მამამ ზეთი აკურთხა, მისცა და უთხრა: „წადით, ეს ზეთი მკერდზე დაასხით და ამგვარად დაკრძალეთ“. როდესაც მათ ბრძანება აღასრულეს, მიწამ სხეული შეიწყნარა და აღარ განუგდია. გულისხმაყავ, პეტრე, ეს მოღვაწე უფალ იესო ქრისტესაგან როგორი მაღლით იყო მოსილი: იმის სხეულს მიწაც კი განაგებდა, ვინც ღირსი ბენედიქტეს ბრძანება დაარღვია.

პეტრე: ცხადად ვხედავ და გაკვირვებული ვარ.

თავი ოცდამეხუთე

მონაზონი, რომელსაც მონასტრიდან გასვლის შემდეგ
ურჩხული შეხვდა.

გრიგოლი: ერთი მონაზონი გონებაგაფანტულობამ შეიპყრო და მონასტერში ცხოვრება აღარ სურდა. წმიდა მამა გულმოდგინედ შეაგონებდა და ხშირად აფრთხილებდა, მაგრამ ის არაფრით თანხმდებოდა ძმობაში დარჩენილიყო და გულისგამაწვრილებელი თხოვნით — გაეშვა მონასტრიდან —

ღირს მამას იმდენად შეაწყინა თავი, რომ განრისხებულმა უბრძანა, წასულიყო. გავიდა თუ არა მონასტრიდან, მონაზონს გზაზე, პირისპირ, პირდაღებული ურჩხული შეხვდა. მან შეჭმა დაუპირა, შეშინებულმა მონაზონმა კი ხმამაღალი ყვირილი მორთო: „მიშველეთ, ურჩხული შეჭმას მიპირებს“. ძმებმა მოირბინეს, მაგრამ ურჩხული ვერსად ნახეს, ათრთოლებული მონაზონი კი მონასტერში დააბრუნეს. მან მაშინვე აღთქმა დადო, რომ მონასტრიდან აღარასოდეს გავიდოდა და მტკიცედ შეასრულა თავისი აღთქმა. ამგვარად, წმინდანის ლოცვით, მან ურჩხული პირისპირ იხილა, რომელსაც აქამდე ისე მიჰყვებოდა, რომ ვერ ხედავდა.

თავი ოცდამეექვსე

კეთრისგან განკურნებული ყრმა

ვფიქრობ, არ უნდა გავჩუმდე იმის თაობაზე, რაც გავიგე სახელგანთქმული მოსაგარის, ანტონისგან, რომელიც მიაძობოდა, რომ მამამისს ყრმა კეთრით დაუავადდა, მას თმა გასცვივდა, ხოლო კანი ამოებურცა და ჩირქის გროვას ველარ ფარავდა. მამამ ის წმიდა ბენედიქტესთან გაგზავნა და ყრმა მაშინვე განიკურნა.

თავი ოცდამეშვიდე

ოქროს მონეტები, რომლებიც მოვალემ სასწაულებრივად აღმოაჩინა

იმასაც გადმოგცემ, რასაც ბენედიქტეს მოწაფე, სახელად პერეგრინე, ხშირად მიაძობოდა. ერთ პატიოსან კაცს ვალები დაუგროვდა. მან თავის გადასარჩენად ერთადერთი საშუალება მოიფიქრა – წმინდანთან მისულიყო და ეთქვა, ვალი რო-

გორ ამძიმებდა. წავიდა მონასტერში, მოძებნა იგი და უამბო, როგორ ითხოვდა მისგან მევალე თორმეტ ოქროს. ღირსმა მამამ საწყალი კაცი ტკბილი სიტყვით დაამშვიდა და უთხრა: „ორი ღლის შემდეგ მოდი, რადგან ამჟამად არაფერი მაქვს, რომ მოგცე“. ეს ორი დღე წმინდანმა ჩვეულებისამებრ ლოცვაში გაატარა. როდესაც მესამე დღეს მოვალე დაბრუნდა, მონასტრის საკუჭნაოსთან, სადაც პურს ინახავდნენ, ცამეტი ოქრო აღმოაჩინეს. წმიდა მამამ ნაპოვნი ფული მოატანინა, ბრძანა საწყალი მოვალისთვის მიეცათ და უთხრა, თორმეტი მევალისთვის დაებრუნებინა, ერთი კი საჭიროებისამებრ თვითონ გამოეყენებინა.

დავუბრუნდეთ იმას, რაც წმიდა ბენედიქტეს მოწაფეებისგან შევიტყვე, რომლებიც წიგნის დასაწყისში ვახსენეთ. ერთ ადამიანს მტერი ფრიად აჭირვებდა. ის სიძულვილით იქამდე მივიდა, რომ ფარულად სასმელში შხამს ურევდა. თუმცა შხამმა ვერ მოკლა, მაგრამ კანი ისე აუჭრელდა, რომ კეთრიანს ჰგავდა. მაგრამ ღმრთის კაცთან მისვლისთანავე გამოჯანმრთელდა: ის იყო მას ბენედიქტე შეეხზო, რომ კანის სიჭრელე მყისვე გაქრა და ძველებური იერი დაუბრუნდა.

თავი ოცდამეხუთე

მინის ჭურჭელი, რომელიც ქვაზე დაენარცხა და არ დაიმსხვრა

იმ დროს, როდესაც კამპანიის ოლქში შიმშილობა მძვინვარებდა, წმინდანი ყველაფერს გაჭირვებულებს ურიგებდა, ისე, რომ საკუჭნაოში ცოტაოდენი ზეთის გარდა აღარაფერი დარჩა, რომელიც მინის ჭურჭლით ინახებოდა. მაშინ ერთმა იპოლიაკანმა, სახელად ალაპიტემ, დაჟინებით მოითხოვა,

რომ ცოტაოდენი ზეთი მისთვის მიეცათ. წმინდანმა, რომელსაც გადაწყვეტილი ჰქონდა მიწაზე ყველაფერი გაეცა, რათა ზეცაში დაეუნჯებინა, ბრძანა მთხოვნელისთვის დარჩენილი ზეთი მიეცათ. საკუჭნაოს ზედამხედველმა მონაზონმა წმინდანის მითითება თუმცა გაიგო, მაგრამ არ ადასრულა. როდესაც რამდენიმე ხანში მას ჰკითხეს, შეასრულა თუ არა ბრძანება, მონაზონმა უპასუხა, რომ არ გასცა ზეთი, რადგან მთხოვნელისთვის რომ მიეცა, დანარჩენი ძმებისთვის აღარაფერი დარჩებოდა. მაშინ განრისხებულმა წმიდა ბენედიქტემ სხვებს უბრძანა, რომ ის ჭურჭელი, რომელშიც ცოტაოდენი ზეთი იყო, ფანჯრიდან გადაეგდოთ, რათა მონასტერში დაუმორჩილებლობის გამო არაფერი დარჩენილიყო. ასეც მოიქცნენ. იმ ფანჯრის წინ ციკაბო, ბასრი ქვებით მოფენილი ფლატე იყო. მინის ჭურჭელი ქვებზე დაენარცხა, მაგრამ უვნებელი დარჩა, არც ზეთი დაღვრილა. წმინდანმა უბრძანა ამოეტანათ ჭურჭელი და რადგან მთელი გადარჩა, მთხოვნელისთვის მიეცათ. მაშინ მან ძმათა კრებულის წინაშე ამხილა ურჩი მონაზონი უნდობლობისა და ამპარტავნებისათვის.

თავი ოცდამეცხრი

ზეთით ავსებული ცარიელი კასრი

ამგვარი მხილების შემდეგ წმიდა ბენედიქტე ძმებთან ერთად ლოცვად დადგა. იმ ადგილას, სადაც ისინი ლოცულობდნენ, იდგა ცარიელი, თავდახურული კასრი. წმინდანი ლოცვას განაგრძობდა. ამ დროს კასრის სახურავი აიწია, რადგან მასში ზეთი აღმოჩნდა და მოულოდნელად მატება იწყო. კასრს სახურავი მოხადეს, მაგრამ ზეთმა გადმოსვლა დაიწყო და იატაკზე დაიღვარა. ამის დანახვაზე წმიდა ბენედიქტემ

შეწყვიტა ლოცვა და აღარც ზეთი დაღვრილა იატაკზე. მაშინ ურჩი და ურწმუნო ძმა კიდევ ერთხელ დაარიგა, ის კი ამ მაცხოვნებელი შეგონების შემდეგ დარცხვენილი იდგა, რადგან ღირსმა მამამ სასწაულით უჩვენა ყოვლისშემძლე ღმერთის ძალა, რის შესახებაც თავის დარიგებებში საუბრობდა. მას შემდეგ აღარავის შეჰქონდა ეჭვი იმის დაპირებებში, ვისაც ერთ წუთში თითქმის ცარიელი მინის ჭურჭლის სანაცვლოდ ზეთით სავსე კასრის მოცემა შეეძლო.

თავი ოცდამეათე


ღემონისგან დახსნილი მონაზონი

ერთ დღეს წმინდანი მთის მწვერვალზე აგებულ ნეტარი იოანეს ტაძარში მიდიოდა; გზად უძველესი მტერი შემოხვდა ცხენების ექიმის სახით, თან ბუკი და სამფეხა (ცხენების შესაკრავი იარაღი) მიჰქონდა. წმინდანმა ჰკითხა: „სად მიდიხარ?“ — მან უპასუხა: „ძმებთან მივდივარ, სასმელი უნდა მივცე“. წმინდანი ლოცვაზე წავიდა, რომლის დასრულებისთანავე უკან დაბრუნდა. ბოროტმა სულმა კი ერთი მოხუცი მონაზონი დაინახა, რომელიც წყალს ავსებდა, მყისვე მასში შევიდა, მიწაზე დასცა და საშინლად აწამებდა. როდესაც ეს ლოცვიდან დაბრუნებულმა წმინდანმა დაინახა, მონაზონს სახეში მსუბუქად შემოჰკრა და მყისვე განაგლო მისგან ბოროტი, რომელმაც მასში შესვლა გაბედა.

პეტრე: მსურს ვიცოდე, წმიდა ბენედიქტე ამგვარ სასწაულებს ყოველთვის ლოცვის ძალით აღასრულებდა, თუ მხოლოდ ნების გამოვლენით.

გრიგოლი: იმათ, ვინც კეთილი საქმეებით და გონების სიწმინდით მარადის უფალთან არიან, საჭიროების მიხედვით შე-

უძლიათ აღასრულონ სასწაულები როგორც ერთი, ისე მეორე გზით. ამგვარად, ზოგჯერ ლოცვით აღასრულებენ, ხოლო ზოგჯერ – თავისი ხელმწიფებით. წმიდა იოანე მახარებელი გვეუბნება: „რაოდენთა-იგი შეიწყნარეს, მოსცა მათ კელმწიფებაჲ შვილ ღმრთისა ყოფად“ (იოან. 1, 12). თუკი არსებობენ ისეთი ადამიანები, რომელთაც ხელმწიფება აქვთ შვილ ღმრთისა ყოფად, მაშ რად არის გასაკვირი, რომ ასეთებს თავიანთი ხელმწიფებით ძალუძთ აღასრულონ სასწაულები? მათ რომ ორგვარად ძალუძთ აღასრულონ სასწაულები, კარგად აღასტურებს წმიდა მოციქულ პეტრეს მაგალითი, რომელმაც გარდაცვლილი ტაბითა ლოცვით მკვდრებით აღადგინა (საქმე 9, 39-41), ხოლო ცრუ ანანია და საფირა მხილების გზით სიკვდილს გადასცა (საქმე 5, 1-10). არ არის ნათქვამი, რომ ის მათი მოკვდინებისთვის ლოცულობდა, არამედ მხოლოდ მათი ცოდვა ამხილა. ამგვარად, ცხადია, რომ წმინდანები სასწაულებს თავიანთი ხელმწიფებით აღასრულებენ, ზოგჯერ კი – ლოცვით, როგორც პეტრემ წაართვა სიცოცხლე ანანიას და საფირას, ხოლო ტაბითა ლოცვით მიანიჭა იგი. ერთბაშად მაგონდება წმიდა ბენედიქტეს მიერ აღსრულებული ორი სასწაული, რომელთაგან ერთი უფლისგან მონიჭებული ხელმწიფებით აღასრულა, ხოლო მეორე – ლოცვით.




თავი ოცდამეთერთმეტი

შეკრული გლეხი, რომელიც წმინდანის შეხედვით ღვე-
ლებისაგან გათავისუფლდა

ერთი გუთი, სახელად ცალა, რომელიც არიანულ ერესს მისდევდა მათი მეფის – ტოტილას დროს, მართლმადიდებელი ეკლესიის სასულიერო მოღვაწეების მიმართ საშინელი სიძულვილით იყო აღვისილი. თუკი რომელიმე მღვდელმსახურს ან მონაზონს თვალს მოჰკრავდა, ის ცოცხალი მას თავს ვერ დააღწევდა. ერთ ღღეს ანგარებითა და ავაზაკობით აღძრულმა გუთმა წამება დაუწყო ერთ სოფელს კაცს. წამებით ძლეულმა გუთს უთხრა, რომ თავისი საუნჯე ღმრთის მონაბენედიქტეს მისცა, რათა დრო მოეგო და სიცოცხლე გადაერჩინა, თუკი მტარვალი მის სიტყვებს ირწმუნებდა. ცალამ მისი წამება შეწყვიტა, ხელები სქელი ღვედებით შეუკრა და წინ გაიგდო, რომ გლეხს ეჩვენებინა, ვინ იყო ბენედიქტე, რომელსაც საუნჯე მისცა, ხოლო თვითონ უკან ცხენით გაჰყვა. სოფელმა კაცმა გუთი წმიდა ბენედიქტეს მონასტერთან მიიყვანა. ამ დროს წმინდანი მონასტრის ალაყაფის წინ იჯდა და კითხულობდა. გლეხი მიუბრუნდა ცალას და უთხრა: „აი, ეს არის ბენედიქტე, რომლის შესახებ გითხარი“. გონებაგარყვნილმა და შეშლილმა ცალამ მრისხანე მზერა სტყორცნა წმინდანს, ეგონა მასაც სხვებისვით შეაშინებდა და ხმამაღლა უყვირა: „ადექი, ადექი, დაუბრუნე ამ კაცს ის, რაც წაართვი“. მის ხმაზე წმიდა მამამ საკითხავს თვალი მოსწყვიტა, მას მიაპყრო მზერა და გვიან შენიშნა გლეხი, რომელიც იქვე ხელებშეკრული იდგა. მან როგორც კი მის შეკრულ ხელებს შეხედა, ღვედებმა სასწაულებრივად ისეთი სისწრაფით იწყეს გახსნა, რომ ვერავითარი ადამიანური სიმკვირცხლე ამას ვერ შეძლებდა. როდესაც შეკრული გლეხი წამში გათავი-

სუფლდა, ამგვარი ხელმწიფების ძალით შეშინებული გუთი მიწაზე დაემხო, თავისი სასტიკი ქედი მოიდრიკა წმინდანის ფერხთით და თავი მის ლოცვას შეჰკვედრა. წმინდანმა ძმებს მოუხმო და უბრძანა მონასტერში შეეყვანათ იგი კურთხევის მისაღებად.¹ როდესაც ცალა ისევ მასთან მიიყვანეს, შეაგონებდა დაეტევებინა უგუნური სისასტიკე. გულშემუსვრილებით მიმავალ გუთს აღარაფერი უთხოვია გლეხისთვის, რომელიც წმინდანმა ხელის შეხების გარეშე, მხოლოდ შეხედვით განხსნა საკრველთაგან. აი, რას ნიშნავს, საყვარელო პეტრე, ჩემი ნათქვამი, რომ იმათ, ვინც ყოვლისშემძლე ღმერთს კადნიერებით ემსახურება, ზოგჯერ სასწაულის აღსრულება თავისი ხელმწიფებითაც ძალუძთ. იმას, ვინც გუთის მძვინვარება მჯდომარემ მოათვინიერა, ხოლო ღვედები, რომლითაც უდანაშაულო ადამიანი იყო შეკრული, მზერით გახსნა, ხელმწიფება ჰქონდა იმაზე, რაც აღასრულა. ეს თვით სასწაულის აღსრულების სისწრაფით დაამოწმა. ამასთან ერთად გაიამბობ, თუ რა დიდი სასწაულის აღსრულება შეეძლო მას ლოცვით.



¹ კურთხევაში, როგორც ჩანს, აქ იგულისხმება პური, რომელსაც მონასტერში წინამძღვარი ტრაპეზის წინ აკურთხებს ან – უბრალოდ ტაძარში ნაკურთხი პური. წმიდა ბენედიქტემ ბრძანა ცალა, მიუხედავად მისი სისასტიკისა, სამონასტრო ჩვეულების თანახმად, ნაკურთხი პურით დაეპურებინათ, როგორც ჩვეულებრივ უმასპინძლებოდნენ გზად მიმავალ ერისკაცებს.

თავი ოცდამეთორმეტე

მიცვალებულის მკვდრეთით აღდგენა

ერთ დღეს წმინდანი ძმებთან ერთად მინდორში გავიდა სამუშაოდ. იმ დროს ერთი გლეხი, რომელიც ხელით მიცვალებულ ძეს მოასვენებდა და მწარედ გლოვობდა დანაკარგს, მონასტერს მოადგა და წმიდა ბენედიქტეს ეძებდა. როდესაც უთხრეს, რომ ის ძმებთან ერთად მინდორშია, გლეხმა შვილის ცხედარი მონასტრის კარიბჭესთან მიაწვინა და დამწუხრებული ღირსი მამის საძებნელად გაემართა. ამ დროს წმინდანი ძმებთან ერთად უკვე ბრუნდებოდა მინდვრიდან. დაინახა თუ არა იგი შვილმკვდარმა კაცმა, ხმამაღლა აყვირდა: „დამიბრუნე ჩემი შვილი, დამიბრუნე ჩემი შვილი!“ წმინდანმა უთხრა: „ნუთუ მე წაგართვი შვილი?“ გლეხმა უპასუხა: „ის მოკვდა. მოდი და მკვდრეთით აღადგინე“. ამის გაგონებაზე ღმრთის მონა ძლიერ დამწუხრდა და თქვა: „გაეცალეთ, ძმებო, გაეცალეთ; ეს ჩვენი საქმე არ არის, არამედ — წმიდა მოციქულებისა. რად გინდათ ისეთი ტვირთი დაგვაკისროთ, რომლის ზიდვაც არ ძალგვიძის?“ მაგრამ ის, ვისაც განუზომელი მწუხარება სტანჯავდა, დაუცხრომლად ითხოვდა თავისას, ფიცით ირწმუნებოდა, რომ არ წავიდოდა, თუ ბენედიქტემის ვაჟს არ აღადგენდა. ამის შემდეგ ღმრთის მონამ ჰკითხა: „სად არის ის?“ კაცმა მიუგო: „აჰა, მისი ცხედარი მონასტრის ალაყაფის წინ ასვენია“. წმინდანი იმ ადგილს ძმებთან ერთად მიუახლოვდა, მუხლი მოიდრიკა, ყრმის ცხედარზე განერთხა, გაიმართა, ხელები ზეცად აღაპყრო და ილოცა: „ღმერთო, ნუ მიჰხედავ ცოდვათა ჩემთა, არამედ ამ ადამიანის რწმენას შეეწიე, რომელიც ითხოვს მკვდრეთით აღვადგინო მისი ძე, და სული, რომელსაც შენთან მოუხმე, დააბრუნე ამ სხეულში“. ის იყო ლოცვა დაასრულა, ყრმის სხეული

მასში სულის დაბრუნების გამო მთლიანად შეინჯღრა. ყველა იქ მყოფი ხედავდა, რა საოცრად ირხეოდა და თრთოდა იგი. შემდეგ წმინდანმა ყრმას ხელზე ხელი მოჰკიდა, წამოაყენა და ცოცხალი და ჯანმრთელი მამას გადასცა. ცხადია, საყვარელო პეტრე, რომ მას არ ჰქონდა ხელმწიფება ამ სასწაულის აღსრულებისა, არამედ განრთხმული ლოცულობდა, რათა მის აღსასრულებლად ღმერთს ძალა მიეცა.

პეტრე: ცხადია, ყოველივეს მართალს ამბობ, რადგან სიტყვას გამოცდილებით ადასტურებ. მაგრამ მითხარი, გეთაყვა, ყველა წმიდა მამას შეუძლია ადასრულოს ის, რაც ნებავს და ყველას ეძლევა ის, რასაც ისურვებს?

თავი ოცდამეცამეტი

სასწაული, რომელიც წმიდა ბენედიქტეს დამ, სქოლასტიკამ, ადასრულა

გრიგოლი: ვინ არის ამქვეყნად პავლეზე აღმატებული, რომელიც უფალს სამგზის ევედრა ხორცთა საწერტელისგან გაეთავისუფლებინა იგი, თუმცა საწადელს ვერ ეწია? ამასთან დაკავშირებით საჭიროდ მიმაჩნია ღირსი ბენედიქტეს შესახებ მოგითხრო, რადგან მან ვერ ადასრულა ის, რაც სურდა. წმინდანის დას, სახელად სქოლასტიკას, რომელიც ყოვლადძლიერი ღმრთისადმი ადრეული სიყრმიდან იყო შეწირული, ჩვეულებად ჰქონდა წელიწადში ერთხელ ბენედიქტესთან მისულიყო. წმიდა მამა მას მონასტრის სიახლოვეს მდგარ სახლში ხვდებოდა. ერთ დღეს და ჩვეულებისამებრ მოვიდა. წმინდანი მის სანახავად ძმებთან ერთად გამოვიდა. დღე ღმერთის დიდებაში, წმიდა და ამაღლებულ საუბარში გაატარეს, ხოლო როდესაც მოსალამოვდა, ერთად იტრაპეხეს. ისი-

ნი ჯერ კიდევ მაგიდას უსხდნენ, საამო საუბარში დრო შენე-
ლებული ეჩვენებოდათ. ამ დროს წმიდა დედაკაცმა ბენედიქ-
ტეს ვედრება დაუწყო: „ნუ დამტოვებ ამ ღამით; დილაზე ვი-
საუბროთ ზეციური ცხოვრების სიხარულზე“. მან მიუგო:
„დაო, რას ამბობ? მონასტრის გარეთ ვერ დავრჩები“. ამ
დროს ცა სრულიად მოწმენდილი იყო და ერთი ღრუბლის
ნაგლეჯიც არსად ჩანდა. ღმრთისმოსიშმა დედაკაცმა ძმისგან
უარი რომ გაიგო, ხელები მაგიდაზე დააწყო და ყოვლადღლი-
ერი ღმერთის მიმართ ლოცვისათვის თავი ხელებზე დახარა.
როდესაც თავი ასწია, გაიელვა, ჭექა-ქუხილი ატყდა და ისე-
თი კოკისპირული წვიმა წამოვიდა, რომ ვერც ბენედიქტემ,
ვერც მასთან მყოფმა ძმებმა ფეხი ვერ მოიცვალეს იქიდან,
სადაც ისხდნენ. ამგვარად, ღმრთისმოსიშმა დედაკაცმა თავის
დახრისას უხვად დაღვარა ცრემლი, რომელმაც მოწმენდილი
ცა საწვიმრად გადააქცია და თანაც არა იმგვარად, რომ წვიმა
ლოცვიდან რამდენიმე ხანში წამოსულიყო, არამედ ლოცვა
და თქეში იმდენად ერთდროული იყო, რომ როდესაც თავი
წამოსწია, უკვე ქუხდა და წვიმდა. წმიდა მოსაგრემ რომ იხი-
ლა, წვიმისა და ჭექა-ქუხილის გამო მონასტერში ვერ დაბ-
რუნდებოდა, მწუხარედ დაიჩივლა: „შეგინდოს ყოვლადღლი-
ერმა ღმერთმა, ეს რა ჩაიდინე?“ დამ კი მიუგო: „აჰა, შენ
გთხოვე, მაგრამ არ ისმინე; ჩემს ღმერთს შევთხოვე — და მან
შეისმინა ჩემი. თუკი შეძლებ, გამოდი გარეთ, მე გამაცილე და
მონასტერში დაბრუნდი“. მაგრამ ეს შეუძლებელი იყო და ბე-
ნედიქტე თავისი ნების საწინააღმდეგოდ იქ დარჩა. ამგვარად,
მთელი ღამე იფხიზლეს, სულიერ ცხოვრებაზე ისაუბრეს და
ურთიერთს აამებდნენ. ამიტომ ვთქვი, რომ იყო ისეთი რამ,
რაც მას სურდა, მაგრამ ვერ მიიღო. ღირსი მამის გულის-
სიტყვებიდან გამომდინარე ცხადია, რომ მას სურდა ცა ისევე

ყოფილიყო მოწმენდილი, როგორც დასთან შეხვედრის ჟამს იყო, მაგრამ მისი სურვილის საწინააღმდეგო რამ მოხდა, დედაკაცის სულმა ყოვლისშემძლე ღმერთის ძალით სასწაული აღასრულა. გასაკვირი არ არის, რომ იმ დროს უმეტესის აღსრულება დედაკაცმა შეძლო, რომელსაც ძმის ხილვა დიდი ხნის მანძილზე სურდა, რადგან წმიდა იოანეს სიტყვით „ღმერთი სიყუარული არს“ (1 იოან. 4, 16). ამ მართალი მსჯავრის მიხედვით, უმეტესის აღსრულება იმან შეძლო, ვისაც მეტი სიყვარული ჰქონდა.

პეტრე: გამოგიტყდები, შენმა მონათხრობმა დამიპყრო.

თავი ოცდამეთერთხმეტი

დის სული, რომელიც წმიდა ბენედიქტემ სხეულიდან
გასვლის ჟამს იხილა

გრიგოლი: მეორე დღეს ღირსი დედაკაცი თავის სენაკში დაბრუნდა, წმიდა მამა კი მონასტერს დაუბრუნდა. სამი დღის შემდეგ მონასტერში მყოფმა ბენედიქტემ თვალები ზეცად აღაპყრო და თავისი დის სული დაინახა, რომელსაც სხეული დაეტოვებინა და მტრედის სახით ზეცად მაღლდებოდა. წმინდანმა დის ასეთი დიდებით განიხარა, ყოვლადძლიერ ღმერთს სამადლობელი ჰიმნები და შესხმები აღუვლინა და ამის შესახებ ძმებს აცნობა. შემდეგ ისინი გაგზავნა, რათა მისი სხეული მონასტერში გადმოესვენებინათ და იმ საფლავში ჩაესვენებინათ, რომელიც თავისთვის ჰქონდა მომზადებული. ამგვარად, ამ მოღვაწეთა გონებანი შეერთებული იყო უფლის მიერ და მათი სხეულებიც ერთად დაიმარხნენ.



თავი ოცდამეთხუთმეტი

მთელი ქვეყნიერება, რომელიც წმინდანს თვალწინ
წარმოუდგა, და ქალაქ კაპუის ეპისკოპოს გერმანეს სუ-
ლის შესახებ

კამპანიის ოლქში პატრიც ლიბერის მიერ აგებული მონას-
ტრის დიაკვანი და წინამძღვარი, სახელად სერბანდი, წმიდა
ბენედიქტეს მონასტერს მასთან საუბრის მიზნით ხშირად
სტუმრობდა. ზეციურ სწავლებას ეს მოღვაწეც უზვად წარ-
მოადენდა და ამგვარად, ურთიერთს მარადიული ცხოვრების
შესახებ ტკბილი საუბრებით აღავსებდნენ და გულით ზეციუ-
რი სამშობლოს საზრდელს იხმევდნენ, რომლით ტკბობა
სრულად არ შეეძლოთ. როდესაც ძილის დრო დგებოდა, მო-
ნასტრის კოშკის ზედა ნაწილში ღირსი ბენედიქტე ადიოდა,
ხოლო ქვევით დიაკვანი სერბანდი ისვენებდა. კოშკის ამ ორ
ნაწილს კიბე აერთებდა. კოშკთან მდებარე სადგომში მათი
მოწაფეები თავსდებოდნენ. ერთხელ, როდესაც ძმებს ჯერ კი-
დეც ეძინათ, ბენედიქტე შუალამიან ლოცვაზე დადგა და ყოვ-
ლისშემძლე ღმერთის მიმართ სარკმლის წინ ლოცულობდა.
უეცრად, შუალამის სიბნელეში, მან ნათელი იხილა, რომე-
ლიც ისე კაშკაშებდა, რომ ღამე ღლეზე უფრო მეტად განათ-
და. ნათებას უაღრესად საოცარი მოვლენა მოჰყვა: მთელი
ქვეყნიერება, როგორც შემდეგ თავად ჰყვებოდა, მის თვალ-
წინ თითქოს მზის ერთ სხივში მოიკრიბა. ღირსმა მამამ ზეცი-
ური ნათლის სიკაშკაშეს ყურადღებით მიჰხედა და ცეცხლო-
ვან ციალში კაპუის ეპისკოპოს გერმანეს სული იხილა, რო-
მელსაც ანგელოზები ზეცად მიაბრძანებდნენ. წმინდანმა
ისურვა სასწაულის მხილველი სხვაც ყოფილიყო და სერ-
ბანდს ხმამაღლა მოუხმო, მისი სახელი ორჯერ და სამჯერ
გაიმეორა. წმიდა მამის უჩვეულო ძახილმა სერბანდი მყისვე

გააღვიძა, ზევით ავიდა, შეხედა და ნათლის მხოლოდ მცირედი ნაწილი იხილა. სასწაულმა ის გააოცა, წმინდანმა კი თანამიმდევრულად მოუთხრო, რაც მოხდა და დაუყოვნებლივ გაგზავნა ბრძანება კასინოს მონასტერში ღმრთისმოსავ თეოპრობესთან, რომელსაც დაავალა, იმავე დამით ქალაქ კაპუაში ვინმე გაეგზავნა იმის გასაგებად, თუ რა დაემართა ეპისკოპოს გერმანეს და მისთვის ეცნობებინა. წარგზავნილს ეპისკოპოსი გერმანე მიცვალებული დახვდა. როდესაც გამოიკითხა, აღმოჩნდა, რომ ის სწორედ იმ დროს აღესრულა, როდესაც წმიდა ბენედიქტემ ზეცად აღმავალი იხილა.

პეტრე: საკვირველი და ფრიად განსაცვიფრებელი შემთხვევაა. მაგრამ სიტყვები, რომ ბენედიქტეს თვალთა წინაშე მთელი ქვეყნიერება მზის ერთ სხივში მოიკრიბა, ჩემთვის გაუგებარია, რადგან მსგავსი რამ არსად არავის განუცდია; ანუ გონებით ვერ ვწვდები, როგორ შეიძლებოდა ერთ ადამიანს მთელი ქვეყნიერება ეხილა.

გრიგოლი: მტკიცედ გწამდეს, პეტრე, ის, რაზეც გესაუბრები: შემოქმედის მჭვრეტელი სულისთვის ყოველი ქმნილება მცირეა. ვინც შემოქმედის ნათელს თუნდ ნაწილობრივ იხილავს, მისთვის ყოველი ქმნილება კნინდება იმიტომ, რომ შინაგანი ხედვის ნათელი გონების თვალსაწიერს განავრცობს და მას უფლის ძაღლის შეწევნით იმდენად განუფნს, რომ გონება სამყაროს ზემოთ აღიტაცება; მჭვრეტელის სული თავის თავზეც ძაღლდება. ხოლო როდესაც საღმრთო ნათელში თავის თავზე ძაღლა აღიტაცება, იმ დროს მისი ძალა მის ქვევით მყოფ სამყაროზე მეტად განივრცობა და, როდესაც ქვევით ყოველივეს ჭვრეტს, ხვდება, რაოდენ კნინია ის, რასაც დამცრობილ მდგომარეობაში ყოფნისას ვერ შეიცნობდა. ამგვარად, წმიდა მამა, რომელიც ცეცხლოვან სფეროს შესცქერო-

და და თვით ზეცად აღმავალ ანგელოზებს ხედავდა, უეჭველია, ამას ვერ იხილავდა, თუ არა საღმრთო ნათელში მყოფი. რა არის გასაკვირი, თუკი თვალწინ მოკრებილ სამყაროს ხედავდა ის, ვინც გონებრივი ნათლით აღტაცებული სამყაროს გარეთ იმყოფებოდა? როდესაც ნათქვამია, რომ სამყარო მის თვალთა წინაშე შემოიკრიბა, ეს არ ნიშნავს, რომ ცა და დედამიწა ერთგვარად შეიკუმშა, არამედ ეს ღმერთთან აღტაცებული მჭვრეტელის სულის განვრცობას ნიშნავს და ამ დროს მას ღმერთის მთელი ქმნილების ხილვა ძალუძს. ამგვარად, ხორციელ თვალთა წინაშე გაბრწყინებულ ნათელში იყო გონების შინაგანი ნათელი, რომელმაც ადამიანისთვის უმაღლეს სულიერ ზღვართან აღტაცებულ მჭვრეტელ სულს უჩვენა, რა ვიწროა ქვევით ყოველივე.

პეტრე: ის, რომ შენს ნათქვამს ვერ ჩაეწვდი, ჩემთვის სასარგებლო აღმოჩნდა: ჩემმა მიუხვედრელობამ შენი საუბრის გაგრძელება გამოიწვია. რადგან ყოველივე სრულიად ცხადად განმიძარტე, გთხოვ დავუბრუნდეთ თხრობის თანამიმდევრობას.

თავი ოცდამეთექვსმეტი

ბენედიქტეს მიერ მონაზონთათვის დაწერილი განწყობა

გრიგოლი: საყვარელო პეტრე, ამ ღირსი მამის შესახებ კიდევ მრავალი რამ მსურდა მომეთხრო, მაგრამ რამდენიმე სასწაულს ვტოვებ, რადგან ვისწრაფვი სხვა მამათა ღვაწლის შესახებ გიამბო. თუმცა მსურს იცოდე, რომ ამგვარი სასწაულებით სახელგანთქმული მოღვაწე ნათელს თავისი სწავლებითაც ჰყენდა. მან მონაზონთათვის განწყობა დაწერა, რომელიც სიცხადითა და სიტყვის სინატიფით გამოირჩევა. ვისაც

სურვილი აქვს მისი ცხოვრების წესი უკეთ გაიცნოს, ამ განწესებით ყოველივეს გულისხმყოფს, რადგან წმინდანი კერასგზით ვერ ასწავლიდა იმისგან განსხვავებულს, რასაც თვითონ აღასრულებდა.

თავი ოცდამეხვიდმეტე

ბენედიქტეს აღსასრული, რომელიც ძმების წინაშე თვითონ იწინასწარმეტყველა

იმ წელს, როდესაც წმიდა ბენედიქტე უნდა აღსრულებულიყო, გარდაცვალების დღის შესახებ მასთან მცხოვრებ და აგრეთვე მოშორებით მყოფ რამდენიმე ძმას ამცნო. თანამცხოვრებთ გამოუცხადა დადუმებულიყვნენ ამის შესახებ, ხოლო მოშორებით მყოფთ ამცნო, თუ რა ნიშნით შეიტყობდნენ, როდესაც მისი სული სხეულს დატოვებდა. სიკვდილამდე ექვსი დღით ადრე წმიდა ბენედიქტემ ბრძანა სამარის გახსნა. ამის შემდეგ მას ციება სტანჯავდა. რამდენიმე დღის შემდეგ უძლურებამ იმძლავრა, მეექვსე დღეს მოწაფეებს უბრძანა ტაძარში წაეყვანათ; იქ უფლის ხორცისა და სისხლის ზიარებით აღსასრულისთვის მოემზადა, დაუძლურებული მოწაფეებს ეყრდნობოდა და ხელაპყრობით მდგომმა სული ლოცვაში განუტევა. იმ დღეს მის ორ მოწაფეს — ერთს მონასტერში და მეორეს მონასტრიდან შორს — ერთნაირი ხილვა ჰქონდათ. მათ სამოსით მოფენილი და ურიცხვი კანდელით განათებული გზა დაინახეს, რომელიც მონასტრიდან აღმოსავლეთით მიემართებოდა და ზეცას უერთდებოდა. თითოეული მათგანის წინაშე ზეციდან ელვარე სამოსით მოსილი კაცი წარმოდგა და ეკითხებოდა, ვისი იყო ეს გზა, რომელსაც ისინი ხედავდნენ. მათ მიუგეს, რომ არ იცოდნენ. „ეს არის გზა,

რომლითაც ღმრთის მიერ შეყვარებული ბენედიქტე ზეცად აღვალს“, – მიუგო ბრწყინვალე კაცმა. ამ ნიშნის მიხედვით მონასტრიდან შორს მყოფი ძმები მიხვდნენ, რომ წმინდანი აღესრულა. წმიდა ბენედიქტე ნეტარ იოანე ნათლისმცემლის ტაძარში დაკრძალეს, რომელიც აპოლონის დარღვეული სამსხვერპლოს ადგილზე თავად ააგო. მღვიმეში, სადაც ის ადრე ცხოვრობდა, დღემდე აღესრულება სასწაულები იმათთვის, ვინც ამ ადგილს რწმენითა და ლოცვით მიეახლება.

თავი ოცდამეთვრამეტი

გონებაშერყეული დედაკაცი, რომელიც მღვიმეში განიკურნა

გიაბობ იმას, რაც ახლახან მოხდა. ერთ დედაკაცს გონება შეერყა და დღე და ღამე მთებსა და ტყე-ღრეში დაეხეტებოდა. სადაც მოქანცულობას იგრძნობდა, იქ ისვენებდა. ერთ დღეს დიდი ხნის ხეტიალით დაღლილი ნეტარი მოსაგრის, ბენედიქტეს მღვიმეში შევიდა ისე, რომ ვერაფერს აცნობიერებდა. დილით იქიდან ისეთი გონიერი გამოვიდა, თითქოს გონებაშეშლილი არც არასდროს ყოფილიყო. ამის შემდეგ სიცოცხლის ბოლომდე სრულიად ჯანმრთელი იყო.

პეტრე: ეს ხომ არ ნიშნავს, რომ წმიდა მოწამენი, როგორც ზოგჯერ მათ სასწაულებში ვხედავთ, სხეულებით ნაკლებ ქველმოქმედებებს აღასრულებენ, ვიდრე მათ მიერ დანატოვარი ნივთების მეოხებით და უფრო დიდ სასწაულებს იქ აღასრულებენ, სადაც მათი წმიდა სხეულები არ არის?


გრიგოლი: სადაც წმინდანთა სხეულებია დაკრძალული, უეჭველია, რომ იქ მათ შეუძლიათ აღასრულონ უდიდესი სასწაულები, და ეს ასეც არის: ვინც მათ განწმენდილი გონებით

მიეახლება, მათზე ურიცხვი სასწაული აღესრულება. მაგრამ რადგან გონებით უმტკიცარნი შეიძლება შეორგულდნენ, — შეუძლიათ თუ არა მოწამეებს, უსმინონ მკედრებელთ იქ, სადაც არ იმყოფება მათი სხეულები, — ამიტომ აუცილებელია, უმეტესი სასწაულები მათ იქ აღასრულონ, სადაც მერყევი გონება მათ მყოფობაში დაეჭვდება. ხოლო ვისი გონებაც განმტკიცებულია უფალში, ასეთები თავისი რწმენის გამო ქველმოქმედებას მით უმეტეს იმსახურებენ, რადგან კარგად იციან, რომ თუმცა მოწამეთა სხეულები აქ არ იმყოფება, მაგრამ ისინი მზად არიან უსმინონ მათდამი მკედრებელთ. თვით ჭეშმარიტებამ სწორედ მოწაფეთა რწმენის გასაძლიერებლად წარმოთქვა: „უკუეთუ მე არა წარვიდე, ნუგეშინის-მცემელი იგი არა მოვიდეს თქუენდა“ (იოან. 16, 7). თუკი ცნობილია, რომ სულიწმიდა მუდამ მაძისაგან გამოვალს და ძეზე განისვენებს, რატომ ამბობს ძე — წავა იმისთვის, რომ მოვიდეს სული, რომელიც ძეს არასოდეს განშორებია? რადგან მოწაფეებს, რომლებიც სხეულში მყოფ უფალს ხედავდნენ, სურდათ მარად ეხილათ ის ხორციელი თვალით, ამიტომ სამართლიანად ითქვა: „უკუეთუ მე არა წარვიდე, ნუგეშინის-მცემელი იგი არა მოვიდეს თქუენდა“, ანუ უფრო ნათლად რომ ვთქვათ: „თუკი სხეულს არ დავფარავ, ვერ გიჩვენებთ, როგორი უნდა იყოს სიყვარული სულის მიმართ და თუკი ჩემს ხილვას სხეულში არ მოაკლდებით, ჩემდამი სულიერ სიყვარულს ვერასოდეს ისწავლით“.

პეტრე: შენს სიტყვებს სრულიად ვეთანხმები.

გრიგოლი: მცირე ხნით დავდუმდეთ, რათა ღუმილით სხვა მოღვაწეთა სასწაულების თხრობისათვის ძალა მოვიკრიბოთ.





წიგნი მესამე

თავი პირველი

პოლანის ეპისკოპოსი პავლინი

მე ყურადღება იმ მამების ღვაწლს მივაპყარი, ვინც უახლოეს წარსულში მოღვაწეობდა და თითქოს სხვა სახელგანთქმულ წმინდანთა საქმეები სრულიად დავივიწყე, როგორც, მაგალითად, პოლანის ეპისკოპოს პავლინის მიერ აღსრულებული სასწაული იყო. ის სათნოებებით მრავალ, ჩემთვის ცნობილ წმინდანს აღემატა. ამიტომ ძველ წმინდანთა შესახებ თხრობას განვაგრძობ და შეძლებისდაგვარად მოკლედ გამოცემ. ჩვეულებრივ, კეთილმოღვაწე კაცთა საქმეები, უპირველეს ყოვლისა, იმ ადამიანთათვის ხდება ცნობილი, ვინც მათ მიემსგავსება. ჩვენი ბერებისთვის, რომლებიც წმინდანთა მიმბაძველნი არიან, პოლანის კეთილმოღვაწე ეპისკოპოსის დიდებული სახელი კარგად არის ცნობილი. მისი საკვირვე-

ლი ღვაწლი მათთვის სამაგალითოა. ამიტომ მათ სრულიად ვენდობი, თითქოს მათი მონათხრობი საკუთარი თვალთ მე-ნახოს.

როდესაც იტალიაზე ვანდალთა სასტიკი შემოსევის შემდეგ კამპანია სრულიად უკაცრიელი გახდა და ამ ქვეყნის მრავალი მცხოვრები აფრიკაში წაიყვანეს, ღმრთის მონა პავლინი ლატაკებსა და ტყვეებს საეპისკოპოსოს ქონებას უხვად ურიგებდა. ერთხელ, როდესაც მთხოვნელთათვის აღარაფერი ჰქონდა დარჩენილი, მასთან ერთი ქვრივი დედაკაცი მივიდა და უამბო, რომ ვანდალთა მეფის სიძემ მისი ვაჟი ტყვედ წაიყვანა. ქალი ღმრთის კაცს ევედრებოდა, მისთვის გამოსასყიდი მიეცა, რათა მისი შვილის ბატონს, თუკი გამოსასყიდის მიღებაზე დათანხმდებოდა, ვაჟი სახლში დაებრუნებინა. ღმრთის კაცმა ძებნა დაიწყო, რომ მთხოვნელისთვის რაიმე მიეცა, მაგრამ საკუთარი თავის გარდა არაფერი ჰქონდა და უთხრა: „არაფერი მაქვს, რომ მოგცე, წამიყვანე და თქვი, რომ შენი მონა ვარ და შვილი რომ დაგიბრუნონ, მის ნაცვლად ჩემი თავი მიეცი მონად“. დედაკაცმა ეპისკოპოსის სიტყვები უფრო დაცინვად მიიღო, ვიდრე თანაღმობად. მაგრამ პავლინმა, რომელიც მჭევრმეტყველი და საერო მეცნიერებებში ფრიად განსწავლული კაცი იყო, დედაკაცი სწრაფად დაარწმუნა თავისი სიტყვების ჭეშმარიტებაში, რომ შვილის სანაცვლოდ გამოსასყიდის სახით ეპისკოპოსი მიეყვანა. ამგვარად, ისინი აფრიკაში გაემგზავრნენ. იქ დედაკაცმა ვანდალთა მეფის სიძე მოძებნა და სთხოვდა, მისთვის შვილი დაებრუნებინა. ამყმა ბარბაროსმა, რომელიც ღრობითი ბედნიერებით ქედმაღლობდა, არა თუ თხოვნის შესრულება, მისი მოსმენაც არ ისურვა. მაშინ ქვრივმა უთხრა: „მონის სანაცვლოდ ამ ადამიანს დაგიტოვებ, ოღონდ შემიწყალე — დამიბ-

რუნე დედისერთა შვილი“. ბარბაროსმა მოხუც პავლინს გადახედა და ჰკითხა, რაიმე ხელობა თუ იცოდა. „არავითარი ხელობა არ ვიცი, — მიუგო პავლინმა, — მაგრამ ბაღის მოვლა შემიძლია“. ბარბაროსს ეამა, რომ პავლინი გამოცდილი მებადე იყო და მონად დაიტოვა, ხოლო ქვრივ დედაკაცს თავისი ვაჟი დაუბრუნა. ისინი სამშობლოში გაემგზავრნენ, ხოლო პავლინმა ბაღის მოვლას მიჰყო ხელი. მეფის სიძე იქ ხშირად მიდიოდა, მებადეს კითხვებს აძლევდა და მისი სიბრძნე შეიცნო. მასთან საუბარი იმდენად სიამოვნებდა, რომ ამისთვის მეგობრებსა და ნაცნობებს ხშირად ტოვებდა. პავლინს ბატონის სუფრისთვის ყოველდღიურად ახალი და სურნელოვანი მწვანე ნილეული მიჰქონდა, დღიურ სარჩოს მიიღებდა და ისევ საქმეს უბრუნდებოდა. საკმაო ხანი გავიდა. ერთხელ პავლინმა გულახდილ საუბარში ბატონს უთხრა: „ვანდალთა მეფე ძალიან მალე მოკვდება. შენ წინასწარ გმართებს იფიქრო, როგორ მოიქცე და წარმართო სამეფო“. რადგან ბატონი მეფის კეთილგანწყობილებით სარგებლობდა, მისთვის არც დაუმაღლავს, რაც ბრძენი მებაღისგან შეიტყო. მეფემ ეს რომ გაიგო, სიძეს უთხრა: „მსურს ეს ადამიანი, ვის შესახებაც მიაძობ, თვითონ ვნახო“. „მას, როგორც წესი, ჩემი სუფრისთვის ახალი მწვანელი მოაქვს, — უპასუხა სიძემ, პავლინის დროებითმა ბატონმა, — ვუბრძანებ, რომ მწვანელი შენ მოგიტანოს სადილზე და მას ამგვარად ნახავ“. ასეც მოიქცნენ. პავლინმა მეფეს სადილზე თავის ბაღში მოწეული მწვანელი მიართვა. მეფემ დაინახა თუ არა პავლინი, ძრწოლა დაეუფლა, თავის სიძეს მოუხმო და საიდუმლო გაანდო: „ამ ადამიანმა სიმართლე გითხრა. წუხელ ვიხილე, რომ სასამართლოში მოსამართლეები ჩემს გასასამართლებლად შეკრებილიყვნენ. მათ შორის ეს ადამიანიც (პავლინი) იყო. მათი გადაწყვეტილებით

მათრახი, რომელიც მანამდე მქონდა, ჩამომერთვა. ჰკითხე ვინ არის, არ მგონია, რომ უბრალო ადამიანი იყოს, როგორც გარეგნულად ჩანს“. მეფის სიძემ პავლინი მოიხმო და ფარულად დაეკითხა, ვინ იყო. „შენი მონა ვარ, რომელიც ქვრივის ვაჟის სანაცვლოდ აიყვანე“, – უპასუხა ღმრთის კაცმა. მაგრამ ბატონი დაჟინებით სთხოვდა ეთქვა, ვინ იყო ის სამშობლოში და ამის შესახებ არაერთხელ ჰკითხა. ღმრთის მონამ ვედარ დაფარა და იძულებული შეიქნა გაემხილა, რომ ეპისკოპოსი იყო. ამის გაგონებაზე ბატონს ძლიერ შეეშინდა და პავლინს მდაბლად სთხოვა, ყოველივე მოეთხოვა, რაც აუცილებელი იქნებოდა სამშობლოში პატივით მის დასაბრუნებლად. „ერთადერთი სიკეთე შეგიძლია გააკეთო ჩემთვის, – უთხრა ღმრთის მონა პავლინმა, – ტყვეობიდან ჩემთან ერთად ყველა ჩემი თანამემამულე გაათავისუფლე“. ღირსი პავლინის სურვილის შესასრულებლად მყისვე მთელ აფრიკაში მოძებნეს ტყვეები და მასთან ერთად პური და ტვირთული ხომალდებით გაამგზავრეს. რამდენიმე დღის შემდეგ ვანდალთა მეფე გარდაიცვალა და მათრახი, რომელიც ღმრთის დაშვებით ჰქონდა მიცემული მორწმუნეთა განსასწავლად, სხვას გადაეცა. ამგვარად, ყოველივე ისე აღესრულა, როგორც ყოვლისშემძლე ღმრთის მონა პავლინმა იწინასწარმეტყველა. მან ნებაყოფლობით მონობა იტვირთა და მრავალი ადამიანი იხსნა, რადგან მას ჰბაძავდა, ვინც მონის სახე შეიმოსა, რათა ცოდვათა მონობისაგან ჩვენ გამოვეხსენით. მისი მიბაძვით, პავლინი დროებით ტყვედ იქმნა, რათა მომავალში სხვებთან ერთად თავისუფლება მიეღო.

პეტრე: როდესაც შევიტყვე ცხოვრება ადამიანისა, რომლის მიბაძვა არ ძალმიძს, ვერაფერს ვამბობ, მხოლოდ შემძღობია ვიტირო.

გრიგოლი: პავლინის აღსრულების შესახებ წერილობითი ცნობები მისმა ეკლესიამ შემოინახა. ის სწეულებით ძლიერ დაუძღვრდა და როდესაც აღესრულებოდა, უეცრად მიწის-ძვრა მოხდა. სწეულის სარეცელი შეირყა, სახლი კი უძრავად იდგა. ყველა იქ მყოფი უჩვეულო შიშმა მოიცვა. პავლინის წმიდა სული მის სხეულს ეყრებოდა.

ის, რაც პავლინის შესახებ გაიბე, უფრო მეტად წმინდან-თა შინაგან სათნოებას წარმოაჩენს, ხოლო ახლა გარეგან სასწაულებს მოგიტოვებ, რომლებიც მრავალთათვის არის ცნობილი და ისეთი ღმრთისმოშიში ადამიანებისგან შევიტყვე, რომ მათ სიტყვებში არ შემოიძლია ეჭვი შევიტანო.

თავი მეორე

წმიდა პაპი იოანე

ერთხელ, გუთების ბატონობის ჟამს, ნეტარი იოანე — რომის ეკლესიის პირველიერარქი — იმპერატორ იუსტინიანე უფროსს ეახლა. კორინთოს მიდამოებში გზის გასაგრძელებლად აუცილებელი გახდა ცხენის მოძიება. ამის შესახებ ერთმა დიდებულმა გაიგო, იოანეს მაშინვე ცხენი შესთავაზა, მხოლოდ ერთი პირობით, რომ როგორც კი პირველიერარქი ისეთ ადგილს მიაღწევდა, სადაც სხვა ცხენის შოვნა იქნებოდა შესაძლებელი, ეს ცხენი უკან უნდა დაებრუნებინა, რადგანაც ის იმდენად თვინიერი იყო, რომ მასზე მუდამ მისი ცოლი მგზავრობდა. იოანემ როგორც კი მიაღწია ერთ-ერთ დაბას, მისთვის სხვა ცხენი მოიძიეს, პირველი კი უკანვე გაგზავნეს. დიდებულის ცოლმა მოინდომა ცხენზე შეჯდომა, მაგრამ ვერ მოახერხა: ცხენი საშინლად ხვიხვიხებდა, აქეთ-იქით აწყდებოდა და შფოთავდა, თითქოს ამბობდა, რომ აღარ

სურს პირველიერარქის შემდეგ დედაკაცი შეისვას. როდესაც დიდებული ამას მიხვდა, უმაღლეს ბრძანა ცხენი იოანესთვის მიეგვარათ და უმორჩილესად სთხოვდა, თავისთვის დაეტოვებინა იგი, რისი უფლებაც მან მასზე მგზავრობით მოიპოვა. ბერები იოანეს შესახებ კიდევ ერთ სასწაულს ჰყვებიან. როდესაც ის კონსტანტინოპოლის ე. წ. ოქროს კარიბჭეს უახლოვდებოდა და უამრავი ხალხი შეეგება, მან ყველას თვალწინ ერთ ბრძანს ხელის შეხებით თვალისჩინი დაუბრუნა და მისი თვალებიდან წყვედიადი განაგდო.

თავი მისამი

წმიდა პაპი ალაპიტე

რამდენიმე წლის შემდეგ რომის ეკლესიის პირველიერარქ ალაპიტეს გუთების საქმესთან დაკავშირებით იმპერატორ იუსტინიანესთან მოუხდა გამგზავრება. ის უკვე საბერძნეთში იმყოფებოდა, როდესაც დაუძღვრებული მუნჯი მიჰგვარეს. მას არათუ ლაპარაკი, ფეხზე წამოდგომაც კი არ შეეძლო. როდესაც ნათესავებმა ცრემლით წარუდგინეს პირველიერარქს სნეული, ღმრთის მონა ალაპიტე დაეკითხა, ჰქონდათ თუ არა მტკიცე რწმენა იმისა, რომ სნეული განიკურნებოდა. მათ მსწრაფლ წარმოთქვეს, რომ მტკიცედ სწამდათ, სნეული გამოჯანმრთელდებოდა ღმრთის ძალითა და წმიდა მოციქულ პეტრეს შეწევნით. ნეტარმა ალაპიტემ მყისვე საღმრთო ლიტურგია აღავლინა და სნეულისთვის გულმოდგინედ ილოცა. საღმრთო ლიტურგიის დასრულების შემდეგ ტაძრიდან გამოვიდა, დავრომილს ხელი მოჰკიდა და იქ მყოფთა თვალწინ ფეხზე წამოაყენა, ხოლო როდესაც ქრისტეს წმიდა ხორცსა და სისხლს აზიარა, დამუნჯებული ენა მყისვე განიხსნა. ამ

სასწაულის მხილველნი, რომელიც წმიდა ალაპიტემ ღმერთის ძალითა და წმიდა მოციქულ ჰეტრეს შეწევნით აღასრულა, გაოცდნენ: მათ სულებს კეთილკრძალული შიში დაეუფლა, ხოლო ცრემლი მათ სიხარულს გამოხატავდა.

თავი მეოთხე

მედოლანის ეპისკოპოსი დაცი

იმავე იმპერატორის მეფობის ჟამს მედოლანის ეპისკოპოსი დაცი სარწმუნოებრივ საქმეთა გამო კონსტანტინოპოლში გაემგზავრა. კორინთოს რომ მიაღწია, დასასვენებლად დიდ სახლს ეძებდა, სადაც მხლებლებთან ერთად მოთავსდებოდა. თავშესაფარი დიდხანს ვერ ნახეს. დაციმ შორიდან ერთი სახლი შენიშნა, რომელიც საკმაოდ დიდი იყო და ბრძანა მისთვის და მხლებლებისთვის მოემზადებინათ. მაგრამ ქალაქის მცხოვრებლებმა უთხრეს, რომ ამ სახლში დადგომა შეუძლებელი იყო, რადგან იქ რამდენიმე წელია არაწმიდა სული ჩასახლებულიყო და ამის გამო უკაცრიელი იყო. „ამ სახლში სწორედ იმიტომ უნდა დავსახლდეთ, – თქვა ღირსმა დაციმ, – რომ იქ არაწმიდა სულია ჩასახლებული და არავის უშვებს“. ის უძველეს მტერთან საბრძოლველად მშვიდად შევიდა. ღამის სიწყნარეში, როდესაც ღმერთის მონას ეძინა, ბოროტმა სხვადასხვა მხეცის ხმით დაიწყო ყვირილი: ლომივით ღრიალებდა, ცხვარივით ბლაოდა, ვირივით ყროყინებდა, გველივით სისინებდა, ლორივით ღრუტუნებდა და თავივით წრიპინებდა. ამ ხმების გაგონებაზე დაციის გაელვიდა, მყისვე წამოდგა და ეშმაკს ხმამაღლა მრისხანედ მიმართა: „წყეულო, რაც დაიმსახურე ის დაგემართა; შენ, რომელიც იქალოდი: ჩრდილოეთით დავიდგამ ტახტს და უზენაესს მივემსგავ-

სები, ამპარტავნების გამო ღორებსა და თაგვებს მიმსგავსებინარ და შენ, რომელიც გაკადნიერდი და ღმერთის მიმსგავსება ისურვე, ახლა სრულიად ღირსეულად ცხოველებს ბაძავ“. ამ სიტყვების გაგონებაზე არაწმიდა სული თავისი უღირსებით შერცხვენილი იქნა, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში სახლს არ დატოვებდა, სადაც სხვადასხვა საზარელ სახეს იღებდა. ამგვარად, მას შემდეგ, რაც იმ სახლში ჭეშმარიტი მორწმუნე შევიდა, არაწმიდა და ცრუ სული იქიდან მყისვე განვარდა და მას შემდეგ იქ ქრისტიანები დასახლდნენ. თუმცა დავტოვოთ ძველი დრო და მოვიხირობ, თუ რა მოხდა ჩვენს დროში.

თავი მესამე

კანუზის ეპისკოპოსი საბინი

რამდენიმე ღმერთისმოშიში ადამიანი, რომლებიც მთელ აპულების მხარეში იყვნენ ცნობილი, კანუზის ეპისკოპოს საბინის შესახებ მოგვითხრობენ (რაც შორეულ მხარეებშიც ცნობილი გახდა), რომ მან ხანდაზმულობაში თვალისჩინი დაკარგა და ვერაფერს ხედავდა. გუთების მეფე ტოტილამ გაიგო, რომ მას წინასწარმეტყველების ნიჭი ჰქონდა, არ ირწმუნა და მოისურვა ამაში თავად დარწმუნებულიყო. ერთხელ იმ მხარეში მგზავრობდა, სადაც საბინი ეპისკოპოსობდა. ღმერთის მონამ მეფე ტრაპეზზე მიიწვია. როდესაც სუფრასთან უნდა დამსხდარიყვნენ, მეფემ არ მოისურვა ტრაპეზის თავში ჯდომა, არამედ ღირს საბინს მარჯვენით მოუჯდა. როდესაც მოახლემ საბინს ღვინის სასმისი მოართვა, მეფემ უჩემრად გამოართვა და ეპისკოპოსს თვითონ მიაწოდა, სურდა ენახა, წინასწარმცნობელობის მაღლით შეიტყობდა თუ

არა ეპისკოპოსი, ვინ მიაწოდა სასმისი. „ამ მთავრის ხელმა იცოცხლოს!“ – თქვა ღმრთის მონამ და სასმისი გამოართვა, თუმცა არ უხილავს ვინ მიაწოდა იგი. წმინდანის სიტყვებმა მეფე კიდევ შეარცხვინა, რადგან მისი ურწმუნობა ამხილა და ამავე დროს გაახარა, რადგან ის გაცხადდა, რასაც ღმრთის კაცში ეძებდა. ღმრთისმოშიშმა საბინმა ღრმა მოხუცებულობამდე იცოცხლა. ერთ-ერთი მისი მთავარდიაკონთაგანი პატივმოყვარეობის გულისთქმით იყო შეპყრობილი და სურდა საბინის შემდეგ საეპისკოპოსო კათედრა დაეკავებინა. მან გადაწყვიტა ეპისკოპოსის სიცოცხლე შხამით შეეწყვიტა, რისთვისაც ღვინისმწვედ მისიყიდა და დაიყოლია, რომ საბინისთვის შხამნარევი ღვინო მიერთმია. როდესაც სადილობის დრო დადგა და ეპისკოპოსი სუფრას მიუჯდა, მოსყიდულმა მსახურმა მთავარდიაკონის მომზადებული მოწამლული სასმელი მიართვა. „თვითონ შესვი ის, რაც მომიმზადე“, – უთხრა მას ღმრთისმოსავმა ეპისკოპოსმა. მსახური აკანკალდა, რადგან ამხილეს და გადაწყვიტა შეესვა შხამი და მომკვლარიყო, ვიდრე განზრახ მკვლელობისთვის სასჯელს დაქვემდებარებოდა. მაგრამ, როგორც კი სასმისი პირთან მიიტანა, ღმრთის მონამ შეაჩერა და უთხრა: „არ დალიო, მომეცი, მე დავლევ. შენ კი წადი და ვინც ეს შხამი მოგცა, იმას უთხარი, რომ მე შევსვი, მაგრამ თვითონ ეპისკოპოსი ვერ გახდება“. მან ჯვარი გამოისახა და სასმისი მშვიდად შესვა. მთავარდიაკონი, რომელიც სულ სხვაგან იმყოფებოდა, იმავე წამს გარდაიცვალა. თითქოს შხამი, რომელიც ეპისკოპოსმა შესვა, დამნაშავის წიაღში აღმოჩნდა, მაგრამ მთავარდიაკონი ხილულმა შხამმა კი არ მოკლა, არამედ მარადიული მსაჯულის წინაშე მისივე ბოროტების შხამმა მოუღო ბოლო.

პეტრე: საკვირველია და ფრიად განსაცვიფრებელი ჩვენს დროში ამგვარი საქმეები. თვით ამ წმინდანის ცხოვრების განხილვა გვიჩვენებს, რომ შეუძლებელია არ გიკვირდეს მის მიერ აღსრულებულ საქმეთა სიდიადე.

თავი მემქნე

ნარნის ეპისკოპოსი კასი

გრიგოლი: ვერ დავღუძმები, პეტრე, იმის შესახებ, რასაც ქალაქ ნარნიდან მოსული რამდენიმე ადამიანი ადასტურებს. ასევე გუთების ბატონობის ჟამს უკვე სხენებული მეფე ტოტილა ქალაქ ნარნიში ყოფნისას ამ ქალაქის ეპისკოპოს, ღმრთისმოსავ კასს შეხვდა. მას სახეზე ბუნებრივი სიწითლე დაჰკრავდა, მაგრამ მეფე ტოტილამ იფიქრა, რომ ეს სიწითლე ბუნებრივი კი არ იყო, არამედ — მუდმივი მემთვრალეობის შედეგი და ეპისკოპოსს შეურაცხმყოფელად ექცეოდა. მაშინ ყოვლისშემძლე ღმერთმა, რომ ეჩვენებინა, როგორ ადამიანს შეურაცხყოფდნენ, ამგვარი რამ დაუშვა. ნარნის ველზე, მეფის თანდასწრებით მთელი ჯარის თვალწინ, ბოროტი სული მეფის ერთ-ერთ საჭურველთმტვირთველს ეკვეთა და სასტიკი წამება დაუწყო. მეფის თანდასწრებით ის ღმრთისმოსაში კასს მიჰგვარეს. ღმრთის მონამ ლოცვა ადავლინა, ჯვარი გამოსახა და ბოროტი სული განაგდო, რომელიც შეპყრობილთან აღარასოდეს დაბრუნებულა. ამ დროიდან მეფე ღმრთის კაცს გულითად პატივს მიაგებდა, რომელსაც აქამდე, მხოლოდ გარეგნობის გამო ყოველგვარი შეურაცხყოფის ღირსად თვლიდა. როდესაც მეფემ მისი სათნობა შეიცნო, აქამდე ამაყი და სასტიკი სული მოუღბა.

თავი მეშვიდე

ფუნდის ეპისკოპოსი ანდრია

როდესაც დიდ მოღვაწეთა საქმეებზე მოგითხრობ, მუდამ ფუნდის ეპისკოპოს ანდრიას მიმართ გამოვლენილი ღმრთის სახიერება მაგონდება. ამით ჩემს მკითხველებს, ვინც სხეულს თავშეკავებით წვრთნის, განსაკუთრებით ვურჩევდი არ გაკადნიერდნენ დედაკაცის სიახლოვეს ცხოვრებით, რადგან საშიშია, სულიერი დაცემა არ მოხდეს იმის გამო, რომ დედაკაცის სიახლოვისას ცოდვიანი გულისთქმა აღიძვრება. გიამბობ უტყუარ ამბავს, რომლის მოწმეც იმ ქვეყნის თითქმის ყოველი მცხოვრებია. ღმრთისმოსავი ანდრიას ცხოვრება მრავალი სათნოებით იყო აღსავსე. ის უბიწო ცხოვრებას მკაცრად იცავდა. როდესაც ეპისკოპოსი გახდა, არ უნდოდა მზრუნველობა მოეკლო ერთი ენკრატისისთვის, რომელიც უწინ მასთან ცხოვრობდა და მტკიცედ დარწმუნებულმა, რომ ისიც მასავით სიწმინდეს იცავდა, ნება დართო მასთან დარჩენილიყო. ადამიანთა უძველესმა მტერმა (ემშაკმა) მოისურვა ესარგებლა ამით, რათა ანდრიას სულში საცდურის შესაღწევად შესასვლელი გაეღო. ეპისკოპოსის გონებას მუდმივად წარმოუდგენდა ამ დედაკაცის სახეს და არაწმიდა გულისთქმები მას სარეცელზეც არ ტოვებდა.

ერთხელ ერთმა იუდეველმა, რომელიც რომში მიემგზავრებოდა, აპიაში გაიარა. როდესაც ფუნდის მთებს მიაღწია, უკვე საღამოვდებოდა და თავშესაფარი რომ ვერსად ნახა, თავი აპოლონის სამსხვერპლოს შეაფარა. ეშმაკთა საცხოვრებელმა შიში მოჰგვარა და პირჯვარი გამოისახა, თუმცა ჯვრის ძალა სრულებით არ სწამდა. შუა ღამით, როდესაც ღამის სიჩუმე შიშს ჰგვრიდა და არ ეძინა, უეცრად დაინახა, რომ სამსხვერპლოსთან უამრავი ბოროტი სული მოვიდა,

რომლებიც თავიანთ მბრძანებელს ამაღლასავით მოჰყვებოდნენ. ის, ვინც მათ შორის მთავარს ჰგავდა, სამსხვერპლოს შუაში დაჯდა და ყოველ თანმხლებს ეკითხებოდა, თუ რას საქმიანობდა. მას აინტერესებდა, მათგან თითოეულმა რამდენი ბოროტება ჩაიდინა. ყოველი გამოკითხული ბოროტი სული ჰყვებოდა, კეთილისმოქმედ ადამიანებს რითი აცდუნებდა. შემდეგ მის წინაშე ის წარდგა, ვინც ეპისკოპოს ანდრიას მოწესე დედაკაცის სახის წარმოდგენით ხორციელ ბრძოლას აღუძრავდა. მათი მთავარი ამ ცნობას ხარბად ისმენდა და ყოველი წვრილმანი მნიშვნელოვნად მიაჩნდა, რადგანაც ბოროტი სული წარმწყმედელი დაცემისაკენ წმიდა კაცს მისდრეკდა. ამავე დროს სულმა აღიარა, რომ ჯერჯერობით არაფერი გამოუვიდა, გარდა იმისა, რომ გუშინ საღამოს ეპისკოპოსი აღძრა, მონაზონს ვნებიანად შეხებოდა. მაშინ ბოროტმა სულმა, კაცთა მოდგმის უძველესმა მტერმა, მას დარწმუნება დაუწყო, დაწყებული საქმე დაესრულებინა და პირველობის პალმის რტოს დაჰპირდა. იქ მყოფმა იუდეველმა ეს ყოველივე ცხადად ნახა, მაგრამ შიშის ზარი მაშინ დაეცა, როდესაც მთავარმა ბრძანა გაეგოთ, ვინ გაბედა მათ სამსხვერპლოში გაეთია ღამე. ბოროტი სულები იუდეველს მიუახლოვდნენ, კარგად დააკვირდნენ და ნახეს, რომ ის ჯვრის ნიშით იყო გარეშემოზღუდული და შეშინებულებმა შესძახეს: „ჰოი, ეს ცარიელი, დაბეჭდილი ჭურჭელია!“ ამ სიტყვების შემდეგ ბოროტ სულთა სიმრავლე გაქრა. იუდეველი მცისვე ადგა და ეპისკოპოსთან გაეშურა. ის ამ დროს ტაძარში იყო. იუდეველმა მღვდელმთავარი გვერდზე გაიხმო და დაეკითხა, განსაკუთრებით რომელი ბრძოლა აწუხებდა. ეპისკოპოსს თქმა ერიდებოდა. მაშინ იუდეველმა უთხრა, რომ ის ენკრატისის მიმართ არაწმიდა სიყვარულით იტანჯებოდა, მაგრამ ეპის-

კობოსი მაინც არ გამოტყდა. ამის შემდეგ იუდეველმა უთხრა: „რატომ არ აღიარებ იმას, რის შესახებაც გეკითხები? გუშინ იმგვარი ბრძოლა არ გქონდა, რომ გაკადნიერდი და ენკრატისს ვნებიანად შეეხე?“ ამ სიტყვებით მხილებულმა ეპისკოპოსმა მდაბლად აღიარა ყოველივე, რასაც აქამდე ჯიუტად უარყოფდა. იუდეველს სურდა მისი სიწმინდე დაცემისაგან ეხსნა და მოუთხრო, როგორ შეიტყო ამის შესახებ ბოროტ სულთა კრებაზე. მაშინ ეპისკოპოსი სინანულითა და ლოცვით მიწაზე დაემხო და თავისი საცხოვრებელიდან არა მარტო ის ენკრატისი განიშორა, არამედ – სხვა მორჩილი დედაკაცებიც. აპოლონის სამსხვერპლოს ადგილას მან წმიდა მოციქულ ანდრიას ტაძარი ააგო და ხორციელი ბრძოლისაგან სრულიად გათავისუფლდა. ხოლო იუდეველი, რომელმაც ამხილა და თავისი ხილვით იხსნა, მარადიული ხსნის გზაზე დააყენა, ნათლისღების წყალში განბანა და წმიდა საიდუმლოთა მეოხებით წმიდა ეკლესიის წიაღში მიიღო. ამგვარად, ამ ებრაელმა სხვის ხსნაზე ზრუნვით ხსნა თავისთვისაც მოიპოვა და ყოვლისშემძლე ღმერთმა მას სათნო ცხოვრებისაკენ სწორედ იმით მოუწოდა, რაც სხვისი სათნოების დაცვას ემსახურა.

პეტრე: მოსმენილი შიშსა და სასოებას აღმიძრავს.

გრიგოლი: მუდამ გვმართებს ვსასოებდეთ ღმერთის ჩვენდამი მოწყალებას და ვძრწოდეთ ჩვენი უძლურების გამო. აჰა, გავიგეთ, სამოთხის კედარი როგორ შეირყა, მაგრამ ვერ აღმოიფხვრა, რათა ჩვენში, რომლებიც უმტკიცარნი ვართ, მისი რყევის გამო შიში იშვას, და სასოება – მისი სიმტკიცის გამო.



თავი მერვე

აკვინიუმის ეპისკოპოსი კონსტანცი

ქალაქ აკვინიუმში ეპისკოპოსად იყო ვინმე კონსტანცი, რომელიც ღმრთისმოშიშებით ცხოვრობდა. ის ცოტა ხნით ადრე გარდაიცვალა, ვიდრე კათედრაზე ჩემი წინამორბედი, ნეტარხსენებული პაპი იოანე ავიდოდა. ვინც კონსტანცის ახლოს იცნობდა, ამბობს, რომ მას წინასწარმეტყველების ნიჭი ჰქონდა. სხვათა შორის, აი, რას გადმოგვცემენ თვითმხილველები, კაცნი მართალნი და ღმრთისმოყვარენი. კონსტანცის აღსრულების დღეს, როდესაც მის სიახლოვეს უამრავი დამწუხრებული ადამიანი იდგა, როგორც მოსიყვარულე მამის დამკარგავი შვილები, რამდენიმე მათგანი ცრემლმორევით დაეკითხა: „ვინ შეგვიცვლის შენს თავს, მამაო?“ — „ჩემს შემდეგ“, — უპასუხა წინასწარმეტყველებით კონსტანციმ, — თქვენი ეპისკოპოსი მეხრე იქნება, ხოლო იმის შემდეგ მემამუდე. ვაი შენ, აკვინიუმ, რომ ეს დღე მოგეღის!“ ამ წინასწარმეტყველების გამოთქმის შემდეგ კონსტანცი აღესრულა. მართლაც, მისი გარდაცვალების შემდეგ, სამწყემსო მზრუნველობა ეკლესიაზე მისმა დიაკვანმა, ანდრიამ იტვირთა, რომელიც ერთ დროს ცხენების გამრეკი იყო. ანდრიას გარდაცვალების შემდეგ ეპისკოპოსის ღირსება იოანეს ერგო, რომელიც იმავე ქალაქში ადრე მემამუდე იყო. იოანეს მმართველობის ხანაში იმდენი ადამიანი მოისრა ბარბაროსთა მახვილით და ჟამიანობით, რომ მისი სიკვდილის შემდეგ აღარავინ დარჩა შესაფერისი, რომ ეპისკოპოსად აერჩიათ და ან ვისთვის უნდა აერჩიათ. ამგვარად, ღმრთის სათნო მოსაგრის წინასწარმეტყველება, რომ ორი მოსაყდრის შემდეგ მისი ეკლესია მწყემსის გარეშე დარჩებოდა, აღსრულდა.

თავი მესამე

ლუკის ეპისკოპოსი ფრიგლიანე

იმასაც გიამბობ, თუ რა შევიტყვევებ ორიოდ დღის წინ ღირსი ბენანცისგან, რომელიც ლუნიის ეპისკოპოსი იყო. მისი ოლქის მეზობლად ქალაქ ლუკის ეკლესიაში ეპისკოპოსად საოცრად სათნო ადამიანი, ვინმე ფრიგლიანე იყო. იმ ქვეყანაში მის მიერ აღსრულებული მეტად უჩვეულო სასწაული თითქმის ყველას ახსოვს. მდინარე აბსერი, რომელიც ქალაქ ლუკის გალავნის სიახლოვეს მიედინება, წყალდიდობის დროს ნაპირებიდან ხშირად გადმოდიოდა, მინდვრებს ტბორავდა და ნათესებს ანადგურებდა. იმ ქვეყნის მცხოვრებნი ზარალდებოდნენ და ამის გამო ცდილობდნენ მდინარის დინება სხვა ადგილებისკენ მიემართათ, მაგრამ როგორ არ დაშვრნენ, მდინარეს კალაპოტი ვერ შეუცვალეს. მაშინ ღმრთის მონა ფრიგლიანემ პატარა ფოცხი გააკეთა, მდინარის ნაპირზე წაიღო და განმარტოებით ლოცვის შემდეგ მდინარეს უბრძანა გაჰყოლოდა, თვითონ კი ფოცხით გზას უჩვენებდა. მდინარემ კალაპოტი დატოვა და მას გაჰყვა, ის ადგილები კი, სადაც ადრე მიედინებოდა, სრულიად ამოშრა. ახალი კალაპოტი იმ მიმართულებით წარმოიქმნა, რომელიც ღმრთის მონამ ფოცხით მიანიშნა. მას შემდეგ მდინარეს ნათესებისთვის არავითარი ზიანი არ მიუყენებია.

თავი მესამე

ქალაქ პიაჩენცას ეპისკოპოსი საბინი

იმავე ღირსმა ეპისკოპოსმა ბენანციმ ერთი სასწაულის შესახებ გიამბობ, რომელიც ქალაქ პიაჩენცაში აღესრულა. მას რომის ამჟამინდელი პრეფექტი იოანეც ადასტურებს, ალალ-

მართალი კაცი, რომელიც დაიბადა და აღიზარდა პიაჩენცაში, როგორც ბენანცისაც ახსოვს. ამ ქალაქში, როგორც ამბობენ, ეპისკოპოსად ვინმე საბინი იყო, რომელიც საკვირველ ცხოვრებას ეწეოდა. ერთხელ მას დიაკვანმა ამცნო, რომ მდინარე პო აღიდა, ნაპირებიდან გადმოვიდა და ეკლესიის მინდვრები დაფარა. „წადი და მდინარეს უთხარი, — უპასუხა ღმრთისმოსიშმა საბინმა, — ეპისკოპოსი გიბრძანებს შენს კალაპოტში მორჩილებით დაბრუნდე“. მისი სიტყვები დიაკვანს უჩვეულოდ და სასაცილოდ ეჩვენა. მაშინ ღმრთის მონამ გადამწერი მოიხმო და უბრძანა ამგვარი რამ დაეწერა: „უფალ იესო ქრისტეს მონის, საბინის ბრძანება მდინარე პოს. სახელითა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესითა გიბრძანებ ამ მიდამოებში კალაპოტიდან არასოდეს გადმოხვიდე და საეკლესიო მინდვრები არ გაანადგურო“. „წადი და მდინარეში ჩააგდე“, — უთხრა ეპისკოპოსმა. როგორც კი გადამწერმა მისი ბრძანება შეასრულა, მდინარემ საეკლესიო მინდვრებიდან დაიხია, თავის კალაპოტს დაუბრუნდა და ის ადგილები აღარასოდეს დაუტბორავს. ამ შემთხვევაში, როდესაც იესოს ძალით წმინდანის ბრძანებას თვით უგუნური სტიქიაც კი დაემორჩილა, რა არის გამოსატყუი, თუ არა დაუმორჩილებელ ადამიანთა სიჯიუტე?

თავი მეთერთმეტი


პოპულენის ეპისკოპოსი ქერბონი

ჩვენს დროში პოპულენის ეპისკოპოსმა, ღმრთისმოსავმა ქერბონმა, ცხოვრების სიწმინდით სახელი გაითქვა. ის განსაკუთრებით სტუმართმოყვარეობით გამოირჩეოდა. ერთხელ მან უცხო მეომრები შეიფარა და უღმობელი გუთების თავ-

დასხმისგან იხსნა. როდესაც გუთების უსჯულო მეფე ტოტილამ ამის შესახებ შეიტყო, განრისხდა და დაუოკებელი სისხლის ღვრის სურვილით აღძრულმა, ბრძანა ეპისკოპოსი მერულაში, საეპისკოპოსო ქალაქიდან რვა მილით დაშორებულ სამხედრო ბანაკში მიეყვანათ, რათა ქერბონი ხალხის თვალწინ დათვებისთვის დასაგლეჯად მიეგდოთ. სანახაობაზე უამრავი ხალხი შეიკრიბა, თვით უსჯულო მეფეც იქ იყო, რათა ეპისკოპოსის სიკვდილის ხილვით დამტკბარიყო. ეპისკოპოსი შუაგულში დააყენეს და მის დასაგლეჯად გააფთრებული დათვი გამოუშვეს. გულფიცხი ტოტილა განსაკუთრებული სიამოვნებით ელოდა, ამ ადამიანს დათვი როდის დაგლეჯდა. გამძვინვარებული და დამშეული მხეცი გალიიდან ეპისკოპოსისკენ გაქანდა, მაგრამ უეცრად, თითქოს დაავიწყდა თავისი გააფთრება, თავი დაბლა დახარა, ეპისკოპოსს მიუახლოვდა და ფეხების ლოკვა დაუწყო, თითქოსდა ყველას ცხადად უჩვენებდა, რომ ამ ღმრთისმღოშიში ადამიანის მიმართ ცხოველის გული ადამიანური გახდა, ხოლო ადამიანთა გულები, პირიქით, გამხცდა. შეკრებილმა ხალხმა გაკვირვება და კრძალვა ხმამაღალი შეძახილებით გამოხატა. თვით მეფემ, თავისდა უნებურად, წმინდანის მიმართ კრძალვა იგრძნო, რადგან, თუმცა ადრე სურდა უღმერთოდ წაერთმია მისთვის სიცოცხლე, ამჯერად საღმრთო განგებულებით, ცხოველის მაგალითით სიმშვიდეში განისწავლა. ამ შემთხვევის რამდენიმე თვითმხილველი ამჟამადაც ცოცხალია და ისინი ადასტურებენ, რაც სხვებთან ერთად იხილეს.

ამ წმინდანის მიერ აღსრულებული კიდევ ერთი სასწაულის შესახებ ლიონის ეპისკოპოსი მიაშობდა. პოპულენის ეპისკოპოსად ყოფნისას ქერბონმა ბრძანა მისთვის სამარე მოემზადებინათ, მაგრამ იტალიაზე ლონგობარდების გამა-

ნადგურებელი თავდასხმის დროს ქერბონი კუნძულ ელბაზე გადასახლდა. როდესაც მძიმე ავადმყოფობის გამო სიკვდილი მოუახლოვდა, მან კლერიკოსებსა და გარშემომყოფთ უბრძანა პოპულენში მომზადებულ სამარეში დაეკრძალათ. „იმ ქვეყანას ლონგობარდები შემოესივნენ და მთლიანად დაიკავეს, — უთხრეს მას, — როგორ გადავასვენოთ შენი ცხედარი?“ „ნურაფრის შეგეშინდებათ, — თქვა ეპისკოპოსმა, — იქ ჩემი ცხედარი უშიშრად გადაასვენეთ; მაგრამ ეცადეთ სწრაფად დამასაფლაოთ და უკან მაშინვე, ყოველგვარი დაყოვნების გარეშე დაბრუნდეთ“. ამგვარად, როდესაც ეპისკოპოსი გარდაიცვალა, მისი ცხედარი ხომალდზე მოათავსეს. ზღვაზე მოგზაურობის დროს ცაზე ღრუბლები მოგროვდა და კოკისპირული წვიმა წამოვიდა. თითქოს იმის ნიშნად, თუ რა დიდი წმინდანის ნეშტი იმყოფებოდა ხომალდზე, მთელ გზაზე, ელბიდან პოპულენამდე, თორმეტი მილის მანძილზე, ხომალდს წვიმის ერთი წვეთიც არ დასცემია, როდესაც ის ქარიშხალსა და კოკისპირულ წვიმაში მიცურავდა. ამგვარად, კლერიკოსებმა მიაღწიეს პოპულენს, ეპისკოპოსის ცხედარი მიწას მიაბარეს და მისი ბრძანებისამებრ ხომალდზე დაუყოვნებლივ დაბრუნდნენ. ის იყო ხომალდზე ავიდნენ, რომ ეპისკოპოსის საფლავზე ლონგობარდების სასტიკი მთავარი ჰუმარიტი მივიდა. ამგვარად, ეპისკოპოსის ბრძანება, რომ მისი დასაფლავების შემდეგ კლერიკოსები დაუყოვნებლივ ხომალდზე დაბრუნებულიყვნენ, გვიჩვენებს, რომ მას წინასწარმეტყველების ნიჭი ჰქონდა მიმადლებული.



თავი მეთორმეტი

უტრიკულას ეპისკოპოსი ფულგენცი

ორად გაყოფილი წვიმის სასწაული სხვა ღმრთისმოსავ ეპისკოპოსთანაც აღსრულდა. აი, რა გვიამბო ერთმა ხანდაზმულმა კლერიკოსმა (ის ამჟამადაც ცოცხალია) შემთხვევის შესახებ, რომლის თვითმხილველიც თავად იყო. მრისხანე მეფე ტოტილა უტრიკულას ეპისკოპოს ფულგენცის მიმართ საშინელ უკმაყოფილებას გამოხატავდა. ერთხელ, როდესაც ის ამ ქვეყანას ჯართან ერთად უახლოვდებოდა, ეპისკოპოსმა მას კლერიკოსთა ხელით ძღვენი გაუგზავნა, რათა საჩუქრით მაინც მოეღბო მისი სისასტიკე, მაგრამ ტოტილამ ძღვენი უგულვებლყო და მრისხანებით ანთებულმა მეომრებს უბრძანა, ეპისკოპოსი დაუნდობლად შეეპყროთ და განსასჯელად მისთვის წარედგინათ. გუთებმა, რომლებიც თავიანთი მბრძანებლის დავალებას ასრულებდნენ, ეპისკოპოსი შეიპყრეს, მიწაზე წრე შემოხაზეს, შიგნით ფულგენცი ჩააყენეს და უბრძანეს უძრავად მდგარიყო. გუთების ტყვეობაში, მზის გულზე იტანჯებოდა ღმრთის სათნო მოსაგრე. უეცრად იელვა, ჭექა-ქუხილი ატყდა და ისეთი კოკისპირული წვიმა წამოვიდა, რომ წმინდანის მცველებმა იქ დგომა ველარ შეძლეს. მიუხედავად ასეთი უჩვეულო წვიმისა, არც ერთი წვეთი არ ჩავარდნილა წრეში, სადაც წმინდანი იდგა. როდესაც ეს გულფიცხ მეფეს მოახსენეს, მის სასტიკ გულში ეპისკოპოსისადმი ღრმა პატივისცემის გრძნობა აღიძრა, რომლის დალუპვაც ასეთი დაუოკებელი სისასტიკით სურდა. ამგვარად ამდაბლებს ღმერთი ამპარტავან ხორციელ გონებას, თავის მშვიდ მონებში საკუთარი ძალის სასწაულებრივი გამოვლენით. ჭეშმარიტება (ღმერთი), რომელიც თავმდაბალ ადამიანებში მოქმე-

დებს, ასე იმორჩილებს იმათ, ვინც მის მცნებათა წინააღმდეგ თავს ამაყად აიმაღლებს.

თავი მესამე

პერუზის ეპისკოპოსი ჰერკულანი

ახლახან კეთილმსახური ეპისკოპოსი ფლორიდი ერთი ღირსშესანიშნავი სასწაულის შესახებ მიაშობდა. ქალაქ პერუზის ეპისკოპოსი, — ამბობდა ფლორიდი, — იყო უწმინდესი ჰერკულანი, ჩემი აღმზრდელი. ის მონასტერს იქამდე წინამძღვრობდა, ვიდრე ეპისკოპოსის ხარისხში ამაღლდა. უსჯულო მეფე ტოტილას დროს გუთების ჯარს ეს ქალაქი თითქმის შვიდი წლის განმავლობაში ალყაში ჰქონდა მოქცეული. მრავალი მოქალაქე გაიქცა, რადგან შიმშილობის ატანა აღარ შეეძლო. შვიდი წლის გასვლის შემდეგ გუთებმა ალყაშემორტყმული ქალაქი დაიპყრეს. მაშინ მოალყე ჯარის უფროსმა მეფეს კაცი გაუგზავნა, რომ გაეგო, ეპისკოპოსსა და ხალხს როგორ მოპყრობოდა. „ეპისკოპოსის სხეულიდან მისი სიმაღლის თასმა გამოჭერი და შემდეგ თავი მოჰკვეთე, ხოლო ქალაქის მცხოვრებნი მახვილით ამოწყვიტე“, — შეუთვალა ტოტილამ. ჯარის უფროსმა ღმრთისმოყვარე ეპისკოპოსი ქალაქის გალავანზე აიყვანა, თავი მოჰკვეთა და ამის შემდეგ ბრძანა მისთვის ტყავი გაეძროთ, რათა მისგან თასმა გამოეჭრა, სხეული კი გალავნიდან გადაეგდოთ. მაშინ ზოგიერთმა ღმრთისმოსავემ და გულშემატკივარმა ადამიანმა ეპისკოპოსის მოკვეთილი თავი სხეულთან დადო და მიწას მიაბარა ერთი ყრმის ცხედართან ერთად, რომელიც გალავნის სიახლოვეს აღმოაჩინეს. ორმოცდღიანი სისხლისღვრის შემდეგ მეფე ტოტილამ განაცხადა, რომ იმ ქალაქის მცხოვრებლებს, რომ-

ლებიც სხვადასხვა მხარეს მიმოიფანტნენ, უშიშრად შეეძლოთ ქალაქში დაბრუნება. ალყის დროს გაქცეულმა მოქალაქეებმა ამ უფლებით ისარგებლეს და უშიშრად იწყეს დაბრუნება. მათ თავიანთი ეპისკოპოსის სათნო ცხოვრება ახსოვდათ და მისი საფლავის ძებნა დაიწყეს, რათა მღვდელმთავრის ცხედარი წმიდა მოციქულ პეტრეს ტაძარში პატივით გადაესვენებინათ. როდესაც მისი საფლავი გათხარეს, ნახეს, რომ ყრმის ცხედარს, რომელიც ეპისკოპოსთან ერთად დაკრძალეს, ორმოცი დღის შემდეგ ხრწნა დაეწყო და მატლი ეხვია, ხოლო ეპისკოპოსის სხეული უხრწნელად ესვენა, თითქოს ახალი დაკრძალული იყო. უმეტეს გააკვირვებას ის იწვევდა, რომ ეპისკოპოსის თავი სხეულს იმდენად მტკიცედ შეზრდიდა, თითქოს მოკვეთილი არც ყოფილიყო. მახვილის კვალიც არსად ემჩნეოდა. შემდეგ ის გადააბრუნეს, რათა ენახათ, წამების ნიშნები ზურგზე ხომ არ ემჩნეოდა, მაგრამ სხეული სრულიად უვნებელი აღმოჩნდა, თითქოს მახვილი არც მიჰკარებოდა.

პეტრე: ვის არ გააკვირვებს ამგვარი სასწაული, რომელიც მიცვალებულზე აღესრულა იმისთვის, რომ ცოცხლებმა გულისხმაყონ.

თავი მეთოთხმეტი ღმრთის მონა ისააკი

ქალაქ სპოლეტოს სიახლოვეს, გუთების ბატონობის დასაწყისიდან თითქმის დასრულებამდე, ცხოვრობდა ვინმე ისააკი, ღმრთისმოსავი კაცი. მას მრავალნი იცნობენ, მათ შორის არის კეთილმსახური ქალწული გრიგორია, რომელიც ამჟამად რომში, ყოვლადწმიდა და მარადქალწულ მარიამის ტა-

ძართან ცხოვრობს. ის სიყრმეში ისააკმა ტაძარში შეიფარა, როდესაც გათხოვებას უპირებდნენ. მას სურდა მონაზვნური ცხოვრება დაემარხა და ღმრთის შეწევნით შეძლო. იმის გამო, რომ მიწიერ საქმროს დაეძალა, ის ღირსი გახდა სასიძო ზეცაში შეეძინა. ისააკის შესახებ ასევე მრავალი რამ ღირს მამა ელფთერთან საუბარში შევიტყვე. ის ისააკს ახლოს იცნობდა, ხოლო მისი ღმრთისმომიშება მის მონათხრობს სარწმუნოს ხდის.

ღმრთისმოსავი ისააკი წარმოშობით იტალიელი არ იყო, მაგრამ მე მის მიერ იტალიაში აღსრულებულ სასწაულთა შესახებ გიამბობ. როდესაც იგი სირიიდან სპოლეთში პირველად ჩამოვიდა, ტაძარში შევიდა და ეკლესიის მსახურთ სთხოვა, ნება დაერთოთ იმდენ ხანს ელოცა, რამდენიც მოესურვებოდა და ღმრთისმსახურების დროს ტაძრიდან არ გაეძევებინათ. მან მთელი დღე და ღამე ლოცვაში გაატარა, ასევე ორი მომდევნო დღე და ღამეც დაუცხრომელად ლოცულობდა. ტაძრის ერთ-ერთმა მსახურთაგანმა, რომელიც ამპარტავნების სულით იყო აღვსილი, ამ შემთხვევით სარგებლობის ნაცვლად, მხოლოდ წარსაწყმედელი ვნება მოიძკო. მან წმინდანის შესახებ ხმამაღლა და კაღნიერად დაიწყო ლაპარაკი, რომ ის თვალთმაქცი და მატყუარაა, სხვების წინაშე თავის მოწონება ხანგრძლივი ლოცვით სურს. შემდეგ ღმრთის მონას მივარდა და ცემა დაუწყო, რათა ტაძრიდან, როგორც ცრუ წმინდანი, შეურაცხყოფილი გაეგდო. მაგრამ უეცრად მას ბოროტი სული ეკვეთა, ღმრთის კაცის ფერხით დასცა და მისი პირით აყვირდა: „ისააკი განმდევნის მე“. ამ უცხო ადამიანის სახელი აქამდე არავინ იცოდა. ბოროტმა სულმა, რომელიც გაჰყვიროდა ისააკი განმდევნისო, განაცხადა მისი

სახელი. ღმრთის მონა მყისვე შეპყრობილის სხეულზე განერთხა და ბოროტი სული მისგან განდევნა.

ეს ამბავი მთელ ქალაქს მაშინვე მოედო. მდაბიო და წარჩინებულმა დედაკაცებმა თავი მოიყარეს და თითოეული ცდილობდა წმინდანი თავის სახლში მიეწვია. ერთნი მამულს სთავაზობდნენ, მეორენი — ფულს, სხვები კიდევ სხვა შეწვევნას, ვისაც რა შეეძლო და ევედრებოდნენ წმინდანს ეს ყოველივე მონასტრის მოსაწყობად გამოეყენებინა, მაგრამ ღმრთის მონამ არაფერი მიიღო, ქალაქს გაეცალა, განმართლებული ადგილი მოძებნა და სენაკი აიშენა. მრავალნი აკითხავდნენ და მისი მაგალითით მარადიული ცხოვრების საძიებლად აღძრულნი ღმრთის მონას მორჩილებისა და ხელმძღვანელობისათვის თავს ანდობდნენ. მოწაფეები მას ხშირად სთხოვდნენ, მართალია, დაჟინებით, მაგრამ — სიმდაბლით, რომ მონასტრის სარგებლობისთვის შემოწირულობები მიეღო, მაგრამ ის უპოვარებას ფიზიკურად იცავდა და მუდამ მტკიცედ პასუხობდა, რომ „ვინც მიწიერ საუნჯეს ეძებს, ის მონაზონი არ არის“. ის ისეთივე სიფრთხილით ცდილობდა უპოვარება დაემარხა, როგორც მდიდრები ცდილობენ დაიცვან თავიანთი ხრწნადი სიმდიდრე. მონასტერში მისი ცხოვრების დროს ხმა მისი წინასწარმეტყველების ნიჭისა და უდიდესი სასწაულების შესახებ შორეულ ქვეყნებში გავრცელდა.

ერთხელ, საღამოხანს, მან ბრძანა მონასტრის ბოსტანში რამდენიმე ბარი დაეტოვებინათ: „ამდენი და ამდენი ბარი ბოსტანში დატოვეთ და უკან სასწარაფოდ დაბრუნდით“, — უთხრა მან მოწაფეებს. იმავე ღამეს ლოცვისთვის ამდგარ ძმებს უბრძანა: „მუშაკებისთვის შეჭამანდი მოხარშეთ, რომ დილაადრიან მზად იყოს“. დილით უბრძანა, შეჭამანდი ბოს-

ტანში წაეღოთ და ძმებთან ერთად იქ მისულს იმდენი მუშაკი დახვდა, რამდენი ბარიც მისი ბრძანებით იქ დატოვეს. ისინი ქურდები იყვნენ. როდესაც ბოსტანში შეიპარნენ, მათი განზრახვა, ღმერთის ზემოქმედებით, შეიცვალა: ბარები რომ ნახეს, აიღეს და ღმერთის მონის მოსვლამდე შეუსვენებლად მუშაობდნენ. მათ დაუშუშავებლად დარჩენილი მიწა დაბარეს. „გამარჯობათ, ძმებო! უკვე დიდი ხანია შრომობთ. დროა, დაისვენოთ!“ – უთხრა მათ ღმერთის მონამ. შემდეგ მოტანილი შეჭამანდი შესთავაზა, რათა მომქანცველი შრომის შემდეგ ენუგეშათ. როდესაც ინუგეშეს, წმინდანმა უთხრა: „ბოროტებას ნუ ჩაიდენთ, როდესაც რაიმე დაგჭირდებათ, კარებთან მოდით, მშვიდად ითხოვეთ და კურთხევით მიიღებთ, ხოლო ქურდობისგან თავი შეიკავეთ“. შემდეგ ბრძანა, მათთვის რაც შეიძლება ბევრი ბოსტნეული მიეცათ. ამგვარად, ბოსტანში ბოროტი განზრახვით მისულნი, თავადაც უვნებელნი დაბრუნდნენ და გაწეული შრომისათვის უხვი ჯილდოც მიიღეს.

სხვა დროს ისააკს მოწყალებისათვის უცხოტომელებმა მიაკითხეს, რომელთაც იმდენად დაფლეთილი და დაკონკილი სამოსი ეცვათ, რომ თითქმის შიშვლები იყვნენ. მათ წმინდანს სამოსი სთხოვეს, ის კი მღუშარედ უსმენდა. შემდეგ ერთ-ერთი მოწაფეთაგანი მოიხმო და ფარულად უბრძანა: „წადი ტყეში, ამა და ამ ადგილას ხის ფულუროში ტანსაცმელს ნახავ და მოიტანე“. მოწაფე წავიდა, ხის ფულურო მოძებნა, ტანსაცმელი ამოიღო და მოძღვარს ფარულადვე მიუტანა. ღმერთის სათნო მოსაგრემ ტანსაცმელი ნახევრადშიშველ უცხოტომელებს მისცა და უთხრა: „თითქმის შიშვლები ხართ, ეს ტანისამოსი გამომართვით და ჩაიცვით“. მთხოვნელებმა მაშინვე იცნეს ტყეში დატოვებული თავიანთი ტანსაცმელი და შერცხვენილები ძრწოლამ მოიცვა. ამგვარად, იმათ, ვინც

სიცრუით სხვისი სამოსის მოპოვება ისურვეს, შერცხვენილებმა თავისივე მიიღეს.

ერთხელ ერთი ადამიანი წმინდანისგან ლოცვას ითხოვდა და მას მონის ხელით სანოვაგით სავსე ორი კალათი გაუგზავნა. მონამ ერთი კალათი გზაში გადაამალა, ხოლო მეორე ღმრთის სათნო მოსაგრეს მიართვა და მას თავისი პატრონის სათხოვარი მოახსენა. ღმრთის მონამ ძღვენი სიყვარულით მიიღო, მადლობა გადაუხადა და თან უთხრა: „გაფრთხილდი, როდესაც გზაზე გადამალულ კალათს აიღებ: მასში გველი ჩავიდა, ამიტომ საშიშია, მოულოდნელი შეხების გამო არ გიკბინოს“. ამ სიტყვებმა მონას ძრწოლა მოჰკვარა. ერთი მხრივ, უხაროდა, რომ სიკვდილს გადაურჩა, ხოლო მეორე მხრივ, დანაღვლიანდა, მაგრამ სირცხვილი მან ისე აიტანა, როგორც მაცხოვრებელი სასჯელი. როდესაც ბრუნდებოდა, კალათი ფრთხილად აიღო და როგორც ღმრთის კაცმა უწინასწარმეტყველა, მასში გველი აღმოჩნდა. ამგვარად, ეს წმინდანი თავშეკავების სათნოებას, ყოველივე მსწრაფლწარმავალის მოძულებას და წინასწარმეტყველების ნიჭს ლოცვისადმი არაჩვეულებრივ გულმოდგინებას უერთებდა. უჩვეულო მხოლოდ ერთი რამ იყო: ის ზოგჯერ იმდენად მხიარულდებოდა, ვინც არ იცნობდა, ვერაფრით დაიჯერებდა, რომ უდიდეს სათნოებებს ფლობდა.

პეტრე: გთხოვ, ამიხსენი, ეს რას ნიშნავს? ის ამგვარ მხიარულებას თავისი ნებით ეძლეოდა, თუ მისი სული, რომელიც ასეთ სათნოებებს ფლობდა, უნებურად აღფრთოვანდებოდა ნამდვილი სიხარულით?

გრიგოლი: დიდებულია, პეტრე, ყოვლისშემძლე ღმერთის განგებულება. უმთავრესად, იმგვარად ხდება, რომ იმათ, ვისაც ღმერთი უმაღლეს სიკეთეს მიჰმადლებს, უმცირესს მო-

აკლებს, რათა მათ სულებს მუდამ შეეძლოთ რითიმე თავის დამდაბლება, რათა, რაკი ისწრაფვიან სრულყოფილებისაკენ და ვერ ჰპოვებენ, იღვწიან იმის მოსაპოვებლად, რაც არა აქვთ და ვერც ჰპოვებენ საკუთარი შრომის შედეგად, თავი იმით არ განიდიდონ, რაც აქვთ, არამედ ისწავლონ, რომ საკუთარ თავში მცირე და უმნიშვნელო ნაკლოვანებათა აღმოფხვრაც კი არ ძალუძთ და თავისით არ მოუპოვებიათ უმაღლესი სრულყოფილებანი. სწორედ ამიტომ, როდესაც ღმერთმა რჩეული ერი აღთქმულ მიწაზე შეიყვანა, ყოველი მათი მტერი მოსრა, მხოლოდ ფილისტიმელები და ქანაანელები დატოვა, რადგან როგორც წმიდა წერილშია ნათქვამი: „სურდა გამოეცადა ისრაელიანები“ (მსაჯ. 3, 4). ამგვარად, როგორც უკვე გითხარი, უფალი უშვებს, მცირე ნაკლი დარჩეს იმათში, ვისაც უდიდეს სრულყოფილებას ანიჭებს, რომ მათ ჰქონდეთ საბრძოლველი და არ აიმაღლონ თავი ძლიერი მტრების დამარცხების შემდეგ, როდესაც ჯერ კიდევ აშფოთებენ უსუსური მტრები. ასე საკვირველად ერთი და იგივე სული სათნოებებშიც მტკიცდება და უძლურებითაც შეჭირვებულია, რათა, რომ იხილავს, ერთი მხრივ, კეთილგანგებულებას თავის თავში, ხოლო, მეორე მხრივ, — მოუწყობლობას, უკმაყოფილება იგრძნოს იმის გამო, რომ ვერ იკმაყოფილებს მისწრაფებას მოიპოვოს მისთვის მიუწვდომელი სიკეთე და სიმდაბლით დაიცვას ის, რაც აქვს. მაგრამ განა საკვირველია ეს ადამიანში, როდესაც თვით ზეცის მოქალაქეთა ნაწილი დაეცა, მეორე ნაწილმა კი სიმტკიცე შეინარჩუნა და თანამომეტა ამპარტავნებით დაცემის მხილველი რჩეულ ანგელოზთა სულები უმეტესად განმტკიცდნენ სიმდაბლეში. მოკლებამ როგორც ზეცაში მოიტანა სარგებლობა, რადგან მისი რღვევა მისივე მარადიული სიმტკიცის საფუძველი გახდა, ყოველ

სულშიც ასევე ხდება: უმნიშვნელო ნაკლი, როგორც სიმდაბლის მცველი, მას უდიდეს შენაძენთათვის იფარავს.

პეტრე: გულსავსე ვარ შენი განმარტებით.

თავი მეთხუთმეტი

ღმრთის მონანი — ევტიქი და ფლორენცი

გრიგოლი: გადმოგცემ იმას, რაც ღირსი სასკტულასგან შევიტყვე. ის იმავე ოლქში პრესვიტერი იყო. მის მონათხრობში ეჭვი არ შეგეპარება, რადგან მისი ღმრთისმომშიში და მართალი ცხოვრების შესახებ შენც იცი.

იმავე ხანებში ნურსიის ოლქის მიდამოებში ორი მონაზონი ცხოვრობდა: ევტიქი და ფლორენცი. ევტიქი სულიერი მოშურნეობით გამოირჩეოდა და ღმრთის სათნო ცხოვრება მხურვალედ უყვარდა. მისი უმთავრესი საზრუნავი იყო, რაც შეიძლება მეტი ადამიანი მოექცია სათნოების გზაზე. ფლორენცი უბრალოდ ცხოვრობდა. მისი უმთავრესი საქმიანობა ლოცვა იყო. ერთხელ მათ სიახლოვეს მდებარე მონასტერში წინამძღვარი გარდაიცვალა. მონასტრის ძმებმა ისურვეს მის ადგილზე ევტიქი მიეწვიათ. ევტიქიმ მათი თხოვნა შეიწყნარა და მონასტერს რამდენიმე წელი ხელმძღვანელობდა, მოწაფეთა სულებს სამონაზვნო ცხოვრების მიხედვით წარმართავდა, მაგრამ მას არ უნდოდა, რომ სენაკი, სადაც უწინ ცხოვრობდა, დაცარიელებულიყო და ნება მისცა ღმრთისმომშიში ფლორენცის იქ გადასულიყო. ფლორენცი ერთხელ ყოვლისშემძლე ღმერთს შეევედრა, რომ მისთვის ამ ადგილზე დადგომისთვის რამენაირი შეწევნა წარმოეგზავნა. ლოცვის დასრულების შემდეგ წმინდანი სენაკიდან გარეთ გავიდა და დაინახა, რომ კარის წინ დათვი იდგა, თავი მიწისკენ დაეხარა,

მოძრაობით არაფერს მხეცურს არ ავლენდა და ცხადად მიანიშნებდა, რომ ღმრთის კაცთან მორჩილების აღსასრულებლად მივიდა. წმინდანმა ეს მყისვე შეიცნო. სენაკს ოთხი-ხუთი ბატკანი ეკუთვნოდა, მაგრამ მათ მწყემსი არ ჰყავდათ. „წადი, ბატკნები საძოვარზე გადენე, — უთხრა წმინდანმა დათვს, — ხოლო მეექვსე ჟამზე მათთან ერთად დაბრუნდი“. მას შემდეგ დათვი მუდამ მწყემსის მოვალეობას ასრულებდა და ეს სისხლისმსმელი ცხოველი ცხვრებს მწყემსავდა, რომელთაც მანამდე მუსრს ავლებდა. როდესაც ღმრთის მონა მარხულობდა, მაშინ უბრძანებდა დათვს მეცხრე ჟამზე დაბრუნებულიყო, დანარჩენ დღეებში კი — მეექვსე ჟამზე. დათვიც ყოველთვის მას ემორჩილებოდა: როდესაც დაბრუნებას მეცხრე ჟამზე უბრძანებდა, მეექვსეზე არასოდეს ბრუნდებოდა, ხოლო დაბრუნება თუ მეექვსე ჟამზე ჰქონდა ნაბრძანები, მეცხრეზე არ ბრუნდებოდა. გავიდა ხანი და ხმა ამ სასწაულის შესახებ შორს გავრცელდა, მაგრამ უძველესი მტერი სწორედ იმით ცდილობს ბოროტი ადამიანები შურიტ მოწყლას, რითიც ღმრთის სათნო ადამიანი დიდებაში წარმატებას. ღმრთისმოშიში ევტიქის ოთხმა მოწაფემ ძლიერ შეიძულა ფლორენცი იმის გამო, რომ მან, განმარტოებით მცხოვრებმა, იმგვარი სასწაულებით გაითქვა სახელი, როგორსაც მათი მოძღვარი ევტიქიც კი არ აღასრულებდა. შეითქვენ და ფარულად დათვი მოუკლეს. როდესაც ფლორენცისთან დანიშნულ დროს დათვი არ დაბრუნდა, წმინდანი ძლიერ აღელდა, იმ საღამოს ელოდა, ხოლო მეორე დღეს დათვის საძებნელად გაემართა და მკვდარი იპოვა. გამოძიების შემდეგ შეიტყო, დათვი ვინც მოუკლა და მწარედ ატირდა, ის უფრო მეტად ძმების გაბოროტებას იგლოვდა, ვიდრე — დათვის მოკვლას. ღმრთისმოსავმა ევტიქიმ ფლორენცი მიიხმო და მისთვის ნუ-

გეშისცემას ცდილობდა, მაგრამ ღმრთის მონამ, მწუხარებით დანაღვლიანებულმა, ევტიქის თანდასწრებით შემდეგი სიტყვები წარმოთქვა: „მჯერა, რომ ყოვლისშემძლე ღმერთი ყველას თვალწინ, ჯერ კიდევ ამ ცხოვრებაში მიაგებს მათ ბოროტებისთვის: მათ მოკლეს დათვი, რომელსაც მათთვის არაფერი დაუშავებია“. ამ სიტყვების კვალდაკვალ ღმერთის შურისგებაამაც არ დააყოვნა. ოთხივე მონაზონს, რომლებმაც დათვი მოკლეს, იმწამსვე კეთრი შეეყარათ, სხეულები დაულპათ და მოკვდნენ. როდესაც ამგვარი რამ მოხდა, ფლორენცი ძლიერ შეშინდა: მის მიერ წარმოთქმულმა ძმათა განკითხვამ მას შიში მოჰგვარა. ის მთელი ცხოვრება იმის გამო გლოვობდა, რომ ღმერთმა შეისმინა მისი — საკუთარ თავს სასტიკს უწოდებდა და ძმათა სიკვდილში ადანაშაულებდა. ვფიქრობ, ყოვლისშემძლე ღმერთმა იმისთვის დაუშვა აღსრულებულიყო ამგვარი რამ, რომ ფლორენცისთვის, უადრესად ალაღმართალი კაცისთვის, ეჩვენებინა — თვით უდიდესი მწუხარების ჟამსაც კი ყოველთვის არ შეიძლება ასე განავრცო სხვათა განკითხვა.

პეტრე: ნუთუ ასე მძიმეა განკითხვის ცოდვა, როდესაც მას მრისხანების ჟამს წარმოვთქვამთ?

გრიგოლი: რად უნდა ამას კითხვა, როდესაც ჯერ კიდევ წმიდა მოციქული პავლე ამბობდა: „მაგინებელთა სასუფეველი ღმრთისაჲ ვერ დაიმკვიდრონ“ (1 კორ. 6, 10). ამდენად, განსაჯე, რა მძიმეა ეს ცოდვა, რომელიც სასუფეველს განაშორებს.

პეტრე: ადამიანს რა მოეწევა, თუკი მოყვასს განიკითხავს არა გაბოროტებით, არამედ ენის შეუკავებლობით?

გრიგოლი: თუკი საშინელი მსაჯული, საყვარელო პეტრე, ყოველი უქმი სიტყვისთვის განიკითხავს, მაშინ ბოროტი

სიტყვისთვის ხომ უფრო მეტად მოგველის განკითხვა? ამიტომ განსაჯე: თუკი ყოველი უქმი სიტყვისთვის სასჯელს მივიღებთ, რაოდენ უფრო დიდი სასჯელი მოჰყვება სიტყვას, რომელიც ბოროტებით გამოითქმის?

პეტრე: გეთანხმები.

გრიგოლი: იმავე წმინდანმა იმგვარი რამ აღასრულა, რის შესახებ შეუძლებელია დავდუძღე. როდესაც ფლორენცის სახელი შორეულ ქვეყნებში განითქვა, წმინდანთან შორიდან ერთი დიაკვანი გამოემგზავრა, რათა მისგან ლოცვა გამოეთხოვა. წმინდანის სენაკის სიახლოვეს მყოფმა, უამრავი გველი დაინახა და შეშინებულმა შესძახა: „ილოცე, ღმრთის მონაო!“ ფლორენცი სენაკიდან გამოვიდა, ხელები და თვალები ზეცისკენ აღაპყრო და ღმერთს შეევედრა, ქვეწარმავლები თავისი ნებისაებრ მოესპო. წმინდანის ვედრებისთანავე მუხი ჩამოვარდა და იქ მყოფი ყველა ქვეწარმავალი დაიხოცა. ამის დანახვაზე ღმრთის მონამ შეჰლაღაღა: „ღმერთო, შენ შემუსრე ისინი, მაგრამ ვინ გაწმენდს აქაურობას მათგან?“ მყისვე, წმინდანის მიერ ლოცვის წარმოთქმისთანავე, უამრავი ჩიტი მოფრინდა, თითოეულმა თითო ქვეწარმავალი აიტაცა და შორს წაიღო. ამგვარად, ფლორენცის სენაკის ახლოს მიდამო ქვეწარმავლებისაგან სრულიად გაიწმინდა.

პეტრე: რამდენად სათნო და დიდი უნდა ყოფილიყო ეს წმინდანი, რომ ყოვლისშემძლე ღმერთმა მისი ლოცვა ასე სწრაფად შეისმინა!


გრიგოლი: ყოვლისშემძლე ღმერთის წინაშე, რომელიც ბუნებით წმიდაა, საყვარელო პეტრე, ადამიანის გულის სიწმინდესა და უბრალოებას უდიდესი ძალა აქვს. მხოლოდ იმის გამო, რომ მისი მონები მიწიერ საზრუნავებს განუდგნენ, ფუჭსიტყვაობა განაგდეს და არ უშვებენ, რომ მათი სხეული

ცოდვებით შეიბილწოს, მათ ლოცვას ძალზე ხშირად ყველას წინაშე შეისმენს შემოქმედი, რომელთანაც (ეს წმიდა კაცები) დაახლოებულნი არიან იმით, რომ მიემსგავსებიან მას, როგორც ეს შესაძლებელია, სიწმინდითა და უბრალოებით. ჩვენ კი მუდამ ადამიანურ საზრუნავებში ვეფლობით, უქმად ვმეტყველებთ, ზოგჯერ ძალიან მაგნეს თქმასაც არ ვერიდებთ. ამიტომ ჩვენი სიტყვა ღმერთისგან იმდენადვეა დაშორებული, რამდენადაც ამ ქვეყანას უახლოვდება. მუდმივი ლაპარაკი დროებითს მიგვაჯაჭვავს და ღმერთისგან განგვაშორებს. წმიდა ესაია წინასწარმეტყველმა ამგვარი რამ საკუთარ თავში სამართლიანად ამხილა და შეინანა; როდესაც მან უფალი ძალთაჲ იხილა, შესძახა: „ჴ უბადრუკსა მე, რამეთუ შეკდემულ ვარ, რამეთუ კაცად მყოფი და არაწმიდათა ბაგეთა მქონებელი“ (ეს. 6, 5). შემდეგ კი დაამატა: „საშუალ ერისა, არაწმიდათა ბაგეთა მქონებელისა, მკვდრ ვარ მე“, და ამით განმარტა, უწმინდური ბაგე რატომ ჰქონდა. ის ბაგეთა უწმინდურების გამო წუხდა, მაგრამ როდესაც თქვა, რომ უწმინდურ ადამიანებს შორის ცხოვრობს, გვიჩვენა, თუ უწმინდურებას ვის დაესესხა, რადგან ძალიან ძნელია, რომ მიწიერზე საუბარმა გონება არ შეიბილწოს. თავიდან უმნიშვნელო ჩვევა ჩაგვითრევს და თავს უფლებას ვაძლევთ ცოტაოდენი ვისაუბროთ საერო საკითხებზე. შემდეგ უკვე ყოვლად უღირს ფუჭსიტყვაობას ერთგვარი სიამოვნებითაც ვაგრძელებთ, იმდენად, რომ ბოლოს თავს იმისგანაც კი ვერ ვიხსნით, რის უფლებასაც საკუთარ თავს უწინ გატაცების გამო, ერთგვარი შემწყნარებლობით ვაძლევდით. ამგვარად, უქმისმეტყველებიდან მაგნე სიტყვების გამოთქმაზე გადავდივართ, მსუბუქიდან – უმძიმესზე და ჩვენ მიერ გამოთქმულ ლოცვას უფალი მით უფრო ნაკლებად შეისმენს, რაც უფრო მეტად შეიბილ-

წება ის უგუნური უქმისმეტყველებით, რადგან წმიდა წერილი ამბობს: „ვინც რჯულის მოსმენას ყურს არიდებს, მისი ლოცვაც კი სიბილწეა“ (იგავ. 28, 9). რა არის იმაში გასაკვირი, თუკი ღმერთამდე ჩვენი ლოცვები გვიან აღწევს, როდესაც საღმრთო მცნებების აღსრულებაში თავად ვზარმაცობთ ან სულაც არ აღვასრულებთ? ან იმაში რა არის გასაკვირი, რომ ღმერთმა ფლორენცის ლოცვა მსწრაფლ შეისმინა, როდესაც საღმრთო მცნებებს წმინდანი მუდამ ყურად იღებდა?

პეტრე: შენი განმარტების საწინააღმდეგოდ ვერაფერს ვიტყვი.

გრიგოლი: რაც შეეხება ეგტიქის, ფლორენცის თანამგზავრს საღმრთო ასპარეზზე, მისი სახელი სიკვდილის შემდგომ აღსრულებული სასწაულებით განითქვა. მისი თანამოქალაქეები უამრავ სასწაულს მოგვითხრობენ, მაგრამ განსაკუთრებით აღსანიშნავია სასწაული, რომელიც ყოველისშემძლე ღმერთის ნებით წმინდანის სამოსლის საშუალებით მუდმივად აღესრულებოდა ღონგობარდების დროს. ვინაიდან იმ მხარეში გვალვა ხშირი იყო, წმინდანის თანამოქალაქენი ერთად იკრიბებოდნენ და მის სამოსელს ღმერთის წინაშე ლოცვით აღამაღლებდნენ და, როდესაც ლოცვითა და სამოსლით მინდვრებში დადიოდნენ, უეცრად წვიმა წამოვიდოდა და მიწას არწყულებდა. აქედან შეიძლება დავასკვნათ, რა დიდი იყო წმინდანის სულიერი სათნოებანი და დამსახურება, რომ შემოქმედის რისხვას მხოლოდ მისი სამოსის გამობრძანება აჩერებდა.



თავი მეთექვსმეტი

მარსის მთის მონაზონი მარტინი

გრიგოლი: არცთუ დიდი ხნის წინ კამპანიის ოლქში, მარსის მთაზე, განმარტოებით ცხოვრობდა ვინმე მარტინი, კაცი ფრიად სათნო. ის წლების მანძილზე ვიწრო მღვიმეში იყო დაყუდებული. ჩვენი ახლობლებიდან მას მრავალნი იცნობდნენ, ჩვენ შორის მისი ღვაწლის თვითმხილველნიც კი არიან. მის შესახებ ჩემი წინამორბედი, ნეტარხსენებული პაპი პელაგი და ასევე მრავალი ღმრთისმოყვარე ადამიანი მიამბობდა. მან ხსენებული მთის მღვიმეში დაყუდებისთანავე სასწაული აღასრულა: კლდემ, რომელიც მღვიმის სიღრმეში იყო, წყარო აღმოაცენა, რომელიც ღმრთის მონას იმდენ წყალს აწვდიდა, რამდენიც მისთვის ყოველდღიურად იყო აუცილებელი. აქედან ჩანს, თუ როგორ ზრუნავდა ყოვლისშემძლე უფალი თავის მონაზე, რომლისთვისაც ძველი დროის მსგავსად (რიცხ. 20. 7-11), უდაბნოში წყალი კლდიდან აღმოაცენა. უძველესი მტერი ღმრთის მონის სათნოებათა მიმართ შურით აივსო და თავისი მანქანებით ცდილობდა იგი მღვიმიდან გაეძევაინა. ამისთვის თავის უსაყვარლეს ცხოველში, გველში შევიდა და წმინდანს აშინებდა. გველი განმარტოებულ მოსაგრესთან შედიოდა და როდესაც ის ლოცულობდა, მის წინ წვებოდა. როდესაც წმინდანი მიწაზე განიროხმებოდა, ისიც მის გვერდით იწვა. წმინდანი ყოველგვარი შიშის გარეშე ხელს ან ფეხს პირთან მიუტანდა და ეუბნებოდა: „თუკი კბენას გამოიბედავ, მე ნებას გაძლევ“. ასე სამი დღის განმავლობაში გრძელდებოდა. ბოლოს, წმინდანის სიმტკიცით დამარცხებულმა მტერმა მღვიმე ღმუილით დატოვა: გველი მთის ფერდობიდან უფსკრულში გადაეშვა, გზაზე კი მისი პირიდან გამოსული ცეცხლი ყველაფერს წვადა. ამგვარად,

ღმრთის განგებით, მთის ფერღზე მცენარეთა გადაწვით, ეშმაკი იძულებული გახდა ეჩვენებინა, მისი მძლეველი ადამიანი რა დიდი სათნოებით იყო შემოსილი. განსაჯე, სულიერების რა მაღალ საფეხურზე იყო ეს კაცი, რომელმაც სამი ღლე გველთან ერთად უვნებლად გაატარა.

პეტრე: გისმენ და გაოცებული ვარ.

გრიგოლი: ამ ღმრთისმოსავმა კაცმა დაყუდების ხანს წესად დაიღო აღარასოდეს ეხილა დედაკაცის სახე, არა მათდამი სიძულვილის გამო, არამედ ეშინოდა მათი ხილვით ცდუნებაში არ ჩავარდნილიყო. ერთმა დედაკაცმა შეიტყო ამის შესახებ და ურცხვად გაკადნიერდა, მთაზე, მღვიმის შესასვლელთან ასულიყო. წმინდანმა შორიდანვე დაინახა იგი, სამოსით შეიცნო, რომ დედაკაცი იყო და ლოცვა დაიწყო. მიწაზე დაწვა, სახე დამალა და ამ მღგომარეობაში იქამდე იყო, ვიდრე ლოდინით გადაღლილი ურცხვი დედაკაცი მღვიმის სარკმელს არ მოშორდა. ის მთიდან ჩამოსვლისთანავე გარდაიცვალა, რითიც განცხადდა, რომ ღმერთი თავისი სათნო მოღვაწის ურცხვი კადნიერებით შეურაცხყოფის გამო ძლიერ განრისხდა.

მრავალი მორწმუნე ადამიანი წმინდანთან ლოცვა-კურთხევის სათხოვნელად მიდიოდა. წმინდანის სენაკთან მიმავალი გზა ძალიან ვიწრო და ციცაბო იყო. ერთხელ ერთ მცირეწლოვან ყრმას ფეხი დაუცდა და მთიდან ხეობაში გადავარდა. ის იმდენად ღრმა იყო, რომ მის ძირში უზარმაზარი ხეები პატარა წნელებივით მოჩანდა. მისი თანამგზავრები შეძრწუნდნენ და იმ ადგილს ეძებდნენ, სადაც შეიძლებოდა ყრმა ჩავარდნილიყო. ალბათ არცერთ მათგანს იმედი არ ჰქონდა, რომ მას ცოცხალს და, მით უმეტეს, უვნებელს ნახავდა. მაგრამ ყრმა ცოცხალი და სრულიად უვნებელი ნახეს.

ისინი მაშინვე მიხვდნენ, რომ ის წმიდა მარტინის მიერ აღკლენილი ლოცვის შედეგად გადარჩა.

წმინდანის მღვიმის თავზე უზარმაზარი კლდე იყო გადმოკიდებული, რომელიც მთას ვიწრო ყელით უერთდებოდა. მისი მოწყვეტის საშიშროების გამო წმინდანს ყოველ დღე განსაცდელი ელოდა. ერთხელ ვინმე მერკატორი, სახელოვანი არმენტარის შვილიშვილი, სოფლელებთან ერთად მთაზე ავიდა და ღმრთის მონას სთხოვა, მღვიმიდან გამოსულიყო, რათა მთიდან კლდე ჩამოეგდოთ და წმინდანს თავის მღვიმეში უშიშრად ეცხოვრა. ღმრთის კაცი ამაზე არ თანხმდებოდა, მაგრამ შემდეგ ნება მისცა მერკატორს ისე მოქცეულიყო, როგორც სურდა, თვითონ კი მღვიმის ბოლოში განმარტოვდა; თუმცა უეჭველი იყო, რომ ჩამოვარდნილი კლდე მღვიმეს ჩააქცევდა და მასაც მოკლავდა. როდესაც ხალხი კლდის მომტვრევას შეუდგა და ცდილობდა წმინდანისთვის არაფერი ევნო, მათ თვალწინ საკვირველი რამ აღესრულა. მათ მიერ ჩამოტეხილი კლდე მთიდან თავისით ისეთ მანძილზე გადავარდა, რომ მღვიმეს არ შეხებია და ღმრთის მონა სრულიად უვნებელი დარჩა. ვისაც უეჭველად სწამს, რომ ყოველივე ღმრთის განგებით აღესრულება, მიხვდება, რომ აღწერილი შემთხვევაც ღმრთის ბრძანებით, ანგელოზთა თანამონაწილეობით მოხდა.

როდესაც მარტინი მთაზე დაეყუდა და მისი მღვიმე ჯერ დახშული არ იყო, მან ფეხები რკინის ჯაჭვით შეიკრა და მისი ბოლო კლდეზე მიამაგრა, რომ იმაზე შორს ვერ წასულიყო, რის საშუალებასაც ჯაჭვის სიგრძე აძლევდა. ღირსმა ბენედიქტემ, რომლის შესახებ წიგნის მეორე ნაწილში მოგახსენეთ, ამის შესახებ გაიგო, მოწაფე გაგზავნა მარტინთან და შეუთვალა: „თუკი ღმრთის მონა ხარ, გმართებს შეიკრა არა

რკინის, არამედ – ქრისტეს სიყვარულის ხუნდებით“. ამის გაგონებისთანავე მარტინმა ბორკილები მოიხსნა, მაგრამ მათგან გათავისუფლების შემდეგაც ფეხი იმაზე შორს არ გადაუდგამს, ვიდრე შებორკილს შეეძლო. მას შემდეგ, რაც მღვიმეში დაეყუდა, მასთან მისვლა დაიწყო მოწაფეებმა, რომლებიც მღვიმესთან დასახლდნენ. ისინი წყალს ჭიდან იღებდნენ, მაგრამ თოკი, რომელზეც ჭურჭელი იყო მიმაგრებული, ხშირად უწყველობდათ. ამიტომ მოწაფეებმა წმინდანს ის ჯაჭვი სთხოვეს, რომლითაც ფეხები შეიბორკა და თოკს გადააბეს. ამის შემდეგ თოკს წყალში ყოველდღიურად უშვებდნენ, მაგრამ აღარასოდეს გამწყდარა, რადგან წმინდანის ჯაჭვმა მას რკინის სიმტკიცე მიანიჭა.

პეტრე: ამ სასწაულთა სმენა სასიხარულოა, რადგან ძალიან საკვირველნია და მით უფრო, რომ ახლახან აღსრულდნენ.

თ ა ვ ი მ ი ჩ ვ ი დ მ ე ტ ი

არგენტარის მთის მონაზონი, რომელმაც მიცვალებული მკვდრეთით აღადგინა

გრიგოლი: ჩვენს დროში ბუქსენტის ეკლესიაში იპოვდებოდნენ იყო ვინმე კვადრაგეზიმი. ის ავრელიის ოლქში თვითონ მწყემსავდა თავის ცხვრებს. ამ უაღრესად მართალმა კაცმა ერთი საუცხოო ამბავი გაგვანდო, რომელიც ყველასგან ფარულად აღესრულა. იმ დროს, როდესაც ის ცხვრებს მწყემსავდა ავრელიის ოლქში, არგენტარის მთაზე ერთი მეტად ღმრთისმოსავი კაცი ცხოვრობდა, გარეგნობისა და ცხოვრების წესის მიხედვით მონაზონი. მას წესად ჰქონდა ყოველწელს წმიდა მოციქულთა თავის, პეტრეს ტაძარში მისული-

ყო. მასპინძლობას ზემოთ ნახსენები იპოლიაკონი კვადრაგეზიმი უწევდა. მისი სახლი ტაძრის სიახლოვეს მდებარეობდა. ერთხელ, როდესაც მას სტუმრად ხსენებული მონაზონი ჰყავდა, ერთ მეზობლად მცხოვრებ ღარიბ დედაკაცს ქმარი გარდაეცვალა. მან ცხედარი წესისამებრ განბანა, შემოსა და სუდარა გადააფარა, მაგრამ საღამომდე მისი დაკრძალვა ვერ მოასწრო. დაქვრივებულმა დედაკაცმა მთელი ღამე მიცვალებულის ცხედართან ტირილში გაატარა. გამუდმებული ქვითინით ის თითქოსდა ნაღველის განქარვებას ცდილობდა. ასე ძალიან დიდხანს გაგრძელდა და დედაკაცი ცრემლებს ვერ იკავებდა. მისი მდგომარეობით შეძრულმა ღმრთის მონამ, რომელიც კვადრაგეზიმის სახლში იმყოფებოდა, მასპინძელს უთხრა: „ამ დედაკაცის მწუხარებას სულით თანავუგრძნობ. ადექი და წავიდეთ, ვილოცოთ“. ისინი ტაძარში წავიდნენ და ლოცვა დაიწყეს. ხანგრძლივი ლოცვის შემდეგ ღმრთის მონამ კვადრაგეზიმს სთხოვა ჩამოელოცა (ანუ შესაბამისი დამამთავრებელი ლოცვა წარმოეთქვა). ჩამოლოცვის შემდეგ მან წმიდა ტრაპეზის სიახლოვეს მტვერი მოაგროვა და მიცვალებულის სახლისკენ გაემართნენ. მონაზონმა იქაც ხანგრძლივად ილოცა და უწინდელივით აღარ უთხოვია იპოლიაკონისთვის ჩამოელოცა, თვითონ წარმოთქვა კურთხევა და მყისვე წამოდგა. მარჯვენა ხელში მოგროვილი მტვერი ეყარა, მარცხენით კი მიცვალებულს სახეზე საფენი გადახადა. დედაკაცი შეეწინააღმდეგა, რადგან არ იცოდა რას აპირებდა. მონაზონი მიცვალებულს სახეს მტვერით დიდხანს უზელდა, რის შემდეგაც მის სხეულში სული დაბრუნდა. მან თვალეები გაახილა და პირი გააღო, წამოჯდა და თითქოს ღრმა ძილისაგან გამოიღვიძაო, გაკვირვებით უყურებდა იმას, რაც მის გარშემო ხდებოდა. გლოვით გათანგული დედაკაცი ამის დანახვაზე

მომეტებულად ატირდა. ღმრთის მონა არწმუნებდა დამშვიდებულიყო და დადუმებულიყო. „თუ გკითხავენ, — უთხრა მან, — ეს როგორ მოხდა, უთხარი: უფალმა იესო ქრისტემ თავისი ძალის მეოხებით აღასრულა“. ამის შემდეგ წავიდა და იმ მხარეში აღარ გამოჩენილა, რადგან წარმავალ დიდებას გაურბოდა და ცდილობდა ამ უდიდესი სასწაულის დამსწრე ადამიანებს ამ ცხოვრებაში აღარასოდეს შეხვედროდა.

პეტრე: არ ვიცი სხვები როგორ ფიქრობენ, მაგრამ მე ყოველ სასწაულზე უფრო აღმატებულად მიცვალებულის მკვდრეთით აღდგენა მიმაჩნია, როდესაც სული მისსავე სხეულს უბრუნდება.

გრიგოლი: თუკი სასწაულის გარეგან მხარეს მივხედავთ, მაშინ უეჭველია, ასეა. ხოლო თუ ყურადღებას შინაგან მხარეს მივაპყრობთ, რა თქმა უნდა, ცოდვილი ადამიანის სიტყვით განსწავლა და ნუგეშისცემა უფრო აღმატებულია, ვიდრე მიცვალებულის მკვდრეთით აღდგენა, რადგან უკანასკნელ შემთხვევაში სხეული აღდგება, რომელიც ოდესმე ისევ გარდაიცვლება, პირველ შემთხვევაში კი სული აღდგება, რომელიც მოწოდებულია მარადიული სიცოცხლისათვის. ორ მაგალითს შემოგთავაზებ: შენი აზრით, აღმატებული სასწაული რომელ მათგანში გამოჩნდა? ლაზარე, რომელიც, რა თქმა უნდა, მორწმუნე იყო, უფალმა აღადგინა სხეულით, ხოლო სავლე — სულით. მკვდრეთით აღდგომის შემდეგ ლაზარეს სათნოებათა შესახებ არაფერია ნათქვამი, მაგრამ, რაც სულიერი აღდგომის შემდეგ პავლეს სათნოებათა შესახებ წმიდა წერილშია ნათქვამი, ჩვენს უძღურ გონებას იმის წარმოდგენაც კი არ ძალუძს: კერძოდ, მისი ქადაგების შემდეგ თვით ყველაზე უწყალო სულები სათნოების გზაზე ექცეოდნენ; მას სურდა მომკვდარიყო იმ ძმებისთვის, რომელთა სიკვდილით

უწინ ხარობდა; წმიდა წერილი სრულად იცოდა, მაგრამ თავს უმეცარს უწოდებდა და ამბობდა, არაფერი ვიცი, გარნა ხოლო ქრისტე და ისიცა ჯვარცმულიო; ქრისტესთვის, რომელსაც მოქცევამდე მახვილით დევნიდა, მოქცევის შემდეგ კვერთხით ცემას სიხარულით ითმენდა. ის უდიდესია, როგორც მოციქული, მაგრამ მოწაფეთა შორის თავი უდარესად მიაჩნდა; ის საიდუმლოთა სახილველად მესამე ცაზე იქნა აღტაცებული, მაგრამ სიყვარულით აღძრული, გონების თვალს მიაპყრობს საქორწინო კავშირს და ამბობს: ქმრებმა ცოლებს ჯეროვანი სიყვარული მიაგონ და აგრეთვე — ცოლებმა ქმრებს; ანგელოზებთან ერთად ჭვრეტს და ამავე დროს ფიქრობს და განაგებს მონაზონთა საქმეებს; უძღურებაში ხარობს და როდესაც შეურაცხყოფენ, მისთვის ქრისტეა ცხოვრება და სიკვდილი — შენაძენი; ხორცში მყოფი ხორცს გარეთ ცხოვრობდა. აი, როგორ იცხოვრა იმან, ვინც ხორციელი ცხოვრებიდან კეთილმსახური ცხოვრებისაკენ მოიქცა! ამგვარად, მიცვალებულის მკვდრეთით აღდგენა ხორციელად — უდარესი სასწაულია, თუკი ხორციელ აღდგომას თან სულიერი აღდგომაც არ ახლავს, იმგვარად, რომ ხილული სასწაულის მეოხებით ადამიანი შინაგანადაც ისე აღდგეს, როგორც ჭეშმარიტების გზაზე მოქცევის შემდეგ ხდება.

პეტრე: აღრე მკვდრის აღდგინება უდიდეს სასწაულად მიმაჩნდა, ახლა კი დავრწმუნდი, რომ ცხოვნების გზაზე კაცის მოქცევა ბევრად უფრო დიდი საქმეა. გთხოვ, განაგრძე დაწყებული თხრობა, რომ თავისუფალმა დრომ დამოდღვრის გარეშე არ ჩაიაროს.



თავი მეთვრამეტე

მონაზონი ბენედიქტე

გრიგოლი: მონასტერში ჩემთან ერთად ერთი ძმა ცხოვრობდა, რომელიც წმიდა წერილში ფრიად განსწავლული იყო. ის ასაკით ჩემზე უფროსი იყო და მრავალი რამ, რაც არ ვიცოდი, მისგან შევითვისე. მისი მონათხრობიდან შევიტყვე, რომ კამპანიის ოლქში, რომიდან ორმოცი მილის დაშორებით, ვინმე ბენედიქტე ცხოვრობდა. ის ასაკის მიხედვით ყრმა იყო, მაგრამ ცხოვრების მიხედვით — მოხუცებული და მონაზვნურ აღთქმებს მკაცრად იმარხავდა. ტოტილას მეფობის ჟამს ის გუთებმა ნახეს და გადაწყვიტეს, თავის სენაკთან ერთად დაეწვათ. მათ სენაკს ცეცხლი შეუნთეს. ცეცხლმა ყველაფერი დაწვა სენაკის გარშემო, მაგრამ სენაკს ვერაფერი ავნო. გუთები კიდევ უფრო გაბოროტდნენ; შორიახლოს პურის გამოსაცხობად ანთებული ღუმელი დაინახეს, მონაზონი სენაკიდან გამოიყვანეს, ღუმელში შეაგდეს და ჩაკეტეს, მაგრამ მეორე დღეს ის სრულიად უვნებელი ნახეს, მის სხეულს ცეცხლმა ვერაფერი დაუშავა და სამოსსაც არანაირი ზიანი არ მისდგომია.

პეტრე: სამი ყრმის სასწაული მომაგონდა, რომლებიც ოდესღაც ღუმელში შეამწყვდიეს და უვნებელნი დარჩნენ.

გრიგოლი: ეს სასწაული, როგორც მე მეჩვენება, ცოტა სხვაგვარად აღესრულა. მაშინ სამი ყრმა ღუმელში ხელფეხშეკრულნი შეამწყვდიეს, მეორე დღეს კი მეფემ ნახა, რომ ისინი ღუმელში მიმოდრიოდნენ და სამოსი სრულიად უვნებელი ჰქონდათ. აქედან შეიძლება გამოვიტანოთ დასკვნა, რომ ცეცხლი, რომელშიც ისინი ჩააგდეს, არ შეეხო მათ სამოსს, მხოლოდ თოკი დაწვა, ანუ ერთსა და იმავე დროს ცეცხლი მართალთ მოემსახურა, მათი შეწევნისთვის (თოკის დასაწვა-

ვად) ძალა შეინარჩუნა, ხოლო მათ დასატანჯად უძლური იყო.

თავი მმცხრამეტი

ვერონელ მღვდელმოწამე ზენონის ტადარი

ძველი სასწაულის მსგავსი სასწაული ჩვენს დროშიც აღესრულა, ოღონდ საწინააღმდეგო ბუნების მქონე სტიქიაზე. ახლახან ტრიბუნმა იოანემ ამ სასწაულის შესახებ მიაძმო. როგორც თავად ამბობს, ამის შესახებ გრაფ პრონულფისგან შეიტყო, რომელიც მეფე ათალარიქსთან ერთად იმყოფებოდა იქ, სადაც ეს საკვირველი სასწაული აღესრულა. „დაახლოებით ხუთი წლის წინ, — მიაძმობდა ტრიბუნი იოანე, — რომში მდინარე ტიბრი ისე აღიღდა, რომ ნაპირებიდან გადმოვიდა, ქალაქის გალავანი გადალახა და უზარმაზარი სივრცე დატბორა. ასევე ვერონაშიც მდინარე ატეზი აღიღდა, ნაპირებიდან გადმოვიდა და მღვდელმოწამე ზენონის ტადარს მიაღწია. მიუხედავად იმისა, რომ ტადრის კარი ღია იყო, წყალი ტადარში არ შესულა. ის თანდათან იმატებდა და ტადრის სარკმლებს მიაღწია, რომლებიც თითქმის ტადრის სახურავის ქვეშ იყო. ამგვარად, წყალმა ტადრის კარი გადაღობა და თხევადი სტიქია ქვის მსგავს მტკიცე ნივთიერებად იქცა. ტადარში უამრავი ხალხი იყო. როდესაც წყალმა ტადარი ყოველი მხრიდან შემოზღუდა და იქიდან გამოსვლა შეუძლებელი გახდა, ტადარში მყოფნი შიმშილით სიკვდილის შიშმა მოიცვა. ისინი ტადრის კართან მიდიოდნენ და წყალს იღებდნენ დასალევად, რომელიც როგორც ვთქვით, ტადრის სარკმლებამდე აღწევდა და ტადარში არ შესულა. მისი, როგორც წყლის, აღება შეუძლებოდა, მაგრამ ტადარში წყალივით არ იღვრე-

ბოდა; მოწამის სიწმინდე რომ ეჩვენებინა, ტაძრის კარის წინ შეჩერდა, მოხმარებისთვის გამოსადეგი იყო, მაგრამ იქაურობა არ დატბორა, თითქოს წყალი არ იყო. ამიტომ ვთქვი, რომ ეს სასწაული იმ უძველეს ცეცხლის სასწაულს ჰგავს, რომელმაც ყრმათა საკრველნი დაწვა, მაგრამ მათ სამოსს არ შენებია.

პეტრე: საკვირველია შენ მიერ მოთხრობილი წმინდანთა საქმენი და საოცარია ადამიანის ბუნებრივი უძლურებისთვის. მაგრამ როდესაც შენგან ასეთი საოცარი სათნოებების მქონე კაცთა შესახებ გავიგე, რომლებიც იტალიაში ახლახან ცხოვრობდნენ, მსურს ვიცოდე: ნუთუ მათ უძველესი მტერი თავისი ხრიკებით არ გამოსცდიდა და როგორ სძლევდნენ მას?

გრიგოლი: მძიმე ბრძოლის გარეშე გამარჯვების გვირგვინი არ მოიპოვება. გამარჯვებულნი ვერ გახდებოდნენ, თუკი მტრის მანქანებას არ სძლევდნენ. ბოროტი სული ჩვენს გონებას, სიტყვებსა და მოქმედებებს მუდმივად თან სდევს, რათა ჩვენში იმგვარი რამ მოიძიოს, რითაც ჩვენს გასამტყუნებლად უმაღლესი მსაჯულის წინაშე წარდგება. გსურს იცოდე, თუ როგორ არის ის მუდმივად ჩვენს სიახლოვეს, რომ მოგვინადიროს?

თავი მეოცე

სტეფანე, ვალერიის ოლქის პრესვიტერი

ჩვენმა თანამედროვეებმა ამგვარი რამ მიაძბეს: ვალერიის პროვინციაში იყო პრესვიტერი, სახელად სტეფანე. ის კეთილმსახურებით ცხოვრობდა და ჩვენი დიაკვნისა და ეკონომოსის, ბონიფაციის ახლო ნათესავი იყო. ერთხელ სტეფანე მოგზაურობიდან სახლში ბრუნდებოდა და მსახურს დაბნევით

უთხრა: „ეშმაკო, მოდი, ფეხზე გამხადე“. იმწამსვე ფეხსაცმლის თასმებმა საოცარი სისწრაფით და ძალით იწყეს გახსნა. ცხადია, მას ამისთვის მოხმობილი ეშმაკი დაემორჩილა. ამის დანახვაზე პრესვიტერი შეშინდა და ხმამაღლა აყვირდა: „განვედ, წყეულო, განვედ: შენ კი არა, მსახურს ვუთხარი“. ეშმაკი მყისვე განეშორა და თასმები თითქმის გახსნილი დარჩა. აქედან ცხადია, თუკი უძველესი მტერი ჩვენს ყოველ გარეგან მოქმედებას თვალს ასე ადევნებს, ჩვენს სულს ათასგვარ მახეს როგორი ყურადღებით დაუგებს!

პეტრე: ძალიან ძნელი და შიშის მომგვრელია მტრის მანქანებათა მიმართ მუდმივი ყურადღება და მზადყოფნა.

გრიგოლი: ძნელი არ იქნება, თუკი თავის დაცვას ჩვენ თვითონ კი არ შევუდგებით, არამედ ზეციურ მაღლს მივანდობთ და თანაც იმგვარად, რომ მის მფარველობასთან ერთად ჩვენც, შეძლებისდაგვარად, ვიფხიზლოთ. როდესაც მტერს სულიდან განვდევნით, მაშინ, ღმერთის სახიერებით, უმეტეს შემთხვევაში, ეშმაკი უკვე არათუ საშიში აღარ არის, არამედ თავად იმისი ეშინია, ვინც ღმერთისმსახურებით ცხოვრობს.

თავი ოცდამეერთე

ენკრატისი, რომელმაც ერთი სიტყვით იხსნა ადამიანი
ბოროტი სულისგან

შემდეგი ამბავი თვითმხილველისგან, უკვე ხსენებული წმიდა ელეფთერისგან შევიტყვე. ქალაქ სპოლეტოში ერთ ქალწულს, რომელიც წარჩინებული ოჯახის შვილი იყო, მხურვალე სურვილი გაუჩნდა ანგელოზთა სწორი ცხოვრებით ეცხოვრა. მამა ცდილობდა იგი ამ გზაზე დაებრკოლებინა,

მაგრამ ქალიშვილი, მისი ნების საწინააღმდეგოდ, მონაზვნად შედგა. ამის გამო მამამ მეძველდრეობის უფლება ჩამოართვა და მხოლოდ პატარა მამულის მეექვსედი დაუტოვა. ამ ენკრატისთან სხვა ღმრთისმოსავმა ქალწულებმაც იწყეს მისვლა, რომლებიც მისი მაგალითით იყვნენ აღძრულნი: ისინი თავს ღმერთს უძღვნიდნენ და ქალწულებას იცავდნენ. ერთხელ ენკრატისს ზემოთ ხსენებული ღმრთისმოსავი ბერი ელეფთერი საუბრისა და დამოძღვრისათვის ესტუმრა. იმ დროს, როდესაც ისინი ღმრთის სიტყვის შესახებ საუბრობდნენ, იმ მამულიდან, რომელიც ქალწულს მამამ ჩამოართვა, გლეხი მოვიდა ძღვენით. მოსვლისთანავე მას ბოროტი სული ეკვეთა, დასცა და ისე საშინლად აწამებდა, რომ ის ხრიალებდა და ბღაოდა. მაშინ ენკრატისი წამოდგა და ეშმაკს მრისხანე სახით ხმამაღლა უბრძანა: „განვედ მაგისგან, წყეულო, განვედ!“ ეშმაკმა შეპყრობილის პირით მყისვე უპასუხა: „ამისგან რომ განვიდე, მაშინ ვილაში შევიდე?“ იქვე ღორი მიდიოდა. „დატოვე ეგ და ღორში შედი“, – უბრძანა ენკრატისმა. ეშმაკმა ადამიანი მყისვე დატოვა და მითითებულ ღორში შევიდა, მოკლა და იქაურობას გაეცალა.

პეტრე: მაინტერესებს, შეიძლებოდა არაწმიდა სულისთვის ღორში შესვლის უფლების მიცემა?

გრიგოლი: ქრისტეს მიერ აღსრულებული საქმეები კანონი უნდა იყოს ჩვენი საქმიანობისათვის. თვით მაცხოვარს ეშმაკთა ლეგიონმა, რომელსაც ადამიანი ჰყავდა შეპყრობილი, უთხრა: „უკუეთუ განგუასხამ ჩუენ, მიბრძანე ჩუენ მისლვად კოლტსა მას ღორთასა“ (მათ. 8, 31). ადამიანიდან განდევნის შემდეგ მაცხოვარმა ლეგიონს უფლება მისცა ღორებში შესულიყო და ისინი ზღვაში დაეხრჩო. აქედან ცხადია, რომ თუკი არაწმიდა სულს ღმერთის დაშვების გარეშე ღორშიც კი არ

შეუძლია შესვლა, მით უმეტეს, მისივე მიშვების გარეშე ხელმიწყებას ვერც ადამიანზე მოიპოვებს. ამგვარად, გვმართებს ხალისით დავემორჩილოთ იმას, ვისაც უნებლიეთ მორჩილებენ მოწინააღმდეგენიც, რათა ჩვენს მტრებზე იმდენად გავძლიერდეთ, რამდენადაც ჩვენი მორჩილებით ყოველთა შემოქმედთან ვიქნებით ახლოს. რა არის გასაკვირი იმაში, თუკი ღმრთის რჩეულთ მრავალი სასწაულის აღსრულება ჯერ კიდევ ხორცში ყოფნისას შეუძლიათ, როდესაც მათი ძვლები როგორც ცოცხალნი, უამრავ სასწაულს ადასრულებენ.

თავი ოცდამეორე

ვალერიის ოლქის პრესვიტერი, რომელმაც ქურდი თავის სამარესთან შეაჩერა

ვალერიის ოლქში ამგვარი რამ მოხდა, რომლის შესახებ ნეტარხსენებული წინამძღვარი ვალენტინი მიაძებოდა. იმ ოლქში ერთი ღირსეული მღვდელი ცხოვრობდა, რომელიც ღმრთისმსახურებისა და სათნოებებისადმი დაუცხრომელ გულმოდგინებას იჩენდა და სიწმინდით მოღვაწეობდა. როდესაც მისი ამქვეყნიდან გასვლის ჟამი დადგა, აღესრულა და ტაძრის სიახლოვეს დაკრძალეს. იქვე ცხვრის ფარეხი იყო, ხოლო მღვდლის საფლავი ფარეხისკენ მიმავალ გზაზე მდებარეობდა. ერთხელ, როდესაც ტაძარში ღმრთისმსახურება აღევლინებოდა, ვიღაც ფარეხში შეიპარა, ცხვარი აიყვანა და სასწრაფოდ გამოვიდა. როდესაც ღმრთის მონის საფლავს მიადწია, უეცრად გაშეშდა და ნაბიჯი ვეღარ გადადგა. მან მხრებიდან ცხვარი ჩამოსვა და უნდოდა გაეშვა, მაგრამ ხელები დაებორკა. საცოდავი ქურდი ამ მდგომარეობაში დარჩა: თავის ნაქურდალთან ერთად შებორკილი. ცხვრის გაშვება

მოისურვა — ვერ შეძლო, მისი წაყვანა გადაწყვიტა — ძალა არ ჰქონდა. საოცარია, ქურდი, რომელსაც ეშინოდა ცოცხალ ადამიანებს არ დაენახათ, მიცვალებულმა დააკავა და თითქოს ხელ-ფეხი შეუკრესო, უძრავად იდგა. დილით, მსახურების დასრულების შემდეგ, კლერიკოსები ტაძრიდან გამოვიდნენ და რას ხედავენ: უცნობი ადამიანი დგას ბატკნით ხელში. ისინი ვერ მიხვდნენ, ცხვარი მან ფარეხიდან გამოიყვანა, თუ თვითონ მოიყვანა, მაგრამ დამნაშავემ დანაშაული მაშინვე აღიარა. ყველანი გაოცებულები იყვნენ იმით, რომ ღმრთის ძალამ ქურდი თავისი ნადავლითურთ დააკავა. მყისვე მისთვის ლოცვას შეუდგნენ და წმინდანს ძლივს გამოსთხოვეს, რომ მტაცებლური განზრახვით მოსული ადამიანი თავისი ფეხით წასულიყო ნადავლის გარეშე. ამგვარად, ქურდი, რომელიც ტყვედ დიდხანს იყო, ნადავლის გარეშე გათავისუფლდა.

პეტრე: აქედან ჩანს, როგორი მოსიყვარულეა ჩვენს მიმართ ყოვლისშემძლე ღმერთი, რომელიც ასეთ საკვირველ სასწაულებს ჩვენს გამო აღასრულებს.

თავი ოცდამესამე

პრენესტის მთის წინამძღვარი და მისი პრესვიტერი

გრიგოლი: ქალაქ პრენესტის სიახლოვეს მთა მდებარეობს, სადაც აღმართულია მონასტერი წმიდა მოციქულ პეტრეს ტაძრითურთ. ამ მონასტერში ყოფნისას იქ მცხოვრები მონაზვნებისგან შემდეგი სასწაულის შესახებ გავიგე, რომლის მოწმეებიც, მათივე სიტყვით, თავად იყვნენ. ამ მონასტრის წინამძღვარი ღირსეულ ცხოვრებას ეწეოდა. მასთან ერთი მონაზონი ცხოვრობდა, რომელსაც კეთილმსახურ

ცხოვრებას თავად ასწავლიდა. როდესაც ნახა, რომ მონაზონი ღმრთისმოშიშებაში განმტკიცდა, წინამძღვრმა უშუამდგომლა, რომ იგი მღვდლად ეკურთხებინათ. ხელდასხმის შემდეგ მონაზონს გამოცხადებით ემცნო, რომ აღსასრული უახლოვდებოდა. ამის გამო მან წინამძღვარს ნებართვა სთხოვა, რომ თავისთვის საფლავი მოემზადებინა. „მე შენზე ადრე მოვკვდები, – უთხრა წინამძღვარმა, – თუმცა წადი და საფლავი შენი ნებისაებრ მოიმზადე“. მონაზონი წავიდა და საფლავი მოიმზადა. რამდენიმე დღის შემდეგ სნეულებით გათანგულმა მოხუცმა წინამძღვარმა, რომელიც უკანასკნელ წუთებს ითვლიდა, თავის მოწაფე ხუცესს (პრესვიტერს) უბრძანა თავისთვის მომზადებულ საფლავში დაეკრძალა. „შენ ხომ იცი, – უპასუხა ხუცესმა, – რომ მეც ძალე აღვესრულები, საფლავი კი ორივეს ერთად ვერ დაგვიტევს“. – „ისე მოიქეცი, როგორც გითხარი, – უთხრა ბერმა, – შენს საფლავში ორივე მოვთავსდებით“. ბერი გარდაიცვალა და ხუცესის საფლავში დაკრძალეს. ამის შემდეგ ხუცესმაც სასიცოცხლო ძალების მოკლება იგრძნო და მალევე აღესრულა. როდესაც ძმებმა მისი ცხედარი საფლავთან მიასვენეს და საფლავი გათხარეს, ყველამ ნახა, რომ იქ მისი ჩასასვენებელი ადგილი არ იყო, რადგან საფლავი წინამძღვრის სხეულს ეკავა. იმ დროს, როდესაც ძმები ღელავდნენ, თუ როგორ დაეკრძალათ ხუცესი, ერთ-ერთმა მათგანმა შესძახა: „მამაო! როგორღა ამბობდი, რომ საფლავი ორივეს დაგიტევდათ?“ ამ შეძახილის შემდეგ, ყველას თვალწინ, წინამძღვრის სხეული, რომელიც გულადმა ესვენა, გვერდზე გადაბრუნდა და პრესვიტერის ცხედრისთვის ადგილი გაათავისუფლა. ამგვარად, ბერის მიერ სიცოცხლეში წარმოთქმული წინასწარმეტყველება, რომ საფლავში ორივეს ცხედარი მოთავსდებოდა, მისი გარდაცვალების შემ-

დეგ აღსრულდა. ეს, როგორც უკვე გითხარი, ქალაქ პრენეს-ტის მახლობლად, წმიდა მოციქულ პეტრეს მონასტერში მოხდა. გსურს იცოდე, რა შეემთხვათ ეკლესიის მცველებს ქალაქში, სადაც მოციქულ პეტრეს წმიდა ნაწილები განისვენებს?

პეტრე: მაინტერესებს და გულითადად გთხოვ მიაგებო.

თავი ოცდამეოთხე

მნათე თეოდორე, რომელიც რომში, წმიდა მოციქულ პეტრეს ტაძარში მსახურობდა

გრიგოლი: ზოგიერთი ადამიანი, ვინც წმიდა მოციქულ პეტრეს ტაძრის მცველ თეოდორეს იცნობდა, ამჟამადაც ცოცხალია. მათ თეოდორემ შესანიშნავი რამ უამბო, რაც თავად გადახდა. — ერთხელ, ღამით, ის ჩვეულებრივზე ადრე ადგა, რათა კართან დაკიდებული საცეცხლური გაეწმინდა. როდესაც ის, ჩვეულებისამებრ, ხის კიბეზე იდგა საცეცხლურის ქვეშ და მას ასუფთავებდა, უეცრად, მის ზურგს უკან წმიდა მოციქული პეტრე თეთრში შემოსილი გამოცხადდა და უთხრა: „მეგობარო! ასე ადრე რისთვის ადექი?“ ამის თქმისთანავე მოციქული უხილავი გახდა. თეოდორე ისეთმა შიშმა მოიცვა, რომ მთელი სხეული მოუუძღურდა და რამდენიმე დღე საწოლიდან ვერ დგებოდა. წმიდა მოციქულს ცხადად სურდა ამ გამოცხადებით ეჩვენებინა, რომ ის მუდამ იმ ადამიანებთან არის, ვინც მას ემსახურება და ყოველივეს, რასაც მის პატივად აღასრულებენ, ხედავს და დაუყოვნებლივ სიკეთით მიაგებს.

პეტრე: გამაოცა არა იმდენად მოციქულის გამოცხადებამ, რამდენადაც იმან, რომ მისი მხილველი ლოგინად ჩავარდა, თუმცა მანამდე ჯანმრთელი იყო.

გრიგოლი: რად გაგიკვირდა, პეტრე? რა არის ამაში გაუგებარი, როდესაც წინასწარმეტყველმა დანიელმაც, უდიდესი და საშინელი ხილვის აღწერის შემდეგ, რომელმაც ძრწოლა მოჰკვარა, იქვე განაგრძო: „და მე, დანიელ, დავწევ და დავსუსტენ დღეთა“ (8, 27). ხორცს არ ძალუძს სულიერის დატევნა. როდესაც ადამიანის სული ჭვრეტისთვის ხორცს გარეთ აღიტაცება, ხშირად მისი ხორციელი ჭურჭელი უძლურდება, რადგან ასეთი საბოძვარის ტვირთვა არ შეუძლია.

პეტრე: შენმა სიტყვებმა ყოველგვარი ეჭვი გამიფანტა.

თავი ოცდამესამე

აკონცი, წმიდა მოციქულ პეტრეს იმავე ტაძრის მნათე

გრიგოლი: ჩვენი ბერები მოგვითხრობდნენ, რომ არცთუ დიდი ხნის წინ იმავე ტაძარში მცველად იყო ვინმე აკონცი, კაცი ფრიად პატიოსანი და თავმდაბალი. ის ღმერთს იმგვარი რწმენით ემსახურებოდა, რომ წმიდა მოციქულმა პეტრემ მისადმი კეთილგანწყობა ხილულად გამოავლინა. ტაძართან ერთი დავრდომილი გოგონა ცხოვრობდა. ის მიწაზე ხელებით დახონავდა, რადგან სნეულების გამო ფეხები არ ემორჩილებოდა. ის წმიდა მოციქულ პეტრეს განკურნებას დიდხანს ევედრებოდა. ერთხელ, ღამით, ჩვენებაში მოციქული წარმოუდგა და უთხრა: „მიდი მნათე აკონცისთან, სთხოვე და კურნებას ის მოგანიჭებს“. გოგონამ ჩვენება ირწმუნა, მაგრამ ვინ იყო მნათე აკონცი არ იცოდა და ამის გასაგებად ტაძარში აქეთ-იქით დახონავდა. უეცრად ის, ვისაც ეძებდა, მისკენ

თვითონ გამოემართა. „გევედრები, მამაო, — შეჰკლალა სნეულმა, — აქ მცველი აკონცი ვინ არის?“ „აკონცი მე ვარ“, — მიუგო მან. — „მწყემსმა და მამამ ჩვენმა, წმიდა მოციქულმა პეტრემ, შენთან გამომგზავნა, რომ უძღურებისგან მიხსნა“. — უთხრა გოგონამ. — „თუკი მან გამოგგზავნა, წამოდექი“. ამ სიტყვებზე აკონციმ ბავშვს ხელი მოჰკიდა და ფეხზე წამოაყენა. გოგონას სხეულში ყველა ნერვი და ასო მყისვე განმტკიცდა, ისე, რომ უძღურების კვალიც აღარ დარჩენილა.

თუკი ამ ტადარში აღსრულებული სასწაულების შესახებ მოვისურვებთ საუბარს, მაშინ უეჭველია სხვას ველარაფერს მოგიტხრობ. ამიტომ დავუბრუნდეთ იმ მამების შესახებ თხრობას, რომლებმაც იტალიაში თავისი ცხოვრებით სულ ახლახან გაითქვეს სახელი.

თავი ოცდამეექვსე

განდეგილი მინა

გრიგოლი: ახლახან სამნიის ოლქში განმარტოებით ცხოვრობდა ერთი ღმრთის სათნო კაცი, სახელად მინა. ის ათიოდე წლის წინ აღესრულა; ჩვენი ახლობლებიდან მას მრავალი იცნობდა. მათგან, ვინც მის საქმეთა შესახებ გვიამბობდა, არავის გამოვყოფ. მისი ცხოვრების მოწმე იმდენი ადამიანია, რამდენმაც სამნიის ოლქის არსებობა იცის. მთელი მისი ქონება რამდენიმე სკა ფუტკარი იყო. ერთხელ რომელიღაც ღონგობარდმა მისი სკების მოპარვა გადაწყვიტა. მინამ ამის გაკეთება სიტყვიერად აუკრძალა. უეცრად ღონგობარდს ბოროტი სული ეკვეთა და მინას ფერხთით დასცა. ამ შემთხვევის შემდეგ მინას სახელი განითქვა როგორც იმ ოლქის

მცხოვრებლებს, ასევე ბარბაროს-ლონგობარდებს შორის და მის სენაკთან უშიშრად მიახლოებას ველარავინ ბედავდა.

მეზობელი ტყიდან ხშირად დათვები გამოდიოდნენ და სკიდან თაფლის ამოღებას ცდილობდნენ, მაგრამ წმინდანი იჭვრდა მათ და სცემდა კვერთხით, რომელიც მუდამ თან დაჰქონდა. საზარელი ცხოველები ცემით შეშინებულნი ღმუილით გარბოდნენ: ისინი მახვილს არ უფრთხოდნენ ისე, როგორც მის კვერთხს.

წმინდანს წესად ჰქონდა: არაფერი ჰქონოდა და ამქვეყნად არაფერი მოეპოვებინა; სიყვარულით მოსული თითოეული ადამიანი მარადიული ცხოვრების დამკვიდრების სურვილით აღენთო, ხოლო ისინი, ვისი ცოდვით დაცემანიც იცოდა, დაუზარებლად ემხილებინა და, როგორც მისი მხურვალე სიყვარული ითხოვდა, უმკაცრესი სიტყვით მოეწყლა. ახლომახლო მცხოვრებლებმა წესად დაიდეს, წმინდანისთვის ყოველდღიურად მორიგეობით სხვადასხვა შეწირულება გაეგზავნათ, რათა მას მოსულთათვის მიეცა. ერთხელ ერთმა მდიდარმა კაცმა, კარტერიმ, რომელიც არაწმინდა ვნებით იყო შეპყრობილი, ერთი მოწესე დედაკაცი (ენკრატისი) გაიტაცა და მასზე უკანონოდ იქორწინა. როდესაც ეს ღმრთის კაცმა შეიტყო, კარტერი სხვების პირით ამხილა. მან დანაშაული შიშით აღიარა, მაგრამ ღმრთის კაცთან მისვლა ვერ გაბედა, რომ მისგან მკაცრი მხილება არ მოესმინა და სხვათა შეწირულობებთან ერთად ფარულად ძღვენი გაუგზავნა, რათა წმინდანს უცოდინრად მიეღო მისი შენაწირი. როდესაც მინას მართავს შეწირულობანი, მან სათითაოდ დაიწყო მათი გადარჩევა. ყველა საჩუქარი გადააწყო, კარტერის მიერ გამოგზავნილი ძღვენი გამოცხადებით იცნო, ზიზღით გადააგდო და თქვა: წადით და მას უთხარით: „შენგან შემოწირულობას არ ვი-

ლებ, რადგან ღმერთს ძღვენი მოსტაცე და მე მიგზავნი!“ ამ სიტყვებმა წარმოაჩინა, როგორ ზედმიწევნით შეიცნობდა წმინდანი მისგან შორს მომხდარს და ყველა იქ მყოფს დიდი შიში მოჰკვარა.

პეტრე: ვფიქრობ, ხსენებულ წმინდანთაგან მრავალნი მოწამენი გახდებოდნენ, მაშინ დევნა რომ ყოფილიყო.

გრიგოლი: მოწამეობა ორგვარი არსებობს, საყვარელო პეტრე: ერთი — შინაგანი, მეორე — გარეგანი. თუ დევნა არ არის, შეიძლება ფარული მოწამეობა არსებობდეს, როდესაც სული მოწამეობისათვის მზადყოფნით არის ანთებული. მოწამეობა რომ ხილული წამების გარეშეც შესაძლებელია, ეს თვით უფალმა სახარებაში დაადასტურა, როდესაც ზებედეს ძეებს, რომელნიც გონების უძღურების გამო მას საუკეთესო ადგილებზე დაჯდომას სთხოვდნენ, დაეკითხა: „ძალ-გიცა შესუმად სასუმელი, რომელი მე მეგულების შესუმად?“ ხოლო მათ უპასუხეს: „ძალ-გვც“. მაშინ იესომ მიუგო: „სასუმელი სამე ჩემი შესუათ... ხოლო დაჯდომაჲ მარჯუენით ჩემსა და მარცხენით არა არს ჩემი მიცემად“ (მათ. 20, 22-23). რას გულისხმობს უფალი სასმისში, თუ არა — წამების თასს? ჩვენ ვიცით, რომ იაკობმა სიცოცხლე მოწამებრივად დაასრულა, ხოლო იოანე მაშინ აღესრულა, როდესაც ეკლესია დევნას არ განიცდიდა. უეჭველია, რომ მოწამეობა ხილული წამების გარეშეც არსებობს, რადგან დევნის გარეშე აღსრულებულზე ითქვა, რომ უფლის სასმისს შესვამს. თუმცა იმის კვლევა რად გვინდა, დევნის დროს მოწამეები გახდებოდნენ თუ არა ჩემ მიერ მოხსენიებული მამები, რომლებსაც მტრის მანქანება მუდმივად ტანჯავდა და ამქვეყნად თავიანთი მტრები უყვარდათ, ყოველგვარ ხორციელ ვნებას ებრძოდნენ და ამგვარად თავიანთ სულს საუფლო მსხვერპლად აწრთობდნენ

და მოწამენი მშვიდობიან დროში გახდნენ; ჩვენს დროშიც კი, თვით ყველაზე უბრალო ერისკაცნი, რომელთა განსაკუთრებულ განდიდებაზე თითქოს არავინ ფიქრობდა, ხელსაყრელი შემთხვევისთანავე მოწამებრივ გვირგვინებს იღვამდნენ.

თავი ოცდამეშვიდი

ორმოცი გლეხი, რომლებიც ღონგობარდებმა იმის გამო დახოცეს, რომ ნაკერპავის ჭამაზე უარი თქვეს

მაგალითად, თხუთმეტიოდე წლის წინ, როგორც თვითმხილველნი მოწმობენ, ორმოცი გლეხი ღონგობარდებმა დაატყვევეს და ნაკერპავის ჭამას აიძულებდნენ. როდესაც მათ წინააღმდეგობა გაუწიეს და შებიღწულ საჭმელს არ გაეკარნენ, ღონგობარდები სიკვდილით დაემუქრნენ. მაგრამ ტყვეები, რომლებმაც მარადიული ცხოვრება უფრო მეტად შეიყვარეს, ვიდრე ამქვეყნიური და წარმავალი, სარწმუნოების ერთგულნი დარჩნენ და ამ სიმტკიცის გამო ყველანი დახოცეს. განა ეს ადამიანები, რომლებმაც სიკვდილი ამჯობინეს, ვიდრე აკრძალულის ჭამით შემოქმედი შეურაცხეყოთ, ჭეშმარიტებისთვის ნამდვილი მოწამენი არ იყვნენ?

თავი ოცდამერვაი

ტყვეები, რომლებიც იმისთვის დახოცეს, რომ თხის თავს არ სცეს თაყვანი

იმავე ხანებში ღონგობარდებს ტყვედ სხვა ოთხასი ადამიანიც ჰყავდათ. ღონგობარდები ეშმაკს მსხვერპლად თხის თავს სწირავდნენ. მსხვერპლშეწირვის დროს ისინი წრეზე დარბოდნენ და უგუნურ სიმღერებს მღეროდნენ. თვითონ

მსხვერპლეშიწრვა აღასრულეს და ტყვეებსაც იმავეს აიძულებდნენ. მაგრამ ტყვეთა უმრავლესობამ ამჯობინა სიკვდილით მარადიული ცხოვრება მოეპოვებინა, ვიდრე კერპის თაყვანისცემით სიცოცხლე შეენარჩუნებინა. მათ უღირსი ბრძანების შესრულებაზე უარი თქვეს და თავები, რომელთაც შემოქმედს უდრეკდნენ, ქმნილებას არ მოუდრიკეს. ამის გამო ყოველ მათგანს, ვინც მონაწილეობა არ მიიღო მათ ცდომილებაში, განრისხებულმა მტრებმა მახვილით თავი მოჰკვეთეს. ამგვარად, თუკი შემთხვევითი დევნის დროს მოწამებრივი გვირგვინი მოიპოვეს იმათაც კი, ვინც შესაძლოა ეკლესიის მშვიდობიანობის დროს ფართო გზით ვილოდნენ, რა გასაკვირია, რომ დევნის დროს მოწამენი ისინი გამხდარიყვნენ, ვინც მშვიდობიან დროშიც კი თავს არ ზოგავდნენ, გამუდმებით შეიჭირვებდნენ და მოწამეობის ვიწრო გზით ვილოდნენ? თუმცა, რაც რჩეულ მოსაგრეებზე ვთქვი, არ შეიძლება განვაზოგადოთ, როგორც საერთო წესი, იმიტომ, რომ ეკლესიის აშკარა დევნის დროს მრავალმა მათგანმა, ვინც მშვიდობიან ხანაში სანდო არ ჩანს, შეიძლება მოწამეობა იტვირთოს და, პირიქით, ვინც მშვიდობიან ხანს მტკიცე მორწმუნედ გვეჩვენება, ზოგჯერ შიშის გამო ირყევა. უეჭველად მწამს, რომ ყველა ჩემ მიერ მოხსენებულ წმინდანს შეეძლო მოწამეობა ეტვირთა, — ეს მათი აღსასრულიდანაც ჩანს. რადგან ისინი, ვის შესახებაც ცნობილია, რომ სიცოცხლის ბოლომდე ფარული სულიერი დეაწლი მტკიცედ დაიმარხეს, არც ხილული დევნის შემთხვევაში დაეცემოდნენ.

პეტრე: სამართლიანად ბრძანებ, მაგრამ ჩვენ, უღირსთა, მიმართ გამოჩენილი ღმრთის მოწყალეობა მაოცებს, რომელიც ღონგობარდების სისასტიკეს იმგვარად ზღუდავს, რომ იმათი

უწმინდური სამღვდელეობა, რომელიც ერთი შეხედვით ჩვენზე ზეიმობს, მართლმადიდებელ მორწმუნეებს ვერ სდევნის.

თავი ოცდამეცხრე

დაბრძალებული არიოზელი ეპისკოპოსი

გრიგოლი: ღონგობარდები ამას მრავალჯერ ცდილობდნენ, საყვარელო პეტრე, მაგრამ მათ ბოროტებას ღმერთი სასწაულებრივად აჩერებდა. ერთ სასწაულს გიამბობ, რომლის შესახებ სამიოდე დღის წინ ბონიფაციისგან შევიტყვე, — ის ჩემი მონასტრის მონაზონია და მანამდე ოთხი წელი ღონგობარდებთან დაყო. ერთხელ ქალაქ სპოლეტოში არიოზელი ღონგობარდი ეპისკოპოსი ჩავიდა. მას ტადარი არ ჰქონდა, სადაც თავის მსახურებას ჩაატარებდა და ქალაქის ეპისკოპოსს ტადარი სთხოვა, რათა თავისი ერეტიკული მსახურება აღესრულებინა. როდესაც ეპისკოპოსმა გადაჭრით უთხრა უარი, არიოზელი დაემუქრა, რომ მეორე დღეს წმიდა მოციქულ პავლეს ტადარს ძალით მიიტაცებდა. ტადრის მცველმა ამის შესახებ რომ გაიგო, ტადარში მივიდა და კარი ურდულით ჩაკეტა. როდესაც მოსალამოვდა, მცველმა კანდელები ჩააქრო, თვითონ კი ტადარში მიიმალა. არიოზელი ეპისკოპოსი თავის ხალხთან ერთად გამთენიისას მოვიდა, რათა ტადრის კარი გაეტეხა, მაგრამ უეცრად, ღმერთის ძალით, ყველა კარი შეირყა, კლიტეები შორს გადაცვივდა და ეკლესიის ყველა კარი და ურდული დიდი ხმაურით გაიხსნა. ზევიდან ნათელი გადმოვიდა და ჩამქრალი კანდელები ანთო; ტადრის მიტაცების მიზნით მოსული არიოზელი დაბრძა და სახლში სხვათა დახმარებით დაბრუნდა. ამის შესახებ იმ ქვეყანაში მყოფმა ღონგობარდებმა რომ შეიტყვეს, მართლმადი-

დებლურ ტაძრებში შესვლას ვეღარ ბედავდნენ. ამგვარად, როდესაც წმიდა პავლეს ტაძარში კანდელები არიოზელი ეპისკოპოსის გამო ჩააქრეს, ერთი და იმავე სასწაულებრივი ქმედებით ეპისკოპოსს თვალისჩინი წაერთვა და ტაძარს სინათლე დაუბრუნდა.

თავი ოცდამეათე

არიოზელთა ტაძარი რომში, რომელიც მართლმადიდებელთათვის იკურთხა

არიანული ერესის სამხილებლად იმასაც ვიამბობ, რა ნიში აჩვენა საღმრთო სახიერებამ ორი წლის წინ ჩვენს ქალაქში. ეს გარემოებანი ნაწილობრივ ცნობილია ხალხისთვის, აგრეთვე მღვდელი და ტაძრის მნათეები, როგორც თვითმხილველნი და მოწმეები, ადასტურებენ. რომის უბანში, რომელსაც სუბურო ჰქვია, არიოზელებს ტაძარი ჰქონდათ მიტაცებული, რომელიც ორი წლის მანძილზე უმოქმედო იყო. მართლმადიდებლებმა განიზრახეს ტაძარი მართლმადიდებლურად ეკურთხებინათ და იქ წმიდა სებასტიანესა და ქალწულმოწამე ალათიას წმიდა ნაწილები დაებრძანებინათ. ასეც მოიქცნენ. უამრავი ხალხის თანხლებითა და ღმრთისადმი ქების ჰიმნთა გალობით ისინი ტაძარში შევიდნენ. სადღესასწაულო წირვის დროს ხალხი სიმრავლის გამო მჭიდროდ იდგა. ზოგიერთები ტაძრის გარეთ იდგნენ. უეცრად მათ იგრძნეს, რომ ფეხებთან ღორი დაურბოდათ. თითოეული, ვინც ამას გრძნობდა, გვერდით მდგომს ატყობინებდა. ღორი ტაძრიდან გარეთ გამოვარდა; ყველა, ვის ფეხებთანაც მან გაიარა, გოცებული იყო, ისინი თუმცა გრძნობდნენ მის მოძრაობას, მაგრამ ვერ ხედავდნენ. ღმრთის სახიერებამ ეს დაუშვა, რათა

ყველასთვის ცხადი გამხდარიყო, რომ ტაძრიდან არაწმიდა სული გავიდა.

წირვის დასრულების შემდეგ ყველანი წავიდნენ. იმავე დამეს ტაძრის სახურავზე ძლიერი ხმაური გაისმა, თითქოს იქ ვიღაც დარბოდა. მომდევნო ღამით ხმაური გაძლიერდა და ბოლოს ისეთი ზანზარი ატყდა, თითქოს ტაძარი საძირკველიდან გადაადგილდა. შემდეგ სიჩუმე ჩამოვარდა და უძველესი მტრის შფოთი აღარაფრით გამოვლენილა. ამ ხმაურით გამონჩნდა, რომ ბოროტი სული იძულებული გახდა ის ადგილი დაეტოვებინა, რომელსაც დიდი ხანია დაჰპატრონებოდა. რამდენიმე დღის შემდეგ, როდესაც ცა მოწმენდილი იყო, ციდან საკურთხეველზე ღრუბელი დაეშვა, საფარველივით გადაეფარა და ტაძარი ისეთი კეთილსურნელებითა და ნათლით აივსო, რომ ღია კარებში შიშით შესვლას ვერავინ ბედავდა. მღვდელი და მნათეები, ასევე წირვაზე მისული მრევლი, სასწაულის ხილვისა და კეთილსურნელების შეგრძნების გამო ტაძარში შესვლას ვერ ბედავდნენ. მეორე დღეს ჩამქრალი კანდელები ზეციდან გადმოსულმა ცეცხლმა აანთო. ლიტურგიის დასრულების შემდეგ მნათემ კანდელები ჩააქრო, ტაძრიდან წავიდა და უკან დაბრუნებულს ჩამქრალი კანდელები ანთებული დახვდა. იფიქრა, რომ უყურადღებობის გამო ანთებული დარჩა, კანდელები ისევ ჩააქრო და ტაძარი გულმოდგინედ დაკეტა. სამი საათის შემდეგ დაბრუნებულს ჩამქრალი კანდელები ისევ ანთებული დახვდა: ამ ცეცხლმა ცხადად აჩვენა, რომ ტაძარმა სიბნელიდან ნათელში გადაინაცვლა.

პეტრე: საოცარი სასწაულები, რომელთა შესახებ მიაძებობ, მოწმობს, რომ თუმცა დიდ მწუხარებებში ვცხოვრობთ, მაგრამ ჩვენს შემოქმედს ჯერ მთლად არ მივუტოვებიათ.

გრიგოლი: განზრახული მქონდა მხოლოდ იტალიაში მომხდარი ამბები მეამბნა, მაგრამ არიანული ერესის სამხილებლად, თუ გსურს, ესპანეთში გადავინაცვლოთ, იქიდან კი აფრიკის გავლით იტალიაში დავბრუნდეთ.

თავი ოცდამეთერთმეტი

ვესტგუთების მეფე ლიუვიჰილდის ძე, მეფე ჰერმინიჰილდი, რომელიც მამამ კათოლიკე (საყოველთაო, ანუ მართლმადიდებლური) სარწმუნოების გამო მოკლა

გრიგოლი: ესპანეთიდან ჩამოსულებმა მიაბეს, რომ ახლანხან ვესტგუთების მეფე ლიუვიჰილდის ძე ჰერმინიჰილდი იტალიელი ეპისკოპოსის, ღირსი ლეანდრის, ქადაგებით, რომელთანაც ერთ დროს ხანმოკლე მეგობრობა მაკავშირებდა, არიანული ერესიდან კათოლიკე სარწმუნოებაზე მოექცა. არიოზელი მამა შვილის მწვალებლობაში დაბრუნებას ცდილობდა და ამისთვის ჯილდოს აღუთქვამდა, წინააღმდეგ შემთხვევაში სასჯელით აშინებდა. მაგრამ, რადგან შვილი მტკიცედ პასუხობდა, რომ ერთხელ შეცნობილ ჭეშმარიტ სარწმუნოებას არასოდეს დატოვებდა, განრისხებულმა მამამ მეფობის უფლება და მამული ჩამოართვა. შვილის სულიერი სიმტკიცე ვერც ამით რომ ვერ შეარყია, მამამ იგი დაატყვევა, ხელებსა და ფეხებზე ბორკილები დაადო და მრავალრიცხოვანი დაცვა მიუჩინა. ბორკილებდადებული, ძაძვით მოსილი უფლისწული ჰერმინიჰილდი მიწიერი სამეფოს ამაოებაზე ფიქრობდა და მთელ თავის სულიერ ძალისხმევას ზეციური სამეფოსკენ მიმართავდა. ყოვლისშემძლე ღმერთის წინაშე წარმოთქმულ ლოცვებში შეწყნარებას ეძებდა და წარმავალი ქვეყნის დიდებას მით უფრო მოიძულებდა, რაც უფრო

ცხადი ხდებოდა მისთვის, რომ იმქვეყნად თავისუფალიც ვერაფერს წაიღებდა. აღდგომის წინ, ღამით, უსჯულო მამამ შვილს არიოზელი ეპისკოპოსი გაუგზავნა, რათა ჰერმინი-ჰილდი მათ უწმინდურ საიდუმლოს მისი ხელით ზიარებოდა და მამის კეთილგანწყობა ამგვარად მოეპოვებინა. ღმერთის ერთგულმა ყრმამ არიოზელი ეპისკოპოსი შეასმინა, მისი უსჯულოება ამხილა და გააგლო. თუმცა გარეგანად შებორკილი იწვა, მაგრამ სულიერად უადრესად მტკიცე იყო. როდესაც ეპისკოპოსი დაბრუნდა, არიოზელი მამა განრისხდა და მაშინვე თავისი მცველები გაგზავნა, რომ ღმერთის მტკიცე აღმსარებელი ადგილზევე მოეკლათ, რაც აღსრულდა კიდევ. საპყრობილეში შესულებმა მას თავი მახვილით მოჰკვეთეს და ხორციელი სიცოცხლე ამგვარად მოუსწრაფეს: მათ მასში ის განგმირეს, რაც მოკლულს თავადაც უგულებელყოფილი ჰქონდა.

მისი ჭეშმარიტი ღიღების გამოსაჩენად ღმერთმა არაერთი სასწაული აღასრულა. ღამის სიჩუმეში მეფისა და მოწამის სხეულთან (ჭეშმარიტად – მეფისა, რადგან მოწამე გახდა) ფსალმუნთა გალობა ისმოდა. ზოგიერთები ამბობენ, რომ ღამით მის ცხედართან ანთებული კანდელები იხილეს. უსჯულო და შვილის მკვლელმა მამამ შეინანა და თავისი საქციელის გამო წუხდა, მაგრამ ცხონების დამკვიდრება არ ისურვა. თუმცა შეიცნო, რომ კათოლიკე (საყოველთაო, მართლმადიდებლური) სარწმუნოება ჭეშმარიტია, მაგრამ ქვეშევრდომთა შიშით ვერ გაბედა მისი მიღება.

როდესაც სხეულების გამო მეფეს სიკვდილი მიუახლოვდა, ეპისკოპოსს ლეანდრს, რომელსაც მანამდე ღეგნიდა, თავისი ვაჟი რეჰარედი ჩააბარა, რომელიც აგრეთვე ცდომილებაში იყო და სთხოვა, თავისი შეგონებებით ისეთივე ცვლილება მო-

ეხდინა მასში, როგორც მის ძმაში მოახდინა. ამ ანდერძის შემდეგ ის გარდაიცვალა. მისი გარდაცვალების შემდეგ მეფე რეჰარედი ბაძავდა არა უსჯულო მამას, არამედ — მოწამე ძმას, არიანული ერესიდან თვითონაც მოექცა და თავის სამეფოში უფლებას არავის აძლევდა მიეღო სამხედრო წოდება, ვინც, როგორც უღირსი ერეტიკოსი, ღმრთის სასუფეველის მტრად რჩებოდა. მან ვესტგუთები ჭეშმარიტ სარწმუნოებაზე მოაქცია. არ არის გასაკვირი, რომ მოწამის ძმა ჭეშმარიტი სარწმუნოების მქადაგებელი გახდა. მას ძმის დამსახურება შეეწია მრავალი ადამიანი მოეყვანა ყოვლისშემძლე ღმრთის ეკლესიის წიაღში. ამ ამბავში ყურადღებას ის გარემოება იმსახურებს, რომ არაფერი ამის მსგავსი არ მოხდებოდა, მეფე ჰერმინიჰილდი ჭეშმარიტებისთვის რომ არ მომკვდარიყო, როგორც დაწერილია: „უკუეთუ არა მარცვალი იფქლისაჲ დავარდეს ქუეყანასა და მოკუდეს, იგი მარტოჲ ხოლო ეგოს; ხოლო უკუეთუ მოკუდეს, მრავალი ნაყოფი გამოიღოს“ (იოან. 12, 24). როგორც ვხედავთ, ასობშიც იგივე აღესრულება, რაც თავში (ქრისტეში). ვესტგუთებისგან ერთი მოკვდა, რათა მრავალნი გაცოცხლებულიყვნენ: სულიერი ცხოვრების აღორძინებისთვის ერთი მარცვალი სარწმუნოდ დაიფლა და უდიდესი ყანა აღმოაცენა.

პეტრე: საოცარი საქმეებია და საკვირველია ჩვენი დროისთვის!



თავი ოცდამეორეტი

აფრიკელი ეპისკოპოსები, რომლებიც თავისუფლად
ლაპარაკობდნენ მიუხედავად იმისა, რომ ბარბაროსმა
არიოზელებმა მათ ენები ამოკვეთეს კათოლიკე
სარწმუნოების დაცვისათვის

გრიგოლი: იუსტინიანე ავგუსტუსის მეფობის ჟამს, როდესაც აფრიკაში ვანდალი არიოზელების მიერ კათოლიკე სარწმუნოება სასტიკად იღვევებოდა, ზოგიერთი ეპისკოპოსი, რომელიც ჭეშმარიტებას ქედუხრელი სიმტკიცით იცავდა, მსჯავრდებულ იქნა. სიტყვითა და საბოძვართ მათ რწმენა რომ ვერ შეაცვლევინეს, ვანდალმა მეფემ განიზრახა მათი სიმტკიცე წამებით შეემუსრა. უბრძანა მათ დაღუპულიყვნენ, მაგრამ ისინი ჭეშმარიტებას იცავდნენ და უსჯულოების წინაშე დაღუპება არ სურდათ, რათა ღუმილით თანხმობა არ გამოეხატათ. მეფე განრისხდა და ბრძანა მათთვის ენები ამოეკვეთათ. მაგრამ, ჰოი საოცრებავ! მრავალი მამა მოწმობს, რომ ისინი ჭეშმარიტებას უენოდ ისევე ამოწმებდნენ, როგორც ამას მანამდე ენებით იქმოდნენ.

პეტრე: საკვირველი და უაღრესად საოცარი საქმეა!

გრიგოლი: დაუსაბამო მამის მხოლოდშობილი ძის შესახებ დაწერილია: „პირველითგან იყო სიტყუაჲ და სიტყუაჲ იგი იყო ღმრთისა თანა, და ღმერთი იყო სიტყუაჲ იგი“ (იოან. 1, 1). მის ძლიერებაზე კი ნათქვამია: „ყოველივე მის მიერ შეიქმნა“ (იოან. 1, 3). რა არის გასაკვირი, პეტრე, თუკი ღმრთის სიტყვა, რომელმაც ენა შექმნა, მათში უენოდ ალადადა?

პეტრე: გეთანხმები, სამართლიანი უენიშვნაა.

გრიგოლი: ის ეპისკოპოსები სამშობლოდან განიდევნენ და კონსტანტინოპოლში გადავიდნენ. იმხანად საეკლესიო საქმე-

თა გამო იმპერატორთან წარმგზავნეს. იქ ერთ-ერთ ეპისკოპოსს შეეხვდი, რომელიც ადასტურებდა, რომ საკუთარი თვალთ ნახა, მათი ბაგენი უენოდ როგორ მეტყველებდნენ. ისინი ხმამაღლა ამბობდნენ: „აჰა, ვლაპარაკობთ, თუმცა ენები არა გვაქვს!“ მისი თქმით, მსურველებს შეეძლოთ ენახათ, რომ ძირფესვიანად ამოკვეთილი ენების ნაცვლად დიდი ღრმული ჰქონდათ ყელში და მიუხედავად სიცარიელისა, სიტყვებს სრულად გამოთქვამდნენ. მაგრამ ერთ-ერთი მათგანი სიმდიდრეს დაემონა და მყისვე დაკარგა სასწაულებრივი ნიჭი. ყოვლისშემძლე ღმერთმა სამართლიანად განსაჯა, რადგან ადამიანმა, რომელმაც ხორციელი თავშეკავება მიატოვა, ხორციელი ენის გარეშე ლაპარაკი ვეღარ შეძლო. — ეს მონათხრობები საკმარისია არიანული ერესის სამხილებლად. ახლა სასწაულებს დავუბრუნდეთ, რომლებიც ახლახან აღსრულდნენ იტალიაში.

თავი ოცდამეცამეტი

ღმრთის მონა ელეფთერი

ჩემს მიერ ზემოთ მოხსენიებული ელეფთერი, ქალაქ სპოლეტოს მახლობლად მდებარე წმიდა მარკოზ მახარებლის მონასტრის წინამძღვარი, ჩემთან ერთად დიდხანს ცხოვრობდა ჩემს ქალაქის მონასტერში, მაგრამ თავის მონასტერში აღესრულა. მისი მოწაფეები ჰყვებიან, რომ მან ლოცვით მიცვალებული მკვდრეთით აღადგინა. მას იმგვარი თავმდაბლობა და გულშემუსვრილება ჰქონდა, რომ ასეთი მშვიდი და უბრალო ადამიანის თვალთაგან წარმოდენილი ცრემლი ღმერთის წინაშე ფრიად ძალმოსილი იყო. მის მიერ აღსრულებული სასწაულის შესახებ გაიმბობ, რომელიც სრული გულუბრალოებით თავად აღიარა.

ერთხელ ელეფთერს მგზავრობისას გზაში შემოაღამდა და, რადგან ღამის გასათევი არსად ჰქონდა, დედათა მონასტერში შევიდა. იქ ერთი მცირეწლოვანი ყრმა ჰყავდათ, რომელსაც ყოველ ღამე ბოროტი სული სტანჯავდა. მონაზვნებმა მიიღეს ღმრთის მონა და სთხოვეს ყრმა ღამით თავისთან ჰყოლოდა. ელეფთერი დათანხმდა და ნება დართო ყრმას ღამე მასთან გაეთია. დილით მონაზვნები მზრუნველად დაეკითხნენ მამას, მიბარებულმა ყრმამ ხომ არაფერი ავნო. მან გააკვირვებით უპასუხა: „არაფერი“. მაშინ ყრმის შესახებ აუხსნეს, რომ ბოროტი სული მას არც ერთი ღამით არ ტოვებდა და სთხოვეს, თან წაეყვანა მონასტერში, იმიტომ, რომ მისი ტანჯვის ყურება უკვე აღარ შეეძლოთ. ბერი დათანხმდა და ყრმა თან წაიყვანა. უძველესი მტერი მასთან მიახლოებას ვერ ბედავდა და ბერი სულით ხარობდა, რომ ყრმა იხსნა. „ძმებო, – ეუბნებოდა ის მონასტრის ძმებს, – იქ ეშმაკი დებს შეურაცხყოფდა, მაგრამ როგორც კი ყრმა ღმრთის მონებთან მოვიდა, ეშმაკი მასთან მიახლოებას ვეღარ ბედავს“. ამ სიტყვების წარმოთქმის შემდეგ ეშმაკი ყრმას ძმათა წინაშე ეკვეთა და ტანჯვა დაუწყო. ბერი ამის დანახვაზე ატირდა. ძმები მის დამშვიდებას დიდხანს ცდილობდნენ. ბოლოს მათ უთხრა: „ვერცერთი თქვენგანი ლუკმას იქამდე ვერ შეჭამს, ვიდრე ყრმისგან ეშმაკი არ განიდევნება“. ძმებთან ერთად ის ილოცვას მიეცა: იქამდე ილოცეს, ვიდრე ყრმა ტანჯვისაგან არ იხსნეს. კურნება იმდენად სრულყოფილი იყო, რომ ბოროტი სული მასთან მიახლოებით აღარასოდეს გაკადნიერებულა.

პეტრე: ვფიქრობ, ბერს გულში მცირეოდენი ამპარტავნება შეეპარა და ყოვლისშემძლე ღმერთმა ამიტომ ინება სასწაულის თანამონაწილენი მისი მოწაფეებიც გამხდარიყვნენ.

გრიგოლი: დიახ, მარტო მან ვერ შეძლო ასეთი დიდი სასწაული ეტვირთა, ძმებთან გაზიარების შემდეგ კი შეძლო. ჩემს თავზე გამომიცდია, ამ ადამიანის ლოცვას როგორი ძალა ჰქონდა. როდესაც ჯერ კიდევ მონასტერში ვცხოვრობდი, სასიცოცხლო ძალების მოკლება ვიგრძენი და ხშირი ავადმყოფობის შედეგად სიკვდილის პირას აღმოვჩნდი. ძმებს საჭმლით რომ არ მოვემარაგებინე, სრულებით დავუძღურდებოდი. აღდგომა დგებოდა. დიდ შაბათს, როდესაც ყველა, თვით მცირეწლოვანი ბავშვებიც კი მარხულობენ, მე მარხვა არ შემიძლო და მწუხარებისგან კიდევ უფრო დავუძღურდი, მაგრამ ჩემმა მწუხარე სულმა ნუგეში მალევე იპოვა. გადავწყვიტე ღმრთის მონა ელეფთერი სამლოცველოში ფარულად მომეწვია და მისთვის მეთხოვა ელოცა, რომ ყოვლისშემძლე ღმერთს იმ დღეს მარხვის დასაცავად ჩემთვის ძალა მოენიჭებინა. როგორც კი სამლოცველოში შევედით და მდაბლად ვთხოვე, მან ცრემლით ლოცვა დაიწყო და ხანმოკლე ლოცვის შემდეგ გავიდა, მაგრამ როდესაც კურთხევა წარმოთქვა, ყოველგვარი აზრი საჭმელისა და სნეულების შესახებ გამიქრა. ძალიან მიკვირდა, რადგან ვიცოდი როგორი ვიყავი და როგორი გავხდი – როდესაც უძღურება ჩემს სულს ეხებოდა, ვერაფერს ვიხსენებდი იქიდან, რაც უწინ ვიცოდი, ხოლო როდესაც გონება სამონასტრო საქმეებით მქონდა დაკავებული, სნეულება სრულებით მავიწყდებოდა. როდესაც, როგორც გითხარი, ჩემს სნეულებას მოვიგონებდი და ამავე დროს თავს კარგად ვგრძნობდი, – მიკვირდა, რომ ჯერ კიდევ უზმოდ ვიყავი. საღამოს მონასტერში დაბრუნებულმა იმგვარი ძალა ვიგრძენი, რომ შემეძლო მარხვა მეორე დღესაც გამეგრძელებინა. ამგვარად, თუმცა იმის მოწმე არ ვიყავი,

რასაც ბერის შესახებ ამბობდნენ, მაგრამ ჩემს თავზე გამოვცადე, რომ ყოველივე ჭეშმარიტია.

პეტრე: შენ თქვი, რომ ამ ადამიანს ღრმა გულშემუსვრილება ჰქონდა. მსურს სრულად შევიცნო ცრემლის ძალა. გთხოვ, მითხარი: რამდენი სახის გულშემუსვრილება არსებობს?

თავი ოცდამეთოთხმეტი

რამდენი სახის გულშემუსვრილება არსებობს?

გრიგოლი: გულშემუსვრილება, ანუ ისეთი მდგომარეობა, როდესაც მონანული ყოველ თავის ცოდვას იგლოვს, რამდენიმე სახის არსებობს. იერემია მონანულთა სახელით ამიტომ ამბობს: „გარდამოსაქანელნი წყალთანი გარდამოადინნეს თუალთა ჩემთა“ (გოდ. იერ. 3, 48). მაგრამ, უმთავრესად, გულის შემუსვრილება არის ორგვარი: პირველი — როდესაც გული, რომელსაც ღმერთი სწყურია, შიშით წუხს, მეორე კი — როდესაც სიყვარულით წუხს. პირველ შემთხვევაში სულს მწარე მწუხარება მოიცავს, როდესაც ჩადენილ ცოდვებს იგონებს და ეშინია, მათ გამო მარადიულ სატანჯველს არ დაექვემდებაროს, მაგრამ როდესაც ხანგრძლივი მწუხარება და შფოთი ამ შიშს აღმოფხვრის, გამოსხნის წინათგრძნობის გამო სულში ერთგვარი სიმშვიდე დაისადგურებს, მასში აღინთება სიყვარული ზეციური სიხარულის მიმართ და როგორც უწინ ტანჯვის შიშით წუხდა, შემდეგში კიდე უფრო მეტი სიმწარით იმას იგლოვს, რომ სასუფეველში არ არის. სული ანგელოზთა სახეებს, ნეტარ სულთა ურთიერთობასა და ღმრთის ხილვის მარადიულ დიდებულებას ჭვრეტს და მარადიული კეთილდღეობის მოკლებას უფრო მეტად დასტირის, ვიდრე უწინ იგლოვდა მარადიული სატანჯველით შეში-

ნებული. ამგვარად, შიშით სრულ გულშემუსვრილებას სული სიყვარულით გულშემუსვრილებამდე მიჰყავს. კარგად არის ეს გადმოცემული ამ ჭეშმარიტ, წმიდა-ისტორიულ მოთხრობაში: „(ასქანა) ხმა-ყო კარაულით. და ჰრქუა მას ქალებ: რაჲ არს შენდა? რქუა მას ასქანა: მომეც მე კურთხეული, რამეთუ ქუეყანა ჩრდილოეთი მომეც მე, მომეც აწ სარწყავიცა. და მისცა მას ქალებ სარწყავი ზენაჲ და სარწყავი ქუენაჲ“ (ისუ ნავ. 15, 17-19). სახედარზე მჯდომარე ასქანა – უგუნური ხორციელი მისწრაფებებით გატაცებულ სულს გამოსახავს. როგორც ის სთხოვს მამას წყალსატევებს ოხვრით, ჩვენც ასეთივე სულთქმით უნდა გამოვითხოვოთ უფლისგან ცრემლი. რადგან ზოგიერთს ჭეშმარიტების დაცვის ნიჭი ებოძა, ზოგს ჩაგრულთა დაცვის უნარი აქვს, ზოგი უპოვართ შეეწევა, ზოგს მოშურნე სარწმუნოება აქვს, მაგრამ ცრემლის ნიჭი ჯერ კიდევ არა აქვთ, ამიტომ მათ ურწყავი და მშრალი მიწა აქვთ და წყალსატევი ესაჭიროებათ. მათ კეთილი საქმეები მოშურნედაც რომ აღასრულონ, აუცილებლად სჭირდებათ ტანჯვის შიშით თუ ცათა სასუფევლის სიყვარულით დაიტირონ ძველი ცოდვები. როგორც ვთქვით, ორგვარი გულშემუსვრილება არსებობს; მამა აძლევს მას ზემო და ქვემო წყალსატევებს. სული დაიმკვიდრებს ზემო წყალსატევებს, როდესაც ცათა სასუფევლის დამკვიდრების სურვილი მწუხარების ცრემლს აღუძრავს. სული ქვემო წყალსატევებს დაიმკვიდრებს მაშინ, როდესაც ტირის ჯოჯოხეთური სატანჯველით შეძრწუნებული. თუმცა ჯერ გვეძლევა ქვემო წყალსატევი, შემდეგ კი – ზემო, მაგრამ, რადგან სიყვარულით გულშემუსვრილება ღირსებით უფრო მაღლა დგას, ამიტომ აუცილებელი იყო ჯერ ზემო წყალსატევები მოგვეხსენებინა, ხოლო შემდეგ – ქვემო.

პეტრე: შენი განმარტებით გულსავსე ვარ. მაგრამ მას შემდეგ, რაც თქვი, თუ როგორ სრულყოფილებას ფლობდა ელეფთერი, მინდა ვიცოდე, ამჟამადაც თუ არსებობენ ამქვეყნად ასეთი ადამიანები.

თავი ოცდამეთხუთმეტი

ამანცი, ტუსციის ოლქის პრესვიტერი

გრიგოლი: ტიბურის ეკლესიის ეპისკოპოსი ფლორიდი, რომლის სიწმინდე და სიმართლისმოყვარება ცნობილია შენთვის, მიამბობდა, რომ მას ერთი პრესვიტერი ჰყავდა, სახელად ამანცი. ის განსაკუთრებული უბრალოებით გამოირჩეოდა და, მისი სიტყვით, იმგვარი ნიჭი ჰქონდა, რომ მოციქულთა მსგავსად, ავადმყოფებს ხელის დადებით კურნავდა და რაც არ უნდა მძიმე ყოფილიყო ავადმყოფობა, მისი შეხებით ქრებოდა. ამანცის შესახებ ის კიდევ ამგვარ სასწაულს მიამბობდა: ეს მოღვაწე სადაც მძვინვარე ქვეწარმავალს ნახავდა, ჯვრის გადასახვით კლავდა — მას შიგნეულობა უსკდებოდა. თუ ქვეწარმავალი სოროში დაემალებოდა, ის სოროს ჯვარს გადასახავდა და ქვეწარმავალი იქიდან მყისვე მკვდარი გამოჰყავდათ. ვცდილობდი ამგვარი ძალის მქონე ადამიანს შევხვედროდი და როდესაც ის ჩემთან მოიყვანეს, მოვისურვე რამდენიმე დღე საავადმყოფოში დარჩენილიყო, რათა გამოჩენილიყო, ჰქონდა თუ არა მას კურნების ნიჭი.

დანარჩენ ავადმყოფებს შორის ერთი გონებაშეშლილი ავადმყოფიც იყო. ერთხელ ავადმყოფობის შემოტევის დროს ის ხმამაღლა აყვირდა და ყველა იქ მყოფი იმგვარად შეაწუხა, რომ ძილის საშუალებას არ აძლევდა. რაც ერთისთვის ცუდი იყო, დანარჩენებისთვის კიდევ უფრო უარესი აღმოჩნ-

ნდა. პირველად ღირსი ფლორიდისგან, რომელიც მაშინ პრესვიტერთან ერთად იქ იმყოფებოდა, შემდეგ კი ავადმყოფების მომვლელი ყრმისგან ზედმიწევნით შევიტყვე, რომ ღირსი პრესვიტერი წამოდგა საწოლიდან, გონებაშეშლილ ადამიანს უხმოდ მიუახლოვდა, ხელი დაასხა და ლოცვა დაიწყო. როდესაც ავადმყოფს მდგომარეობა შეუმსუბუქდა, შენობის ზედა ნაწილში მდებარე სამლოცველოში გადაიყვანა, სადაც მისთვის კიდევ უფრო მეტი მონღომებით ილოცა და თავის საწოლთან გამოჯანმრთელებული დააბრუნა. ამის შემდეგ მას აღარ დაუყვირია და წამოძახილით აღარავინ შეუწუხებია, გონს მოეგო და სხვა ავადმყოფებს მდგომარეობას აღარ უძძიმებდა. მხოლოდ ამ ერთი სასწაულის მიხედვით გვმართებს ყოველივე მართებულად მივიჩნიოთ, რასაც წმიდა ელეფთერის შესახებ ამბობდნენ.

პეტრე: დიდად განმსწავლელი მაგალითია – ასეთი დიდი სასწაულთმოქმედი ძალები დედამიწაზე იხილო და შენს თანამოქალაქეებში ზეციურ იერუსალიმს ჭვრეტლე.

თავი ოცდამეთექვსმეტი

სირაკუზის ეპისკოპოსი მაქსიმიანე

გრიგოლი: გაამბობ სასწაულს, რომლის აღსრულება ყოვლისშემძლე ღმერთმა ოდესღაც თავის მონა მაქსიმიანზე ინება, რომელიც ამჟამად სირაკუზის ეპისკოპოსია, ადრე კი ჩემი მონასტრის წინამძღვარი იყო. როდესაც ჩვენი პირველიერარქის ბრძანებით კონსტანტინოპოლის სასახლეში საეკლესიო აპოკრიფიარის თანამდებობას ვასრულებდი, ჩემდამი კეთილგანწყობილების გამო ღირსი მაქსიმიანე ძმებთან ერთად მესტუმრა. როდესაც ის რომში, ჩემს მონასტერში ბრუნდებოდა, ადრიატიკის ზღვაზე საშინელ ღელვაში მოყვა და და-

ნარჩენ მგზავრებთან ერთად, სრულიად უჩვეულოდ და სასწაულებრივად, საკუთარ თავზე ყოვლისშემძლე ღმერთის რისხვა და წყალობა გამოსცადა. საშინელი ტალღები, რომელსაც ქარიშხალი აღძრავდა, მათ სიკვდილით ემუქრებოდა: ხომალდის საჭე გატყდა, ანძა ქარმა მოგლიჯა, იალქნები წყალზე მიცურავდა და ტალღებმა ხომალდი მთლიანად დააზიანა. ნაპრალებში წყალი შევიდა და ხომალდი ზემო გემბანამდე ისე აავსო, რომ ხომალდი კი არ ჩანდა წყალზე, არამედ წყალი — ხომალდში. მაშინ, ხომალდში მყოფნი, არა თუ მოახლოებული, არამედ ცხადი და ხილული სიკვდილის შიშით, ერთმანეთს გამოეთხოვნენ, უფლის წმიდა ხორცსა და სისხლს ეზიარნენ და თითოეული ღმერთს ევედრებოდა, მოწყალებით მიეღო მათი სულები მას შემდეგ, რაც მათ სხეულებს ასეთი საზარელი აღსასრული განუჩინა. ყოვლისშემძლე ღმერთმა, რომელმაც მათ ამგვარი შიში მოჰგვარა, მათი სიცოცხლე სასწაულებრივად იხსნა. პირამდე წყლით ავსებული ხომალდი რვა დღის განმავლობაში თავისი გზით მიცურავდა, მეცხრე დღეს კი კროტონის ნავსადგურს მიუახლოვდა. ყველა, ვინც ხომალდზე ღირს მაქსიმიანესთან ერთად იყო, სრულიად უვნებლად გადარჩა. როგორც კი ხომალდიდან გადავიდნენ, ის მყისვე ფსკერისკენ დაეშვა, თითქოს ადამიანთა გადასვლის შემდეგ წონა კი არ მოაკლდა, არამედ სიმსუბუქე დაკარგა. წყლითა და ხალხით სავსე ხომალდი ზღვაზე მიცურავდა, ხოლო როდესაც მაქსიმიანემ და მისმა ძმებმა დატოვეს იგი, მათ გარეშე წყალი ვეღარ იტვირთა. ამით ყოვლისშემძლე ღმერთმა გვიჩვენა, რომ მას დატვირთული ხომალდი თავისი ხელით ეპყრა, ხოლო როდესაც ხალხი გადავიდა და დაცარიელდა, რაღა საჭირო იყო მისი დატოვება?

თავი ოცდამეხვიდმეტე

სანკტულა, ნურსიის ოლქის პრესვიტერი

ორმოციოდე დღის წინ შენ ჩემთან ღრმთისმოსავი პრესვიტერი სანკტულა ნახე, რომელიც უკვე ვახსენეთ. ის ნურსიის პროვინციიდან ჩემთან ყოველ წელს მოდიოდა. სამი დღის წინ იქიდან ერთი მონაზონი მოვიდა და სამწუხარო ამბავი – სანკტულას აღსრულება გვამცნო. თუმცა უცრემლოდ არ ძალმიძს ამ თავმდაბალი ადამიანის გახსენება, მაგრამ ამჟამად უშიშრად შემიძლია გიამბო იმ სასწაულების შესახებ, რომლებიც მისი მეზობელი მღვდელმსახურებისაგან შევიტყვე, ისინი უაღრესად სიძართლისმოყვარენი და გულწრფელნი არიან. ერთმანეთის მიმართ კეთილგანწყობილება ადამიანებს გაბედულებას მატებს; მის თავმდაბლობას ხშირად ვამარცხებდი და ის თავადაც მიაბობდა მის მიერ ბოლო დროს აღსრულებულ სასწაულებს. ერთხელ ლონგობარდები ზეთისხილს წურავდნენ. სანკტულა, რომელსაც სასიამოვნო გარეგნობა და ასეთივე ხასიათი ჰქონდა, მათ ცარიელი ტიკით მიუახლოვდა, მშრომელებს მხიარული სახით მიესალმა და უფრო მეტად მბრძანებლურად, ვიდრე თხოვნით, შესთავაზა მისთვის ტიკი ზეთით აევსოთ. ლონგობარდები, რომლებიც მთელი დღე ამაოდ დაშვრნენ (მიუხედავად მთელი დღის წვალებისა, ზეთი ვერ გამოწურეს), გაბრაზდნენ და შეურაცხყოფა დაუწყეს. მაშინ ღმრთის კაცმა კიდევ უფრო მხიარული სახით უპასუხა: „ილოცეთ ჩემთვის, აუვსეთ სანკტულას ეს ტიკი და ის თავს დაგანებებთ“. ამასობაში ლონგობარდები ამო შრომითა და ღმრთის კაცის დაჟინებული თხოვნით განრისხდნენ და მას უფრო მეტად შეურაცხყოფდნენ. ღმრთის კაცმა წყალი მოითხოვა, ყველას თვალწინ აკურთხა და საწურს თავისი ხელით დაასხა. კურთხევის ძალით, საწურიდან

მცისვე ზეთი გადმოვიდა და თანაც იმდენი, რომ აქამდე ამოდ დამაშვრალმა ლონგობარდებმა ყველა ჭურჭელი აავსეს და ღმრთის კაცსაც გაუვსეს ტიკი. მათ მადლობა იმას შესწირეს, ვინც ზეთს მათგან ითხოვდა და თავისი კურთხევით ის მისცა, რასაც მათგან ითხოვდა.

სხვა დროს, როდესაც ყველგან ძლიერი შიმშილობა მძვინვარებდა, ლონგობარდებმა წმიდა მოწამე ლავრენტის ტაძარი დაწვეს. მის აღსადგენად ღმრთის კაცმა მრავალი ოსტატი და მუშა მოიწვია. ყოველდღიურად მათი შრომის ანაზღაურება აუცილებელი გახდა, მაგრამ რადგან შიმშილობა იყო, პური შემოეღიათ. ხელოსნებს საჭმლის სიმციროს გამო ძალა არ ჰქონდათ, რომ ემუშავათ და პურს დაჟინებით ითხოვდნენ. ღმრთის კაცი გარეგნულად მათ გამხნევებას ცდილობდა და დანაკლისის შევსებას დაჰპირდა, მაგრამ შინაგანად ძლიერ იტანჯებოდა, რადგან დანაპირების ასრულება შეუძლებელი იყო. როდესაც აღელვებული ბოლთას სცემდა, ღუმელს მიუახლოვდა, სადაც ცოტა ხნის წინ მეზობელმა დედაკაცებმა პური გამოაცხვეს და შიგნით შეიხედა, რომ ენახა მათ პური ხომ არ დარჩათ. უეცრად ღუმელში უზარმაზარი და უჩვეულოდ თეთრი პური დაინახა. მან პური გამოიღო, მაგრამ მუშებთან წაღება ვერ გაბედა, რადგან იფიქრა, თუ პური სხვისი იყო, სიკეთის გაკეთების საბაბით შეიძლებოდა ცოდვაში ჩავარდნილიყო. ამგვარად, მან პური მეზობელ დედაკაცებთან წაიღო, ყველას აჩვენა და ეკითხებოდა, ღუმელში ხომ არ დარჩათ. ყოველმა მათგანმა იუარა. მაშინ ღმრთის კაცი მუშებთან სიხარულით გაეშურა ერთი პურით, ღმერთს მადლი შესწირა და ისინი პურის საჭმელად მიიწვია. როდესაც ჭამეს, წმინდანმა ნარჩენები მოაგროვა და ისინი პურზე მეტი აღმოჩნდა. ნარჩენები მათ მეორე დღეს კიდევ შესთავაზა, მაგ-

რამ ჭამის შემდეგ მოგროვილი ნარჩენები ისევ შეთავაზებულზე მეტი აღმოჩნდა. ამგვარად, ათი დღის განმავლობაში ხელოსნები და მუშები ყოველდღიურად ერთი პურით იკვებებოდნენ და ჭამის შემდეგ ნარჩენები მეორე დღისთვის რჩებოდა, თითქოს საზრდელი მჭამელთა პირში მრავლდებოდა.

პეტრე: საოცარი ამბავია, უფლის მიერ აღსრულებულ სასწაულს მაგონებს.

გრიგოლი: თვით მან, ვინც ხუთი პურით ხუთი ათასი კაცი განაძღო, ვინც პაწაწინა მარცვლიდან სამკალად უამრავ ნაყოფს გვაძლევს, ვინც მიწიდან თავად თესლს აღმოაცენებს და ყოველივეს არაფრისაგან ქმნის, თავისი მონის საშუალებით ერთი პურით მრავალი ადამიანი აქაც მან განაძღო. მაგრამ ღირსი სანკტულას გარეგანი საქმეები, რომელთაც ღმრთის ძალით აღასრულებდა, საკვირველად რომ არ მოგეჩვენოს, ისმინე, თვითონ ის იმავე ძალის მეოხებით შინაგანად როგორი იყო. ერთხელ ღონგობარდებმა ერთი დიაკვანი დაატყვევეს, ბორკილებში ჰყავდათ და ბოლოს მისი მოკვლა გადაწყვიტეს. საღამოხანს სანკტულა ღონგობარდებთან მივიდა და დიაკვნის გათავისუფლება და მისთვის სიცოცხლის შენარჩუნება სთხოვა. მათ უარი უთხრეს. ბოლოს სთხოვა მისთვის მიეზარებინათ. „მოგაბარებთ, — უთხრეს ღონგობარდებმა, — მაგრამ იმ პირობით, რომ თუ გაიქცევა, იმის ნაცვლად შენ მოგკლავთ“. ღმრთის კაცი სიხარულით დათანხმდა და დიაკვანი საკუთარი პასუხისმგებლობით წამოიყვანა. შუაღამით, როდესაც ღონგობარდებს ეძინათ, მან დიაკვანი გააღვიძა და უთხრა: „ადექი და სწრაფად გაიქეცი. ყოვლისშემძლე ღმერთმა გადაგარჩინოს!“ დიაკვანს სანკტულას აღთქმა ახსოვდა და უთხრა: „ვერ გავიქცევი, მამაო, იმიტომ, რომ შენ მოგკლავენ“, მაგრამ ღმრთის კაცი აიძულებდა გაქცეულიყო:

„ადექი და გაიქეცი, ყოვლისშემძლე ღმერთი შეგეწიოს, მე კი — მის ხელთ ვარ, ისინი ისე მომექცევიან, რასაც ის ჩემთვის დაუშვებს“. დიაკვანი გაიქცა, ხოლო მისი მეურვე, თითქოსდა მოტყუებული, მარტო დარჩა. მეორე დღეს ღონგობარდებმა ტყვე უკანვე მოითხოვეს, მაგრამ ღმრთისმოსავმა პრესვიტერმა მიუგო, რომ დიაკვანი გაიქცა. „შენ იცი, რაც მოგელის“, — უთხრეს ღონგობარდებმა. „ვიცი“, — უპასუხა მტკიცედ ღმრთის კაცმა. — „შენ კეთილი კაცი ხარ, — უთხრა ღონგობარდმა, — წამებით არ მოგკლავთ. თვითონ ამოირჩიე, როგორი სიკვდილი გსურს!“ „მე ღმერთის ხელთა ვარ, — უპასუხა წმინდანმა, — იმგვარად მომკალით, როგორც ის ჩაგაგონებთ“. მაშინ ღონგობარდებმა ერთობლივად გადაწყვიტეს, მისთვის თავი მოეკვეთათ, რომ სწრაფად და ნაკლები ტანჯვით აღსრულებულიყო. იმ მხარეში მყოფი ღონგობარდები სანკტულას წმიდა ცხოვრების გამო პატივს სცემდნენ, მაგრამ უჩვეულოდ სასტიკი ბუნების გამო შეიკრიბნენ, რომ მისი სიკვდილის ცქერით დამტკბარიყვნენ: თავიანთი ადგილები დაიკავეს, უძლიერესთა შორის შეარჩიეს ერთ-ერთი, რომელიც თავის მოკვეთას ერთი დარტყმით შეძლებდა და ღმრთის კაცი შუაგულში გამოიყვანეს. შეიარაღებულ ადამიანთა შორის მყოფმა წმინდანმა თავის იარაღს მიმართა — მან ლოცვის ნება ითხოვა. მას ამის უფლება მისცეს და სანკტულა ლოცვით მიწაზე განერთხა. რამდენიმე ხანში ჯალათმა ფეხი წაჰკრა და უბრძანა მუხლი მოედრიკა და თავი მოეხარა. ღმრთის მონა ადგა, მუხლი მოიდრიკა და ქედი მოხარა, მაგრამ გაშიშვლებულ ხმალს რომ შეხედა, როგორც ამბობენ, ხმამაღლა წარმოთქვა: „წმიდაო იოანე! შეაკავე იგი!“ ჯალათმა ძლიერად მოიქნია ხელი, რომ მისთვის დაერტყა, მაგრამ ხელი გაუშეშდა, ვერაფრით დაუშვა ძირს და ზეადმარ-

თული დარჩა. სასიკვდილო განაჩენის საყურებლად შეკრებილმა ხალხმა ღმრთის კაცს ქებისა და პატივისცემის გამომხატველი ალერსიანი შეძახილებით მიმართა, რადგან ცხადად იხილა, რა წმიდა იყო ის, ვინც ჯალათს ხელი შეუჩერა. წმინდანი მათი თხოვნით წამოდგა, მაგრამ როდესაც ჯალათისთვის ხელის განკურნება სთხოვეს, უარი უთხრა: „მისთვის ვერ ვილოცებ, თუკი არ დაიფიცებს, რომ ამ ხელით არც ერთ ქრისტიანს აღარ მოკლავს“. ღონგობარდი, რომელიც კვლავ ღმერთის წინააღმდეგ აღმართული ხელით იდგა, სამარცხვინო მდგომარეობით იძულებული შეიქნა დაეფიცა, რომ აღარ მოკლავდა ქრისტიანებს. მაშინ ღმრთის მონამ თქვა: „დაუშვი ხელი“ და მან მაშინვე დაუშვა. შემდეგ წმინდანმა თქვა: „ხმალი ქარქაშში ჩააგე“. მანაც მაშინვე ჩააგო. ღონგობარდებმა სანკტულაში დიდი წმინდანი რომ შეიცნეს, რიგრიგობით მოტაცებულ ხარებსა და ცხენებს სთავაზობდნენ, მაგრამ ღმრთის კაცმა ამგვარი ძღვენის მიღებაზე უარი თქვა და მათგან უკეთესი ჯილდო გამოითხოვა: „თუკი გსურთ რაიმე შემომწიროთ, მაშინ თქვენი ყველა ტყვე მე მომეცით, რომ მიზეზი მქონდეს ღმერთის წინაშე თქვენთვის ვილოცო“. მას სურვილი შეუსრულეს: ყველა ტყვე მასთან ერთად გაათავისუფლეს და ამგვარად, ღმრთის მოწყალებით, ერთმა, რომელმაც თავი მეორე ადამიანისთვის გასწირა, სიკვდილისაგან მრავალი იხსნა.

პეტრე: საკვირველი ამბავია! თუმცა ამის შესახებ მეც მსმენია, მაგრამ გამოგიტყდები, როდესაც მიამბობენ, კვლავ ყურადღებით ვისმენ.


გრიგოლი: სანკტულას სასწაული ნუ გაგაკვირვებს; თუკი შეგიძლია, განსაჯე, ის, ვინც ასეთი გულმართალი იყო და სათნოების ასეთ მაღალ საფეხურზე იდგა, რით აღიძვროდა?

სად იმყოფებოდა მისი გონება, როდესაც ასეთი სიმტკიცით მოყვასისთვის თავის გაწირვა გადაწყვიტა, ძმისთვის დროებითი სიცოცხლის გასახანგრძლივებლად საკუთარი სიცოცხლე მოიძულა და მახვილს ქელი მოუხარა? მის გულს როგორი სიყვარულის ძალა ადაფრთოვანებდა, როდესაც არ შეშინდა მოყვასის სიცოცხლე საკუთარი სიკვდილით გამოესყიდა? ჭეშმარიტად ცნობილია, რომ ღირსმა სანკტულამ კარგად კითხვაც კი არ იცოდა და სჯული წიგნებით არ უსწავლია, არამედ ვინაიდან „აღმასრულებელი შჯულისაჲ სიყუარული არს“ (რომ. 13, 10), ღმრთისა და მოყვასის მიმართ სიყვარულით მან სჯული სრულად აღასრულა. რაც არ უსწავლია, მასში სიყვარულით ცოცხლობდა და მოქმედებდა. მან, ვისაც შესაძლოა არასოდეს წაუკითხავს მხსნელის შესახებ მოციქულ იოანეს სიტყვები: „მან სული თვსი ჩუენთჳს დადვა და ჩუენცა თანა-გუაც ძმათათჳს სულთა ჩუენთა დადებაჲ“ (1 იოან. 3, 16), არა სიტყვით, არამედ საქმით აჩვენა, რომ იცის მოციქულის ეს მაღალი მცნება. თუ გნებავს, მისი განათლებული უცოდინრობა ჩვენს მეცნიერულ ცოდნას შევადაროთ. სადაც ჩვენი ცოდნა მკვდარია, იქ მისი შემეცნებაა მოქმედი. ჩვენ სათნოებათა შესახებ გულგრილად ვსაუბრობთ და ნაყოფიერ ხეთა შორის თითქოს მხოლოდ ხილის სურნელს შევიგრძნობთ, მაგრამ მათ გემოს ვერ ვიგებთ. მან კი იცოდა, თვით სათნოებათა ნაყოფებით როგორ ესარგებლა, თუმცა სიტყვებით მათი გაკეთილსურნელება არ შეეძლო.

პეტრე: როგორ ფიქრობ, მუდმივად რატომ იკლებს სათნოების მოქმედთა რაოდენობა? რატომ არის, რომ ისეთ ადამიანს, ვინც მრავალთა განსასწავლად უნდა ცოცხლობდეს, სრულებით ვერ იპოვი ან სულ უფრო იშვიათად შეხვდები?

გრიგოლი: ადამიანთა ბიწიერების გამო კეთილმსახური ადამიანები გაიყვანებიან მათგან და როდესაც ქვეყნიერების აღსასრული მოახლოვდება, რჩეულნი აღტაცებულ იქნებიან, რათა ბილწი არაფერი იხილონ. ამიტომ ბრძანებს წინასწარმეტყველი: „იხილეთ, ვითარ წარწყმდა მართალი და არავინ მოელის გულითა და კაცნი მართალნი აღიხუმიან, და არავინ გულისხმა-ჰყოფს, რამეთუ პირისაგან სიცრუისასა აღებულ არს მართალი“ (ეს. 57,1). და სოლომონიც ამბობს: „ჟამი ქვათა მიმოფანტვისა და ჟამი მათი შეგროვებისა“ (ეკლ. 3, 5). ამიტომ, ქვეყნიერების აღსასრული რაც უფრო ახლოვდება, მით უფრო აუცილებელია ზეციური სახლისათვის ცოცხალი ქვების შეგროვება, ვიდრე ჩვენი იერუსალიმის შენობა თავის ზომას არ მიაღწევს. თუმცა გვწამს, რომ ამქვეყნიდან ყველა რჩეული არ იქნება გაყვანილი და აქ მხოლოდ ბიწიერი ადამიანები არ დარჩებიან, იმიტომ, რომ ცოდვილები არასოდეს შეინანებდნენ, სათნოების მაგალითები რომ არ ჰქონდეთ, რომლებიც მათ სულებს ატყვევებენ.

პეტრე: ამგვარად, ამაოდ ვწუხვარ, რომ სათნოების მოქმედთა რიცხვი მცირდება, როდესაც ვხედავ, რომ უღირსნიც მრავლად იღუპებიან.



თავი ოცდამეთვრამეტე

ფერენტის ეპისკოპოს რედემპტის ხილვა


გრიგოლი: ნუ გიკვირს, პეტრე. შენთვის ფერენტის ეპისკოპოსი რედემპტი ცნობილი იყო, რომელიც ღირსეულად ცხოვრობდა და ამქვეყნიდან შვიდიოდე წლის წინ გავიდა. როდესაც ჯერ კიდევ მონასტერში ვცხოვრობდი, მასთან ახლო ურთიერთობა მქონდა და მან ჩემი თხოვნით მიაგზავნა, რომ ჩემი წინამორბედის, პაპ იოანე უმცროსის დროს ქვეყნიერების აღსასრულის შესახებ ემცნო. ამის შესახებ სხვებმაც იციან. მან შემდეგი რამ მიაგზავნა: ერთხელ, ჩვეულებისამებრ, ის თავისი სამწყსოს მოსანახულებლად იყო და წმიდა მოწამე ევტიქის ტაძართან შეჩერდა. საღამოხანს ბრძანა მისთვის სარეცელი მოწამის საფლავთან მოემზადებინათ და შრომით დაქანცული მოსასვენებლად იქ დაწვა. შუალამემდე ძილ-ღვიძილში იყო; დაღლილობა ძილისკენ იზიდავდა, მაგრამ მისი სული, თითქოს რაღაც სიმძიმით შეჭირვებული, მღვიძარებდა. ამგვარ მდგომარეობაში მყოფს წმიდა მოწამე ევტიქი წარმოუდგა და უთხრა: „რედემპტ, არ გძინავს?“ – „არ მძინავს“, – მიუგო მან. „ყოველგვარი ხორციელის აღსასრული ახლოვდება, – განაგრძობდა წმინდანი, – ყოველგვარი ხორციელის აღსასრული ახლოვდება, ყოველგვარი ხორციელის აღსასრული ახლოვდება!“ სამგზის გამეორების შემდეგ მოწამის გამოცხადება, რომელიც რედემპტის სულიერ თვალს წარმოუდგა, გაქრა. ღმრთის მონა წამოდგა და ცრემლით ლოცვა დაიწყო. მალე ცაზე საზარელი ნიშნები გამოჩნდა. ჩრდილოეთის მხარეს ცეცხლოვანი ისრები და შუბები ჩანდა. შემდეგ თავიანთი საცხოვრებლებიდან საზარელი ღონგობარდები გამოვიდნენ და თავს დაგვესხნენ. აურაცხელი ადამიანი, როგორც თავთავები მკის დროს, შემუსვრილი იყო. ქალაქები

უკაცრიელი იყო, ციხე-სიმაგრეები — დანგრეული, სოფლები — მიტოვებული, მინდვრები — დაუშუშავებელი და გაუდაბურებული, ერთი მცხოვრებიც კი არსად ჩანდა; იქ, სადაც უწინ ადამიანები სახლობდნენ, ველური ცხოველები დასახლდნენ. — არ ვიცი, სხვაგან რა ხდება, მაგრამ იქ, სადაც ჩვენ ვცხოვრობთ, ქვეყნიერების აღსასრული არათუ ახლოს არის, არამედ მოიწია კიდევ. ამიტომ ჩვენთვის აუცილებელია მარადიული მით მეტი სიმტკიცით ვეძიოთ, რაც უფრო სწრაფად ქრება წარმავალი. ჩვენ ეს სოფელი მაშინაც კი უნდა მოგვეძულებინა, ბედნიერებით რომ მოვეხიბლეთ, მაგრამ თუკი ის ამგვარი ჭირით განიგმირება, ამგვარი უბედურებით ითრგუნება, ყოველდღიურად ასეთ განსაცდელს შობს — ამით რას გვასწავლის, თუ არა იმას, რომ არ გვიყვარდეს? რჩეულ მოსაგრეთა ღვაწლის შესახებ კიდევ მრავალი რამის თხრობა შეიძლება, მაგრამ ამაზე დავდუმდები, რადგან ვჩქარობ სხვა რამ გიაბო.

პეტრე: შემიძნევიან, რომ წმიდა ეკლესიის წიაღში იმქვეყნიური ცხოვრების გამო მრავალნი არიან დაეჭვებულნი. ამიტომ გთხოვ, გონებისმიერი განსჯით ან მაგალითებით, რომლებიც მოგაგონდება, დაეჭვებულთა განსასწავლად აჩვენო, რომ სული ხორციდან ერთად არ კვდება.

გრიგოლი: ეს რთული საქმეა, განსაკუთრებით იმისთვის, ვინც დაკავებულია და მხედველობაში სულ სხვა რამ აქვს. მაგრამ თუკი არსებობენ ადამიანები, რომლებიც სარგებელს იპოვიან, უყოყმანოდ, რამდენადაც ღმრთის მოწყალება შეეწევა, მეოთხე წიგნში ვაჩვენებ, რომ სული ხორციელი სიკვდილის შემდეგაც ცოცხლობს.





წიგნი მეთხე

თავი პირველი

ხორციელ ადამიანებს მარადიული და სულიერი არ
სწამთ, იმიტომ, რომ გამოცდილებით არ იციან ის, რაც
სულიერის შესახებ სმენიათ

გრიგოლი: კაცობრიობის პირველმშობელმა, რომელმაც
შეცოდების გამო სამოთხისეული ნეტარება დაკარგა, სიბრმა-
ვისა და განდევნის უბადრუკება იტვირთა, რომელშიც ამჟა-
მად ჩვენც ვიმყოფებით. ცოდვის გზით ის საკუთარი თავიდან
განვარდა და არ შეუძლია ზეციური სამშობლოს ის ნაყოფი
შეიტკბოს, რომლითაც ადრე ტკებოდა. სამოთხეში ადამიანი
თვით ღმერთის სიტყვის მოსმენას მიეჩვია; გულის სიწმინდი-
სა და ჭკრეტის სიმაღლის მეოხებით ნეტარი სულების — ან-
გელოზების გარემოცვაში იყო; მაგრამ მას შემდეგ, რაც აქ
ჩამოვარდა, გონებრივი ნათელი მოაკლდა, რომლითაც ავსე-
ბული იყო. განგლების სიბნელეში მისგან ხორციელად შო-
ბილთ თუმცა გვესმის ზეციური სამშობლოს, მისი მოქალაქე-

196

ების — ღმერთის ანგელოზების, ანგელოზთა თანამოქალაქეების — მართალთა და სრულყოფილ სულთა შესახებ, მაგრამ რადგან უხილავის შეცნობა გამოცდილების გარეშე შეუძლებელია, ხორციელი ადამიანები ეჭვობენ, მართლაც არსებობს თუ არა ის, რასაც ხორციელი თვალებით ვერ ხედავენ. რა თქმა უნდა, ჩვენს პირველმშობელში ამგვარი ეჭვი არ არსებობდა; სამოთხისეული ნეტარების მოკლების შემდეგ მას შემორჩა მოგონება იმის შესახებ, რაც დაკარგა, იმიტომ, რომ ის ნანახი ჰქონდა. ხორციელი ადამიანები კი ვერ შეიგრძნობენ იმას, რაც ესმით. მათ საკუთარი გამოცდილებით არ შეუცვნიათ ის ისე, როგორც პირველმშობელმა იცოდა, ყოველ შემთხვევაში, თუნდაც — როგორც წარსული. მაგალითად, ფეხმძიმე დედაკაცი საპყრობილეში რომ შეამწყვდიონ და შვილი იქ დაბადოს, რომელიც იქვე გაიზრდება და დედა რომ უამბობდეს მზის, მთვარის, ვარსკვლავებისა და მინდვრების, ცაში აფრენილ ფრინველებისა და მორბენალი ცხენების შესახებ, ბავშვი, რომელიც საპყრობილეში დაიბადა და გაიზარდა და სიბნელის მეტი ამქვეყნად არაფერი უნახავს, ალბათ მოსმენილს ვერ დაიჯერებს, იმიტომ, რომ საკუთარი გამოცდილებით არ ეცოდინება. ასევე არიან ადამიანები, რომლებიც თავიანთი განდევნის სიბნელეში იშვნენ — როდესაც უმაღლესი და უხილავი საგნების შესახებ ესმით, არ სჯერათ, მართლაც არსებობენ თუ არა ისინი, იმიტომ, რომ მხოლოდ უმაღლეს საგნებს იცნობენ, ხილულთ, რომელთა შორისაც იშვნენ. აი, ამიტომ თვით ხილულთა და უხილავთა შემოქმედი, მამის მხოლოდშობილი ძე კაცობრიობის დასახსნელად მოვიდა და გულებში სულიწმიდა წარმოგვიგზავნა, რათა მის მიერ განცხობველებულებმა (სულიერად გაცოცხლებულებმა) ვირწმუნოთ ის, რაც გამოცდილებით არ ვიცით. ამიტომ, რამდე-

ნადაც მივიღებთ ამ სულს, „რომელი-იგი არს წინდი მკვდრობისა ჩუენისაჲ“ (ეფეს. 1, 14), უკვე უხილავის არსებობას აღარ ვეჭვობთ, ხოლო ვინც რწმენაში განმტკიცებული არ არის, უეჭველია, სრულყოფილ ადამიანთა სიტყვებს უნდა ენდოს, რომლებმაც სულიწმიდის მეოხებით უხილავი შეიცნეს. როგორი უგუნური იქნებოდა საპყრობილეში აღზრდილი ყრმა, თუკი დედის ნაამბობს სინათლის შესახებ სიცრუედ მხოლოდ იმის გამო ჩათვლიდა, რომ თვითონ არაფერი უხილავს, გარდა საპყრობილის წყვედიადისა.

პეტრე: ვეთანხმები შენს ნათქვამს, მაგრამ ვისაც უხილავის არ სწამს, ის სრულიად ურწმუნოა. ხოლო სრულიად ურწმუნო იმის რწმენას კი არ ეძიებს, რაც აეჭვებს, არამედ მის მტკიცებულებას.

თავი მემომ რწმენა ურწმუნოსაც აქვს

გრიგოლი: თამამად შემიძლია გითხრა, რომ რწმენა ურწმუნოსაც აქვს. ურწმუნოს რომ დაეკითხო, მისი მამა ან დედა ვინ არის, ის უყოყმანოდ გიპასუხებს, რომ ესა და ეს. შემდეგ რომ ჰკითხო, თუ იცის როდის ჩაისახა ან თუ ნახა თავისი დაბადება, ის აღიარებს, რომ არ იცის და არ უნახავს. თუმცა სჯერა ის, რაც არ უნახავს, რადგან მამასა და დედას უყოყმანოდ ასახელებს.

პეტრე: გამოგიტყდები, აქამდე არ ვიცოდი, რომ რწმენა ურწმუნოსაც აქვს.

გრიგოლი: რწმენა ურწმუნოთაც აქვთ, მაგრამ — ჰოი, დმერთის რწმენა რომ ჰქონდეთ, მაშინ ურწმუნონი არ იქნებოდნენ! მათ ურწმუნოებას სწორედ ის განსჯის, რწმენისკენ

მხილებით სწორედ ის მოუწოდებს, რომ საკუთარი ხილული სხეულის მიმართ ის სწამთ, რაც არ უხილავთ, ხოლო უხილავი არ სწამთ, რომლის ხილვა ხორციელი თვალებით არც შეუძლიათ.

თ ა ვ ი მ მ ს ა მ მ

სამგვარი ცოცხალი სულის შესახებ

სული სხეულის სიკვდილის შემდეგ სიცოცხლეს რომ განაგრძობს, ამას მორწმუნე გონება მოწმობს. ყოვლისშემძლე ღმერთმა სამგვარი ცოცხალი სული შექმნა: ერთი მათგანი სხეულთან შეერთებული არ არის; მეორე – სხეულთანაა შეერთებული, მაგრამ მასთან ერთად არ კვდება; მესამე – სხეულთანაა შეერთებული და მასთან ერთად კვდება. სული, რომელიც სხეულთან არაა შეერთებული, არის ანგელოზთა სული. სული, რომელიც სხეულთანაა შეერთებული, მაგრამ მასთან ერთად არ კვდება, ადამიანთა სულია; ხოლო სული, რომელიც სხეულთანაა შეერთებული და მასთან ერთად კვდება, არის ცხოველთა სული. ამგვარად, ადამიანი ერთგვარად შუაშია მოქცეული: ანგელოზზე – ქვევით და ცხოველზე – ზევით. უმაღლესთანაც და უმდაბლესთანაც საერთო აქვს, ანუ სულის უკვდავებით ანგელოზს უახლოვდება, სხეულის ხრწნადობით – ცხოველს, მანამდე, სანამ აღდგომის დიდება თვით სხეულის ხრწნადობას შეწყვეტს, როდესაც სულთან შეერთებული სხეული საუკუნოდ იქნება დაცული ხრწნილებისაგან ისევე, როგორც სხეულთან შეერთებული სული უკვდავია უფლის მადლით. ამიტომ თვით განგდებულთა სხეულს (მკვდრებით აღმდგარს) ტანჯვა არ გაანადგურებს. ის მარადიულ ტანჯვაში იარსებებს, რათა სულით და ხორციით შემ-

ცოდენი სულითა და ხორციით მარადიულად კვდებოდნენ და ამავე დროს ცოცხლები რჩებოდნენ (ყოფიერების მიხედვით).

პეტრე: მორწმუნე გონებისთვის გასაგებია ის, რასაც შენ ამბობ, მაგრამ, თუკი აღამიანთა და ცხოველთა სულებს ამგვარად განასხვავებ, მითხარი, გეთაყვა, რას ნიშნავს სოლომონის სიტყვები: „ეთქვი ჩემს გულში: ასე გამოცდის თურმე ღმერთი ადამის ძეთა, რათა დარწმუნდნენ, რომ თავისთავად პირუტყვები არიან მხოლოდ. რადგან კაცის და პირუტყვის ხვედრი ერთია“ (ეკლ. 3, 18-19). საკუთარი აზრის ზედმიწევნით გადმოსაცემად კიდევ ამბობს: „ერთის სიკვდილი მეორისას ჰგავს და ყველას ერთი სული უდგას, კაცი პირუტყვზე ვერაფრით ვერ უპირატესობს“ (3, 19). და შემდეგ საერთო განმარტებისთვის დაურთავს სიტყვებს: „ყველაფერი ამაოა, ყოველივე ერთ ადგილს მივა; ყველაფერი მიწისგანაა და ყველაფერი მიწად იქცევა“ (3, 19-20).

თავი მეოთხე

სოლომონის სიტყვები: კაცის და პირუტყვის ხვედრი
(აღსასრული) ერთია

გრიგოლი: სოლომონის წიგნს, რომელშიც ეს სიტყვები წერია, ჰქვია ეკლესიასტე. ეკლესიასტე მქადაგებელს ნიშნავს. ქადაგება, ჩვეულებრივ, აზრს სთავაზობს, რომელიც ხალხის ხმაურიანი კრებულის მღელვარებას აცხრობს. მქადაგებლის სიტყვები მრავალთ თანამოაზრედ ხდის, რომლებიც სხვადასხვაგვარად ფიქრობენ. მქადაგებელი ამ წიგნსაც იმიტომ ჰქვია, რომ მასში სოლომონი თითქოს იმ აზრებს გაითავისებს, რაც მღელვარე კრებულს აწუხებს, რათა მათი განხილვის შემდეგ ის თქვას, რასაც გამოუცდელი კრებულებიც

ჩასწვდება და დაეთანხმება. რამდენ აზრსაც განხილვის დროს წამოჭრის (მქადაგებელი), თვითონ იმდენივე განსხვავებულ პირს წარმოადგენს. ჭეშმარიტი მქადაგებელი თითქოს მღელვარებას გაწვდილი ხელით აჩერებს და ყველას აიძულებს, ერთ აზრს დაეთანხმოს; მსგავსადვე ის წიგნის ბოლოს ამბობს: „[ყველამ]¹ მოვისმინოთ ყველაფრის თავი და ბოლო: ღვთისა გეშინოდეს და დაიცავი მცნებანი მისნი, რადგან ეს არის კაცის თავი და თავი“ (ეკლ. 12, 13). თუკი ამ წიგნში გამოთქმულ სიტყვაში ის მრავალთ არ წარმოადგენს, მაშინ ყველას რისთვის მოუწოდებს, მასთან ერთად სიტყვის ბოლო მოისმინონ? ამგვარად, ვინც წიგნის ბოლოში ამბობს: „ყველამ მოვისმინოთ“, ის თავად ამოწმებს, რომ თავის თავში მრავალ პირს გულისხმობს და მარტო არ ლაპარაკობს. ამიტომ ამ წიგნში ზოგიერთი აზრი მხოლოდ განსახილველად არის გამოთქმული, სხვები — გონებას აკმაყოფილებენ; ერთნი ეკუთვნიან მერყევი ადამიანის სულს, რომელიც ჯერ კიდევ ამქვეყნიურ სიამოვნებებშია ჩაფლული; სხვები — გონებასთან თანხმობით მოცემულია იმისთვის, რომ სული ამგვარი სიამოვნებებისგან განვაყენოთ. ამგვარად, ამ წიგნში სოლომონი ამბობს: „აი, სად ვხედავ მე სიკეთეს, შესაფერ საქმეს; ჭამოს კაცმა, სვას და იხაროს თავისი ღვაწლით ამ მზის ქვეშეთში“ (ეკლ. 5, 17). უფრო ქვევით კი განაგრძობს: „ტირილში წასვლა სჯობს ლხინში წასვლას“ (ეკლ. 7, 2). თუკი ჭამა-სმა არის კარგი, მაშინ ლხინში წასვლა უკეთესი უნდა იყოს, ვიდრე ტირილში. აქედან ჩანს, რომ პირველი — გონებით უმწიფართა სახელით არის გამოთქმული, ხოლო უკანას-

¹ ასეა ორგინალში, როგორც ჩანს ლათინური ბიბლიის მიხედვით. — მთარგმნელის შენიშვნა.

კნელი — თავისი სრულყოფილი მოძღვრების სახელით აქვს დართული. რაკი გონივრულ მიზეზებს წარმოგვიდგენს, ის სარგებელსაც გვიჩვენებს, რომელსაც ადამიანი ტირილში ჰპოვებს: „რადგან იქ არის ბოლო კაცისა; ცოცხალმა კაცმა ყურად იღოს“ (ეკლ. 7, 2), ანუ ტირილში ყოველი ადამიანის აღსასრულია მითითებული და ცოცხალი ადამიანი ფიქრს იწყებს, თუ რა მოელის. იქვე წერია: „იხარე, ყრმაო, ვიდრე ნორჩი ხარ“ (ეკლ. 11, 9) და ცოტა ქვემოთ ურთავს: „ბავშვობაც და სიყმაწვილაც ამაოა და წარმავალი“ (ეკლ. 11, 10). თუკი ის, როგორც ამაოს, იმას ამხელს, რისკენაც მანამდე მოუწოდებდა, ეს ცხადად გვიჩვენებს, რომ პირველი სიტყვები თითქოს მიწიერი ადამიანის სახელით არის გამოთქმული, ხოლო უკანასკნელი — დაურთო ჭეშმარიტების განჩინებით. ამგვარად, მიწიერ ადამიანთა სიამოვნების გამოხატვით, რომლებიც საზრუნავებს მისცემიან, გვამცნობს, რომ კარგია ჭამა-სმა, შემდეგ იმავეს, გონების განჩინებით, უარყოფს სიტყვებით, რომ უმჯობესია ტირილში წასვლა, ვიდრე — ლხინში. ასევე, ყრმის მხიარულებას სიყრმეში ერთგვარად მიწიერ ადამიანთა სახელით გვთავაზობს, ხოლო აზრის განმარტების შემდეგ, ბავშვობასაც და გართობასაც ამაოს უწოდებს. სწორედ ასევე, ჩვენი მქადაგებელი გონებით უმწიფართა სახელით გვთავაზობს აზრს, როდესაც ამბობს: „რადგან კაცის და პირუტყვის ხვედრი ერთია — ერთის სიკვდილი მეორისას ჰკავს და ყველას ერთი სული უდგას, კაცი პირუტყვზე ვერაფრით ვერ უპირატესობს, რადგან ყველაფერი ამაოა“ (ეკლ. 3, 19), ხოლო გონებისაგან სხვა აზრს გვთავაზობს: „უმეტეს არს ბრძენი უგუნურისა, რამეთუ იცის გლახაკმან სლვაჲ წინაშე ცხოვრებასა მისსა“ (ეკლ. 6, 8). ამგვარად, ის ამბობს: „კაცი პირუტყვზე ვერაფრით ვერ უპირატესობს“,

შემდეგ კი თვითონ განმარტავს, რომ ბრძენი არა მარტო პირუტყვს აღემატება, არამედ — უგუნურ ადამიანსაც; კერძოდ, იმით, რომ იქით ისწრაფვის, სადაც არის ცხოვრება. ამ სიტყვებით ის, უპირველეს ყოვლისა, გვიჩვენებს, რომ ადამიანთა ცხოვრება არის არა აქ, არამედ — სხვაგან. აქედან ცხადია, ადამიანს აქვს რაღაც ცხოველზე მეტი იმიტომ, რომ ცხოველი სიკვდილის შემდეგ არ ცოცხლობს, ადამიანი კი ცხოვრებას მაშინ იწყებს, როდესაც სიკვდილის მეოხებით სხეული ნილულ ცხოვრებას ასრულებს. კიდევ უფრო ქვევით ის ამბობს: „რისი კეთების ძალაც შესწევს შენს ხელებს, აკეთე; რადგან არც საქმე, არც საფიქრალი, ცოდნა ან სიბრძნე არ გაგყვება შავეთში, სადაც მიდიხარ“ (ეკლ. 9, 10). მაშ, როგორღა აქვთ ერთნაირი ბოლო ადამიანსა და პირუტყვს და ერთნაირი დანიშნულება — ერთსაც და მეორესაც? ადამიანს პირუტყვზე მეტი როგორ არა აქვს, როდესაც ცხოველები ხორციელი სიკვდილის შემდეგ სიცოცხლეს წყვეტენ, ხოლო ადამიანთა სულები, ბოროტ საქმეთა გამო ხორციელი სიკვდილის შემდეგ ჯოჯოხეთში ჩასულნი, თვით სიკვდილის დროსაც არ კვდებიან. ამგვარი საპირისპირო აზრები გვიჩვენებს, რომ ჭეშმარიტი მქადაგებელი ერთს მერყევი მიწიერი ადამიანების სახელით ამბობს, ხოლო მეორეს — სულიერი ჭეშმარიტების სახელით.

პეტრე: კარგია, რომ იმის შესახებ გკითხე, რაც არ ვიცოდი და ზედმიწევნით შევიმეცნე. მაგრამ, გთხოვ, სულგრძელება გამოიჩინე, თუკი მეც, ჩვენი ეკლესიასტეს მიბაძვით, არასრულყოფილთა სახეს შევიმოს, რომ იმათვე მეტი სარგებელი მოუტანო, ვიდრე ჩემი პირადი გამოძიებით ნახავდნენ.

გრიგოლი: როგორ არ მოგიტმენ სულგრძელად, როდესაც თავად იჩენ სულგრძელებას მოყვასის უძღურების მიმართ,


როგორც მოციქული პავლე ამბობს: „ყოველთა ვექმენ ყოვლად, რაჟთა ყოველნი ვაცხოვნნე“ (1 კორ. 9, 22). რადგან შენ სიყვარულით იწყალე უძღურთ, უფრო მეტ პატივისცემას იმსახურებ, იმიტომ, რომ სახელოვან მქადაგებელს ბაძავ.

თავი მესამე

არსებობს თუ არა სული, თუკი სხეულიდან გასვლის
ჟამს მისი ხილვა შეუძლებელია?

პეტრე: ერთი ძმის აღსასრულს დავესწარი. მან უეცრად, საუბრის დროს სული განუტევა და უცებ ის, ვისაც ჩემთან მოსაუბრეს ვხედავდი, მკვდარი ვიხილე. მას სული აღმოხდა თუ არა, არ დამინახავს და თითქოს ძალიან ძნელია იმგვარი არსების არსებობის დაჯერება, რომლის ხილვა არავის შეუძლია.

გრიგოლი: რა არის საკვირველი, პეტრე, თუკი სხეულიდან ამომავალი სული ვერ დაინახე, რომელსაც ვერც მაშინ ხედავ, როდესაც შენშია? ნუთუ ჩემთან საუბრისას მხოლოდ იმიტომ შეგიძლია უსულოდ შემრაცხო, რომ ჩემში ჩემი სულის დანახვა არ შეგიძლია? სულის არსება უხილავია და სხეულიდან ისევე უხილავად გადის, როგორც უხილავად იმყოფება მასში.



თავი მემქსე

როგორც სხეულში მყოფი სულის სიცოცხლე შეიცნობა ასოთა მოძრაობით, ასევე წმინდანის სხეულის სიკვდილის შემდეგ სულის სიცოცხლე სასწაულთა აღსრულებით შეიცნობა

პეტრე: სხეულში მყოფი სულის სიცოცხლის შეცნობა სხეულის მოძრაობით შემიძლია, რადგან სხეულში რომ სული არ იყოს, სხეულის ასოები ვერ იმოძრაებდნენ. სხეულის სიკვდილის შემდეგ სულის სიცოცხლე როგორი მოძრაობებითა და მოქმედებებით შემიძლია შევიცნო, რათა ხილული საგნების მიხედვით იმისი ყოფიერება შევიცნო, ვისი ხილვაც შეუძლებელია?

გრიგოლი: არცთუ ზედმიწევნით ზუსტ შედარებას მოვიხმობ: როგორც სულის ძალა აცოცხლებს და ამოძრავებს სხეულს, ასევე ღმერთის ძალა ადავსებს ყოველ ქმნილებას: ზოგიერთს თავისი სუნთქვით აცხოველებს, სხვებში სიცოცხლეს შეეწევა, ხოლო ზოგიერთებს ყოფიერებას მათთან ყოფნით ანიჭებს. რადგან ეჭვი არ გეპარება, რომ არსებობს ღმერთი — შემოქმედი და წარმმართველი, რომელიც ყოველივეს ადავსებს და მოიცავს, ყოველივეზე აღმატებული და ყოვლის მპყრობელია, გარშემოუწერელი და უხილავია, ამიტომ არც ის უნდა გაეჭვებდეს, რომ მას უხილავი მსახურები ჰყავს. ხოლო მსახურს შეჰფერის იმას მიემსგავსოს, ვისაც ემსახურება. ამდენად, უეჭველია, რომ უხილავს უხილავი მსახურები მსახურებენ, რომელთა არსებობა გვწამს. ვინ უნდა იყვნენ ეს უხილავი მსახურები, თუ არა წმიდა ანგელოზები და მართალთა სულები? როგორც სხეულის მოძრაობის მხილველი უმდაბლესის მიხედვით მასში მყოფი სულის სიცოცხლეზე მსჯელობ, ასევე სხეულიდან გასული სულის სიცოცხლეზე

უმაღლესის მიხედვით უნდა იმსჯელო — სული უხილავად ცოცხლობს, რადგან ვალდებულია ემსახუროს უხილავ შემოქმედს.

პეტრე: ყოველივეს სამართლიანად ბრძანებ; მაგრამ იმის რწმენას, რისი ხილვაც ხორციელი თვალთ შეუძლებელია, გონება არ ეთანხმება.

გრიგოლი: როდესაც წმიდა მოციქული პავლე ამბობს: „არს სარწმუნოებაჲ მოსავთა მათ ძალ, საქმეთა მამხილებელ არა-ხილულთა“ (ებრ. 11, 1), მიგვითითებს, რომ იმისი რწმენა გვმართებს, რისი ხილვაც შეუძლებელია. ეჭვის სწრაფად გასაფანტად გეტყვი, რომ ხილულის დანახვა უხილავის გარეშე შეუძლებელია. აი, მაგალითად, შენი ხორციელი თვალი ხედავს ყოველივე ხორციელს, მაგრამ ის ვერავითარ ხორციელს ვერ დაინახავდა, მის მხედველობას უსხეულო არსება რომ არ განაპირობებდეს. უხილავი გონება წაართვი და ამოიქნება თვალის გახელა, რომელიც მანამდე ხედავდა. სულმა რომ სხეული დატოვოს, შენი ხორციელი თვალები უეჭველად დაიხუჭება. ამგვარად, თუკი ისინი თავისით ხედავდნენ, მაშინ სულის სხეულიდან განსვლის შემდეგ რატომ ვეღარაფერს ხედავენ? აქედან გამოიტანე დასკვნა, რომ ყოველივე ხილულის დანახვაც უხილავის მეშვეობით არის შესაძლებელი. ასევე წარმოვიდგინოთ, რომ სახლი შენდება, უდიდეს სიმძიმეებს სწევენ, უზარმაზარი სვეტები მანქანებზეა დაყრდნობილი: გეკითხები, ამ საქმეს ვინ ასრულებს, ხილული სხეული, რომელიც ამ სიმძიმეებს ამოძრავებს, თუ უხილავი სული, რომელიც სხეულს აცხოველებს? სხეულს უხილავი წაართვი და ლითონის გროვები, რომელთაც ამოძრავებულს ხედავ, უმოძრაო გახდება. აქედან გვმართებს გამოვიტანოთ დასკვნა, რომ ხილულ სამყაროში უხილავად მოქმედი ძალის

გარეშე არაფერი მოეწეობა. როგორც ყოვლისშემძლე ღმერთი უხილავ არსებებს თავისი სუნთქვითა და განმსჭვალვით აცხოველებს და ამოდრავებს, ასევე ხილულ სხეულებს უხილავი არსებები განმსჭვალავენ, ამოდრავებენ და აცხოველებენ.

პეტრე: გამოგიტყდები, ამ დამამტკიცებელი საბუთებით ძლეულს, მმართველს ყოველივე ხილული (უხილავის გარეშე) არარაობად ჩავთვალ, თუმცა აქამდე უხილავის მიმართ ეჭვს გამოვთქვამდი, რაკი (რწმენაში) უძლურთ წარმოვადგენდი. ამგვარად, ყოველივეს ვეთანხმები, რაც შენ თქვი; ამასთან, რამდენადაც სხეულში მყოფი სულის სიცოცხლე სხეულის მოძრაობით შეიცნობა, ამდენად ხილული მოვლენების დამოწმებით, სხეულის სიკვდილის შემდეგ სულის სიცოცხლის შესახებ მსურს შევიტყო.

გრიგოლი: თუკი ამ საკითხის მიმართ განსაკუთრებული სიყვარული გაქვს, მტკიცებულების მოძებნა ძნელი არ არის. ნუთუ წმიდა მოციქულები და ქრისტეს მოწამენი ამქვეყნიურ ცხოვრებას მოიძულებდნენ და სიკვდილს მიეცემოდნენ, თუკი მტკიცე რწმენა არ ექნებოდათ, რომ სულის სიცოცხლე გრძელდება? შენ თვითონ ხომ ამბობ, რომ სხეულში მყოფი სულის სიცოცხლე სხეულის მოძრაობით შეიცნობა. ისინი, ვინც თავი სიკვდილს მისცა და სწამდათ, რომ სული სხეულის გარდაცვალების შემდეგ ცოცხლობს, ყოველდღიურად სასწაულებით ბრწყინავენ, მათ სხეულებთან სხეულნი მიდიან და კურნებას იღებენ; მიდიან ფიცის დამრღვევნი და მათ დემონები ეუფლებიან; მიდიან შეპყრობილები და თავისუფლებიან (დემონთაგან); კეთროვნები იწმინდებიან; მიცვალებულები მიჰყავთ და მკვდრებით აღდგებიან. აქედან შეგიძლია დაასკვნა, რომ იმათი სულები, რომელთა სხეულები აქ ასეთ

სასწაულებს ახდენენ, სადღაც ცხოვრობენ. ამგვარად, თუკი სხეულში მყოფი სულის სიცოცხლეს სხეულის მოძრაობით შეიცნობ, მაშინ რატომ არ გსურს სულის სიცოცხლე სხეულის გარდაცვალების შემდეგ თვით მკვდარი ძვლებით აღსრულებულ სასწაულებში დაინახო?

პეტრე: ამ მტკიცებულებას, რომელიც ხილული საგნებით აღგვიკრავს ვირწმუნოთ უხილავი, ვერც ერთი გონება წინ ვერ აღუდგება.

თავი მეშვიდე

სულის სხეულიდან გასვლის შესახებ

გრიგოლი: ცოტა ხნის წინ შენ თქვი, რომ არ გინახავს, მომაკვდავმა ძმამ სული როგორ განუტევა; ამის მიზეზი ის იყო, რომ ხორციელი თვალთ უხილავი არსების ხილვა მოისურვე. მრავალნი, ვინც გონების თვალს წმიდა რწმენითა და ნაყოფიერი ლოცვით განიწმენდნენ, სხეულიდან გასულ სულს ხშირად ხედავდნენ. აუცილებლად მიმაჩნია გიაგბო, რომ სხეულიდან ამომავალი სული უამრავჯერ უხილავთ და ასევე — იმის შესახებ, რაც თვითონ მომაკვდავებს უხილავთ სხეულიდან განსვლის ჟამს, რომ ამით უძლური გონება, რომელიც მტკიცებებით ვერ რწმუნდება, მაგალითებით განვამტკიცოთ.

ამ კრებულის მეორე წიგნში უკვე გიაგბე, რომ ქალაქ კაპუადან მოშორებით მყოფმა ღირსმა ბენედიქტემ, მრავალი მოწაფის დამოწმებით, ამ ქალაქის ეპისკოპოსის სული იხილა, რომელსაც ანგელოზები ცეცხლოვან სფეროში ზეცისკენ მიაბრძანებდნენ. ზეცად აღმავალი სულის ხილვისას მან გონების განვრცობილი თვალთ მთელი ქვეყნიერება იხილა,

რომელიც მის თვალთა წინაშე თითქოს მზის ერთ სხივში მოიკრება.

თავი მერვე

მონაზონ სპეციოზის სულის გასვლა

წმიდა ბენედიქტეს მოწაფეთაგან აგრეთვე მსმენია, რომ ორი ცნობილი მოსაგრე, რომელთაც საერო განათლებაც ჰქონდათ, ღვიძლი ძმები სპეციოზი და გრიგოლი, მისი ხელმძღვანელობით წმიდა მონაზვნურ ცხოვრებას შეუდგნენ. ღირსმა მამამ ისინი იმ მონასტერში დაამკვიდრა, რომელიც ქალაქ ტერაციანის მახლობლად ააგო. ძმებს ერში ყოფნისას დიდძალი სიმდიდრე ჰქონდათ, მაგრამ თავიანთი სულის საცხოვრებლად ყველაფერი გლახაკებს დაურიგეს, თვითონ კი მონასტერში დამკვიდრდნენ. ერთ-ერთი მათგანი, სპეციოზი, სამონასტრო საქმეთა გამო ქალაქ კაპუაში იქნა წარგზავნილი. ერთ დღეს მისი ძმა, გრიგოლი, ძმებთან ერთად საერთო ტრაპეზს იზიარებდა. ამ დროს გონებით აღტაცებულმა თავისი ძმის სხეულიდან აღმომავალი სული იხილა. სპეციოზი ამ დროს მისგან შორს იმყოფებოდა. ხილვის შესახებ მან მაშინვე ძმებს უთხრა, თავად კი სასწრაფოდ გაეშურა და ძმა უკვე დაკრძალული დახვდა. ის სწორედ იმ დროს აღესრულა, როდესაც გრიგოლმა იხილა.

თავი მმცხრე

ერთი ტუსადის სულის შესახებ

როდესაც ჯერ კიდევ მონასტერში ვცხოვრობდი, ერთი ღმრთისმოსავი და ფრიად სარწმუნო კაცი მიაბობდა, რომ მოგზაურებმა, რომლებიც სიცილიიდან რომში მიმავალ ხო-

მალღზე იმყოფებოდნენ, ხმელთაშუა ზღვაში ყოფნისას ერთი ღმრთის მონის სული იხილეს, რომელიც ზეცად მალღდებოდა. ის სამნიაში იყო დატყვევებული. ნაპირზე გადასულებმა იკითხეს, თუ რა მოხდა და შეიტყვეს, რომ ღმრთის მონა სწორედ იმ დღეს აღესრულა, როდესაც ის ზეციური საგანეებისკენ აღმავალი იხილეს.

თავი მათი

წინამძღვარ სპესის სულის განტევების შესახებ

ჯერ კიდევ მონასტერში ყოფნისას ერთი ღირსეული კაცისგან გავიგე, რასაც ამჯერად გიამბობ. ის ამბობდა, რომ ღირსმა მამამ, სახელად სპესმა, მონასტერი იმ ადგილზე ააგო, რომელსაც კამპლე ჰქვია. ის უძველეს ქალაქ ნურსიისგან ექვსი მილით არის დაშორებული. ყოვლისშემძლე და მოწყალე ღმერთმა ეს ბერი მარადიული ტანჯვისაგან სასჯელით დაიფარა და მასზე გამოვლენილ განგებულებაში სიმკაცრეც აჩვენა და სახიერებაც: როგორც უწინ მისადმი სიყვარული სასჯელით აჩვენა, შემდეგ — სრული განკურნებით გამოავლინა. მთელი ორმოცი წლის მანძილზე ის ბრმა იყო და დღის სინათლე არ უხილავს. მაგრამ საღმრთო სასჯელში მადლი არავის მიატოვებს. მოწყალე მამა, რომელიც სასჯელს მოგვივლენს, შემწყნარებლობასაც რომ არ იჩენდეს, ჩვენი მოუთმენლობის გამო ჩვენში ცოდვებს თვით ცოდვების გამოსასწორებლად მოვლენილი სასჯელი გაამრავლებდა. ამგვარად, დანაშაულის შემცირების ნაცვლად, რისი იმედიც უნდა გვქონოდა, ცოდვა უფრო გამრავლდებოდა. ღმერთმა ჩვენი უძლურებანი იცის და სასჯელს მზრუნველობას უერთებს, თვით სასჯელში კი რჩეული შეილების მიმართ მოწყალედ სამარ-

თლიანია, რათა მომავალში ისეთები გახადოს, რომ სამართლის მიხედვით წყალობის ღირსნი იყვნენ. ამ შემთხვევაშიც ასე მოხდა: ღირსი მოსაგრე წყვდიადით დასაჯა, მაგრამ შინაგანი ნათელი მისთვის არასოდეს მოუკლია; ხორციელი სნეულების ჟამს, სულიწმიდის მადლით, ის გულისმიერ ნუგეშს შეიგრძნობდა. როდესაც სიბრძავეს ორმოცი წელი გავიდა, ღმერთმა მას თვალისჩინი დაუბრუნა და მოახლოებული აღსასრულის შესახებ გამოუცხადა. მაგრამ მანამდე უბრძანა გარშემო მდებარე მონასტრებში სიცოცხლის სიტყვა ექადაგა, რათა ძმების მონახულებისას გულისმიერი ნათელი იმას განეცხადებინა, ვისაც ხორციელი ხედვა დაუბრუნდა. ბრძანებისადმი მორჩილებით, ბერმა ძმათა კინოვიები (საერთო საცხოვრებელი მონასტრები) მაშინვე შემოიარა და იმ ცხოვრების წესს ქადაგებდა, რომელიც თავად საქმით შეისწავლა. ქადაგებიდან მეთხუთმეტე დღეს ის თავის მონასტერში დაბრუნდა. ბერმა ძმებს მოუწოდა და უფლის წმიდა ხორცსა და სისხლს ეზიარა, შემდეგ მათთან ერთად ფსალმუნთა გალობა დაიწყო და გალობის დროს სული უფალს მიაბარა. ყველა იქ მყოფმა იხილა, მისი ბაგეებიდან მტრედი როგორ გამოფრინდა, რომელიც მაშინვე, ყველას თვალწინ, ტაძრის სახურავის კრილიდან ზეცისკენ გაფრინდა. სარწმუნოა, რომ მტრედის სახით მისი სული გამოცხადდა, — და ამგვარად ღმერთმა აჩვენა, ეს მოღვაწე როგორი უბრალოებით ემსახურებოდა.



თავი მეთერთმეტი

ნურსიელი პრესვიტერის სულის განტევების შესახებ

ვერ დავღუძდები იმ შემთხვევის გამო, რომელიც იმავე ქალაქ ნურსიაში მოხდა. ამის შესახებ ღირსი მოსაგრე სტეფანე მიაძობდა. ის ახლახან იმავე ქალაქში დაკრძალეს და კარგად ვიცნობდი. ის მიაძობდა, რომ ერთი პრესვიტერი მისთვის მინდობილ ეკლესიას უდიდესი ღმრთისმოშიშებით მართავდა. პრესვიტერად კურთხევის შემდეგ მას ცოლი მხოლოდ როგორც და, ისე უყვარდა, მაგრამ მას როგორც მტერს, ისე უფრთხოდა: მიახლოების უფლებას არასოდეს აძლევდა და მასთან ცოლ-ქმრული კავშირი სრულებით გაწყვიტა. წმიდა მოსაგრეებს ამგვარი თვისება აქვთ: დაუშვებელი სამუდამოდ რომ აიცდინონ, ისინი დასაშვებსაც იკრძალავენ. სწორედ ამის გამო, მეუღლისგან რაიმე ცოდვაში რომ არ ჩავარდნილიყო, მისგან აუცილებელ სამსახურსაც არ იღებდა. ამ ღირსმა პრესვიტერმა ამგვარად მრავალი წელი იცხოვრა, მსახურებიდან მეორმოცე წელს სასტიკი ციებით დაავადდა და სიკვდილის პირას აღმოჩნდა. როდესაც მისმა მეუღლემ ის მომაკვდავი და მიცვალებულივით მწოლარე იხილა, ყური ნესტოებთან მიუახლოვა და ცდილობდა შეეჭყო, ცოცხალი იყო თუ არა. მან ეს რომ იგრძნო, თუმცა ძლივსღა სუნთქავდა, თავს ძალა დაატანა და ხმამაღლა უთხრა: „განვედ, დედაკაცო, ჩემგან, ცეცხლი ჯერ კიდევ ცოცხალია, წაიღე ჩაღა“. როდესაც ის გავიდა, თითქოს სასიცოცხლო ძალების მომატება იგრძნო და დიდი სიხარულით შესძახა: „მშვიდობა თქვენს მობრძანებას, ბატონებო! მშვიდობა თქვენს მობრძანებას, ბატონებო; როგორ ღირსმყავით მოგენახულებინეთ თქვენი მდაბალი მონა?.. მოვდივარ, მოვდივარ, მადლობელი ვარ თქვენი, მადლობელი“. მან ეს სიტყვები ხმამაღლა მრავ-

ვალგზის გაიმეორა; ირგვლივ შეკრებილი ახლობლები დაეკითხნენ, ვის ესაუბრებოდა. მომაკვდავმა მათ გააკვირვებით მიუგო: „ნუთუ აქ მოსულ წმიდა მოციქულებს ვერ ხედავთ? ნუთუ მოციქულთა თავთ — პეტრესა და პავლეს ვერ ამჩნევთ?“ შემდეგ მოციქულებს მიმართა და თქვა: „მოვდივარ, მოვდივარ“, — და ამ სიტყვებით სული უფალს მიაბარა. ამგვარად, წმიდა მოციქულებს გაჰყვა და დაამტკიცა, რომ მათ მართლაც ხედავდა. მართლთა შემთხვევაში ხშირად ხდება, რომ აღსასრულის დროს წინამორბედ წმინდანებს ხედავენ, რათა სიკვდილის შესახებ მტანჯველი ფიქრით არ შეშინდნენ; იმისთვის, რომ ხორცთა საკრველი უმტკივნეულოდ და უშიშრად განიდარცვონ, იმჟამად მათი გონების თვალს ზეციურ მოქალაქეთა დასი წარმოუდგება.

თავი მეთორმეტი

ქალაქ რეათის ეპისკოპოს პრობის სულის შესახებ

ვერ დავდუმდები იმის შესახებ, რასაც ყოვლისშემძლე ღმრთის მონა პრობი (ამჟამად ამ ქალაქში რენატად წოდებული მონასტრის წინამძღვარი) საკუთარი ბიძის, ქალაქ რეათის ეპისკოპოს პრობის შესახებ მიაძებოდა. აღსასრული რომ მოუახლოვდა, ის მძიმედ დაავადდა. მამამისმა, სახელად მაქსიმემ, ექიმების მოსაყვანად ყველგან მონები დაგზავნა; იმედი ჰქონდა, რომ ისინი მას გამოაჯანმრთელებდნენ. მაგრამ მოწვეულმა ექიმებმა პულსის მიხედვით განაცხადეს, რომ ავადმყოფი ძალე გარდაიცვლებოდა. საღამოხანს, როდესაც სადილობის დრო დადგა, ღირსმა ეპისკოპოსმა, გარშემომყოფთა ჯანმრთელობაზე ზრუნვით, სთხოვა მათ მამამისთან ერთად საეპისკოპოსო შენობის ზედა სართულზე ასულიყვნენ და ესა-

დილათ. ყველანი ზედა სართულზე ავიდნენ, მასთან მხოლოდ ერთი ყრმა დარჩა, რომელიც, პრობის თქმით, დღესაც ცოცხალია. სნეულის სარეცელთან მყოფმა ყრმამ უეცრად დაინახა: ღმრთის მონასთან ორი თეთრში შემოსილი კაცი შემოვიდა, რომელთაც სახეები იმდენად უბრწყინავდათ, რომ სამოსის სითეთრესაც კი აბნელებდნენ. ამგვარი ბრწყინვალეებით თავზარდაცემული ყრმა ხმამაღლა აყვირდა: „ვინა ხართ?“ მისი ყვირილით აღელვებულმა ეპისკოპოსმა პრობმა მოსულთ შეხედა, იცნო ისინი და აყვირებული ყრმის დამშვიდება სცადა: „ნუ გეშინია, შვილო ჩემო, ესენი წმიდა მოწამეები – იუბენალი და ელეფთერი – არიან, ჩემს წასაყვანად მოვიდნენ“. ყრმამ ასეთი გაუგონარი ხილვა ვერ დაიჭია, გაიქცა და ეპისკოპოსის მამასა და ექიმებს ნანახის შესახებ უთხრა. ისინი მაშინვე ქვევით ჩავიდნენ, მაგრამ ავადმყოფი, რომელიც სულ ცოტა ხნის წინ დატოვეს, უკვე გარდაცვლილი დახვდათ. ის იმათ წაიყვანეს, რომელთა ხილვას იქ მყოფმა ყრმამ ვერ გაუძლო.

თავი მეცამეტი

ღმერთის მსახურ გალას აღსასრული

საჭიროდ მიმაჩნია გიამბო იმის შესახებ, რაც გამოჩენილ და სანდო პირთაგან გავიგე. გუთების დროს ამ ქალაქში კონსულისა და პატრიცის – სიმაქის ასული გალა სიყრმეში გაათხოვეს და ერთ წელიწადში დაქვრივდა. ამქვეყნიური სიამენი, სიმდიდრეც და ახალგაზრდობაც მას მეორე ქორწინებისკენ მოუწოდებდა, მაგრამ მან ისურვა ქრისტესთან სულიერი კავშირით შეერთება, რომელიც ცრემლით იწყება და მარადიული სიხარულით მთავრდება, ვიდრე ხორციელი ქორ-

წინების საკრველით შეკრულიყო, რომელიც ყოველთვის სინარულით იწყება და ცრემლით მთავრდება. როდესაც გალას სხეულში ცეცხლოვანი გზნება შემოენთო, ექიმები არწმუნებდნენ, თუ არ დაქორწინდებოდა, მომეტებული სიმხურვალისგან, თვით ბუნების წინააღმდეგობის გამო, წვერი ამოუვიღოდა (ასეც მოხდა შემდგომში). მაგრამ წმიდა დედაკაცს გარეგნული შეუხედაობა არ აშინებდა, მთელი გულით ზეციერი სიძე შეიყვარა, რომელიც ჩვენში შინაგან მშვენიერებას ეძიებს. ამიტომ ქმრის გარდაცვალებისთანავე საერო სამოსელი განიძარცვა და ყოვლისშემძლე ღმერთის სამსახურს წმიდა მოციქულ პეტრეს ტაძართან მდებარე მონასტერში შეუდგა. იქ მრავალი წლის მანძილზე გულუბრალოებითა და ლოცვით მშვენიერდებოდა, უპოვრებს მოწყალებას უხვად ურიგებდა. როდესაც ყოვლისშემძლე ღმერთმა გალას განუჩინა ღვაწლის სანაცვლოდ მარადიული მისაგებელი მიეღო, იგი მკერდის კიბოთი დაავადდა. ღამით მის საწოლთან ჩვეულებრივ ორი კანდელი ენთო, რადგან ნათლის მეგობარს არა მარტო სულიერი, არამედ ნივთიერი წყვდიადიც სძულდა. ერთხელ სწეულებით გათანგული გალა საწოლზე იწვა, უეცრად მან თავის სარეცელთან წმიდა მოციქული პეტრე იხილა, რომელიც კანდელებს შორის იდგა. მას არ შეშინებია, პირიქით, სიყვარულით გამბედაობა მოიკრიბა მისალმებისთვის და ჰკითხა: „ბატონო ჩემო, შემენლო ცოდვები?“ მოციქულმა ალერსიანად დაუქნია თავი და უთხრა: „შეგენლო, წამოდი“. გალამ, რომელსაც მონასტერში განსაკუთრებით ერთი ენკრატისი უყვარდა, უთხრა: „გევედრები, ჩემთან ერთად და ბენედიქტაც წამოვიდეს“. — „არა, — უპასუხა მოციქულმა, — შენთან ერთად ესა და ეს წამოვა, ხოლო ის, რომელზეც შენ მთხოვ, ცამეტ დღეში გამოგყვება“. ამ სიტყვების შემდეგ მოციქული

უხილავი გახდა. გალამ მაშინვე მონასტრის წინამძღვარი იხმო და უამბო, რაც იხილა და გაიგონა. სამი დღის შემდეგ ის იმ დასთან ერთად დაკრძალეს, რომლის შესახებაც მოციქულმა უთხრა, ხოლო ის და, რომლის შესახებ თავად ითხოვა, მათ გზას ცამეტი დღის შემდეგ გაუღვა. ეს ამბავი მონასტერში დღემდე ახსოვთ და ახალგაზრდა მოწესე ქალწულები უფროსი დებისგან მოსმენილ ამბავს ისეთი ზედმიწევნით გადმოგცემენ, თითქოს ასეთი დიდი სასწაული თავად ეხილოთ.

თავი მეთოთხმეტი

დამბლადაცემულ სერვულას აღსასრული

უნდა აღინიშნოს, რომ რჩეულთა სულებს სხეულიდან გასვლის ჟამს ხშირად ტკბილი ზეციური გალობა ესმით და ამ გალობით დამტკბარნი, სხეულისაგან სულის გაყრას ვერ გრძნობენ. როგორც მახსოვს, სახარების შესახებ საუბრებში ვყვებოდი, რომ გალერეაში, რომელიც ნეტარი კლიმენტის ტაძარში მიმავალმა მლოცველებმა უნდა გაიარონ, იყო ვინმე სერვულა, რომელიც უთუოდ გახსოვს. ის ქონებით ღარიბი იყო, მაგრამ დამსახურებებით – მდიდარი და დიდი ხნის მანძილზე სნეულებით იტანჯებოდა. მისი ცნობა იმით შეიძლება, რომ მთელი ცხოვრება დამბლადაცემული იყო, მას არათუ დგომა, არამედ საწოლზე წამოწევა და ჯდომა, პირთან ხელის მიტანა და მეორე გვერდზე გადაბრუნებაც არ შეეძლო. მას დედა და ძმა უვლიდნენ; მოწყალებას, რომელსაც აძლევდნენ, მათივე ხელით გასცემდა. მას წერა-კითხვა არასოდეს უსწავლია, მაგრამ ბიბლია შეიძინა და საავადმყოფოში მასთან მოსულ ღმრთისმოსავ ადამიანებს წაკითხვას აიძუ-

ლებდა. ამგვარად, მთელი წმიდა წერილი დაისწავლა, თუმცა, როგორც ვთქვით, წერა-კითხვის უცოდინარი იყო. სერვულა ავადმყოფობაში დღისით თუ ღამით ღმერთს სამადლობელ ჰიმნებსა და საგალობლებს აღუვლენდა. მაგრამ როდესაც მოახლოვდა ჟამი, ასეთი ტანჯვისათვის მისაგებელი მიეღო, მისი სხეული გამოცოცნლდა. სიკვდილის მოახლოვება რომ იგრძნო, სერვულამ მნახველებსა და საავადმყოფოში მცხოვრებთ სთხოვა წამომდგარიყვნენ და აღსასრულის მოლოდინში მასთან ერთად ფსალმუნები ევალობათ. მაგრამ სიკვდილის წინა გალობა უეცრად მისმა შეძახილმა შეწყვიტა. მან თქვა: „გაჩუმიდი! ნუთუ არ გესმით, როგორი ქება აღევლინება ზეცაში?“ სწორედ იმ დროს, როდესაც მან გულისყური ქების საგალობელს მიაპყრო, რომელიც შინაგანად ესმოდა, მისი წმიდა სული სხეულს გაეყარა. მისი განსვლის ჟამს იქაურობას ისეთი კეთილსურნელება მოეფინა, რომ იქ მყოფებმა გამოუთქმელი სიტკბოება შეიგრძნეს და ამით ცხადად მიხვდნენ, რომ ქების საგალობლებით სერვულას სული ზეცაში იქნა მიღებული. ამ დროს იქ ჩვენი მონაზონი იმყოფებოდა, რომელიც დღესაც ცოცხალია და ტირილით ამოწმებს, რომ დაკრძალვამდე მიცვალებულის ნესტოებიდან კეთილსურნელება იფრქვეოდა.

თავი მეთხუთმეტი

ღმრთისმსახურ რომულას აღსასრული

სახარების შესახებ საუბრებში, როგორც მახსოვს, ერთ ამბავს გაიმბობდი, რომელიც თვით საუბრის დროს პრესვიტერმა სპეციოზმა დაადასტურა. ეს ამბავი მისთვისაც ცნობილი იყო. იმ დროს, როდესაც მონასტერში დაემკვიდრდი,

ყოვლადწმიდა ღმრთისმშობელ მარიამის ტაძართან ერთი ხნიერი მოწესე დედაკაცი, სახელად რედემპტა, ცხოვრობდა. იგი მონაზვნად ამ ქალაქში აღიკვეცა და ჰერუნდინას მოწაფე იყო, რომელიც მრავალი სათნოებით იყო შემკული და, როგორც ამბობენ, მეუღაბნოე ცხოვრებას პრეპესტინის მთებში ეწეოდა. რედემპტას მონაზვნობაში ორი მოწაფე ჰყავდა: ერთი, სახელად რომულა, ხოლო მეორეს, რომელიც ამჟამადაც ცოცხალია, სახით ვიცნობ, მაგრამ მისი სახელი არ ვიცი. ეს სამი დედაკაცი ერთ სახლში ღარიბულად ცხოვრობდა, მაგრამ სათნოებებით მდიდრები იყვნენ. რომულა, რომელიც ვახსენეთ, სათნოებებით მეორე მოწაფეს აღემატებოდა. ის საკვირველად მომთმენი, უაღრესად მორჩილი, მღუმარე და გულმოდგინე მლოცველი იყო. მაგრამ ძალიან ხშირად მათ, ვისაც ადამიანები სრულყოფილად მიიჩნევენ, შემოქმედის თვალში ჯერ კიდევ აქვთ ნაკლი, ისევე, როგორც გამოუცდელი ადამიანები ხშირად დაუსრულებელი ტვიფრის ხილვისას მას ვაქებთ, როგორც დასრულებულს, მხატვარი კი, თუმცა ჩვენი ქება ესმის, მუშაობას განაგრძობს, რომ დაასრულოს. რომულასაც მსგავსი რამ დაემართა. ის დაავადდა სნეულეობით, რომელსაც ექიმები დამბლას უწოდებენ. რომულა მრავალი წლის მანძილზე ლოგინში იწვა და მოძრაობა თითქმის არ შეეძლო, მაგრამ მოთმინება ამგვარი ტანჯვითაც არ დაუკარგავს. პირიქით, სნეულება მისთვის სათნოებათა გამრავლების საშუალებად იქცა. იგი რაც უფრო ნაკლებ ძალას გრძნობდა, მით უფრო გულმოდგინედ ლოცულობდა. ერთ დამეს მან უკვე ხსენებულ რედემპტას მოუხმო, რომელიც ორივე მოწაფეს საკუთარი ქალიშვილებივით ზრდიდა: „დედაო, მოდი, დედაო, მოდი აქ“. რედემპტა მაშინვე ადგა და მეორე მოწაფესთან ერთად რომულასკენ გაემართა. ამ ამბავს ორი-

ვენი მიაბობდნენ, გარდა ამისა სხვებისგანაც გამიგონია. შუა ღამით ისინი რომულას საწოლთან იყვნენ. უეცრად ზეციდან გადმოსულმა ნათელმა სენაკი გაანათა და იმგვარად ბრწყინავდა, რომ იქ მყოფთა გულები გამოუთქმელი შიშით აავსო. როგორც შემდეგ თვითონ მოგვითხრობდნენ, მათი სხეულები ძრწოლამ გააშეშა და უძრავად იდგნენ. შემდეგ შარიშური გაისმა, თითქოს ადამიანთა დიდი ჯგუფი მოძრაობდა. სენაკის კარმა რყევა დაიწყო, თითქოს მრავალი შემომსვლელი მიაწყდა. საწოლთან მდგომი დედები გრძნობდნენ, როგორც თვითონ ამბობდნენ, შემოსულთა იქ ყოფნას, მაგრამ დიდი შიშისა და სინათლის გამო თვალები დახუჭული ჰქონდათ და ვერაფერს ხედავდნენ. სინათლეს არაჩვეულებრივი კეთილსურნელება მოჰყვა და სასიამოვნო სურნელმა ისინი დაამშვიდა. რომულამ ალერსიანი ხმით დააწყნარა ათრთოლებული რედემპტა, რომელიც მისი განმსწავლელი იყო სათნოებებში: „ნუ გეშინია, დედაო, ჯერ არ ვკვდები“. მან მრავალჯერ გაიმეორა ეს სიტყვები და ზეციდან გადმოსული სინათლის სიკაშკაშემ თანდათან იკლო, მაგრამ სურნელი დარჩა. ასე განვლო მეორე და მესამე დღემ, სენაკში მოფენილი სურნელი კიდევ იგრძნობოდა. მეოთხე ღამით მან კვლავ მოუხმო წინამძღვარს, მისი მოსვლისას წმიდა ზიარება ითხოვა და ეზიარა. რედემპტა და მეორე მოწაფე მის საწოლს არ შორდებოდნენ, – უეცრად მისი სენაკის წინ მგალობელთა ორი გუნდი გამწკრივდა და როგორც მოგვითხრობდნენ, ერთი დასი მამაკაცების ხმით ფსალმუნებს გალობდა, ხოლო მეორე – დედაკაცების ხმით ბანს აძლევდა. რომულას სენაკის წინ ზეციური გალობის ჟამს მისი წმიდა სული გათავისუფლდა ხორცის საკრველთაგან. როდესაც ის ზეცად მაღლდებოდა, მგალობელთა გუნდები რაც უფრო ზევით მიიწევდნენ, ფსალმუნთა

გალობა მით უფრო სუსტად ისმოდა, ვიდრე გალობის ხმაც და კეთილსურნელებაც საბოლოოდ არ განეშორა იქ მყოფთაგან.

თავი მეთექვსმეტი

მონაზონ თარსილას აღსასრული

ზოგჯერ სხეულიდან გამოძვალ სულს სანუგეშოდ თვით ცხოვრების მომცემელი ეცხადება. იმავეს გავიმეორებ, რაც სახარებაზე საუბრის დროს უკვე გადმოვეცი დეიდაჩემის — თარსილას შესახებ. ის ორი დანარჩენი დისგან დაუცხრომელი ლოცვით, სიფხიზლითა და თავშეკავებით გამოირჩეოდა და ამ სათნოებების მეოხებით უდიდეს სიწმინდეს მიაღწია. მას ძილში პაპაჩემის პაპა, რომის ეკლესიის წინამძღვარი ფელიქსი ეჩვენა, მარადიული ნათლის სავანე აჩვენა და უთხრა: „მოდი, ამ ნათლის სავანეში მიგიღებ“. თარსილა მაშინვე ციებამ შეიპყრო და სიკვდილის პირას აღმოჩნდა. როგორც წარჩინებულ ადამიანთა აღსასრულის ჟამს ნათესავთა სანუგეშოდ ბევრი ხალხი იკრიბება, ასევე თარსილას აღსასრულის ჟამსაც მის სარეცელთან თავი მრავალმა ადამიანმა მოიყარა. უეცრად მან ზევით აიხედა, მოძვალა იესო დაინახა და იქ მყოფთ ხმამაღლა უთხრა: „გზა მიეცით, გზა მიეცით! იესო მობრძანდება!“ და მაშინვე, როგორც კი მზერა გამოცხადებულ უფალს მიაპყრო, მისმა სულმა სხეული დატოვა. უეცრად საოცარი კეთილსურნელება დაიფრქვა, რომელმაც თავისი სიტკბოებით ყველას მიანიშნა, რომ სიტკბოების მიზეზი მართლაც მობრძანდა. როდესაც მის სხეულს გასაპატიოსნებლად სამოსელი გახადეს, იდაყვებსა და მუხლებზე საშინელი წანაზარდები იხილეს, რომლებიც აქლემის კუხებს ჰგავდა,

რისი მიზეზიც ლოცვის დროს ხანგრძლივი მუხლთა დრეკა იყო. მიცვალებულის სხეულმა ცხადყო, სიცოცხლის ჟამს მისი სული მუდმივად რას იქმოდა.

თავი მეჩვიდმეტი

ყრმა მუზას აღსასრული

ვერ დავღუძმდები იმის შესახებ, რასაც ზემოთ ხსენებული ღმრთის მონა ჰრობი თავისი დის, მცირეწლოვანი მუზას შესახებ მიაშობდა. ერთ ღამეს მას ყოვლადწმიდა ღმრთისმშობელი, მარადქალწული მარიამი გამოეცხადა და თეთრებში შემოსილი მისი ტოლი ქალწულები უჩვენა. მუზამ მათთან შეერთება მოისურვა, მაგრამ ვერ გაკადნიერდა. ყოვლადწმიდა ქალწული მარიამი დაეკითხა, მათთან შეერთება და მისი მსახურება ხომ არ სურდა. ყრმამ ღმრთისმშობელს მიუგო: „მსურს“, — და მისგან მაშინვე ემცნო, რომ ამიერიდან არაფერი ბავშვური და დაუფიქრებელი აღარ ჩაედინა, სიცოცხლისა და გართობისაგან თავი შეეკავებინა და ოცდამეათე დღეს მის სამსახურებლად იმ ქალწულთა შორის შეირაცხებოდა, რომლებიც იხილა. ამ ხილვის შემდეგ ყრმა სრულიად შეიცვალა, ბავშვური სიცელქე მიატოვა და ცხოვრებას მკაცრად წარმართავდა. მისმა ამგვარმა ცვლილებამ მშობლები გააკვირვა და მიზეზი ჰკითხეს. მუზამ უამბო, რაც მას ღმრთისმშობელმა ამცნო, და გამოაცხადა, მის სამსახურებლად რომელ დღეს წარდგებოდა. ოცდამეხუთე დღეს ის ავად გახდა. ოცდამეათე დღეს, როდესაც მისი აღსასრული მოახლოვდა, მუზამ მისკენ მომავალი ღმრთისმშობელი იმ ქალწულებთან ერთად იხილა, რომლებიც ხილვაში გამოეცხადნენ. ღმრთისმშობლის ძახილზე მან თვალები კრძალვით მილულა და ხმამაღლა უპა-

სუხა: „დელოფალო ჩემო, მოვდივარ! დელოფალო ჩემო, მოვდივარ!“ ამ სიტყვებით სული განუტევა და უმანკო სხეულიდან წმიდა ქალწულებთან დასამკვიდრებლად გავიდა.

პეტრე: რამდენადაც კაცთა მოდგმა ურიცხვ ცოდვებს არის დამონებული, ვფიქრობ, ზეციური იერუსალიმი უმეტესად მცირეწლოვანი ყრმებითა და ჩვილებით არის სავსე.

თავი მეთვრამეტი

ზოგიერთ ყრმას მშობლები ცუდი აღზრდით ცათა სასუფეველის კარს უკეტავენ; ღმრთის მგმობი ყრმის შესახებ

გრიგოლი: მართალია, უნდა გვწამდეს, რომ ჩვილობაში გარდაცვლილი ყველა მონათლული ჩვილი ცათა სასუფეველში შედის, მაგრამ ისიც სარწმუნოა, რომ მცირეწლოვან ყრმათაგან, რომელთაც უკვე ლაპარაკი შეუძლიათ, ცათა სასუფეველში ყველანი არ შედიან. ზოგიერთ მათგანს იქ შესასვლელ კარს ცუდი აღზრდით მშობლები უკეტავენ.

ჩვენს ქალაქში ყველასთვის ცნობილ ერთ ადამიანს, სამიოდე წლის წინ ხუთი წლის ვაჟი ჰყავდა, რომელსაც გადამეტებული ხორციელი სიყვარულის გამო ცუდად ზრდიდა. ბიჭი, როგორც კი რაიმე წინააღმდეგობა შეხვდებოდა, ჩვეულების გამო (გამოთქმაც კი მიჭირს), ღმრთის სახელს გმობდა. სამი წლის წინ ის მძიმედ დაავადდა და სიკვდილის პირას მივიდა. როდესაც მამას ის ხელში ჰყავდა, უეცრად ბიჭი ზარდაცემული ათრთოლდა, როგორც იქ მყოფნი მოწმობდნენ, რადგან მისკენ მომავალი ბოროტი სულები დაინახა, და აყვირდა: „მიშველე, მამა, მიშველე“. ყვირილის დროს მან სახე მიიბრუნა, რათა მათ მამის მკერდზე დამალვოდა. მამა


აკანკალებულ შვილს დაეკითხა, რას ხედავდა. ბიჭმა უპასუხა: „ჩემს წასაყვანად შავი კაცები მოვიდნენ“. ამის წარმოთქმისთანავე მან ღმერთის სახელი შეურაცხყო და სულიც განუტევა. ყოვლისშემძლე ღმერთს რომ ეჩვენებინა, თუ რატომ მიეცა ბავშვი ასეთ მტანჯველებს, დაუშვა მომაკვდავს ის გაემეორებინა, რის გამოსწორებასაც მამა მის სიცოცხლეში არ ცდილობდა; იმიტომ დაუშვა, რომ ბავშვმა მთელი ცხოვრება ღმერთის გმობაში გაატარა და ის სიკვდილის წინაც გამოთქვა, რათა მამამისს თავისი შეცოდება შეეცნო და დაენახა, რომ მცირეწლოვანი შვილის სულზე არ ზრუნავდა და გეენი-ის ცეცხლისთვის არცთუ მცირე ცოდვილი აღზარდა. მაგრამ ეს სამწუხარო ამბავი დავტოვოთ და სანუგეშოს მივხედოთ, როგორც დასაწყისში ვაკეთებდით.

თავი მმცხრამეტი

ღმრთისმოსავი მოსაგრის, სტეფანეს, აღსასრული

ზემოთ ნახსენები პრობისა და სხვა ღმრთისმოსავ კაცთაგან შევიტყვე ის, რაც მსმენელთ სახარების შესახებ საუბარში ღირსი მამის, სტეფანეს შესახებ მოვასხენე. ამ მამას, როგორც პრობი და სხვა მოწმენი გადმოგვცემენ, არაფერი შეუძენია ამქვეყნად და არც არაფერი ებადა, ღმრთის გულისათვის უპოვარება უყვარდა. განსაცდელს ყოველთვის მოთმინებით იტანდა, საერო თავყრილობებს ერიდებოდა და მუდამ ლოცვა სწყუროდა. მის სათნოებათაგან ერთის შესახებ გიამბობ, რომლის მიხედვით შეგიძლია დანარჩენზეც იმსჯელო. ერთხელ მან კალოზე მომკილი ხორბლის თავთავები წაიღო, რომელიც საკუთარი ხელით დათესა. ამ ხორბლის გარდა, თავის სარჩენად მას და მის მოწაფეებს მთელი წლის მანძილ-

ზე არაფერი ებადათ. ერთმა ბოროტმა ადამიანმა, რომელიც უძველესმა მტერმა წააქეზა, ხორბალს კალოზე ცეცხლი წაუკიდა და დაწვა. სხვამ ეს დაინახა და ამბის სათქმელად ღმრთის მონასთან გაიქცა. მოყოლა რომ დაამთავრა, ბოლოს დაამატა: „ვაი, საწყალო სტეფანე, ეს რა დაგემართა“. სტეფანემ ნათელი სახითა და ხმით მყისვე მიუგო: „ვაი იმას, ვინც ეს ჩაიდინა; მე რა დამემართა?“ ამ სიტყვებიდან ჩანს, თუ სათნოების რა მაღალ საფეხურზე იდგა ის, ვინც მთელი წლის სარჩო-საბადებელს სულის სიმშვიდით კარგავდა და უფრო მეტად ცოდვის ჩამდენი ებრალებოდა, ვიდრე — საკუთარი თავი, თუმცა მისი ცოდვით მასაც ევნო. ის იმას არ ანგარიშობდა, რაც გარეგანად დაკარგა, არამედ იმას წუხდა, რაც დამნაშავემ შინაგანად დაკარგა. როდესაც მისი აღსასრულის დღე დადგა, მრავალი ადამიანი შეიკრიბა, რათა თავიანთი სულები დასალოცად ასეთი წმიდა კაცის ლოცვისთვის მიენდოთ, რომელიც უკვე ამქვეყნიდან გადიოდა. შეკრებილნი მისი სარეცელის გარშემო იდგნენ. ზოგიერთი ანგელოზებს ხელავდა, მაგრამ ვერაფერს ამბობდა, სხვები ვერაფერს ხელავდნენ, მაგრამ ყველა იქ მყოფი ისეთმა ძლიერმა შიშმა მოიცვა, რომ ამ წმიდა სულის გასვლის დროს იქ დგომა ვერც ერთმა ვერ შეძლო. ცხადად იცნობოდა, თუ რა დიდი ძალა მიიქვამდა მომაკვდავის სულს, რომლის გასვლას ვერც ერთმა მოკვდავმა ვერ გაუძლო.



თავი მეოცე

სულის დამსახურება ზოგჯერ ცხადად გამოჩნდება არა
აღსასრულის ჟამს, არამედ – სიკვდილის შემდეგ

იმის ცოდნაც გვმართებს, რომ ზოგჯერ სულის დამსახუ-
რებანი განცხადდება არა აღსასრულის ჟამს, არამედ სიკვდი-
ლის შემდეგ. მაგალითად, წმიდა მოწამენი, რომელთაც უს-
ჯულოთაგან მრავალი ტანჯვა დაითმინეს, თავიანთი ძველ-
ებით ნიშებსა და სასწაულებს ყოველდღიურად ადასრულებენ.

თავი ოცდამეერთე

წინამძღვარ ვალენტის ორი მონაზონი

ვალენტი, რომელიც ღირსეულ ცხოვრებას ეწეოდა, რო-
გორც იცი, ჩემი მონასტრის წინამძღვარი იყო, ადრე კი ვა-
ლერიის ოლქში თავის მონასტერს წინამძღვრობდა. მძვინვა-
რე ლონგობადები მაშინ მის მონასტერში მიიჭრნენ და, რო-
გორც თავად მიაბობდა, მისი ორი მონაზონი ხეზე ჩამოახ-
რჩვეს. ისინი იმ დღესვე დაკრძალეს. როდესაც მოსაღამოვდა,
მიცვალებულთა სულებმა იმ ადგილზე სრულიად გარკვევით
და ხმამაღლა იწყეს გალობა, იმდენად, რომ თვით მკვლელებ-
მაც გაიგონეს, ძალიან გაუკვირდათ და შეშინდნენ. ეს ხმები
იქ მყოფ ტყვეებსაც ესმოდათ და შემდგომში მოკლულთა მიერ
ფსალმუნთა გალობას ადასტურებდნენ. ყოვლისშემძლე
ღმერთმა შესაძლოა ამ სულების ხმები ხორციელი სმენის-
თვის მისაწვდომი იმიტომ გახადა, რომ ჯერ კიდევ ხორცში
მყოფთ ისწავლონ – თუკი ღმერთს მოემსახურებიან, სხეუ-
ლის სიკვდილის შემდეგაც ჭეშმარიტი ცხოვრებით იცხოვ-
რებენ.

თავი ოცდამეორე

ილუმენ სურანის აღსასრული

ჯერ კიდევ მონასტერში ყოფნისას ზოგიერთი კეთილმსახური კაცისაგან შევიტყვე, რომ ღონგობარდების შემოსევის დროს სურის ოლქში მონასტრის წინამძღვარი სურანი იყო. ის ყველაფერს, რაც კი მონასტერში ჰქონდათ, მასთან მისულ ტყვეებსა და ღონგობარდებისგან თავის დასაღწევად გაქცეულთ აძლევდა. მან თავისი და ძმების სამოსელი, მონასტრის მარაგი და რაც ბაღში ჰქონდათ, მთლიანად გასცა და ამგვარად, მთელი ქონება დაარიგა. მალე ამის შემდეგ ღონგობარდები მოვიდნენ, ის შეიპყრეს და ოქრო მოსთხოვეს. როდესაც მან უთხრა, რომ არაფერი აღარ აქვს, მათ მეზობელ მთაზე აიყვანეს, სადაც ვრცელი ტყე იყო. იქ ხის ფულუროში ერთი გაქცეული ტყვე იმალებოდა. ამ ხის სიახლოვეს ღონგობარდმა სახელგანთქმულ მოსაგრეს თავი მახვილით მოჰკვეთა. როდესაც მისი სხეული მიწაზე დავარდა, მთაც და ტყეც მყისვე შეზანზარდა. მთრთოლვარე მიწა თითქოს გამოხატავდა, რომ მის უდიდეს სიწმინდეს ვერ იტევდა.

თავი ოცდამესამე

მარსიის ეკლესიის დიაკვნის აღსასრული

მარსიის ოლქში ერთი ღირსეული დიაკვანი იყო. ის ღონგობარდებმა დაატყვევეს. ერთ-ერთმა მას მახვილით თავი მოჰკვეთა, მაგრამ როდესაც მისი უსულო სხეული მიწაზე დაეცა, მკვლელს არაწმიდა სული დაეუფლა, მიწაზე დასცა და ამით აჩვენა, რომ ღმერთის მეგობრის მკვლელი ღმერთის მტრის ხელთ აღმოჩნდა.

პეტრე: მითხარი გეთაყვა, ყოვლისშემძლე ღმერთი რატომ უშვებს უდიდესი სიწმინდის მქონე ადამიანები ასეთი სიკვდილით მოკვდნენ, რომელთა სიწმინდეს მათი სიკვდილის შემდეგ თვითონაც აღარ ფარავს?

თავი ოცდამეოთხე

ბეთილში გაგზავნილი წმიდა მოსაგრის აღსასრული

გრიგოლი: როდესაც დაწერილია: „მართალი თუ აღესრულოს, განსუენებასა შინა იყოს“ (სიბრძ. 4,7), მაშ, რჩეულთათვის, რომლებიც, უეჭველია, მარადიული ცხოვრებისკენ ისწრაფვიან, სასტიკი სიკვდილი რა ზიანის მომტანი შეიძლება იყოს? შესაძლოა მცირე შეცოდებანი მათაც აქვთ, რომელთაგან ამგვარი სიკვდილით უნდა განიწმინდონ. ამიტომ ხდება, რომ განგდებულნი მართლებზე ძალაუფლებას იღებენ, ვიდრე ისინი ცოცხლები არიან, მაგრამ მათი სიკვდილის შემდეგ მტრებს სისასტიკით მიეგებათ, რადგან თავიანთი ხელმწიფებით შეუბრალებლად ისარგებლეს. ამგვარად, მკვლეელი, რომელიც მიშვებული იქნა ღირსი დიაკვნის მიმართ ამგვარი სიშმავე გამოეჩინა, ვიდრე წმინდანი ცოცხალი იყო, მისი სიკვდილით გახარებას ვერ მოესწრო. წმიდა წერილიც იმავეს მოწმობს. სამარიაში წარგზავნილმა კაცმა ღმერთის მიმართ დაუმორჩილებლობა გამოავლინა — გზაში ჭამა, რისთვისაც ის იმავე გზაზე ლომმა მოკლა. მაგრამ იქვე წერია: „ვირი იგი და ლომი დგა ჯორცთა მისთა თანა, და არა შეახო ლომმან მან ჯორცთა მათ კაცისა მის ღმრთისათა და არცა განხეთქა ვირი იგი“ (3 მეფ. 13, 28). აქედან ჩანს, რომ დაუმორჩილებლობის ცოდვა თვით სიკვდილით განიწმინდა: იგივე ლომი, რომელმაც ის მოკლა, მიცვალებულს არ მიეკარა. მას

მოკვლის ნება მიცემული ჰქონდა, მაგრამ გვამის შეჭმის უფლება არ ჰქონდა. ის, რომელმაც სიცოცხლეში შესცოდა, დაუმორჩილებლობისთვის მიღებული სასჯელით სიკვდილის შემდეგ გამართლდა. ამიტომ ლომი, რომელმაც ცოდვილს სიცოცხლე წაართვა, უკვე მართლის გვამს იცავდა.

პეტრე: მომწონს, რასაც შენ ამბობ, მაგრამ მინდა ვიცოდე, სხეულთა მკვდრეთით აღდგომამდე მართალთა სულები ზეცაში თუ მიიღებიან?

თავი ოცდამესამე

მიიღებიან თუ არა ზეცაში მართალთა სულები სხეულთა მკვდრეთით აღდგომამდე?

გრიგოლი: ...სრულიად ცხადია, რომ სრულყოფილ მართალთა სულები, როგორც კი ხორცთა საკრველს დატოვებენ, ზეციურ სავანეებში მკვიდრდებიან, როგორც ამის შესახებ თავისი ბაგით თვით ჭეშმარიტება გვიმოწმებს: „სადაცა ჯორცი, მუნცა ორბები შეკრბეს“ (ლუკ. 17, 37). სადაც ჩვენი მხსნელი სხეულით იმყოფება, უეჭველია, მართალთა სულებიც იქ იკრიბებიან. ასევე წმიდა პავლეც ამბობს: „გული მეტყვს განსლვად და ქრისტეს თანა ყოფად“ (ფილიპ. 1, 23). ამგვარად, ვისაც არ ეეჭვება, რომ ქრისტე ზეცაშია, არც იმას უარყოფს, რომ პავლეს სული ზეცაშია. ის ხორცთაგან განსვლისა და ზეცაში დამკვიდრების შესახებ საუბრობს: „უწყით, ვითარმედ, უკუეთუ ქუეყანისა ესე სახლი, საყოფელი ჩუენი, დაირლუეს, აღშენებული ღმრთისა მიერ მაქუს ჩუენ სახლი ველით-უქმნელი საუკუნოჲ ცათა შინა“ (2 კორ. 5, 1).

პეტრე: ამგვარად, თუკი მართალთა სულები ამჟამად ზეცაში მკვიდრობენ, განსჯის დღეს თავისი სიმართლის სანაცვლოდ რას მიიღებენ?

გრიგოლი: სამსჯავროს დღეს მათთვის მისაგებელი სასწაულებრივად აღორძინდება: ამჟამად ისინი მხოლოდ სულებით ნეტარებენ, ხოლო სამსჯავროს შემდეგ სხეულებითაც ინეტარებენ, რომლითაც ღმრთის გულისათვის ტკივილებსა და განსაცდელებს ითმენდნენ. მათ ამგვარ დიდებაზე დაწერილია: „ესრეთ მეორედ დაიმკვდრონ ქუეყანაჲ და სინარული საუკუნოჲ“ (ეს. 61, 7). საყოველთაო აღდგომის დღემდე წმინდანთა სულების შესახებ დაწერილია: „და მიეცა მათ სამოსლები სპეტაკები, და ითქუა მათდა მიმართ, რაჲთა განისუენონ მცირედ ჟამლა, ვიდრემდის აღესრულნენ მათ თანა მონანი და ძმანი მათნი“ (გამოცხ. 6, 11). ამგვარად, თუკი მათ ამჟამად სპეტაკი სამოსლები მიიღეს, სამსჯავროს დღეს ორი სამოსელი ექნებათ: ამჟამად ნეტარებას მხოლოდ სულით განიცდიან, მაშინ კი სულითა და ხორციით ინეტარებენ.

პეტრე: გეთანხმები; ისიც მინდა ვიცოდე, მომაკვდავი ადამიანები როგორ წინასწარმეტყველებენ?

თავი ოცდამეექვსე

როგორ წინასწარმეტყველებენ მომაკვდავი ადამიანები? მონაზვნები — გერონტი და მელეტი და ყრმა არმენტარი

გრიგოლი: ზოგჯერ სულები თავიანთი ბუნებრივი თვისებებით დაფარულს შეიცნობენ. ზოგჯერ სხეულიდან გასული სულები მომავალს გამოცხადებით შეიცნობენ, ხოლო ზოგჯერ სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე, ზეგარდამო მაღლით შთაგონებულნი, გონების უსხეულო თვალით ზეციურ საიდუმლოებებს ხედავენ. სული თავისი ბუნებრივი თვისებებით მომავალს რომ შეიცნობს, შემდეგი შემთხვევიდანაც ჩანს. ჩვენს ქალაქში ორი წლის წინ ერთი ადვოკატი გარდაიცვა-

ლა. მას ფერდი დაუავადდა. აღსასრულამდე ცოტა ხნით ადრე მონას მოუხმომ და უბრძანა მისთვის ტანსაცმელი მოემზადებინა. ყრმამ იფიქრა, რომ ის ბოდავდა და მისი ბრძანება არ შეასრულა. მაშინ ავადმყოფი ადგა, ჩაიცვა და თქვა, რომ აპიის გზით ნეტარ ქსისტეს ტაძარში მიდის. რამდენიმე ხანში ავადმყოფობის გაძლიერების გამო ის აღესრულა. გადაწყვიტეს, რომ მისი სხეული პრენესტის გზაზე, ნეტარი მოწამის, იანუარიუსის ტაძართან დაეკრძალათ, მაგრამ იმათ, ვინც მის ცხედარს მიასვენებდა, ეს გზა ეშორათ და მოულოდნელად აპიის გზით წასვლა გადაწყვიტეს. მათ არ იცოდნენ, მან სიკვდილის წინ რა თქვა და სწორედ იმ ტაძარში დაკრძალეს, რომელზეც ადვოკატმა იწინასწარმეტყველა. ჩვენთვის ცნობილია, რომ ეს ადამიანი საერო საქმიანობას მისდევდა და თანაც ანგარებით იყო შეპყრობილი; როგორ შეძლებდა იგი წინასწარმეტყველებას? ცხადია, თვით მისმა სულმა თავისი ბუნებრივი თვისებებით წინასწარ შეიცნო, რაც მის ცხედარს მოელოდა. ხოლო იმის შესახებ, თუ როგორ იგებენ მომაკვდავები მომავალს გამოცხადებით, შეგვიძლია იმის მიხედვით დავასკვნათ, რაც ჩვენს მონასტერში მოხდა.

ათიოდე წლის წინ ჩემს მონასტერში ერთი ძმა, სახელად გერონტი, ცხოვრობდა. ის მძიმედ დაავადდა და ერთხელ, დამეუღლ ჩვენებაში, ნათელი პირისახის და ბრწყინვალე სამოსით შემოსილი კაცები იხილა, რომლებიც ზეციდან მონასტერში ეშვებოდნენ. როდესაც ისინი სხეულის საწოლთან წარდგნენ, ერთ-ერთმა მათგანმა თქვა: „ჩვენ იმისთვის ვართ წარმოგზავნილნი, რომ გრიგოლის მონასტრიდან მსახურებისთვის ზოგიერთი ძმა წავიყვანოთ“; — შემდეგ მეორეს მიმართა და დაუმატა: — „ჩაიწერე: მარკელე, ვალენტინიანე, აგნელი“. მან სხვებიც დაასახელა, რომლებიც ამჟამად აღარ

მახსოვს. ამის შემდეგ კიდევ დაუმატა: „ესეც ჩაიწერე, რომელიც ჩვენ შემოგვცქერის“. ხსენებულმა ძმამ მოახლოებული აღსასრულის შესახებ მონასტრის ძმებს დილითვე აცნობა. განაცხადა ისიც, რომ თავადაც იგივე ელოდა. მომდევნო დღიდან ნახსენები ძმები იმ მიმდევრობით აღესრულნენ, როგორც ჩაწერილები იყვნენ. უკანასკნელად ის ძმაც გარდაიცვალა, რომელმაც ძმების აღსასრული წინასწარ შეიტყო.

სამი წლის წინანდელი სიკვდილიანობის დროს, როდესაც ეს ქალაქი სრულიად გაუკაცრიელდა (590 წ.), ქალაქ პორტის მონასტერში იყო ძმა, სახელად მელეტი, რომელიც ყრმობაში აღიკვეცა, მაგრამ საკვირველი გულუბრალოება და მორჩილება ჰქონდა. ის თავისი ანგელოზის დღეს ავად გახდა და სიკვდილის პირას აღმოჩნდა. ქალაქის ეპისკოპოსი, ღირსი ფელიქსი, რომლისგანაც ამის შესახებ გავიგე, სწულთან გაეშურა, ნუგეშს სცემდა და ამხნევებდა, რომ სიკვდილის არ შეშინებოდა და ღმერთის მოწყალების სახელით მრავალი წლის სიცოცხლეს ჰპირდებოდა, მაგრამ მომაკვდავმა უპასუხა, რომ მისი სარბიელი დასრულებულია; შემდეგ უამბო, როგორ გამოეცხადა მას ჭაბუკი და წერილი გადასცა სიტყვებით: „გახსენი და წაიკითხე“. ავადმყოფმა, როგორც თვითონ ჰყვებოდა, საკუთარი თავი და ყველა, ვინც ხსენებული ეპისკოპოსის მიერ აღდგომის დღესასწაულზე მონათლა, ოქროს ასოებით ჩაწერილი იხილა. ამ წერილით მელეტი დარწმუნდა, რომ თვითონაც და ისინიც ამ ცხოვრებიდან მალე გავიდოდნენ. ასეც მოხდა. ის იმ დღესვე გარდაიცვალა, ხოლო ამის შემდეგ ყველა ნათელღებული მის გზას გაჰყვა, ისე, რომ რამდენიმე დღეში არც ერთი მათგანი ცოცხალი აღარ იყო. აქედან ცხადია, რომ ღმერთის ამ მონამ მათი სახელები ოქროს

ასობით ჩაწერილი იმიტომ იხილა, რომ ისინი მარადიული ნათლით იქნენ განათლებულნი.

როგორც იმათ გამოცხადებით შეიტყვეს მომავალი, ასევე ზოგჯერ მომაკვდავის სულს ზეციური საიდუმლოებანი არა ძილში, არამედ ცხადში შეუძლია შეიტყოს. ჩემი მონასტრის მონაზონ ამონს კარგად იცნობ. როდესაც ის ჯერ კიდევ ერში იყო, ჩვენი ქალაქის ადვოკატის, ვალერიანეს ქალიშვილზე დაინიშნა. ის ადვოკატის სამსახურით მუდმივად სარგებლობდა, ამიტომ მის სახლში რა ხდებოდა, კარგად იცოდა. უკვე მონასტერში ცხოვრების დროს მიაბობდა, რომ იმ სიკვდილიანობის ჟამს, რომელმაც პატრიც ნარსის დროს რომი ძლიერ გაანადგურა, ხსენებულ ვალერიანეს სახლში ერთი ყრმა, სახელად არმენტარი იყო, რომელიც უჩვეულო სიწრფელითა და სიმდაბლით იყო შემოსილი. როდესაც იგივე სენი ადვოკატის სახლსაც მოედო, ეს ყრმაც დაავადდა და სიკვდილის პირას აღმოჩნდა. ის იქ მყოფთა თვალწინ გონებით იქნა აღტაცებული, შემდეგ გონს მოეგო, თავის ბატონს უხმო და მოუთხრო: „ზეცაში ვიყავი და შევიტყვე, ამ სახლში ვინ გარდაიცვლება. ეს, ესა და ეს აღესრულებიან, შენ ნუ გეშინია, ამჟამად არ მოკვდები, ხოლო ჩემი ნათქვამი რომ სიმართლეა, იმით შეიტყობ, რომ ენებზე ლაპარაკის ნიჭი მომეცა. შენ ხომ იცი, ბერძნული სრულებით არ ვიცოდი, ახლა კი ბერძნულად დავილაპარაკებ იმისთვის, რომ დარწმუნდე — ყოველ ენაზე ლაპარაკის ნიჭი მართლაც მომეცა“. მაშინ ბატონი ბერძნულად დაელაპარაკა და მან ისე უპასუხა, რომ იქ მყოფნი გაოცდნენ. ვალერიანეს სახლში ბულგარელი მეაფთიაქე ცხოვრობდა. მას მაშინვე ავადმყოფთან მოუხმეს და სთხოვეს — ბულგარულად ესაუბრა; იტალიაში დაბადებული და გაზრდილი ყრმა კი ისე პასუხობდა, თითქოს თვითონაც

ბულგარელი ყოფილიყო. ყველა მსმენელი გაკვირვებული იყო და ამ ორ ენაზე ამეტყველების შემდეგ, რომლებიც მანამდე არ იცოდა, ირწმუნეს ყველაფერი, რის შემოწმებასაც ვერ შეძლებდნენ. ორი ღლის შემდეგ სიკვდილის ნიშნები გამოჩნდა, მაგრამ მესამე დღეს, უცნობი მიზეზების გამო, ყრმამ ხელები და მხრები კბილებით დაიგლიჯა და შემდეგ სული განუტევა. ამის შემდეგ ისინიც მალე აღესრულნენ, ვისზეც მან იწინასწარმეტყველა, მაგრამ სახლში იმ სენით არავინ გარდაცვლილა, ვისი სახელიც სნეულ ყრმას არ დაუსახელებია.

პეტრე: საზარელია, რომ ასეთი ნიჭის მიძღვნილი ამგვარი სასჯელით დაისაჯა.

გრიგოლი: ღმერთის დაფარული მსჯავრი ვინ იცის? რასაც ღმერთის მსჯავრში გონებით ვერ ვწვდებით, მის მიმართ უფრო მეტად ძრწოლა გვმართებს, ვიდრე — ძიება.

თავი ოცდამეშვიდი

მმართველ ფელიქსის აღსასრული

რადგანაც საუბარი მომაკვდავთა სულებზე დავიწყეთ, რომლებიც ბევრ რამეს იგებენ წინასწარ, ვერ დავდუმდები იმის შესახებ, თუ რა გავიგე მრავალი მოწმისაგან ქალაქ ცენტუმცელის (ამჟამად ჩივიტა-ვეკია) მმართველ თეოფანეზე. ის მოწყალე, სიკეთის აღსრულებაში გულმოდგინე და განსაკუთრებით სტუმართმოყვარე ადამიანი იყო. ქვეყნის მართვისას თეოფანე მიწიერ და დროებით საქმეებს აღასრულებდა, მაგრამ როგორც მისი აღსასრულის ჟამს გაირკვა, ამას მოვალეობის მოხდის მიზნით აკეთებდა და არა — ანგარებით. მისი აღსასრულის მოახლოებასთან ერთად ამინდი შეიცვალა. მისი მეუღლე მწარედ ატირდა და ამბობდა: „რა-

და ვქნა, როგორ დაგასაფლაო, როდესაც უამინდობის გამო სახლის ზღურბლის გადაბიჯებაც კი შეუძლებელია. მან მიუგო: „ნუ ტირი, როგორც კი მოვკვდები, ცა განათდება“. ის ამ სიტყვების წარმოთქმისთანავე აღესრულა, ხოლო მის სიკვდილს ამინდის გამოსწორება მოჰყვა. ამ სასწაულს სხვა სასწაულებიც ახლდა. სნეულს ხელ-ფეხი ნიკრისის ქარით ჰქონდა დასიებული და დაწყლულებული და ჩირქისგან ყარდა. როდესაც გასაპატიოსნებლად მიცვალებულს სამოსი განადგურდა, ხელებიც და ფეხებიც სრულიად ჯანმრთელი ჰქონდა, თითქოს ჭრილობები არასოდეს მიჰკარებოდა. შემდეგ სასაფლაოზე გადაასვენეს. მისმა მეუღლემ მეოთხე დღეს მარმარილოს ქვის შეცვლა გადაწყვიტა. როდესაც ქვა აიღეს, მისი საფლავიდან ისეთი კეთილსურნელება ამოიფრქვა, თითქოს მისი ხრწნადი სხეულიდან ჭიაღუების ნაცვლად ნელსაცხებლები ამოდიოდა. ზოგიერთნი, (რწმენაში) მერყევი, რომელთაც ამის შესახებ ჩემგან გაიგეს, დაეჭვდნენ. მაგრამ ერთხელ წარჩინებულ კაცთა კრებულში გახლდით. იქ სწორედ ის ხელოსნები მოვიდნენ, რომლებმაც თეოფანეს საფლავზე ქვა გამოცვალეს. ისინი ჩემთან თავიანთი საქმის გამო მოვიდნენ. მაშინ მათ იმ სასწაულის შესახებ კლერიკოსების, წარჩინებული კაცებისა და ხალხის თანდასწრებით ვკითხე. მათ დაადასტურეს, რომ საფლავი კეთილსურნელებით სასწაულებრივად იყო აღვსილი. მათ მისი კუბოს შესახებ კიდევ უფრო საოცარი რამ თქვეს, მაგრამ ამის შესახებ თხრობა დიდ დროს წავგართმევს.

პეტრე: საკმარისია, ჩემი ცნობისწადილი დაკმაყოფილებულია, მაგრამ კიდევ ერთი საკითხი მაინტერესებს. თუკი, როგორც ზემოთ ითქვა, წმინდანთა სულები ზეცაში მკვიდრობენ, მაშინ ეჭვსგარეშეა, ცოდვილთა სულები ჯოჯოხეთში

არიან. მაგრამ მართლაც ასეა ეს თუ არა, არ ვიცი, იმიტომ, რომ ადამიანური განსჯა არ უშვებს, ცოდვილთა სულები საყოველთაო სამსჯავრომდე ჯოჯოხეთში დაიტანჯონ.

თავი ოცდამეხუთე

გვმართებს ვირწმუნოთ, რომ როგორც სრულყოფილთა სულები ზეცაში მკვიდრობენ, ასევე ცოდვილთა სულები სხეულთან გაყრის შემდეგ ჯოჯოხეთში მკვიდრდებიან

გრიგოლი: თუკი ღმრთის სათნო საუბარმა იმაში სრულად დაგარწმუნა, რომ მართალთა სულები ზეცაში მკვიდრობენ, მაშინ იმისი რწმენაც გმართებს, რომ ცოდვილთა სულები ჯოჯოხეთს იმკვიდრებენ. მარადიული სიმართლის მსჯავრით აუცილებელია, რომ მართლები იღიდებოდნენ, ხოლო ცოდვილები დაიტანჯონ. როგორც რჩეულნი ხარობენ ნეტარებით, ასევე უნდა გვჯეროდეს, რომ განკიცხულნი სიკვდილის დღიდან ცეცხლში იწვიან.

პეტრე: როგორ წარმოვიდგინოთ, რომ ნივთიერ ცეცხლში უნივთო არსება იწვის?



თავი ოცდამეცხრე

როგორ წარმოვიდგინოთ, რომ უსხეულო სულები
ნივთიერ ცეცხლში არიან შემწყვდეულნი?

გრიგოლი: თუკი ცოცხალი ადამიანის უნივთო სული ნივთიერ სხეულში არსებობს, მაშინ სიკვდილის შემდეგ უნივთო სულს ნივთიერი ცეცხლი რატომ ვერ დაიპყრობს? ¹

პეტრე: ცოცხალ არსებაში უნივთო სული იმიტომ არსებობს, რომ ის სხეულს განაცხოველებს.

გრიგოლი: თუკი, საყვარელო პეტრე, უნივთო სულს იმ სხეულში შეუძლია იარსებოს, რომელსაც განაცხოველებს, მაშინ სასჯელის მოსახდელად რატომ ვერ იარსებებს იქ, სადაც სიკვდილია გამეფებული? ჩვენ ვამტკიცებთ, სული ცეცხლში იმისთვის არის, რომ ცეცხლის დანახვითა და შეგრძნებით დაიტანჯოს. ის სწორედ ამ ცეცხლის ხილვით იტანჯება და სწორედ იმით იწვის, რომ თავს ცეცხლში ხედავს. ამგვარად, მატერიალური ნივთიერება არამატერიალურ არსებას წკავს ხილული ცეცხლიდან გამოსული ტკივილის მომგვრელი, უხილავი მხურვალეებით, რათა ნივთიერ ცეცხლში უსხეულო გონება უსხეულო ალით იტანჯოს. სახარებისეული გადმოცემის მიხედვით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სული არა მარტო ცეცხლის ხილვით, არამედ მისი შეგრძნებითაც იტანჯება. სახარების მიხედვით, მდიდარი სიკვდილის შემ-

¹ წმიდა იოანე დამასკელის სწავლებით: „მაშინ მიეცეს ეშმაკი და მის თანა ძალნი მისნი და კაცი იგი მათი, რომელ არს ანტექრისტე, უღმრთოთა თანა და ცოდვილთა ცეცხლსა საუკუნესა, არა ნივთიერსა, ვითარ-ესე არს ჩუენ შორის მყოფი ესე ცეცხლი, არამედ ეგევითარსა, ვითარ უწყის ღმერთმან“ („გარდამოცემაჲ უცილობელი მართლმადიდებელთა სარწმუნოებისაჲ“, თავი 100, აღდგომისათვის. ეფრემ მცირის თარგმ.). – მთარგმნელის შენიშვნა.

დეგ ჯოჯოხეთში აღმოჩნდა. მისი სხეული რომ ცეცხლში იყო ჩაგდებული, მისივე სიტყვებიდან ჩანს, როდესაც აბრაამს ეკედრება: „მოავლინე ლაზარე, რაფთა დააწოს მწუერვალთითისა მისისაჲ წყალსა და განმიგრილოს ენაჲ ჩემი, რამეთუ ვიტანჯები მე აღითა ამით ცეხლისაჲთა“ (ლუკ. 16, 24). ამგვარად, თუკი თავად ჭეშმარიტება ამოწმებს, რომ ცოდვილ მდიდარს ცეცხლში ტანჯვა ჰქონდა მისჯილი, მაშ, რომელი გონიერი ადამიანი უარყოფს იმას, რომ ცოდვილთა სულები ცეცხლში იმყოფებიან?

პეტრე: მართალია, გონების მიხედვითაც და ჭეშმარიტების დამოწმებითაც სული რწმენად აღიძვრება, მაგრამ როდესაც გონება დაფიქრდება, კვლავ უჭირს დაჯერება. როგორ შეიძლება უსხეულო არსება ნივთიერმა ძალამ დაიპყროს და ტანჯოს?

გრიგოლი: მიპასუხე, გეთაყვა, ზეციდან განგდებული სულები უსხეულოდ მიგაჩნია თუ სხეულის მქონედ?

პეტრე: სულს სხეულის მქონეს რომელი ჭკუათმყოფელი ადამიანი უწოდებს?

გრიგოლი: გეენიის ცეცხლი უნივთოდ მიგაჩნია თუ — ნივთიერად?

პეტრე: არ მეეჭვება, რომ გეენიის ცეცხლი ნივთიერია და სხეულები მასში აუცილებლად დაიტანჯებიან.

გრიგოლი: უკანასკნელ დღეს განკითხულთ თვით ჭეშმარიტება ეტყვის: „წარვედით... ცეცხლსა მას საუკუნესა, რომელი განმზადებულ არს ეშმაკთათჳს და ანგელოზთა მისთათჳს“ (მათ. 25, 41). ამგვარად, თუკი ეშმაკსა და მის ანგელოზებს, რომლებიც უსხეულონი არიან, ნივთიერ ცეცხლში ტანჯვა აქვთ მისჯილი, გასაკვირი რა არის, თუკი ნივთიერ ტანჯვას სულები სხეულებთან შეერთებამდე შეიგრძნობენ?

პეტრე: ჭეშმარიტება ცხადია და ამასთან დაკავშირებით გონება აღარ უნდა ეჭვობდეს.

თ ა ვ ი ო ც ლ ა მ ე ა თ ი

არიოზელი მეფე თეოდორიკეს აღსასრული

გრიგოლი: რადგან ასეთი ძალისხმევის შედეგად ირწმუნე, ვფიქრობ ჯილდოდ სარწმუნოება გაგიმრავლო და ის გიამბო, რაც სარწმუნო ადამიანებისაგან გავიგე. შვიდი წლის წინ გარდაცვლილი იულიანე, მეორე აპოკრისიარი რომის ეკლესიისა (რომელსაც ღმრთის ნებით ვემსახურები), ჩემთან ხშირად მოდიოდა, როდესაც ჯერ კიდევ მონასტერში ვცხოვრობდი და, როგორც წესი, სულის მარგებელ საგნებზე მესაუბრებოდა. ერთხელ მან შემდეგი რამ მიაბო: „მეფე თეოდორიკეს მეფობის ჟამს ჩემი სიმამრის მამა სიცილიაში მებაჟის მოვალეობას ასრულებდა და უკვე იტალიაში ბრუნდებოდა. მისი ხომალდი კუნძულ ლიპარისს მიაღდა. იქ ერთი მეუღაბნოე ცხოვრობდა, რომელიც უდიდესი სათნოებებით იყო შემკული. ვიდრე მეზღვაურები ხომალდის აღკაზმულობას ამზადებდნენ, ჩემი სიმამრის მამამ გადაწყვიტა (თანამგზავრებთან ერთად) ღმრთის კაცი მოენახულებინა და მისგან ლოცვაკურთხევა მიეღო. წმინდანმა ისინი მიიღო და საუბარში უთხრა: „იცით, რომ მეფე თეოდორიკე აღესრულა?“ მნახველებმა მაშინვე მიუგეს: „არა, ჩვენ ის ცოცხალი დავტოვეთ და მის შესახებ მსგავსი არაფერი გვსმენია“. ღმრთის მონამ კვლავ უთხრა: „მართლა აღესრულა: გუშინ, ცხრა საათზე, შიშველი და ხელებშეკრული, პაპმა იოანემ და პატრიცმა სიმაქმა წაიყვანეს და მეზობლად მდებარე ვულკანის ყელში ჩააგდეს“. ამის გამგონეთ ის დღე ზუსტად ჩაიწერეს და იტალი-

აში დაბრუნებულებმა შეიტყვეს, რომ მეფე თეოდორიკე სწორედ იმ დღეს აღესრულა, როდესაც ღმრთის მონას მისი აღსასრულისა და სასჯელის შესახებ ეცნობა“. იმის გამო, რომ მეფე თეოდორიკემ პაპი იოანე საპყრობილეში აწამა, ხოლო პატრიცი სიმეჩი მახვილით მოკლა, როგორც გამოცხადებაში გამოჩნდა, ცეცხლში სწორედ იმათ ჩააგდეს, ვინც მან ამ ცხოვრებაში უსამართლოდ დასაჯა.

თავი ოცდამეთერთმეტი

რეპარატის აღსასრული

იმ დროს, როდესაც განმარტოების სურვილი ჩემში ჯერ კიდევ ახალი აღძრული იყო, ჩემთან ერთი პატივცემული მოხუცი, სახელად დეუსდელიტი, მეგობრობდა, რომელიც ჩვენი ქალაქის წარჩინებულ მოქალაქეთა მეგობარიც იყო. მან შემდეგი რამ მიაბო: გუთების დროს ერთი წარჩინებული კაცი (სენატორი), სახელად რეპარატი, სიკვდილის პირას აღმოჩნდა. ის მიცვალებულივით ხმაწართმეული და გაშეშებული დიდხანს იწვა. მის სანახავად მოსულები და ოჯახის წევრები უკვე როგორც მიცვალებულს, ისე დასტიროდნენ, მაგრამ ის უეცრად გამოცოცხლდა და მოტირალთა ცრემლი გაკვირვებამ შეცვალა. მან თქვა: „წმიდა მოწამე ლავრენტის ტამარში, რომელსაც მისი აღმაშენებლის სახელის მიხედვით დამასი ეწოდება, სასწრაფოდ მონა გაგზავნეთ, რათა შეიტყოს და ჩვენც გვაცნობოს, პრესვიტერ ტიბურცის თავს რა ხდება“. ტიბურცი, როგორც ამბობენ, მაშინ ხორციელ ვნებებს ემონებოდა. მისი ცხოვრება და ზნე იმ ეკლესიის ამჟამინდელ პრესვიტერ ფლორენცის კარგად ახსოვს. მონა წავიდა, ხოლო რეპარატმა გვიამბო, რაც შეიტყო იქ, სადაც აღყვანილ იქნა:

„დიდი კოცონი იყო მომზადებული; პრესვიტერი ტიბურცი ცეცხლთან მიიყვანეს და შიგ ჩააგდეს; შემდეგ შეშა შემოუწყვეს და ცეცხლი აენტო. მეორე კოცონიც მზადდებოდა, რომელიც ცას სწვდებოდა“. ამის გამგონე მსმენელებმა შესძახეს: „ვისთვის?“ მაგრამ რეპარატი ამ სიტყვების წარმოთქმისთანავე აღესრულა, ხოლო მონას, რომელიც ტიბურცისთან გაგზავნეს, ის მიცვალებული დახვდა. ცხადია, რეპარატი ტანჯვის ადგილებზე იქნა მიყვანილი, იხილა ისინი, სიცოცხლეს დაუბრუნდა, გვამცნო და შემდეგ აღესრულა. ეს ჩვენთვის მოხდა, რათა ვიდრე ამ ქვეყნად ვართ, უკეთურ საქმეებს განვეშოროთ. რეპარატმა ცეცხლის მომზადება იმიტომ კი არ ნახა, რომ ჯოჯოხეთში შეშა იწვის, არამედ ცოცხალთათვის გასაგებად რომ გადმოეცა, ცოდვილთა ტანჯვის ადგილზე ის იხილა, რითაც ამქვეყნად მცხოვრებნი ნივთიერ ცეცხლს ანთებენ, რათა მათ ნაცნობ საგნებზე თხრობით ის შეიცნონ, რაც ჯერ კიდევ არ იციან.


თავი ოცდამეთორმეტე

კურიალის აღსასრული, რომლის საფლავიც დაიწვა

სირაკუზის ეპისკოპოსი, ღმრთისმოყვარე მაქსიმიანე, რომელიც რომში ჩემს მონასტერს დიდხანს წინამძღვრობდა, ვალერიის ოლქში მომხდარ ერთ საზარელ ამბავს მიაშობდა. იქ ერთი კურიალი (რომის კურიის წევრი) დიდ შაბათს ნათლისღების საიდუმლოში ერთ ახალგაზრდა ქალწულს ნათლიად დაუდგა. სახლში დაბრუნებულმა ღვინო უზომოდ დალია, თავის ნათლულს სთხოვა იმ ღამით მასთან დარჩენილიყო და იმავე ღამით (სათქმელადაც კი საშინელია) განხრწნა იგი. დილით, ამ უწმინდურების ჩადენის შემდეგ, აბანოში წა-

სასვლელად მოემზადა, თითქოს ცოდვას წყალი ჩამორეცხდა; დაიბანა და შიშით იწყო ფიქრი, ეკლესიაში როგორ წავიდოდა: ასეთ დღეს (აღდგომას) ეკლესიაში არ მისულიყო — ხალხის რცხვენოდა, წასულიყო და — ღმერთის სასჯელის ეშინოდა. ადამიანთა წინაშე სირცხვილმა სძლია და ეკლესიაში წავიდა, მაგრამ შიშითა და ძრწოლით იდგა, ყოველ წუთს ელოდა, რომ არაწმინდა სული ეკვეთებოდა და წამებას ხალხის წინაშე დაუწყებდა, მაგრამ მსგავსი რამ წირვის განმავლობაში არ დამართნია. ის გახარებული გამოვიდა და უკვე სრულიად უზრუნველად ეკლესიაში მეორე დღესაც წავიდა. ის ეკლესიაში ამგვარად ექვსი დღე დადიოდა და ფიქრობდა, რომ ღმერთს ან მისი ცოდვა არ უხილავს, ან მოწყალებით შეუნდო, მაგრამ მეშვიდე დღეს ის მოულოდნელად მოკვდა და დაასაფლავეს. დიდი ხნის შემდეგ, ყველას თვალწინ, მისი საფლავიდან ცეცხლი აღმოხდა და მის ძვლებს იქამდე წვაავდა, ვიდრე კუბო და მასზე დაყრილი მიწაც არ დაიწვა. ამით ყოვლისშემძლე ღმერთმა აჩვენა, რა დღეში იყო საიდუმლოდ იმ ადამიანის სული, რომლის სხეული ადამიანთა თვალწინ ცეცხლით შეიძუსრა. ჩვენ კი, ამ ამბის მსმენელთ, საზარელი გაკვეთილი მოგვცა, როგორ იტანჯება ცოდვების გამო ცოცხალი და გრძნობის მქონე სული, თუკი ამგვარი ცეცხლით უგრძნობი ძვლებიც კი იწვის.

პეტრე: მსურს ვიცოდე, ცათა სასუფეველში კეთილი ადამიანები ერთმანეთს თუ ცნობენ და ჯოჯოხეთში ბოროტები — ბოროტებს?



თავი ოცდამეცამეტე

შეიცნობენ თუ არა კეთილი ადამიანები ერთმანეთს ცათა სასუფეველში და ბოროტები – ბოროტებს ჯოჯოხეთში?

გრიგოლი: უფალს ამ კითხვაზე დღესავით ნათელი პასუხი აქვს მოცემული სიტყვებში, რომლებიც უკვე მოვიყვანეთ. იქ ნათქვამია: „კაცი ვინმე იყო მდიდარი და იმოსებოდა ძოწეულთა და ბისონითა და იხარებდა დღითი-დღე ბრწყინვალედ. გლახაკი ვინმე იყო, სახელით ლაზარე, დავრდომილი წინაშე ბჭეთა მისთა და ქუე ძურებოდა. და გული-ეტყოდა განძლებად ნამუსრევისაგან გარდამოცვვენებულისა ტაბლისაგან მის მდიდრისა. არამედ ძაღლნიცა მოვიდოდეს და ჰლოშნიდეს წყლულსა მას მისსა“ (ლუკ. 16, 19-21). შემდეგ ნათქვამია, რომ „იყო სიკუდილი გლახაკისაჲ მის და მიიყვანა იგი ანგელოზთაგან წიაღთა აბრაჰამისთა. მოკუდა მდიდარიცა იგი და დაეფლა. და ჯოჯოხეთს შინა აღიხილნა თუაღნი თჳსნი, იყო რაჲ იგი ტანჯვასა შინა, და იხილა აბრაჰამი შორით და ლაზარე წიაღთა მისთა. და მან ვმა-ყო და თქუა: მამაო აბრაჰამ, შემიწყალე მე და მოავლინე ლაზარე, რაჲთა დააწოს მწუერვალი თითისა მისისაჲ წყალსა და განმიგრილოს ენაჲ ჩემი, რამეთუ ვიტანჯები მე ალთა ამით ცეცხლისაჲთა. ხოლო აბრაჰამ ჰრქუა მას: შვილო, მოიჯსენე, რამეთუ მიიღე კეთილი შენი ცხორებასა შენსა, და ლაზარე ეგრევე მსგავსად ბოროტი. და აწ ესერა აქა ესე ნუგეშინის-ცემულ არს, ხოლო შენ იტანჯები“ (ლუკ. 16, 22-25). მდიდარს გადარჩენის იმედი უკვე აღარ აქვს და თავის ახლობლებზე ზრუნავს, რომ იქნებ ისინი მაინც გადარჩნენ. ის ამბობს: „გლოცავ შენ, მამაო, მიავლინე ეგე სახლსა მამისა ჩემისასა, რამეთუ მისხენ ხუთნი ძმანი, რაჲთა აუწყოს მათ, და არა მოვიდენ იგინიცა ადგილსა ამას სატანჯველისასა. ჰრქუა მას აბრაჰამ: ჰქონან მოსე და

წინაწარმეტყუელნი, მათი ისმინონ“ (ლუკ. 16, 28-29). ამ სიტყვებით სრულიად ცხადი ხდება, რომ კეთილები კეთილებს შეიცნობენ და ბოროტები — ბოროტებს. აბრაამს ლაზარეს შესახებ რომ არაფერი სცოდნოდა, სატანჯველში ჩაგდებულ მდიდართან საუბარში მის წარსულ ტანჯვას ვერ ახსენებდა, როდესაც ამბობს, რომ ლაზარემ ბოროტება ამ ცხოვრებაში დაითმინა; და ბოროტებიც ბოროტებს რომ არ იცნობდნენ, მაშინ სატანჯველში ჩაგდებული მდიდარი თავის ძმებს, რომლებიც იქ არ იყვნენ, არ ახსენებდა: მათ შეხვედრის დროს რატომ ვერ იცნობდა, თუკი მათთვის ხსოვნის მიხედვით ევედრება? აქ იმის დანახვაც შეიძლება, რაც შენ არ გიკითხავს, კერძოდ, რომ კეთილი ადამიანები ბოროტებს შეიცნობენ და ბოროტები — კეთილებს. აბრაამმა მდიდარი იცნო, როდესაც ეუბნება: „მიიღე კეთილი შენი ცხორებასა შენსა“. განგდებული მდიდარი რჩეულ ლაზარესაც ცნობს, როდესაც აბრაამს ევედრება ის წარგზავნოს და სახელით მოიხსენებს: „მოავლინე ლაზარე, რადთა დააწოს მწუერვალი თითისა მისისაჲ წყალსა და განმიგრილოს ენაჲ ჩემი“. ამ შეცნობის გამო როგორც ერთი, ისე მეორე მხრიდან, მისაგებლის საზომი იზრდება: კეთილნი უფრო მეტად ხარობენ, როდესაც მათთან ერთად ნეტარებაში იმათ ხედავენ, ვინც უყვარდათ. ბოროტნი, როდესაც მათთან ერთად ისინი იტანჯებიან, ვინც ამქვეყნად უყვარდათ, არა მარტო საკუთარი, არამედ იმათი ტანჯვითაც იტანჯებიან. რჩეულთა შორის კიდევ უფრო გასაოცარი რამ ხდება: ისინი არა მარტო იმათ შეიცნობენ, ვინც ამქვეყნად იცნობდნენ, არამედ იმ მაღლმოსილ ადამიანებსაც ნაცნობებივით შეიცნობენ, რომლებიც არასოდეს უნახავთ. როდესაც მარადიულ სამკვიდრებელში ძველ მამებს იხილავენ, მათთვის უცნობნი არ დარჩებიან, რომელთაც საქ-

მეების მიხედვით ყოველთვის იცნობდნენ. თუკი იქ, ზოგად ნათელში, თითოეული ჭვრეტს ღმერთს, რაღა შეიძლება იყოს შეუცნობი იქ, სადაც იცნობენ ყოვლისმცნობელს?

თავი ოცდამეთერთმეტე

ღმრთისმოსავი კაცი, რომელმაც სიკვდილის ჟამს
წინასწარმეტყველები იხილა

ერთმა ჩვენმა ახლობელმა კაცმა, რომელიც ღირსეულად, ღმრთისმსახურებით ცხოვრობდა და ოთხი წლის წინ აღესრულა, სხვა ღმრთისმოსავ კაცთა დამოწმებით, ვინც მის აღსასრულს დაესწრო, სიკვდილის ჟამს წინასწარმეტყველები — იონა, ეზეკიელი და დანიელი იხილა, ისინი სახელებით მოიხსენია და თავისი ბატონები უწოდა. მან მასთან მყოფთ წინასწარმეტყველთა მოსვლის შესახებ აცნობა, თავმდაბლური გამობედვით მათ მიმართ კრძალვა გამოხატა და შემდეგ სული ღმერთს შეჰვედრა. აქედან სრულიად ცხადი ხდება, იმ უხრწნელ ცხოვრებაში როგორი შემეცნება იქნება, როდესაც ამ კაცმა წინასწარმეტყველნი, რომლებიც თვალთ არასოდეს უხილავს, ჯერ კიდევ ხრწნად ხორცში ყოფნის დროს შეიცნო.



თავი ოცდამეთხუთეტი

ერთმანეთისთვის უცნობ ადამიანთა სულები, რომელთაც ერთნაირი სასჯელი მოელით ცოდვებისათვის ან ერთნაირი ჯილდო – სათნოებებისათვის, ცნობენ ერთმანეთს სიკვდილის ჟამს; იოანესა და ურსის, ეკმორფისა და სტეფანეს აღსასრული

ძალიან ხშირად მომაკვდავის სული იმათაც კი ცნობს, ვისთან ერთადაც, მსგავსი ცოდვების ან სათნოებების გამო, მომავალ ცხოვრებაში დამკვიდრდება. ღირსი ბერის – ელეფთერის მონასტერში, რომლის შესახებ წინა წიგნში ბევრი ვისაუბრე, მისი ღვიძლი ძმა იოანე ცხოვრობდა, რომელმაც, მისი სიტყვების თანახმად, ძმების წინაშე თავისი აღსასრული ორმოცი დღით ადრე იწინასწარმეტყველა. იოანე თავისი ცხოვრების დარჩენილ დღეებს ყოველდღიურად ითვლიდა და სიკვდილამდე სამი დღით ადრე დაავადდა. აღსასრულის წინ უფლის წმიდა ხორცსა და სისხლს ეზიარა, შემდეგ ძმებს მოუწოდა და სთხოვა ფსალმუნები ეგალობათ, თვითონ კი ანტიფონით პასუხობდა: „განმიხუენით მე ბჭენი სიმართლისანი, შევიდე მათ შინა და აუვარო უფალსა. ესე არს ბჭე უფლისაჲ, და მართალნი შევლენან მას შინა“ (ფს. 117, 19-20). ძმების გალობის დროს იოანემ ხმამაღლა შესძახა: „ურს, მოდი“. ამის გამოთქმისთანავე მან თავისი მიწიერი ცხოვრება დაასრულა. ძმებს გაუკვირდათ, რადგან არ იცოდნენ, ვის მოუხმო მომაკვდავმა. მისმა სიკვდილმა მონასტერს დიდი მწუხარება მოჰკვარა. მეოთხე დღეს, სამონასტრო საჭიროებათა გამო, ძმები მათგან მოშორებით მდებარე მონასტერში გაგზავნეს. წარგზავნილებმა იმ მონასტრის ძმები დიდად დამწუხრებულნი იხილეს. როდესაც მათ მწუხარების მიზეზი ჰკითხეს, მო-

ნაზვნებმა უპასუხეს: „მონასტრის დანაკარგს დავტირით: ჩვენი ძმა, რომლის ცხოვრება ამ მონასტერში ჩვენს ყოფას განამტკიცებდა, მეოთხე დღეა, რაც ამქვეყნიდან გავიდა. მოსულმა ძმებმა კრძალვით იკითხეს მისი სახელი, რომლის პასუხად ესმათ: „ურსი“. როდესაც მისი აღსასრულის ჟამი ზედმიწევნით გამოიკითხეს, შეიტყვეს, რომ ურსი სწორედ იმ დროს აღსრულებულიყო, როდესაც მას იოანემ მოუხმო. აქედან ცხადია, რომ მიცვალებულთა დამსახურებანი ერთნაირი იყო და იმათ, ვინც ერთდროულად აღესრულნენ, ჯილდოდ მიენიჭათ ერთ ადგილზე დამკვიდრება.

ვერ დავღუძმები აგრეთვე იმის შესახებ, რაც ჯერ კიდევ ერისკაცობაში მეზობლებისაგან გავიგე. მაშინ რომში, ჩემს სახლში ვცხოვრობდი, რომელიც მამისგან მემკვიდრეობით მერგო. ჩემს მეზობლად ერთი ქვრივი დედაკაცი, სახელად გალა, ცხოვრობდა. მას ახალგაზრდა ვაჟიშვილი ჰყავდა, სახელად ევმორფი. მათ შორიახლოს ვინმე სტეფანე ცხოვრობდა, რომელიც ოპტიონის¹ მოვალეობას ასრულებდა. როდესაც ევმორფის აღსასრული ახლოვდებოდა, მონას მოუხმო და ამგვარი რამ უბრძანა: „წადი ჩქარა და ოპტიონ სტეფანეს უთხარი, სასწრაფოდ მოვიდეს, იმიტომ, რომ ხომალდი მზად არის, რომლითაც სიცილიაში უნდა გავემგზავროთ“. მონას ეგონა, რომ ის ბოდავდა და ბრძანების აღსრულება არც უფიქრია. მაშინ ევმორფი დაემუქრა: „წადი და უთხარი, რაც დაგაბარე, სრულებით არ ებოდავ“. მონა წავიდა, მაგრამ შუა გზაზე უცნობი შეხვდა და ჰკითხა: „საით გაგიწევია?“ მონამ მიუგო: „ჩემმა ბატონმა ოპტიონ სტეფანესთან გამგზავნა“.

¹ ასე ერქვა მხედართმთავრის მოვალეობის აღმასრულებელს, აგრეთვე ასისტავის შემცველს მისი არყოფნის შემთხვევაში.

მან უთხრა: „მე სტეფანესგან მოვდივარ, ის ჩემს იქ ყოფნაში აღესრულა“. მონა დაბრუნდა თავის ბატონთან, მაგრამ ის გარდაცვლილი დახვდა. ამგვარად, თუკი მონას ამბის შემტყობი შუა გზაზე შემოხვდა, მაშინ განვლილი მანძილის მიხედვით შეიძლება დავასკვნათ, რომ გარდაცვლილები ამქვეყნიდან ერთსა და იმავე წუთს იქნენ გაყვანილნი.

პეტრე: შენი მონათხრობი შემაძრწუნებელია. მაგრამ მითხარი, გეთაყვა, მომაკვდავის სულს ხომალდი რატომ წარმოუდგა ან რატომ იწინასწარმეტყველა, რომ სიცილიაში წაიყვანდნენ?

გრიგოლი: სულს ეტლი არ სჭირდება, მაგრამ გასაკვირი არ არის, თუკი ჯერ კიდევ ხორცში მყოფ ადამიანს ის წარმოუდგება, რის ხილვასაც ხორციელი თვალთ მიეჩვია, რათა ამგვარად მიხვდეს, როგორი სულიერი გზა ელის. მომაკვდავის მოწმობა, რომ მას სიცილიაში წაიყვანდნენ, შესაძლოა იმას ნიშნავდეს, რომ ამ კუნძულებზე, სხვა ადგილებისგან განსხვავებით, ვულკანის ყელიდან ამოფრქვეული ცეცხლი ცოდვილთა დასატანჯად არის მომზადებული. ვულკანის ყელი, როგორც თვითმხილველები გადმოგვცემენ, ყოველდღიურად იზრდება. ასე რომ, ქვეყნის აღსასრულის მოახლოვებასთან ერთად, რაც უფრო მეტი ცოდვილი გროვდება იქ, რომელთაც ცეცხლში ტანჯვა აქვთ მისჯილი, მით უფრო ფართოვდება ტანჯვის ადგილებიც.¹ ხოლო იმაში, რომ ერთნაირი

¹ აზრი, რომ გარდაცვლილ ცოდვილთა სულები მიწისქვეშა ცეცხლში იტანჯებიან, პირველ საუკუნეებში დასავლეთში საკმაოდ გავრცელებული იყო. ეს აზრი აღმოსავლეთშიც გვხვდება (იხ. მაგ. პრუსელი ეპისკოპოსის, მღვდელმოწამე პატრიკიოსის ცხოვრება. ხს. 19 მაისს). თუმცა არც წმიდა წერილი და არც ეკლესიის მოძღვრება ამ საკითხზე დაზუსტებულ სწავლებას არ გამოთქვამს.

საქმეების მიხედვით ერთნაირი ხვედრი ერგებათ და ერთნაირ ადგილებს დაიმკვიდრებენ როგორც რჩეულნი, ასევე განგდებულნი, ჭეშმარიტების მიერ გამოთქმული სიტყვები დაგვარწმუნებს, საკმაო მაგალითები რომც არ არსებობდეს. ქრისტე მართალთა მიმართ ბრძანებს: „სახლსა მამისა ჩემისასა სავანე მრავალ არიან“ (იოან. 14, 2). მარადიულ ცხოვრებაში მისაგებელი რომ ყველასთვის ერთნაირი იყოს, მაშინ სავანეც ერთი იქნებოდა და არა — მრავალი. ამგვარად, მრავალი სავანე არსებობს, სადაც კეთილნი ხარისხების მიხედვით მკვიდრობენ. დამსახურებებში თანაზიარობის გამო ისინი ერთად ნეტარებენ და ყოველი მუშაკი თითო დრაჰკანს მაინც მიიღებს (მათ. 20, 9); მაგრამ ნეტარებანი სავანეების მიხედვით განსხვავდებიან; ერთია ნეტარება, რომლითაც ისინი ტკბებიან, მაგრამ განსხვავებულია საზომი სხვადასხვა დამსახურებისათვის. უფალი, როდესაც სამსჯავროს დღეზე გვამცნობს, ბრძანებს: „შეკრიბეთ პირველად ღუარძლი იგი და შეკართ ძნეულად, რაფთა დაიწუას იგი“ (მათ. 13, 30), ანუ ანგელოზები ღვარძლს ძნებად დასაწვავად ჰკრავენ, ე.ი. ერთნაირებს ერთნაირი ტანჯვისთვის აგროვებენ; მაგალითად, ამპარტავნები ცეცხლში ამპარტავნებთან ერთად იქნებიან ჩაგდებულნი; განცხრომითა და ფუფუნებით მცხოვრებნი — თავისნაირებთან ერთად იქნებიან, ძუნწები — ძუნწებთან ერთად, მატყუარები — თავისსავე მსგავსებთან, შურიანები — შურიანებთან, ურწმუნონი — ურწმუნოებთან დამკვიდრდებიან. როდესაც ანგელოზები ერთნაირი ცოდვით შემცოდებებს ტანჯვის ადგილებზე ანაწილებენ და ერთნაირ სატანჯველში აგდებენ, მაშინ, ერთგვარად, თითქოს ღვარძლს ძნებად ცეცხლში ჩასაგდებად ჰკრავენ.

პეტრე: ჩემი კითხვა სრულად არის განმარტებული, მაგრამ მითხარი, გეთაყვა, ეგ როგორ არის, რომ ზოგჯერ სული სხეულიდან თითქოს გადის, შემდეგ კი კვლავ უსიცოცხლო სხეულში ბრუნდება?

თავი ოცდამეთექვსმეტი

სულების შესახებ, რომლებიც თითქოს სხეულიდან მხოლოდ მოჩვენებითად გადიან; მონაზონ პეტრეს გარდაცვალება და გაცოცხლება, სტეფანეს სიკვდილი და მკვდრეთით აღდგომა; ერთი მეომრის ხილვა

გრიგოლი: ეს გასვლა მოჩვენებითი კი არ არის, პეტრე, არამედ გაფრთხილებაა, თუკი ყურადღებით დავაკვირდებით. ღმერთი თავისი სახიერებითა და გამოუთქმელი მოწყალებით იმგვარად აწყობს, რომ ზოგიერთი ადამიანი ჭეშმარიტი სიკვდილის შემდეგ მოულოდნელად ცოცხლდება და შიში ეუფლება ნანახი ჯოჯოხეთური ტანჯვის გამო, რომლის შესახებ გაგონილი კი ჰქონდა, მაგრამ არ სწამდა. ერთი ილირიელი მონაზონი, რომელიც ამ ქალაქში ჩემთან ერთად ცხოვრობდა მონასტერში, ამბავს მომითხრობდა, რომელიც ერთ იბერიელ მონაზონ პეტრეს გადახდა. როდესაც ის ილირიელი მონაზონი უდაბნოში ცხოვრობდა, რომელსაც ევაზა ჰქვია, მასთან სწორედ ეს პეტრე დასახლდა და თავის შესახებ ამგვარი რამ უამბო: უდაბნოში წასვლამდე, მძიმე ავადმყოფობის შემდეგ, პეტრე გარდაიცვალა, მაგრამ სიცოცხლე მალე დაუბრუნდა. მან ცეცხლით აღვისილი ჯოჯოხეთური ტანჯვის უამრავი ადგილი იხილა, სადაც რამდენიმე გამოჩენილი ადამიანიც ნახა. როდესაც ცეცხლში ჩასაგდებად ისიც მიჰყავდათ, უეცრად ბრწყინვალე სამოსით შემოსილი ანგელოზი გამოჩნდა, რო-

მელმაც მისი ცეცხლში ჩაგდების უფლება არ მისცა და პეტრეს უთხრა: „დაბრუნდი და ყურადღებით დაუფიქრდი, ამის შემდეგ როგორ უნდა იცხოვრო“. ამ სიტყვების შემდეგ მიცვალებულს სხეული თანდათან გაუთბა, მარადიული სიკვდილის ძილისგან გაიღვიძა და მოჰყვა, რაც დაემართა. ამ საზარელი ამბის შემდეგ ის გამოფხიზლდა და იმგვარი მარხვითა და მღვიძარებით ცხოვრობდა, რომც არაფერი ეთქვა, თვით მისი ცხოვრება აცხადებდა, რომ ჯოჯოხეთური ტანჯვა იხილა და შეძრწუნებული იყო. ამგვარად, ღმერთის სახიერებამ სიკვდილის გზით იხსნა ის მარადიული სიკვდილისგან.

რადგან ადამიანის გული ზოგჯერ მომეტებულად არის გაუხეშებული, კეთილისმყოფელი გავლენა თვით ჯოჯოხეთური სატანჯველის ხილვასაც კი არა აქვს. სტეფანე, სახელგანთქმული კაცი, რომელსაც კარგად იცნობ, ჩვეულებრივ, თავის თავზე მოგვითხრობდა, რომ რაღაც საქმის გამო კონსტანტინოპოლში შეყოვნდა, ავად გახდა და გარდაიცვალა. იმ დღეს ექიმი და ნელსაცხებლების გამყიდველი ვერ ნახეს, რომ მისი სხეული გაეკვეთათ და ბალზამირება მოეხდინათ. სხეული მომდევნო ღამითაც არ დაუკრძალავთ. სტეფანე ჯოჯოხეთში იქნა ჩაყვანილი და მრავალი ისეთი რამ ნახა, რაც მანამდე არ სწამდა. იქ იგი მსაჯულთან მიიყვანეს, მაგრამ მან არ მიიღო და თქვა: „ამის მოყვანა კი არ დაგავალეთ, არამედ მჭედელ სტეპანესი“. ის დაუყოვნებლივ სხეულში დააბრუნეს, ხოლო სტეპანე, რომელიც მის მეზობლად ცხოვრობდა, იმ წამსვე გარდაიცვალა. ამგვარად, თვით სტეპანეს სიკვდილმა დაამტკიცა, რომ სტეფანეს მიერ გაგონილი სიტყვები სიმართლეს შეესაბამებოდა.

შენ იცი, რომ ეს სტეფანე იმ ჟამიანობამდე, რომელმაც ჩვენი ქალაქი მოსრა, სამი წლით ადრე გარდაიცვალა. მაშინ

ხორციელი თვალითაც კი ჩანდა ისრები, რომლებიც ზეციდან ეშვებოდა და ყველას სიკვდილით ემუქრებოდა. ჩვენს ქალაქში ერთი მეომარი იმ სნეულებით დაავადდა და გარდაიცვალა. მისი სხეული უსულოდ ესვენა, მაგრამ მისი სული სხეულში მალე დაბრუნდა და გარშემომყოფთ უამბობდა, თუ რა გადახდა. როგორც ის ამბობდა, ხიდი იხილა, რომლის ქვეშ შავი და ბურუსით მოცული მდინარე მიედინებოდა და იქიდან საშინელი სიმყრალე და შავი ნისლი ამოდებოდა. ხიდს იქით ფართო, ამწვანებული მინდორი ჩანდა, რომელიც სურნელოვანი მცენარეებით იყო დაფარული. იქ თეთრებში მოსილ ადამიანთა კრებული მოჩანდა. იმ ადგილზე ისეთი კეთილსურნელება იყო, რომ თვით ეს კეთილსურნელება კვებავდა იქ მცხოვრებ ადამიანებს. იქ სხვადასხვაგვარი, სინათლით აღვსილი სახლები იდგა. იქვე იდგა საოცრად ლამაზი სახლი, რომელიც თითქოს ოქროს აგურებით იყო აგებული, მაგრამ ვისი იყო, ვერ შეიტყო. მდინარის პირზეც იდგა სახლები. ზოგიერთში სიმყრალე და სიბნელე აღწევდა, რომელსაც მდინარე გამოსცემდა, სხვებში კი – არა. ხიდზე გადამსვლელს ამგვარი განსაცდელი უნდა გადაეღებინა: თუკი უსჯულო მის გადალახვას მოისურვებდა, ის მდინარეში ვარდებოდა, ხოლო მართლები, რომელთაც ცოდვა არ ამძიმებდათ, მშვენიერ მინდორზე თავისუფლად და უშიშრად გადადიოდნენ. მან თქვა, რომ იქ იხილა საეკლესიო თემის უფროსი პეტრე, რომელიც ოთხი წლის წინ აღესრულა. ის ამ საზარელ ადგილზე თავდაღმა ეკიდა და მძიმე ბორკილებით იყო შეკრული. როდესაც იკითხა, ამგვარად რის გამო იტანჯებოდა, ესმა ის, რაც ჩვენც, ვინც მას ვიცნობდით საეკლესიო თემში, გვაგონდება. კერძოდ, ითქვა: „იმიტომ იტანჯება ამგვარად, რომ როდესაც ვინმეს დასჯას უბრძანებდნენ, ის არა იმდენად მოვალეობას აღასრულებდა,

რამდენადაც მრისხანების ვნებით აღძრული ურტყამდა“. ეს რომ მართლაც ასე იყო, ყველამ იცის, ვინც მას იცნობდა. იქ კიდევ ერთი უცხოტომელი პრესვიტერი ვიხილე, — მოგვითხრობდა ის, — რომელიც ხსენებულ ხიდზე ისეთი გაბედულებით გადავიდა, როგორი გულწრფელობითაც ამქვეყნად ცხოვრობდა. იმავე ხიდზე იცნო მან სტეფანეც, რომელიც ზემოთ ვახსენეთ. როდესაც სტეფანემ ხიდზე გადასვლა მოისურვა, ფეხი დაუცდა და წელამდე ხიდს ქვევით აღმოჩნდა, სადაც მდინარიდან საზარელი გარეგნობის კაცები ამოდიოდნენ და ფეხით ქვევით ეწეოდნენ, ხოლო სხვები, მშვენიერი გარეგნობისანი, თეთრებში შემოსილნი, მხრებით ზევით ეწეოდნენ. ამ ბრძოლის დროს, ანუ როდესაც კეთილი სულები ზევით ეწეოდნენ, ხოლო ბოროტები — ქვევით, ამ ხილვის მხილველი სხეულში დაბრუნდა და არაფერი იცოდა, შემდეგ სტეფანეს რა დაემართა. იმ შემთხვევის მიხედვით, რაც სტეფანეს შეემთხვა, შეიძლება დავასკვნათ, რომ სიცოცხლეში მასში ხორციელი უკეთურება მოწყალების საქმეებს ებრძოდა. იმის მიხედვით, რომ მას ფეხით ქვევით ეწეოდნენ, ხოლო მხრებით ზევით, ცხადია, რომ მას მოწყალებაც უყვარდა და სრულად არც ცოდვას ეწინააღმდეგებოდა. მაგრამ ფარული გულის-სიტყვების ამ ბრძოლაში რომელი სძლევს, არც ჩვენთვის არის ცნობილი და არც იმისთვის, ვინც იხილა და კვლავ ამ ცხოვრებაში დაბრუნდა. მხოლოდ ის არის ცხადი, რომ სტეფანემ არც ჯოჯოხეთის ხილვის შემდეგ გამოასწორა ცხოვრება ჯეროვნად და მრავალი წლის შემდეგ (მარადიულ) სიცოცხლესა და სიკვდილს შორის ახალი ბრძოლისათვის გარდაიცვალა. ამით იმასაც ვიგებთ, რომ ჯოჯოხეთური სატან-ჯველის ხილვა ზოგიერთებისთვის სასარგებლოა, სხვებისთვის კი — ზიანის მომტანი: ერთნი მას საშინელების ხილვის

შემდეგ უფროსიან, სხვები კი უფრო მკაცრად განისჯებიან, რომ არ ისურვეს უკვე ნანახი და მათთვის ცნობილი ჯოჯოხეთის სატანჯველი აეცდინათ.

პეტრე: მითხარი, გეთაყვა, რას ნიშნავს, რომ მშვენიერ ადგილზე ოქროს აგურებით აგებული სახლი იღვას? სასაცილოდ მეჩვენება იმის დაჯერება, რომ ასეთი ლითონები იმ ცხოვრებაშიც დაგვჭირდება.

თავი ოცდამეჩვიდმეტი

რას ნიშნავს სახლის აგება მშვენიერ ადგილზე.
დეუსდედიტი, რომლის სახლი, ხილვის თანახმად,
მხოლოდ შაბათობით შენდებოდა. სოდომელთა
სასჯელის შესახებ

გრიგოლი: ასე ვინ იფიქრებს, თუ სად გონებაზეა? ნანახი ცხადად გვიჩვენებს, აქ როგორ იღვწის ის, ვისთვისაც სახლი შენდება. ვინც აქ უხვი მოწყალებებით მარადიული ნათლის ჯილდოს დაიმსახურებს, უეჭველია, იქ ოქროს სახლს აიგებს. იმასაც გეტყვი, რაც ადრე გამოძრჩა: ის მეომარი, რომელმაც შენობები იხილა, გვიამბობდა, რომ ოქროს აგურები სახლის ასაგებად მოხუცებსა და ჭაბუკებს, ქალწულებსა და ყრმებს მოჰქონდათ. აქედან ცხადია, რომ ისინი, ვის მიმართაც მწყალობელმა სიყვარული გამოხატა, იქ მისთვის სახლს აგებდნენ.

ჩვენთან ახლოს ერთი ღმრთისმოსავი ხარაზი, სახელად დეუსდედიტი ცხოვრობდა. იგი სხვა კაცმა ხილვაში ასე ნახა: მისთვის სახლი შენდებოდა, მაგრამ მშენებლები მხოლოდ შაბათობით მუშაობდნენ. მან, ვისაც ხილვა ჰქონდა, გამოძიების შემდეგ შეიტყო, რომ დეუსდედიტს წესად ჰქონდა ყოველ შა-

ბათს წმიდა პეტრეს ტაძარში მისულიყო და უპოვართათვის ის მიეცა, რაც კვირის დანარჩენ დღეებში საჭმელისა და სამოსის შექმნის შემდეგ რჩებოდა. ამიტომ ჩანდა, რომ მისი სახლი მხოლოდ შაბათობით შენდებოდა.

პეტრე: საკმაოდ შევიტყვე ამ საკითხის შესახებ. მაგრამ, მითხარი, გეთაყვა, რატომ აღწევდა ზოგიერთ სახლში მყრალი წყვდიადი, ზოგიერთს კი არ ეხებოდა? აგრეთვე, რომელი მდინარე და ხიდი იხილა გარდაცვლილმა?

გრიგოლი: სიმბოლური ხილვების მიხედვით შეგვიძლია, საყვარელო პეტრე, ადამიანთა დამსახურებანი შევიცნოთ. მეომარმა მართლები ხიდის გავლით მშვენიერ ადგილზე გადასულები იმიტომ იხილა, რომ „იწრო არს ბჭე და საჭირველ გზაჲ, რომელი მიიყვანებს ცხორებასა“ (მათ. 7, 14). ქვემოთ ამყრალებული მდინარე იმიტომ იხილა, რომ ამქვეყნიდან ჯოჯოხეთში ყოვედლიურად ხორციელი ვნების სიმყრალე ჩაედინება. მყრალი წყვდიადი ზოგიერთ სახლში აღწევდა, ხოლო ზოგიერთებს – ვერ ეხებოდა: ეს ნიშნავს, რომ არსებობენ ადამიანები, რომლებიც მრავალ სიკეთეს აკეთებენ, მაგრამ წარმოსახვებში ხორციელი სიბილწით ტკბებიან. მყრალი სიბნელე სრულიად სამართლიანად აღწევს იმათ სახლებში, ვისაც აქ ხორცის სურნელი ატკბობს. ნეტარმა იობმა ხორციელი ტკბობა სურნელის სახით იხილა და განცხრომაში მყოფ და გემოთმოყვარე ადამიანზე შემდეგი სიტყვები წარმოთქვა: „ჭიალუები ატკბარუნებენ მას“ (იობ. 24, 20). ვინც გულს ხორციელი ტკბობისგან სრულებით იცავს, მათ სახლებში, ეჭვგარეშეა, სიმყრალე ვერ აღწევს. ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ მან მყრალი სიბნელე ჩვენს განსასწავლად იხილა, რადგან ხორციელი ტკბობა მათდამი დამონებული ადამიანის გონებას იმდენად აბნელებს, რომ ის ჭეშმარიტი

ნათლის ელვარებას ველარ ხედავს – რაც უფრო ბილწი სიამონებებით არის დაცემული, მისთვის უმაღლესი საგნები მით მეტი სიბნელით არიან მოცული.

პეტრე: შეიძლება წმიდა წერილის მონათხრობით დავადასტუროთ, რომ ხორციელ ადამიანთა ცოდვები სიმყრალით ისჯება?

გრიგოლი: შეიძლება. შესაქმის წიგნიდან ვიცით, რომ „უფალმან აწვა სოდომსა და გომორსა ზედა წუნწუბაჲ და ცეცხლი“ (დაბ. 19, 24), რათა ამ ქალაქთა მცხოვრებნი ცეცხლსაც დაეწვა და გოგირდის მყრალ სუნსაც დაეტანჯა. ისინი ზრწნადი სხეულის მიმართ დანაშაულებრივი სიყვარულით იწვოდნენ, ამიტომაც ცეცხლისა და სიმყრალისაგან ამოწყდნენ, რათა თავიანთ სასჯელში შეეცნოთ, რომ მარადიულ სიკვდილს თავისივე ვნებების სიმყრალით ტკობისათვის მიეცნენ.

პეტრე: ვალიარებ, აღარაფერი მაქვს იმის საწინააღმდეგო, რაშიც აქამდე ეჭვი შემქონდა.

თავი ოცდამეთვრამეტი

ჯერ კიდევ სხეულში მყოფი სულები მომავალ სასჯელს
ნაწილობრივ ხედავენ; ყრმა თეოდორეს შესახებ;
ქრისთორისა და იკონიელი მონაზვნის აღსასრული

გრიგოლი: იმის ცოდნაც გმართებს, რომ ზოგჯერ, ჯერ კიდევ სხეულში მყოფი სულები, მათთვის განკუთვნილ სასჯელს ნაწილობრივ ხედავენ. ეს თვით მათი ან მსმენელთა სწავლებისთვის ხდება. ჩემთან, მონასტერში, ერთი ყრმა დასახლდა. მას თავისი ძმა თეოდორეც მოჰყვა, უფრო გამოუვალნი მდგომარეობის გამო, ვიდრე – თავისი ნებით. ის ფრიად

მოუსვენარი იყო, თუკი ვინმე სულის ხსნაზე საუბრობდა, მოსმენა უძძიმდა, რადგან არათუ სიკეთის ქმნა, მასზე სიტყვის გაგონებაც არ შეეძლო. თეოდორე ფიცით, მრისხანებითა და ღაცინვებით ადასტურებდა, რომ მონაზვნური წმიდა ცხოვრება არასოდეს სურდა. ჟამიანობის დროს, რომელმაც ქალაქის მოსახლეობის თითქმის ნახევარი იმსხვერპლა, ისიც დაავადდა და სიკვდილის პირას აღმოჩნდა. მასთან ძმები შეიკრიბნენ, რომ მის აღსასრულს ლოცვით შეხვედროდნენ. მას კიდურები უკვე ცივი ჰქონდა და მაცოცხლებელი სითბო მხოლოდ მკერდში ჰქონდა შერჩენილი. ძმებმა მისი აღსასრულის მოახლოება რომ იგრძნეს, ლოცვა უფრო გულმოდგინედ დაიწყეს. უეცრად მან ხმამაღალი შეყვირებით მათ ლოცვა შეაწყვეტინა: „გამეცალეთ, გამეცალეთ; ურჩხულს ვარ მიცემული შესაჭმელად, მაგრამ თქვენი აქ ყოფნის გამო ვერ მჭამს. ჩემი თავი უკვე გადაყლაპა; მიეცით საშუალება, რომ მეტად აღარ მაწამოს და რაც უნდა, მიყოს. თუკი უნდა შემჭამოს, თქვენ გამო რად უნდა შეყოვნდეს?“ მაშინ ძმებმა უთხრეს: „ძმაო, რას ამბობ? პირჯვარი გამოისახე“. მაგრამ მან ყვირილით უპასუხა: „მინდა პირჯვარი გამოვისახო, მაგრამ მისი ქერცლი ხელს მიშლის“. ამის გამგონე ძმები მიწაზე განერთხნენ და მის დასახსნელად ლოცვა კიდევ უფრო მხურვალედ, ცრემლით დაიწყეს. უეცრად სნეული უკეთ გახდა და ხმამაღლა შესძახა: „მადლობა ღმერთს! ურჩხული, რომელიც შეჭმას მიპირებდა, გაიქცა. ის თქვენმა ლოცვამ განდევნა, აქ დგომა ვეღარ შეძლო. ილოცეთ მხოლოდ ჩემი ცოდვების გამო, მზად ვარ შევიწინო და საერო ცხოვრება სრულიად დავტოვო“. ამგვარად, ადამიანს, რომელსაც კიდურები უკვე ცივი ჰქონდა, სიცოცხლე დაუბრუნდა, რადგან მთელი გულით ღმერთისკენ მოიქცა. მას შემდეგ მან აზრები შეიცვალა,

გულშემუსვრილებით ხანგრძლივად იღვაწა და მისი სული სხეულს მხოლოდ ამის შემდეგ გაეყარა.

პირიქით, ქრისაორი, როგორც ზემოთ ნახსენები პრობი გვიამბობდა, ძალიან მდიდარი იყო და იმდენივე მანკიერება ჰქონდა, რამდენიც ქონება: ქედმაღალი და ამპარტავანი იყო, ხორციელ ვნებებს დამონებული, ანგარი და ხარბი, სიმდიდრის შეძენის სურვილით შეპყრობილი. ღმერთმა განაჩინა მისი ბილწებისთვის ბოლო მოეღო და ხორციელი სნეულება მოუვლინა. ქრისაორი სიკვდილის პირას აღმოჩნდა და სწორედ იმ დროს, როდესაც სული ხორცს უნდა გაჰყოლოდა, თვალთ შავი და საზარელი სულელები იხილა, რომლებიც მის წინაშე იდგნენ და მზად იყვნენ მისი სული ჯოჯოხეთის საპყრობილეში ჩასაგდებად ამოეტაცათ. ის ათრთოლდა, გაფითრდა, ხმამაღლა ითხოვდა დროის გახანგრძლივებას და უცნაური და შემადრწუნებელი ხმით ეძახდა შვილს, მაქსიმეს, რომელიც მე უკვე მონაზონი ვიხილე: „მაქსიმე, გამოიქეცი, შენთვის ცუდი არაფერი გამიკეთებია, შემეწიე შენი რწმენით“. შემფოთებულმა მაქსიმემ მაშინვე მოიბრინა; მთელი ოჯახი შეიკრიბა ტირილითა და ძრწოლით. ბოროტ სულელებს, რომელთაგან ის ასე იტანჯებოდა, ისინი ვერ ხედავდნენ, მაგრამ მისი შფოთვის მიხედვით მათი იქ ყოფნა შეიცნეს. მათი შავი სახეების ხილვით შეძრწუნებული ქრისაორი საწოლში აქეთიქით აწყდებოდა. მათ მარცხენა მხარეს გადაბრუნებულიც ხედავდა და კედლისკენ მიქცეულიც. უკიდურესად შეჭირვებულმა მათგან გამოხსნის იმედი დაკარგა და ხმამაღლა აყვირდა: „თუნდაც დილამდე მაცალეთ! თუნდაც დილამდე!“ მაგრამ სული სწორედ ამ ყვირილში ამოართვეს. ცხადია, რომ ეს ხილვა იყო არა მისთვის, არამედ – ჩვენთვის, რათა მისმა ხილვამ სარგებლობა ჩვენ მოგვითანოს, რადგან მას

ხილვამ რა სარგებლობა მოუტანა, როდესაც დროს ითხოვდა და არ მიეცა?

ჩვენი ისავრიელი პრესვიტერი ათანასე საზარელ ამბავს გადმოგვცემს, რომელიც მისი იკონიაში მსახურობის დროს მოხდა. იქ არის გალატელთა მონასტერი, რომელშიც ერთი მონაზონი დიდი პატივისცემით სარგებლობდა. გარეგანად ყველა ქმედებით ის კეთილის აღმასრულებელი და ღმრთის მოშიში ჩანდა, მაგრამ სინამდვილეში ისე არ ცხოვრობდა, როგორც ერთი შეხედვით გეგონებოდა. ეს მისმა აღსასრულმა გამოაჩინა. ძმებს ის თავს მმარხველად აჩვენებდა, მაგრამ ჩვევის გამო ფარულად ჭამდა. ძმებმა მისი მანკიერების შესახებ არაფერი იცოდნენ. ავადმყოფობის გამო ის სიკვდილის პირას აღმოჩნდა. აღსასრულის წინ მან ძმებს უხმო. ძმები მისგან რაიმე სანუგეშოსა და დიდებულს ელოდნენ, რადგან დიდ მოსაგრედ მიაჩნდათ, მაგრამ ის შფოთითა და თრთოლვით უნდა გამოძტყდარიყო, რომელი მტრის ხელში იყო ჩავარდნილი სიკვდილის წინ. მომაკვდავი ამბობდა: „როდესაც თქვენ გეგონათ, რომ თქვენთან ერთად ვმარხულობდი, ფარულად ვჭამდი, და აჰა, ურჩხულმა უნდა შემჭამოს, რომელმაც კუდით ფეხები შემიკრა, ხოლო თავი პირში ჩამიყო და სულს მწოვს!“ ამ სიტყვების წარმოთქმისას ის აღესრულა. ურჩხული, რომელიც მან იხილა, არ ელოდებოდა, ის სინანულით მისგან როდის გათავისუფლდებოდა. როგორც ჩანს, მონაზონმა ხილვა მხოლოდ მსმენელთა სარგებლობისათვის იხილა. მან თავი ვერ დააღწია მტერს, რომელსაც ასე აშკარად ემონებოდა.



თავი ოცლამეცხრამეტ¹

პეტრე თქუა: მასწავე ესე, ღმრთივგანბრძობილო მამაო, უკუეთუ არს შემდგომად სიკუდილისა შენდობად ცოდვათაჲ.

გრიგოლ თქუა: უფალი ჩუენი სახარებასა შინა იტყვს: „ვიდოდეთ, ვიდრე ნათელი გაქუს“ (იოან. 12,35); და წინაწარმეტყუელის მიერ იტყვს: „ჟამსა შეწყნარებისასა ვისმინე შენი და დღესა ცხორებისასა შეგეწიე შენ“ (ეს. 49,8). ამას სიტყუასა თარგმნის წმიდაჲ მოციქული პავლე და იტყვს: „ესერა აწ არს ჟამი იგი შეწყნარებული, აწ არს დღე იგი ცხორებისაჲ“ (2 კორ. 6,2); და სოლომონ იტყვს: „რავდენცა ეძლოს კელსა შენსა საქმედ, იქმოდე, რაოდენცა ძალ-გიც, რამეთუ არა არს არცა საქმე, არცა სიბრძნე, არცა მეცნიერებაჲ ჯოჯოხეთს შინა“ (ეკლ. 9,10). ამათ წამებათაგან და სხუათა მრავალთა სარწმუნო არს და ჭეშმარიტ, ვითარმედ ვითარცა ამიერ სოფლით განვიდეს სული, ეგრეთცა წარდგომად არს განკითხვასა მას და ვერღარა კელ-ეწიფების შემდგომად ამიერ განსლვისა სინანული. გარნა ესე იქმნების მრავლითა მით წყალობითა ღმრთისაჲთა, რომელ ლოცვითა და ვედრებითა ამას სოფელსა მყოფთა ღმრთისმოყუარეთათა იქმნების შენდობაჲ, უკუეთუ მცირედნი რაჲმე ცთომანი აღსრულებულთანი იყვნენ და არა მძიმენი ცოდვანი. რამეთუ განსრული იგი სოფლით ვერცა დიდთა, ვერცა მძიმეთაღა ცოდვათა შემძლებელ არს სინანულად. ხოლო ლოცვითა აქა

¹ თანამედროვე რუსულ გამოცემაში აღნიშნულია, რომ ეს თავი ამოდებულია, როგორც წმიდა გრიგოლ დიოლოლოსის კერძო მოსაზრება, რომელიც შემდგომში მართლმადიდებელმა ეკლესიამ არ გაიზიარა. ამ თავს ვებეჭდავთ წმიდა ეფთვიმე ათონელისეული თარგმანიდან (ხელნ. A-121). წმიდა ეფთვიმეს ტექსტი მართლმადიდებლური სწავლების შესაბამისად შეუსწორებია, გამოუტოვებია საეჭვო ადგილები. — მთარგმნ. შენ.

მყოფთათა სუბუქთა ცთომათა შენდობა იქმნების სახიერებითა უფლისაჲთა, და ეგრეთვე, უკუეთუ იყოს კაცი იგი ღმრთის მსახურ და უძლოდეს კეთილნიცა საქმენი, და ამის საქმისა სახენიცა მოსწავებულ არიან.

თავი მეორეოცე

დიაკვან პასხაზის სულის შესახებ

როდესაც ჭაბუკი ვიყავ და საერო სამოსით ვიმოსებოდი, უფროსი ადამიანებისგან გავიგე, რომ ჩვენი სამოციქულო საყდრის დიაკვანი, პასხაზი, რომლისგან სულიწმიდის შესახებ ნათლითა და ჭეშმარიტებით აღსავსე წიგნები გვაქვს, საკვირველი სიწმინდის, მოწყალე ადამიანი იყო. ის საკუთარ თავზე არ ზრუნავდა და უპოვართ აძლევდა საზრდოს. პასხაზი მორწმუნეებს შორის წამოჭრილ მხურვალე დავაში სიმაქისა და ლავრენტის გამო, რომლებიც პირველიერარქის ტახტზე უნდა აერჩიათ, მხარს უკანასკნელს უჭერდა. სხვათა ერთსულოვანი წინააღმდეგობით ძლეული, ის სიცოცხლის ბოლომდე თავისი აზრის ერთგული დარჩა, ლავრენტი უყვარდა და უპირატესობას მას ანიჭებდა, რომელიც ეპისკოპოსთა მსჯავრმა ეკლესიის წინამძღოლობის ღირსი არ გახადა. პასხაზი იმ დროს აღესრულა, როდესაც სამოციქულო საყდარს სიმაქი განაგებდა. როდესაც პასხაზის ცხედარს მიასვენებდნენ, ერთი შეპყრობილი მის სუდარას შეეხო და მაშინვე განიკურნა. დიდი ხნის შემდეგ, კაპუის ეპისკოპოს გერმანეს, რომელიც ზემოთ ვახსენეთ, ექიმებმა სწეულებისგან განსაკურნებლად ანგულიანის საბანელში განბანა ურჩიეს. საბანელში შესულმა, დიაკვანი პასხაზი იხილა, რომელიც იქ იდგა და მსახურობდა. გერმანე მისმა იქ ყოფნამ მეტიცმე-

ტად გააკვირვა და დაეკითხა, ასეთ სახელოვან კაცს აქ რა გინდაო. პასხაზიმ მიუგო: „დასჯილი იმისთვის ვარ, რომ სიმაქის წინააღმდეგ მხარს ლავრენტის ვუჭერდი. გთხოვ, ღმერთს ჩემთვის შევევძრე; შენი ლოცვა თუ შეწყნარებულ იქნა, აქ მოსული ვეღარ მიხილავ“. წმიდა გერმანე მისთვის გულშემუსვრილებით ლოცულობდა და რამდენიმე დღის შემდეგ საბანელში მისულმა დიაკვანი პასხაზი ვეღარ ნახა. მან სიკვდილის შემდეგ შეძლო ცოდვისგან განწმენდილიყო, იმითომ, რომ სცოდავდა არა ბოროტებით, არამედ — შეცდომის გამო. უნდა გვწამდეს, რომ გლახაკთა მიმართ მოწყალებით პასხაზიმ შეწყალება მაშინ დაიმსახურა, როდესაც აღარაფრის ქმნა აღარ შეეძლო.

პეტრე: მითხარი, ამ ბოლო დროს სულების შესახებ რატომ გვეცხადება ბევრი რამ, რაც აქამდე ცნობილი არ იყო, იმდენად, რომ ამ გამოცხადებებითა და ნიშებით, როგორც ჩანს, ჩვენს წინაშე მომავალი ქვეყანა ცხადდება?

თავი ორმოცდამეერთე

რატომ გვეცხადება ბოლო დროს სულების შესახებ ბევრი რამ, რაც აქამდე ცნობილი არ იყო?

გრიგოლი: ეს სიმართლეა. აწინდელი ცხოვრება რაც უფრო დასასრულს უახლოვდება, მომავალი ცხოვრება მით უფრო ახლობელი ხდება და მით უფრო ცხადი ნიშნებით გვეცხადება. თუკი ამ ცხოვრებაში ერთმანეთის აზრებს ვერ ვხედავთ, მომავალში კი ერთმანეთს გულებში ჩავხედავთ, მაშ ამჟამინდელ ცხოვრებას რა უნდა ვუწოდოთ, თუ არა — წყვილი, ხოლო მომავალს რა დავარქვათ, თუ არა — დღე? მაგრამ, როგორც ღამისა და დღის გასაყარზე, მზის ამოსვლის წინ,

წყვედიადი და სინათლე ერთგვარად ერთიმეორეშია არეული და წარსული ღამის ნარჩენს მომავალი დღის ნათელი სრულებით შთანთქავს, ასევე იმ დროს, როდესაც ამქვეყნის დასავალი მომავლის აღმოსავალს შეერთვის, ამქვეყნის წყვედიადის ნარჩენს სულიერი ქვეყნის ნათელი გაფანტავს. თუმცა მრავალ რასმე შევიცნობთ, რაც იმქვეყნიურს ეკუთვნის, მაგრამ მას სრულად იმიტომ ვერ ვწვდებით, რომ ვჭკვრეტთ, როგორც ცისკრის ბინდბუნდში, მზის ამოსვლის წინ.

პეტრე: მომწონს შენი ნააზრევი. მაგრამ პასხაზის, ამ წმიდა მოსაგრის გამო, უნებლიეთ კითხვა ჩნდება: სიკვდილის შემდეგ დასჯის ადგილზე როგორ აღმოჩნდა ამგვარი მოსაგრე, რომლის სუდარას ეშმაკეულისგან ბოროტი სულის განდევნის ძალა ჰქონდა?

გრიგოლი: ამ შემთხვევაში შეგვიძლია შევიცნოთ, რა მრავალფეროვანია ყოვლისშემძლე ღმერთის განმგებლობა. თავისი მსჯავრით მან ამგვარად განაჩინა: წმიდა მოსაგრე პასხაზს ერთხანს სასჯელი ცოდვებისთვის მოეწია და ამავე დროს სიკვდილის შემდეგ სხეულით სასწაულებს იმ ადამიანთა თვალწინ აღასრულებდა, ვინც მის მიერ სიცოცხლეში აღსრულებული კეთილი საქმეები იცოდა, რათა იმათაც, ვინც მის კეთილ საქმეებს ხედავდა, მისი მოწყალების ღირსება შეეცნოთ, ხოლო თვითონ სასჯელის გარეშე არ დარჩენილიყო იმ ცოდვის გამო, რომელიც ცოდვად არ მიაჩნდა და მისგან ცრემლით არ განიწმინდა.

პეტრე: შენი სიტყვები ავწონ-დავწონე და შენი დასაბუთებით შიში არა მარტო იმ ცოდვების გამო აღმეძრა, რომლებიც ვიცი, არამედ იმათ გამოც, რომლებიც არ შემიცვნია. მაგრამ, მითხარი, გეთაყვა, რამდენადაც ცოტა ხნის წინ დასჯის ად-

ვილებზე გვექონდა საუბარი, ჯოჯოხეთი სად უნდა ვიგულისხმოთ, მიწაზე თუ მიწის ქვეშეთში?

თავი ორმოცდამეორე

სად უნდა ვიგულისხმოთ ჯოჯოხეთი?

გრიგოლი: ვერ ვკადნიერდები, დაუფიქრებლობით ამ საკითხზე რაიმე გადაჭრით ვთქვა. ზოგიერთებს ჯოჯოხეთი დედამიწის გარკვეულ ნაწილზე მიაჩნდათ, სხვებს მიაჩნიათ, რომ ის მიწისქვეშეთშია. უნდა შევნიშნო, რომ თუკი ჯოჯოხეთს ქვესკნელს იმიტომ ვუწოდებთ, რომ ქვევით მდებარეობს, მაშინ ჯოჯოხეთი დედამიწის მიმართ ისეთივე მდებარეობაში აღმოჩნდება, როგორც ცის მიმართ მდებარეობს დედამიწა. შესაძლოა ფსალმუნთმგალობელი ამიტომ ამბობს: „იხსენ სული ჩემი ჯოჯოხეთისაგან ქუესკნელისა“ (ფს. 85, 13), რათა გვიჩვენოს, რომ დედამიწა ერთგვარად ზედა ჯოჯოხეთია, ხოლო დედამიწის ქვევით არის ქვესკნელის ჯოჯოხეთი. ამ აზრს იოანე მახარებლის სიტყვებიც მოწმობს, რომელმაც შვიდი დაბეჭდილი წიგნი იხილა და არც ცაში, არც დედამიწაზე, არც ქვესკნელში – ღირსეული არავინ გამოჩნდა, რომ გაელო წიგნი და აეხსნა ბეჭედნი: „და მე ვტიროდე ფრიად“, – ამბობს იგი (გამოცხ. 5, 4). თუმცა შემდეგ ამბობს, რომ წიგნი გახსნა „ლომძან თესლისგან იუდაჲსა“. ამ წიგნში რა უნდა იგულისხმებოდეს, თუ არა წმიდა წერილი? ეს წიგნი ცაში ვერავინ გახსნა, ანუ ანგელოზებმა, ვერავინ დედამიწაზე, ანუ ხორცში მყოფმა ადამიანებმა, ვერავინ ქვესკნელში, ანუ ვერც სხეულებიდან გასულმა სულებმა, – უფლის გარდა ჩვენთვის წმიდა წერილის საიდუმლოებების გახსნა ვერავინ შეძლო. როდესაც ნათქვამია, ქვესკნელში ღირსეული ვერა-

ვინ მოიძებნა, წიგნი რომ გაეხსნა, ღმრთის სიტყვის საწინააღმდეგოს ვერაფერს ვხედავ იმაში, რომ ჯოჯოხეთი მიწის ქვეშ ვიგულსიხმთ.


პეტრე: მითხარი, გეთაყვა, გეენიის ცეცხლი ერთია, თუ რამდენი ცოდვაც არსებობს, იმდენი სხვადასხვაგვარი ცეცხლია გამზადებული?

თავი ორმოცდამესამე

ჯოჯოხეთის ცეცხლი ერთია, თუ — სხვადასხვაგვარი?

გრიგოლი: თუმცა გეენიის ცეცხლი ერთია, მაგრამ ყველა ცოდვილს ერთნაირად არ დაწვავს. იქ სასჯელს თითოეული ცოდვის ხარისხის მიხედვით ისევე მოიწევს, როგორც ამქვეყნად ერთი მზის ქვეშ ვცხოვრობთ, მაგრამ მის სითბოს ყველა ერთნაირად არ შეიგრძნობს: ერთნი უფრო მეტად თბებიან, სხვები — ნაკლებად. ასევეა იქაც: ერთსა და იმავე ცეცხლში ყველასთვის ტანჯვის ერთნაირი ხარისხი არ არის გამზადებული. რასაც აქ სხეულთა განსხვავება იწვევს, იქ ცოდვათა განსხვავება წარმოშობს: თუმცა ცეცხლი ყველა ცოდვილისთვის ერთია, მაგრამ თითოეულ მათგანს ერთნაირად არ დაწვავს.

პეტრე: ნუთუ ისინი, ვინც ცეცხლში იქნება ჩაგდებული, მარადიულად დაიწვებიან,?



თავი ორმოცდამოთხე

ეცხლოვან გენიაში ჩაგდებული ცოდვილები მარადიულად დაიწვებიან?

გრიგოლი: ჭეშმარიტად ცხადია და უეჭველი, რომ როგორც მართალთა ნეტარება იქნება დაუსრულებელი, ასევე უკეთურთა ტანჯვას არ ექნება დასასრული, რადგან თავად ჭეშმარიტება ბრძანებს: „და წარვიდენ ესენი სატანჯველსა საუკუნესა, ხოლო მართალნი – ცხორებასა საუკუნესა“ (მათ. 25, 46).

პეტრე: ხომ შეიძლება ვიღაცამ თქვას: „ღმერთი ცოდვილებს მარადიული სატანჯველით მხოლოდ იმიტომ ემუქრება, რომ ცოდვის ჩადენისაგან შეაჩეროს“?

გრიგოლი: თუკი სიცრუეა ის, რითიც ღმერთი ცოდვილებს უსჯულოებისაგან განსაშორებლად ემუქრება, მაშინ ისიც სიცრუეა, რაც მან აღგვითქვა იმისთვის, რომ სიწმიდე შევიყვაროთ, მაგრამ უგუნურის გარდა ამის თქმას ვინ გაბედავს? და თუკი ის იმით გვემუქრება, რასაც არ აღასრულებს, მაშინ მანამდე, ვიდრე მას მოწყალედ ვადიარებთ, მატყუარა უნდა ვუწოდოთ (რაც გამოსათქმელადაც კი საშინელია).

პეტრე: მინდა ვიცოდე, მართლმსაჯულებას რამდენად ეთანხმება ის, რომ სასრული დანაშაულისათვის უსასრულოდ უნდა იტანჯონ?

გრიგოლი: ეჭვი სამართლიანი იქნებოდა, განრისხებული მსაჯული არა ადამიანთა გულებს, არამედ მხოლოდ საქმეებს რომ განიხილავდეს. უსჯულოთა ცოდვები იმიტომ შეწყდა, რომ მათი სიცოცხლე დასრულდა. ისინი ისურვებდნენ, შესაძლებელი რომ ყოფილიყო, უსასრულოდ ეცხოვრათ, რათა უსასრულოდ ცოდვაში ყოფილიყვნენ. ვინც ცოდვებს სიცოცხლეში არასოდეს განშორებია, ისინი ცოდვაში მუდმივად

დარჩენის სურვილს ამჟღავნებენ. ამდენად, უდიდესი მსაჯულის მხრივ სამართლიანობაა, რომ ისინი, ვინც ამ ცხოვრებაში ცოდვებისგან განშორება არასოდეს ისურვა, მარადიულად დაიტანჯონ.

პეტრე: მაგრამ მართალი ბატონი გადაჭარბებული სიმკაცრით არც ერთ ერთგულ მონას არ სჯის, მზაკვარი მონის ცემასაც მხოლოდ იმისთვის ბრძანებს, რომ მისი მანკიერებანი გამოასწოროს: მას გამოსწორების იმედით ურტყამენ. თუკი გენიის ცეცხლში ჩაგდებული უსჯულონი არ გამოსწორდებიან, მაშინ მათ მარადიულ დაწვას რა მიზანი აქვს?

გრიგოლი: ყოვლისშემძლე ღმერთი, როგორც მოწყალე, მართალ ადამიანებს სისასტიკის გარეშე მართავს; მაგრამ, როგორც მართლმსაჯული, უსჯულოთა მარადიულ ტანჯვას არ შეწყვეტს. უსჯულონი, რომელთაც მარადიული სატანჯველი განესაზღვრათ, თუმცა თავიანთი უსჯულოებისათვის ისჯებიან, ცეცხლში სხვა მიზნითაც დაიწვებიან. ყოველი მართალი მათთვის ღმერთის მიერ მინიჭებულ ნეტარებასაც იხილავს და ცოდვილთა ტანჯვასაც, რასაც თავი დააღწიეს. რაც უფრო ცხადად დაინახვენ ცოდვების გამო აღძრულ მარადიულ სატანჯველს, რომელსაც ღმერთის შეწევნით სძლიეს, მით მეტად შეიგრძნობენ, რომ საღმრთო მადლის მარადიული მოვალენი არიან.

პეტრე: ადამიანები, რომლებიც მტრებს ცეცხლში ხედავენ და მათთვის არ ლოცულობენ, წმინდანებად როგორ შეგვიძლია ჩავთვალოთ, რადგან ნათქვამია: „ულოცევდით მათ, რომელნი გამძლავრობდენ თქვენ“ (მათ. 5, 44)?

გრიგოლი: მტრებისთვის მაშინ ლოცულობენ, როდესაც მათი გულების მოქცევა ნაყოფიერი სინანულისკენ შესაძლებელია და ამ მოქცევით ისინი გადარჩებიან, რადგან მტრის-

თვის სხვა რა უნდა ითხოვო, თუ არა ის, რაც მოციქულმა გვამცნო: „მო-ხოლო თუ-სცეს მათ უფალმან სინანული მეცნიერებად ჭეშმარიტებისა, და განიფრთხიან საფრხისა მისგან ეშმაკისა მონადირებულთა მათ მის მიერ ნებისაებრ მისისა“ (2 ტიმ. 2, 25-26)? ცოდვილთათვის მაშინ როგორღა უნდა ვილოცოთ, როდესაც მათ არანაირად არ ძალუძთ თავიანთი უსჯულოება მართალი საქმეებით შეცვალონ? ე.ი. მიზეზი, თუ რატომ არ ილოცებენ მარადიულ სატანჯველში მყოფი ადამიანებისთვის, იგივე იქნება, რის გამოც ამჟამად არ ლოცულობენ ეშმაკისა და მისი ანგელოზებისათვის, რომელთაც მარადიული ტანჯვა აქვთ მისჯილი. რა არის ამჟამადაც იმის მიზეზი, რომ წმინდანები არ ლოცულობენ ურწმუნობასა და უსჯულოებაში აღსრულებულთათვის, თუ არა ის, რომ შეიცნეს ისინი, როგორც მარადიული ტანჯვით დასჯილნი და ამიტომ არ სურთ ამაო ლოცვა ადავლინონ მართალი მსაჯულის წინაშე? თუკი მართლები თავიანთ სიცოცხლეშივე, როდესაც თავს სასჯელის ღირსად აღიარებენ, გარდაცვლილ და განკითხულ უსჯულოებს არ თანაუგრძნობენ, უდმერთოთა ტანჯვას მით უფრო მკაცრად მაშინ განიხილავენ, როდესაც, ყოველგვარი ხორციელი ვნებისაგან გათავისუფლებულნი, სიწმინდეს კიდევ უფრო მტკიცედ და სისავსით შეითვისებენ. ყოვლადმართალი მსაჯულის მიერ გამოტანილი განაჩენი მათ სულს იმდენად ეთანხმება, რომ ნებას არ აძლევს მისი მარადიული სიმართლისაგან განსხვავდებოდეს მათი შეხედულებანი.

პეტრე: ცხადი დასაბუთების წინააღმდეგ ვერაფერს ვიტყვი, მაგრამ ჩემს გონებას შემდეგი კითხვა იპყრობს: სულს უკვდავი რატომ ეწოდება, როდესაც ცნობილია, რომ მას მარადიულ ცეცხლში სიკვდილი აქვს მისჯილი?

თავი ორმოცდამესუთი

რატომ ეწოდება სულს უკვდავი, როდესაც ცნობილია,
რომ მას სიკვდილი აქვს მისჯილი?

გრიგოლი: როგორც სიტყვას „სიცოცხლე“ აქვს ორი მნიშვნელობა, ასევე ორი მნიშვნელობა აქვს სიტყვას „სიკვდილი“. სხვა საქმეა, როდესაც საღმრთოდ ვცხოვრობთ და სხვა არის, როდესაც მხოლოდ როგორც ქმნილებანი ან ამქვეყნად შობილნი ვცხოვრობთ, ანუ სხვა არის იცხოვრო ნეტარებით და სხვა არის მხოლოდ იარსებო. ამიტომ სულს შეიძლება ვუწოდოთ მოკვდავიც და უკვდავიც. სული მოკვდავია, როდესაც კარგავს ნეტარებით ცხოვრებას; უკვდავია იმიტომ, რომ ყოფიერებას არასოდეს კარგავს, მისი ბუნებისთვის დამახასიათებელ სიცოცხლეს ვერ განუდგება. თუკი მას მარადიული სიკვდილი მიესჯება, სასჯელს დაქვემდებარებული ნეტარ ცხოვრებას კარგავს, მაგრამ ყოფიერებას არ კარგავს. აქედან გამომდინარე, ის სიკვდილს სიკვდილის გარეშე განიცდის, მოკლებას – მოკლების გარეშე, აღსასრულს – აღსასრულის გარეშე, რათა მისი სიკვდილიც უკვდავი იყოს და მოკლებაც – მოუკლებელი და დასასრული – დაუსრულებელი.

პეტრე: ვის არ შეაშინებს სიკვდილის ჟამს ასეთი გამოუცნობი მსჯავრი, როგორიც გინდა იყოს მისი საქმეები, როდესაც, თუმცა იცის, რასაც აკეთებს, მაგრამ არ იცის, მისი საქმეები როგორი ზედმიწევნით გაირჩევა?



თავი ორმოცდამეექვსე

წმიდა მოღვაწე, რომელიც სიკვდილის ჟამს ძრწოდა

გრიგოლი: მართლაც ასეა, პეტრე, როგორც შენ ამბობ, მაგრამ მომაკვდავი მართლის სულს თვით ეს შიში უკვე განწმენდს, როგორც ამას ერთი წმიდა მოღვაწის შესახებ მონათხრობი ადასტურებს, რომელიც ორივეს არაერთხელ გვსმენია. ის ძრწოდა სიკვდილის ჟამს, მაგრამ აღსრულების შემდეგ მოწაფეებს თეთრებში მოსილი ეჩვენა და ამით აჩვენა, რომ ნათელში იქნა მიღებული.

თავი ორმოცდამეშვიდე

ზოგიერთს სიკვდილის შიშის დასაძლევად გამოცხადებანი განამტკიცებს; მონაზონთა — ანტონის, მერულასა და იოანეს შესახებ

ყოვლისშემძლე ღმერთი მშფოთვარე გონებას ზოგჯერ გამოცხადებებით წინასწარ განამტკიცებს, რათა სიკვდილის არ ეშინოდეს. მონასტერში ჩემთან ერთად ძმა ანტონი ცხოვრობდა. იგი ზეციური მამულის ნეტარებებისადმი სწრაფვას ყოველ ცისმარე დღეს უხვად დაღვრილი ცრემლით გამოხატავდა. მან წმიდა წერილი განსაკუთრებული მონდომებით და უდიდესი წყურვილით შეისწავლა და მასში ეძიებდა არა შესამეცნებელ საგნებს, არამედ — ცრემლს გულის შემუსვრილებისათვის, რათა ცრემლით აღძრული გონება ანთებულიყო და მიწიერს რომ დატოვებდა, მჭვრეტელობით ზეციურ მამულში აფრენილიყო. ერთხელ ანტონს ღამეულ ჩვენებაში ეუწყა: „მოემზადე და ღმერთის ბრძანებით გზას გაუდექი“. როდესაც მან თქვა, რომ გასამგზავრებლად მზად არ არის, პასუხად მაშინვე გაიგონა: „თუკი ცოდვებს გულისხმობ, ისი-

ნი შეგენლო“. მაგრამ პირველი შეტყობინების შემდეგ ის მაინც ძლიერ შიშს განიცდიდა. მომდევნო ღამით კვლავ იგივე ემცნო. ხუთი დღის შემდეგ ის ავად გახდა და გარდაიცვალა ძმების თანდასწრებით, რომლებიც დასტიროდნენ და მისთვის ლოცულობდნენ.

იმავე მონასტერში სხვა ძმა, მერულაც ცხოვრობდა; ის დაუცხრომელად ტიროდა და ლოცულობდა, მის ბაგეთაგან ამომავალი ფსალმუნთა გალობა მხოლოდ საკვების მიღებისა და ძილის დროს წყდებოდა. მას ამგვარი ღამეული ჩვენება ჰქონდა: ზეციდან მის თავზე თეთრი ყვავილებით მოწნული გვირგვინი დაეშვა. ამის შემდეგ მალე დასნეულდა და მხიარული სულით მშვიდად აღესრულა. თოთხმეტი დღის შემდეგ, როდესაც მონასტრის ამჟამინდელმა წინამძღვარმა, პეტრემ, მისი საფლავის სიახლოვეს თავისთვის საფლავის გაჭრა მოისურვა, მერულას საფლავიდან იმგვარი კეთილსურნელება შეიგრძნო, თითქოს იქ ყველა ყვავილის სურნელება შეეკრიბოთ. აქედან ცხადი გახდა, რომ მისი ღამეული ჩვენება ჭეშმარიტი იყო.

იმავე მონასტერში სხვა, ყრმა მონაზონი იოანეც იყო, რომელსაც ბუნებისგან მრავალი სიკეთე ჰქონდა მიმადლებული. ის თავის ასაკს აღემატებოდა განსჯის უნარით, სიმდაბლით, კარგი ქცევითა და მოღვაწეობით. როდესაც იოანე დაავადდა და სიკვდილის პირას აღმოჩნდა, ღამეულ ჩვენებაში ვინმე ბერი ეჩვენა, წკეპლა დაჰკრა და უთხრა: „წამოდექი, ამ სნეულებით არ მოკვდები, მაგრამ მოემზადე, იმიტომ, რომ აქ დიდხანს აღარ იღვაწებ“. ამის შემდეგ ის მალევე გამოჯანმრთელდა, იმის მიუხედავად, რომ ექიმებს მისი გადარჩენის იმედი აღარ ჰქონდათ. თავისი გამოცხადების შესახებ მან სხვებსაც უამბო და თავისი ასაკისთვის შეუფერებლად, რო-

გორც უკვე აღვნიშნე, ღმერთს კიდეც ორი წელი ემსახურა. ამ ამბამდე სამი წლით ადრე ერთი ძმა აღესრულა და ის მონასტრის სასაფლაოზე დაკრძალეთ. როდესაც სასაფლაოდან გამოვედით, იოანე, როგორც შემდეგ გაფითრებული და ათროლოებული თვითონ გვიამბობდა, იქ დარჩა და მიცვალებულმა საფლავიდან მოუხმო. ამ ძახილმა მას მოახლოებული აღსასრული ამცნო. ათი ღღის შემდეგ ის ავადმყოფობით გათანგული ხორცის საკრველთაგან გათავისუფლდა.

პეტრე: მინდა ვიცოდე, თვალყური უნდა ვადევნო იმას, რაც ღამეულ ჩვენებაში წარმომიდგება?

თავი ორმოცდამეექვსე

თვალყური უნდა ვადევნოთ თუ არა სიზმრებს და რამდენგვარი სიზმარი არსებობს?

გრიგოლი: გმართებს იცოდე, პეტრე, რომ სულში სიზმრეული ჩვენებანი ექვსი მიზეზით შემოდიან. ზოგჯერ სიზმარი კუჭის სისავსის გამო წარმოიშობა, ზოგჯერ, პირიქით, მისი სიცარიელის გამო; ზოგჯერ — ეშმაკის ცდუნებით, ზოგჯერ — ზრახვებით (ფიქრებით) და ცდუნებით ერთდროულად; ზოგჯერ — გამოცხადებით, ზოგჯერ — გულისთქმითა და გამოცხადებით ერთდროულად. პირველი ორი სახის სიზმრეული ჩვენებანი გამოგვიცდია, ხოლო დანარჩენი ოთხი სახის მაგალითებს წმიდა წერილი გვაძლევს. სიზმრეული ჩვენებანი ხშირად ეშმაკის საცდური რომ არ იყოს, მაშინ ბრძენკაცი არასოდეს მიგვითითებდა ამაზე სიტყვებით: „რადგან მრავალნი აცდუნეს სიზმრებმა და დაეცნენ მისი მოიმედენი“ (ზირ. 34, 7). აგრეთვე: „ნუ იჯალოქრებთ და ნუ იმკითხავებთ სიზმრებით“ (ლევ. 19, 26). ამ სიტყვებით ცხადად ჩანს, რომ

უნდა ვერიდოთ სიზმრებით მარჩიელობას. სიზმრები ზოგჯერ ზრახვებისა და საცდურისაგან ერთდროულად რომ არ მოდიოდეს, ბრძენი არ გვეტყოდა: „როგორც მრავლადაა სიზმარში ამბები, ისე მრავალსიტყვავა უგუნურის ნაუბარი“ (ეკლ. 5, 2). ზოგჯერ სიზმარი იდუმალი გამოცხადებისაგან რომ არ იშვებოდეს, მაშინ იოსები თავის უპირატესობას ძმების წინაშე სიზმარში ვერ იხილავდა (დაბ. 37); არც ანგელოზი ამცნობდა ძილში მარიამის დამწინდველს ყრმასთან ერთად ეგვიპტეში გაქცეულიყო (მათ. 2). აგრეთვე, სიზმარი ზოგჯერ ზრახვებისა და გამოცხადების ერთობით რომ არ იშვებოდეს, მაშინ წინასწარმეტყველი დანიელი, ნაბუქოდონოსორის სიზმარზე მსჯელობისას, არ მიუთითებდა, რომ მისი საფუძველი ფიქრები იყო: „გულისზრახვანი შენნი საწოლსა შენსა ზედა აღვიდეს, რაჲ ჯერ-არს ქმნად ამათსა შემდგომად და გამომცხადებელმან საიდუმლოთამან მაუწყნა მე, რომელთაჲ ჯერ-არს ქმნაჲ“ (დან. 2, 29). და იქვე: „შენ, მეფე, ჰხედევდ, და, აჰა, ხატი ერთი დიდი. და ხატი იგი და შესახედავი მისი საშინელ მდგომარე წინაშე პირსა შენსა“ (დან. 2, 31). ამგვარად, როდესაც დანიელი სიზმარს კრძალვით განიხილავს და განმარტავს, თუ რომელი ზრახვიდან იშვა, ცხადად გვიჩვენებს, რომ ხშირად სიზმარი ზრახვებიდან და გამოცხადებებიდან ერთდროულად მომდინარეობს. თუკი სიზმრები ამგვარად განსხვავდებიან, მაშინ ცხადია, მით უფრო ნაკლებად უნდა ვენდოთ მათ, რაც უფრო ძნელი შესაცნობია, თუ საიდან მომდინარეობენ. წმინდანები საცდურსა და გამოცხადებას შორის განსხვავებას ერთგვარად შინაგანად შეიგრძნობენ, განასხვავებენ ჩვენების ხმასა და სახეს, გულისხმაყოფენ კეთილი სულისგან რა ეძლევათ და რომელია ეშმაკის საცდური. თუკი გონება სიზმრების მიმართ ფრთხილი არ იქნება,

მაშინ მაცდური სულის მიერ მრავალ ოცნებაში ჩაეფლობა: ის, როგორც წესი, მრავალ სიმართლეს წინასწარმეტყველებს, რომ შემდეგ სული სიცრუით მოიცვას.

თავი ორმოცდამეცხრე

ადამიანი, რომელსაც სიზმარში ხანგრძლივი სიცოცხლე აღუთქვეს, მაგრამ მოკლე ხანში აღესრულა

არცთუ დიდი ხნის წინ ჩვენს ერთ თანამოქალაქეს, რომელიც სიზმრებს ენდობოდა, ამგვარი რამ შეემთხვა. მას სიზმარში ხანგრძლივი სიცოცხლე აღუთქვეს. როდესაც მან დიდი სიმდიდრე მოაგროვა, რომ ხანგრძლივი ცხოვრება გაეტარებინა, მოულოდნელად გარდაიცვალა და მთელი მამული ხელუხლებელი დარჩა, ხოლო თან ერთი კეთილი საქმეც ვერ წაიყოლა.

თავი ორმოცდამეათე

სასარგებლოა თუ არა მიცვალებულის სულისთვის სხეულის ტაძარში დაკრძალვა?

პეტრე: მასსოვს, ვინც იყო ის. მაგრამ ის განვიხილოთ, რაზეც საუბარი დავიწყეთ. მიცვალებულის სულისთვის სასარგებლობის მომტანია თუ არა სხეულის ტაძარში დაკრძალვა?


გრიგოლი: ტაძარში დაკრძალვა იმ მიცვალებულებისთვის არის სასარგებლო, რომლებიც დიდი ცოდვებით დამძიმებული არ არიან. მათი ახლობლები ყოველდღიურად ამ წმიდა ადგილებში (ტაძრებში) იკრიბებიან და გარდაცვლილთა საფლავების ხილვისას იხსენებენ მათ, მათთვის ღმერთს ევედრებიან. პირიქით, თუკი ტაძარში ისეთ ადამიანს დაკ-

რძალავენ, რომელსაც სული მომაკვდინებელი ცოდვებით აქვს დამძიმებული, მას არათუ ცოდვები არ შეენდობა, არამედ უმეტესად დაისჯება. ამის ცხადად საჩვენებლად, ახლანახან მომხდარ ამბავს მოკლედ ვიამბობ.

თავი ორმოცდამეთერთმეტი

წმიდა ლავრენტის ტაძარში დაკრძალული ენკრატისი, რომელიც ტაძრის მცველს გამოცხადებაში ნახევრად დამწვარი სხეულით ეჩვენა

ღირსეული მოღვაწე, პორტუენის ეპისკოპოსი ფელიქსი, რომელიც საბინის ოლქში დაიბადა და აღიზარდა, ერთი ენკრატისის შესახებ გვიამბობდა, რომელიც თუმცა თავშეკავებით ცხოვრობდა, მაგრამ კადნიერებისა და ამოდმეტყველებისაგან ენას არ იკრძალავდა. ის გარდაიცვალა და ტაძარში დაკრძალეს. იმავე ღამით ტაძრის მცველმა გამოცხადებაში იხილა, რომ ის საკურთხეველთან მიიყვანეს და ორად გაჭრეს, რომელთაგან ერთი ნაწილი ცეცხლში დაიწვა, ხოლო მეორე უვნებელი დარჩა. დილით მან ეს ხილვა ძმებს უამბო და ის ადგილი აჩვენა, სადაც ენკრატისი ცეცხლში დაიწვა. საკურთხეველის წინ, მარმარილოზე ცეცხლის კვალი ისე იყო დარჩენილი, თითქოს ეს დედაკაცი იქ ნივთიერ ცეცხლს დაეწვას. ამგვარმა ხილვამ ცხადყო, რომ წმიდა ადგილი სიკვდილის შემდეგ სასჯელისგან თავის დახსნაში არ შეეწევა იმას, ვისაც ცოდვები არ შეენდო.



თავი ორმოცდამეთორმეტე

პატრიც ვალერიანეს დაკრძალვა

ჩვენთვის ცნობილია, თუ როგორი ღირსებითა და სიმართლით გამოირჩევა სახელგანთქმული მოსაგრე იოანე, პრეფექტების ნაცვალი რომში. ის პატრიც ვალერიანეს შესახებ მიაბობდა, რომელიც ქალაქ ბრიკსში გარდაიცვალა. ამ ქალაქის ეპისკოპოსმა საფასური აიღო და მის დასაკრძალად ტაძარში ადგილი გამოყო. ვალერიანე სიცოცხლის ბოლომდე ცოდვილ და უზნეო ცხოვრებას ეწეოდა და ცოდვების გამოსწორებაზე არ ზრუნავდა. დაკრძალვის წინა ღამით ნეტარი მოწამე ფავსტიანე, რომლის ტაძარში პატრიცის დაკრძალვას აპირებდნენ, ტაძრის მცველს წარმოუდგა და უთხრა: „წადი და უთხარი ეპისკოპოსს, ის მყრალი გვამი, რომელიც აქ დაასვენა, გადააგდოს; თუკი ამას არ აღასრულებს, ოცდაათ დღეში თვითონ მოკვდება“. მცველს ეპისკოპოსისთვის ამის შესახებ მეორე გამოცხადების შემდეგაც კი შეეშინდა ეთქვა. ოცდამეათე დღეს ეპისკოპოსი, რომელიც სრულიად ჯანმრთელი და საღსალამათი იყო, ღამით დასაძინებლად დაწოლილი მოულოდნელად აღესრულა.

თავი ორმოცდამეცამეტე

ვალენტინის სხეულის შესახებ, რომელიც დაკრძალვის შემდეგ ტაძრიდან გამოტანილ იქნა

ამჟამადაც ცოცხლები არიან ღირსი ძმა, ლუნიის ეპისკოპოსი ბენანტი და სახელოვანი კაცი, უკეთილშობილესი და ნდობის ღირსი ლიბერიოსი. ისინი გენუაში მომხდარ ისტორიას გვიამბობდნენ, რომელსაც, მათი თქმით, მათი მსახურები შეესწრნენ. იქ, როგორც ისინი ამბობენ, მედიოლანის ეკ-

ლესიის ადვოკატი ვალენტინი აღესრულა. ის ქარაფშუტა და ყოველგვარ ვნებას დამონებული ადამიანი იყო. მისი სხეული ნეტარი მოწამის, სირას ტაძარში დაკრძალეს. შუალამისას ტაძარში ხმები გაისმა, თითქოს ვიღაცას აგლებდნენ. ტაძრის მცველებმა ამ ხმების გაგონებაზე მოირბინეს და ორი საზარელი სული იხილეს, რომლებიც ფეხებშეკრულ ვალენტინს გარეთ მიათრევდნენ. ის ხმამაღლა ყვიროდა და იბრძოდა. შეშინებული მცველები თავიანთ ადგილებზე დაბრუნდნენ. დილით კუბო გახსნეს და იქ მისი ცხედარი აღარ დახვდათ. მას ძებნა ეკლესიის სიახლოვეს დაუწყეს და სხვა კუბოში მიაგნეს; იგი ისევე იყო ფეხებშეკრული, როგორც ეშმაკებმა გაათრიეს. აქედან ისწავლე, პეტრე, რომ თუკი ცოდვებით დამძიმებული ადამიანები მოყვასთ აიძულებენ, წმიდა ადგილზე დაკრძალონ, დამატებით კაღნიერებისთვისაც დაისჯებიან. მათ წმიდა ადგილები არ განწმენდს, უგუნური ამპარტავნება კი უფრო მეტ სასჯელს მოუტანს.

თავი ორმოცდამეთოთხმეტი

ტაძარში დაკრძალული მღებავის სხეული იქ ვეღარ
ნახეს

აქ მცხოვრები მრავალი მღებავი ამოწმებს იმას, რაც ამ ქალაქში მოხდა. ერთი დახელოვნებული მღებავი გარდაიცვალა და ცოლმა ნეტარი მოწამის, იანუარიუსის ტაძარში დაკრძალა, წმიდა ლავრენტის კარიბჭის სიახლოვეს. მომდევნო დამით ტაძრის მცველმა კუბოდან მისი ძახილი გაიგონა: „ვიწვი, ვიწვი“. მცველს ყვირილი დიდხანს ესმოდა და შემდეგ მიცვალებულის ცოლს შეატყობინა. მან მოისურვა ენახა, როგორ მდგომარეობაში იყო მიცვალებულის სხეული, რომ-

ლის სული ამგვარად ღაღადებდა და ქმრის თანამშრომლები სანახავად გაგზავნა. მათ კუბო გახსნეს და ცარიელი ნახეს, თითქოს მიცვალებული იქ არც ჩაესვენებინოთ, თუმცა ტანსაცმელი ხელუხლებელი იყო და იმ ამბის დასამოწმებლად დღემდე ტაძარში ინახება. აქედან შეგვიძლია მივხვდეთ, როგორ სასჯელს დაექვემდებარა ის, თუკი მისი სხეულიც კი ტაძრიდან განაგდეს. ამგვარად, წმიდა ადგილებს უღირსად დაკრძალულთათვის რა სარგებელი აქვს, თუკი მათი სხეულები, ღმრთის ნებით, იქიდან განიდევნება?

თავი ორმოცდამეთხუთმეტი

რამ შეიძლება მოუტანოს სარგებლობა მიცვალებულთა სულებს? ცენტუმცელელი პრესვიტერისა და მონაზონ იუსტის სულის შესახებ

პეტრე: რამ შეიძლება მოუტანოს სარგებლობა მიცვალებულთა სულებს?

გრიგოლი: თუკი ჩადენილი ცოდვები მძიმე არაა და სიკვდილის შემდეგ შეიძლება შეენდოს, სულს მაცხოვრებელი მსხვერპლშეწირვა სიკვდილის შემდეგაც დიდად შეეწევა;¹ ზოგჯერ მიცვალებულთა სულები ამას თავად ითხოვენ. ეს ამბავი ზემოთ ხსენებულმა ეპისკოპოსმა ფელიქსმა ერთი მეტად ღირსეული პრესვიტერისგან გაიგო, რომელიც ორი წლის წინ ჯერ კიდევ ცოცხალი იყო, ქალაქ ცენტუმცელის სიახლოვეს ცხოვრობდა და ტავრანიაში მდებარე ნეტარი იოანეს ტაძრის წინამძღვარი იყო. პრესვიტერს ხორციელი სნეულების გამო ჩვევად ჰქონდა თბილ წყაროში იმ ადგილზე განბა-

¹ აქაც და შემდგომში იგულისხმება მიცვალებულთა მოხსენიება საღმრთო ლიტურგიაზე.

ნილიყო, სადაც ყველაზე მეტი ორთქლი ამოდის. ერთხელ იქ შესულს, ერთი უცხო კაცი დახვდა, რომელიც მზად იყო მომსახურებოდა: უცნობმა ფეხზე ფეხსაცმელი გახადა, სამოსი ჩამოართვა, საბანელიდან გამოსვლისას პირსახოცი მიაწოდა და ყოველგვარ სამსახურს სრული მზადყოფნით ასრულებდა. ამის შემდეგ ამგვარი რამ ხშირად ხდებოდა. ერთხელ პრესვიტერმა საბანელში წასვლის წინ იფიქრა: „იმ ადამიანის მიმართ, რომელიც საბანელში ასე გულმოდგინედ მემსახურება, მმართველს უმაღურობა არ გამოვიჩინო: ძღვნად რაიმე უნდა მივართვა“. მან ორი სეფისკვერი აიღო და წავიდა. იქ მისულმა ის ადამიანი მაშინვე იპოვა და ისიც ჩვეულებისამებრ ემსახურა. განბანვის შემდეგ წასვლა რომ დააპირა, მან იმ კაცს სეფისკვერები მიართვა, თან სთხოვა მირთმეული ძღვენი კეთილგანწყობით და სიყვარულით მიეღო. უცნობმა პრესვიტერს ცრემლით მიუგო: „მამაო, რატომ მაძღვე? ეს წმიდა პურია, მე კი მისი ჭამა არ შემიძლია. შენ წინაშე ამ ადგილების ყოფილ მეპატრონეს ხედავ. ჩემი ცოდვების გამო სიკვდილის შემდეგ აქ სამსახური მაქვს მისჯილი. თუკი ჩემი დასაჩუქრება გსურს, ეს სეფისკვერები ყოვლისშემძლე ღმერთს ჩემი ცოდვებისათვის მსხვერპლად შესწირე. როდესაც მოხვალ და აქ ვეღარ მიხილავ, იცოდე, ღმერთმა შენი ლოცვა შეისმინა“. ამ სიტყვებზე ის უხილავი გახდა, რითიც გამოჩნდა, რომ სული იყო. პრესვიტერი მისთვის მთელი კვირა ცრემლით ლოცულობდა, მაცხოვრებელ მსხვერპლს ყოველდღიურად სწირავდა და საბანელში მისულმა ის კაცი იქ ვეღარ ნახა. აქედან ჩანს, სულებისთვის უსისხლო მსხვერპლის შეწირვა რამდენად სასარგებლოა, რაკი ამას ცოცხალთაგან თვითონ სულები ითხოვენ და ნიშნებს მიუთითებენ, რომლითაც მათი ცოდვების შენდობას შევიცნობთ.

ვფიქრობ, არც იმის შესახებ უნდა დავდუმდე, რაც სამიოდე წლის წინ ჩემს მონასტერში მოხდა. ერთმა მონაზონმა, სახელად იუსტმა, სამკურნალო ხელოვნება კარგად იცოდა. ის მემსახურებოდა, როდესაც მონასტერში ვცხოვრობდი და სნეულებისას ყურადღებით მმკურნალობდა. როდესაც თავად დაავადდა და სიკვდილის პირას აღმოჩნდა, მას ღვიძლი ძმა, კოპიოზი ემსახურებოდა, რომელიც ამჟამად სარჩოს ექიმობით იძენს. როდესაც იუსტმა სიკვდილის მოახლოვება იგრძნო, კოპიოზს უთხრა, რომ მას სამი ოქროს მონეტა ჰქონდა დამალული. ეს ძმათაგან დაფარული არ დარჩა. მათ გულმოდგინედ მოიძიეს და ოქროს მონეტები წამლებში აღმოაჩინეს. როდესაც ძმის ცოდვის შესახებ მაცნობეს, რომელიც ჩვენთან ერთად ცხოვრობდა, ეს ამბავი გულგრილად ვერ გადავიტანე, იმიტომ, რომ ჩვენს მონასტერში მუდამ წესად იყო, ძმებს ყველაფერი საზიარო ჰქონოდათ და საკუთრად რაიმეს ქონა ეკრძალებოდათ. დამწუხრებული ვფიქრობდი, როგორ მოვქცეულიყავი: ძმის ცოდვათა შენდობისათვის მელოცა, თუ დანარჩენი ძმებისთვის სიმკაცრის მაგალითი მეჩვენებინა? ჩემს მოსაყდრე პრეციოზს მოვუხმე და ვუთხარი: „წადი და ძმებს უბრძანე, მომაკვდავთან არც ერთი მათგანი არ მივიდეს, რომ არავის ბაგეთაგან მანუგეშებელი სიტყვა არ გაიგონოს; როდესაც სიკვდილის მოახლოებისას ძმებს მოუხმობს, მაშინ ღვიძლმა ძმამ უთხრას, რომ ძმებმა გადამალული ოქროს მონეტების გამო მიატოვეს, რათა სინანულმა მისი სული თუნდაც სიკვდილის ჟამს მოიცვას და მის მიერ ჩადენილი ცოდვისაგან განწმინდოს. როდესაც გარდაიცვლება, საძმო სასაფლაოზე არ დაკრძალეთ, არამედ ნავავსაყრელზე ორმო ამოთხარეთ, მისი სხეული შიგ ჩაადეთ, მისი ოქროს მონეტები ზედ დაადეთ და ერთხმად უთხარით: „ვეცხლი ეგე შენი

შენთანვე იყავნ წარსაწყმედელად შენდა“ (საქმე 8, 20) და შემდეგ დამარხეთ“. ამით ორგვარი სარგებლობის მოტანა მსურდა: მომაკვდავისთვისაც და ცოცხლად დარჩენილთათვისაც, რათა ამგვარ მწარე სიკვდილს მომაკვდავი ცოდვისაგან განეწმინდა, ხოლო ძმები ანგარებისთვის ამგვარ სასჯელს მსგავს ცოდვაში ჩავარდნისაგან დაეცვა. ასეც მოხდა. როდესაც მონაზონმა სიკვდილის მოახლოება იგრძნო, ძმებს შესაბრალისად უხმობდა, რათა მათი ლოცვა გამოეთხოვა, მაგრამ მათ მასთან მისვლა და საუბარი არ სურდათ. მაშინ ღვიძლმა ძმამ აუხსნა, ძმათაგან მიტოვებული რატომ იყო. მან ცოდვის გამო მაშინვე მწარედ ამოიგმინა და ამ დროს, გულშემუსვრილი აღესრულა. შემდეგ ისე დაკრძალეს, როგორც ვუბრძანე. მისი ამგვარი სასჯელით შეშინებულმა ძმებმა, სხვადასხვა უმნიშვნელო ნივთების გამოტანა დაიწყეს, რომელთა ქონა ნებადართული იყო. მათ ეშინოდათ რაიმე ისეთი არ ჰქონოდათ, რისთვისაც დაისჯებოდნენ. მისი გარდაცვალებიდან ოცდაათი დღის შემდეგ გარდაცვლილი ძმის გამო დიდმა მწუხარებამ მომიცვა, მისი სასჯელის შესახებ ვფიქრობდი და საშუალებას ვეძებდი, რომ სატანჯველისგან გამოემხსნა. კვლავ იგივე პრეციოზი მოვიხმე და მწუხარებით ვუთხარი: „ჩვენი გარდაცვლილი ძმა დიდი ხანია ცეცხლში იტანჯება. მის მიმართ სიყვარული გამოვიჩინოთ და ძალისაგან ვეცადოთ სატანჯველისგან გამოვიხსნათ. წადი და დღეიდან ოცდაათი დღის მანძილზე ზედიზედ მისთვის მსხვერპლშეწირვა აღასრულე. დღე არ გამოტოვო ისე, რომ მის გამო სახსნელად მაცხოვრებელი მსხვერპლი არ შესწირო“. ის მაშინვე წავიდა და ბრძანების ასრულება დაიწყო. სხვა საქმეებზე ზრუნვის გამო განვლილი დღეები არ დაგვითვლია. ერთ ღამეს გარდაცვლილი ღვიძლ ძმას, კოპიოზს, სიზმარში გა-

მოეცხადა. კოპიოზმა ჰკითხა: „როგორ ხარ, ძმაო?“ მიცვალებულმა მიუგო: „აქამდე ცუდად ვიყავი, მაგრამ ახლა უკვე კარგად ვარ, იმიტომ, რომ დღეს ვეზიარე“. კოპიოზმა ძმებს ამის შესახებ დაუყოვნებლივ მოუთხრო. მათ დღეები გადათვალებს და აღმოჩნდა, რომ იმ დღეს მისთვის მსხვერპლი ოცდამეათეჯერ შეწირეს. კოპიოზმა არ იცოდა, ძმები მიცვალებულის სულის სახსნელად რას აკეთებდნენ და არც ძმებმა იცოდნენ, კოპიოზს როგორი ჩვენება ჰქონდა. ხილვისა და მსხვერპლშეწირვის ამგვარი თანხვლომით ცხადად გამოჩნდა, რომ მაცხოვრებელი მსხვერპლის მეოხებით მიცვალებული ძმა ტანჯვისაგან გამოსხნილ იქნა.

პეტრე: საკვირველ და სანუგეშო ამბებს ვისმენ.

თავი ორმოცდამეთექვსმეტი

ნარნის ეპისკოპოს კასის ცხოვრება და აღსასრული

გრიგოლი: მიცვალებულთა სიტყვები დავიწყებას რომ არ მიეცეს, მათ ცოცხალთა საქმეები მოწმობენ. ნარნის ეპისკოპოსი კასი, რომელიც ღირსეულ ცხოვრებას ეწეოდა, ღმერთს უსისხლო მსხვერპლს ყოველდღიურად სწირავდა და ევქარისტის აღსრულებისას ცრემლს ღვრიდა. ერთი თავისი პრესვიტერის ხილვის საშუალებით მას შემდეგი რამ ემცნო: „ისე განაგრძე, როგორც იქმ; იგივე აღასრულე, რასაც აღასრულე; ფეხს ნუ დააცადებ და ხელს ნუ დააყენებ; მოციქულთა დღესასწაულზე ჩემთან იქნები და ჯილდოს მოგაგებ“. შვიდი წლის თავზე, წმიდა მოციქულთა დღესასწაულზე, მან საღმრთო ლიტურგია აღასრულა, წმიდა საიდუმლოებს ეზიარა და ამის შემდეგ აღესრულა.

თავი ორმოცდამეჩვიდმეტი

მტრების მიერ დატყვევებული კაცი, რომელსაც მისთვის აღსრულებული მსხვერპლშეწირვის შემდეგ ბორკილები დასცვივდა; მესაჭე ბარაკი, რომელიც ხომალდის დალუპვისას უსისხლო მსხვერპლშეწირვამ იხსნა

გავიგეთ აგრეთვე, რომ ერთი ადამიანი მტრებმა ტყვედ ჩაიგდეს და ბორკილდადებული ჰყავდათ. მისი მეუღლე გარკვეულ დღეებში მისთვის წირვას უკვეთავდა. დიდი ხნის შემდეგ ის დაბრუნდა და ცოლს უამბო, რომ ზოგჯერ იგი ბორკილებისგან თავისუფლდებოდა. ცოლმა შეიტყო, რომ ეს სწორედ ის დღეები იყო, როდესაც მისთვის წირვა აღსრულებოდა. ამგვარი რამ სხვა შემთხვევითაც დასტურდება, რომელიც შეიდი წლის წინ მოხდა. სარწმუნო და ღმრთისმოშიში ადამიანები ამჟამადაც ამოწმებენ, რომ პანორმის ეპისკოპოსი ალათონი ჩემი ნეტარხსენებული წინამორბედის ბრძანებით რომში გაემგზავრა. გზაში იმდენად ძლიერი ქარიშხალი დაატყდა, რომ ზღვის ძლიერი ღელვის გამო გადარჩენის იმედი აღარ ჰქონდა. ხომალდის მესაჭე, სახელად ბარაკი, რომელიც ამჟამად იმავე ეკლესიის კლერიკოსია, ხომალდის უკან ნავს მართავდა. თოკი გაწყდა და ის ნავთან ერთად ტალღებში გაუჩინარდა, ხოლო ხომალდი, რომელზეც ეპისკოპოსი იმყოფებოდა, მრავალი ხიფათის შემდეგ ტალღებმა კუნძულ უსტიკზე გარიყა. სამი დღის შემდეგ ეპისკოპოსმა ზღვაზე ნავში მყოფი მესაჭე დაინახა, ის მკვდარი ეგონა და დამწუხრებულმა გააკეთა ის, რაც მიცვალებულს ყველაზე მეტად შეეწეოდა — ბრძანა ყოვლისშემძლე ღმერთისთვის მის სახელზე უსისხლო მსხვერპლი შეეწირათ, რომლის დასრულების შემდეგ ხომალდი მოამზადეს და იტალიისკენ გაცურეს. რომის ნავსადგურში შესულმა ეპისკოპოსმა იქ მესაჭე იხილა, რომელიც დალუპული ეგონა. მოულოდნელი სიხარულით აღტაცე-

ბულმა მესაჭეს ჰკითხა, ზღვაზე ამდენი ხანი ასეთი საშიშროების პირისპირ როგორ იცხოვრა. მესაჭემ უამბო, მღელვარე ტალღებში ნავით როგორ დაცურავდა, როგორ ცურავდა მასში, როდესაც ის წყლით ივსებოდა და როგორ იჯდა ნავის ფსკერზე, როდესაც მას ტალღები აბრუნებდნენ. შემდეგ კი თანამიმდევრულად უამბო, საღმრთო განგებულებამ როგორ იხსნა, როდესაც ამგვარად გატარებული რამდენიმე დღე-ღამის შემდეგ, შიმშილითა და შრომით სრულიად დაუძლურდა. ის დღემდე ჰყვება შემდეგს: „ტალღებთან ბრძოლაში სრულიად დაუძლურდი; უეცრად თავი იმდენად დამიმძიმდა, რომ ვეღარ ვგრძნობდი, მეღვიძა თუ მეძინა. და როდესაც შუაგულ ზღვაში ვიყავი, ვილაც გამომეცხადა და შიმშილის დასაოკებლად პური მომაწოდა. შევჭამე თუ არა, მყისვე მოვმაგრდი. შორიანხლოს გემი მიცურავდა, რომელმაც საშიში ქარიშხლისაგან მიხსნა და ნაპირზე გამიყვანა“. ამის გაგონებაზე ეპისკოპოსმა დღე ჰკითხა, როდესაც ეს მოხდა და აღმოჩნდა, რომ მესაჭე იმ დღეს გადარჩა, როდესაც კუნძულ უსტიკის პრესვიტერი ყოვლისშემძლე ღმერთს მისთვის უსისხლო მსხვერპლს სწირავდა.

პეტრე: ეს ამბავი სიცილიაში ყოფნისას მეც გავიგე.

გრიგოლი: მჯერა, რომ ცოცხლებზე, რომელთაც არაფერი იციან, ასე ცხადად გამოხსნა იმიტომ აღესრულება, რომ უსისხლო მსხვერპლის შემწირველთ და მათ, ვინც მისი ძალა არ იციან, უჩვენოს, მიცვალებულთა გამოხსნის საქმეშიც როგორი სარგებლობის მოტანა შეუძლია, თუკი მათი ცოდვები მისატყვებელია. გარდა ამისა, იმის ცოდნაც გმართებს, რომ წმიდა მსხვერპლშეწირვას სარგებლობა იმ მიცვალებულთათვის მოაქვს, რომლებმაც მიწიერი ცხოვრებით დაიმსახურეს, რომ სიკვდილის შემდეგ სხვების მიერ ამქვეყნად მათთვის აღსრულებული კეთილი საქმეები შეეწეოდეთ.

თავი ორმოცდამეთვრამეტი

მაცხოვრებელი მსხვერპლის ძალა და საიდუმლო

მუდამ ამგვარად უნდა ვფიქრობდეთ, რომ ბევრად უსაფრთხოა სიკეთე სიცოცხლეში თვითონ აღვასრულოთ, ვიდრე გვეიმედებოდეს, რომ მას სიკვდილის შემდეგ სხვისი ხელით აღვასრულებთ. უფრო სანეტაროა გავიდეთ ამქვეყნიდან თავისუფალნი, ვიდრე შეკრულებმა ვეძიოთ თავისუფლება. ამიტომ ამ სოფლის წარმავალობას რაც უფრო ცხადად ვხედავთ, მით უფრო უნდა მოვიძულოთ მთელი სულითა და გულით, ღმერთს ყოველდღიურად მსხვერპლად ქრისტეს წმიდა ხორცისა და სისხლის საიდუმლო და ცრემლი შევწიროთ, რადგან მარადიული წარწყმედისაგან სულის ცხონება ერთადერთს ამ მსხვერპლს შეუძლია; ის ჩვენთვის მხოლოდშობილი ძის სიკვდილს იღუპლადად განაახლებს, რომელიც „აღდგა მკუდრეთით, არღარა მოკუდეს, და სიკუდილი მის ზედა არღარა უფლებდეს“ (რომ. 6, 9). თუმცა უკვდავი და უხრწნელია, წმიდა ეკლესიის საიდუმლოში ჩვენთვის კვალად იკვლება. რადგან ეკლესიაში მის ხორცს ვიღებთ, მისი სხეული ადამიანთა საცხოვრებლად განიყოფება, ხოლო მისი სისხლი უკვე არა უსჯულოთა ხელებზე გადმოდის, არამედ მორწმუნეთა ბაგეებში ჩაედინება. გულისხმავყოთ, როგორია საიდუმლოება, რომელიც ჩვენი ცხონებისათვის მხოლოდშობილი ძის ვნებას მუდამ გვაგონებს. მორწმუნეთაგან ვის შეიძლება ეჭვი შეეპაროს, რომ თვით მსხვერპლშეწირვის ჟამს მღვდლის ღაღაღზე ცანი განიხსნებიან, იესო ქრისტეს ამ საიდუმლოს ანგელოზთა დასები ესწრებიან, მიწიერი ზეციერს უერთდება და ხილულთა და უხილავთა შეერთებით დიდი ერთობა იქმნება?

თავი ორმოცდამეცხრამეტი

გულის შემუსვრილებისათვის წმიდა საიდუმლოს
შეწირვის ჟამს და გონების სიფხიზლისათვის ზიარების
შემდგომ

ამ საიდუმლოს აღსრულებისას აუცილებელია, გულის შემუსვრილებით ღმერთს თავი მსხვერპლად შევწიროთ, უფლის ვნებათა საიდუმლოს აღსრულებისას იმის მიმბაძველნი ვიყოთ, რასაც აღვასრულებთ. ეს საიდუმლო მხოლოდ მაშინ იქნება ღმერთისთვის ჩვენთვის შეწირული ჭეშმარიტი მსხვერპლი, როდესაც ჩვენს თავს ვაქცევთ მსხვერპლად. ღმერთის წყალობით წირვის შემდეგაც ვეცადოთ, სული მისი ძალითა და სიმტკიცით დავიცვათ, რათა შემდგომ ამაოებამ არ დააუძღუროს, გულში ამო მედიდურობა არ შემოგვეპაროს და სულმა დაუღევარი ქარაფმუტობით ზიარების სარგებელი არ დაკარგოს. ანა ღირსი გახდა მიელო ის, რასაც ითხოვდა, იმიტომ, რომ გლოვის შემდეგ სულიერი სიმტკიცე დაიცვა. მასზე ნათქვამია: „და პირი მისი არღარა მწუხარე იყო“ (1 მეფ. 1, 18). ამიტომ ღმერთს მისი თხოვნა არ დავიწყებია და სათხოვარი (ძე), რომელიც მისთვის ასეთი სასურველი იყო, არ მოაკლო.

თავი მესამოცე

სხვათა ცოდვების მიტევებისთვის, რომ ჩვენც
შეგვენდოს ჩვენი ცოდვები

იმისი ცოდნაც გმართებს, რომ ცოდვათა მიტევებას მართლად მხოლოდ ის ითხოვს, ვინც თავის წინააღმდეგ ჩადენილ ცოდვებს მიუტევებს, რადგან სახარების მიხედვით ძღვენი იქამდე არ შეიწირება, ვიდრე სულიდან მტრობა არ განიდევ-

ნება: „უკუეთუ შესწირვიდე შესაწირავსა საკურთხეველსა ზედა და მუნ მოგვესენოს შენ, ვითარმედ ძმაჲ შენი გულ-ძვრ რაჲმე არს შენთვის, დაუტევე შესაწირავი იგი საკურთხეველსა მას და მივედ და დაეგე პირველად ძმასა შენსა და მაშინ მოვედ და შეწირე შესაწირავი შენი“ (მათ. 5, 23-24). აქედან ცხადია, რომ თუკი შესაწირავისთვის შეცოდება მიგეტევა, რაოდენ მძიმეა მტრობის ცოდვა, რომლის გამო თვით შესაწირავი არ შეიწირება. ამგვარად, მოყვასს სულით უნდა მივმართოთ, რაგინდ ჩვენგან შორს იმყოფებოდეს და ჩვენს მიმართ როგორი განაწყენებულიც არ უნდა იყოს, სულით დავმორჩილდეთ, სიმდაბლითა და კეთილგანწყობით გული მოვუღებთ, რათა შემოქმედმაც, რომელმაც ჩვენი ცოდვებისათვის შესაწირავი უნდა შეიწიროს, შეგვინდოს, როდესაც ჩვენი გულის ამგვარ კეთილგანწყობილებას იხილავს (მათ. 18, 27). ჩვენ ჭეშმარიტების სიტყვით განვისწავლეთ, რომელიც ამოწმებს, რომ მონას, რომელსაც ბატონის ათი ათასი ტალანტი ემართა, სინანულის შემდეგ მისგან ვალი სრულად შეენდო, მაგრამ იმისთვის, რომ თანამონას ასი ღინარი არ შეუნდო, ებრძანა მიტეგებული ვალი სრულად გადაეხადა. აქედან ცხადად ჩანს, თუკი ჩვენს წინააღმდეგ შემცოდეთ მთელი გულით არ მივუტევებთ, მაშინ ჩვენც კვლავ მოგვთხოვენ იმას, რაც სინანულის შემდეგ შეგვენდო. ამგვარად, ვიდრე ჯერ კიდევ დრო გვაქვს, ვიდრე მსაჯული სულგრძელებს და ჩვენი გულების გამომცდელი ჩვენს მოქცევას ელის, სასტიკი გული ცრემლით მოვიღებთ და მოყვასის მიმართ კეთილგანწყობილებითა და სიყვარულით განვეწყოთ. დამაჯერებლად შემძლია ვთქვა, რომ სიკვდილის შემდეგ ჩვენი სულის საოხად მაცხოვრებელი მსხვერპლის შეწირვა აუცილებელი აღარ იქნება, თუკი სიკვდილამდე საკუთარ თავს ღმრთისათვის შეწირულ მსხვერპლად ვაქცევთ.

წიგნი დასაბეჭდად მომზადდა
გამომცემლობა „ხარებაში“

